ISSN 1512 - 4649

ეკონომისტი

საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ოლია-180, 2017

ჟურნალი "ახალი ეკონომისტი" რეფერირებულია:

სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში "ქართულ რეფერატულ ჟურნალში".

რეფერირებულად აღიარებულია:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (მინსკი);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ასტანა).

მისამართი: საქართველო,
0105, თბილისი, ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 2 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;
ელ-ფოსტა: loidk@yahoo.com
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

The Magazine "Akhali Ekonomisti" (New Economist) HAS BEEN REVIEWED:

In "Georgian Reviewed Magazine" – P.L.L.E. Institute of Techinform

ACKNOWLEDGED TO BE REVIEWED BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robakidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Samtskhe-Javakheti State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;
- East European University;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucassus (Baku, Azerbaijan);
- State University of Belarus (Minsk);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Astana).

ADDRESS: 5 Jorjadze str., 0105, Tbilisi, Georgia
Tel.: +995 (32) 2 990 576;
Mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;
E-mail: loidk@yahoo.com
web-site: www.economisti.ge; www.loi.ge

ახალი ეკონომისტი

ყოველკვარტალური საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, №48, 2017.

ლიონ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი; საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე; საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი.

შოთა ვეშაპიძე - ნომრის რედაქტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბესაძე (პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი); ნინო აბესაძე; ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; როზეტა ასათიანი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ევგენი ბარათაშვილი; ელბერდ ბატიაშვილი; გივი ბედიანაშვილი (ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტის დირექტორი); როსტომ ბერიძე (ბათუმის უნივერსიტეტი); თამარ გამსახურდია; თინა გელაშვილი; სიმონ გელაშვილი; რევაზ გველესიანი (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); რევაზ გოგოხია; ვლადიმერ გრიგოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); ვოლფგანგ ვენგი (ბერლინი, გერმანია); შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე (ევროპის უნივერსიტეტის პროექტორი); სერგეი იაკუბოვსკი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); ელდარ ისმაილოვი (კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი); მერაბ კაკულია; ალექსანდრე კვაშილავა; გია კვაშილავა; მურთაზ კვირკვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე (საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე); კახა კორძაია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); პაატა კოღუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ჰერალდ კუნცი (ბრანდენბურგი, გერმანია); ენვერ ლაგვილავა; ლორდი სტივენ ლორდ ლიიდ-ბაბრატიონი (ოქსფორდის უნივერსიტეტი,ინგლისი); რევაზ ლორთქიფანიძე; ეკატერინე ლომია (საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი); შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); ელგუჯა მეძვაბიშვილი; ნუგზარ ნადარაია (ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); დავით ნარმანია; თედო ნინიძე; სოლომონ პავლიაშვილი (თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); ვახტანგ სართანია (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); ემერ სარჯველაძე; ავთანდილ სილაგაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი); ალექსანდრე სიჭინავა; გელა სვირავა (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); დამეტკენ ტურეკულოვა (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა ფეტელავა; ლევან ქისტაური; რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; ომარ შუდრა; ფაია შულენბაევა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაგელიშვილი; დავით ჩერქეზიშვილი (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი); მიხეილ ჩიკვილაძე; ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი; ნოდარ ხადური (საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე); ელენე ხარაბაძე; ემერ ხარაიშვილი; რევაზ ხარებავა; მერაბ ხმალაძე; დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ჯამლეტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ემზარ ჯგერენაია; მიხეილ ჯიბუტი (საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი). ნანა ჯღარკავა.

შესაძლებელია, რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2017წ.
© გამომცემლობა „ლიი“

ფასი 10 ლარი

The New ECONOMIST

QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE, PRECISED AND REVIEWED, №48, 2017.

LOID KARCHAVA - Editor-in-Chief and Head of Editorial Board;
Doctor of Business Administration, Professor;
Head of the Council of Scientists of Georgia;
Academician of the Georgian Academy of Business Sciences;
Academician of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

RAMAZ ABESADZE (Director of Paata Gugushvili Economic institute); NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences; EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; GIVI BEDIANASHVILI (Director of the European Univercity's Institute of Research of economic and social problems of Globalization); ROSTOM BERIDZE (Batumi state university); TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI; SIMON GELASHVILI; REVAZ GVELESIANI (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); REVAZ GOGOKHIA (Editor-in-Chief of magazine „Economy and Business"); VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Deputy of Rector of BelarusiaState University); WOLFGANG WENG (Berlin, Garmany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE (Prorector of European University); SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); ELDAR ISMAILOV (Director of Institute of Strategic Studies of the Caucassus); MERAB KAKULIA; ALEKSANDRE KVASHILAVA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Scool of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE(Head of Budget and Finance Committee of Parliament of Georgia); KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Garmany); ENVER LAGVILAVA; The Rt Hon STEVEN LORD LLOYD-BAGRATIONI (University of Oxford, England); REVAZ LORDKIPANIDZE; EKATERINE LOMIA (Head of Department of International Relations); SHALVA MACHAVARIANI (Vice-Prasidenrt of Caucasus University in sciens field); ELGUJA MEQVABISHVILI; MARIAM MGEBRISHVILI; NUGZAR NADARAIA (Prezident of the Academy of Fazisi Sciences); DAVID NARMANIA; TEDO NINIDZE; SOLOMON PAVLIASHVILI (Rectot of Tbilisi University); VAKHTANG SARTANIA (Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA (Editor-in-Chief of magazine „Business Engineering"); GELA SVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA (Academician of a Esthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); SLAVA FETELAVA; LEVAN KISTAURI; RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; OMAR SHUDRA; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; DAVID CHERKEZISHVILI (Rector of East European University)MICHAEL CHIKVILADZE; NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; NODAR KHADURI (Head of the Georgian Competition Agency); ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Buziness Faculty of Suxumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); EMZAR JGERENAIA (Editor-in-Chief of magazine „Economy of Georgia"); MICHAEL JIBUTI (Prezident of the Georgian Academy of Economics Sciences); NANA JGHARKAVA.

პაატა შეშელიძე - ნამდვილი ილიას ძიებაში. 10

ომარ გოგიაშვილი - ილია - ლიბერალური აზროვნების ფუძემდებელი საქართველოში (თავისუფლება და კერძო საკუთრება) 12
ელბერდ ბატიაშვილი - ილია ჭავჭავაძის საერთო ნიადაგის თეორიის სახელმძღვანელო პრინციპები . . . 23
შოთა ვეშაპიძე - ილია ჭავჭავაძის ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებული საყოველთაო კეთილდღეობის კონცეფცია 30
ერეკლე უგრელიძე - ილია ჭავჭავაძე - ლიბერალური აზროვნების ფუძემდებელი საქართველოში 42
ოთარ ჯანელიძე - ილია ჭავჭავაძის ლიბერალური შეხედულებანი 48
ხათუნა ბერიშვილი - ილია ჭავჭავაძე ქალთა უფლებების შესახებ 53
ნოდარ ხონელიძე - ქართული ისტორიული ცნობიერების რეინკარნაცია ილია ჭავჭავაძის ფენომენში (თანამედროვე გააზრებისათვის) 58
თემურ შენგელია - ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური მოძღვრების ფუნდამენტური მეთოდოლოგიური საკითხები და თანამედროვეობა 68
ჯემალ ხარიტონიშვილი - ილია ჭავჭავაძე ლიბერალიზმისა და პროტექციონიზმის ეკონომიკური პრინციპების შესახებ 74
ლოიდ ქარჩავა - ილია ჭავჭავაძის შეხედულებები უცხოური ინვესტიციების შესახებ და თანამედროვეობა 81
ზურაბ მჭედლიშვილი - ილია ჭავჭავაძე საქართველოს ეკონომიკის საერთაშორისო სპეციალიზაციის შესახებ. 84
მურმან კვარაცხელია - ილია და დღევანდელობა 89
ნიკოლოზ დორეული - გერმანული კვალი - ილია და არტურ ლაისტი 92
ნოდარ ჩინჩალაძე - ილიას გზით 95
გიორგი ჩხიკვაძე - ილია ჭავჭავაძისეული ეკონომიკა და სახელმწიფო 101

CONTENTS

Paata Sheshelidze - In the search of true Ilia 10
Omar Gogiashvili - Ilia Chavchavadze – founder of liberal thinkingin Georgia (freedom and private property) . .12
Elberd Batiashvili - Guidelines to Common Ground Theory of Ilia Chavchavadze 23
Shota Veshapidze - Ilia Chavchavadze's concepet of universal welfare focused on European values 30
Erekle Ugrelidze - Ilia Chavchavadze - the founder of liberal thinking in Georgia 42
Otar Janelidze - Ilia Chavchavadze in the context of liberalism 48
Khatuna Berishvili - Ilia Chavchavadze about women's rights 53
Nodar Khonelidze - Reincarnation of Georgian Historical Consciousness in the Phenomenon of Ilia Chavchavadze (Towards Modern Conceptualization) 58
Temur Shengelia - Fundamental Methodological Issues of Ilia Chavchavadze's Doctrine and Modernity 68
Jemal Kharitonishvili - Ilia chavchavadze's opinion about Economic principles of Liberalism and Protectism . . . 74
Lodi Karchava - Ilia Chavchavadze's views about foreign investments and modernity 81
Zurab Mchedlishvili - Ilia Chavchavadze about the international specialization of Georgian economy 84
Murman Kvaratskhelia - Ilia and modernity 89
Nikoloz Doreuli - German footprint - Ilia and Arthur Leist 92
Nodar Chinchaladze - by Ilia 95
Giorgi Chkhikvadze - Ilia Chavchavadze's economy and the state 101

სამეცნიერო კონფერენცია

ნამდვილი ილია

ეძღვნება ილია ჭავჭავაძის 180 წლისთავს

2017 წლის 4 ნოემბერი, თბილისი, საქართველო

ორგანიზატორები:

ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველო (პაატა შეშელიძე, გია ჯანდიერი, გიორგი ჩიქოვანი, გიორგი ჩხიკვაძე, ნოდარ ჩინჩალაძე, ერეკლე უგრელიძე);
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (გიორგი კეკელიძე);
ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისათვის (გერმანია), სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობა;
მეცნიერთა ჯგუფი (შოთა ვეშაპიძე - კოორდინატორი, ხათუნა ბერიშვილი, ანდრო ბედუკაძე, ელბერდ ბატიაშვილი, თეიმურაზ შენგელია, ომარ გოგიაშვილი, მურმან კვარაცხელია, ჯემალ ხარიტონაშვილი, ზურაბ მჭედლიშვილი, გიორგი დორეული, ოთარ ჯანელიძე, ლოიდ ქარჩავა).

ჩატარების ადგილი:

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისი, საქართველო.

სამუშაო ენა:

ქართული

მომხსენებლები:

ომარ გოგიაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი;
ნოდარ ჩინჩალაძე - ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველოს წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი;
ელბერდ ბატიაშვილი - პოლიტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკასთან არსებული ილიას კაბინეტის გამგე, ილიალოგთა კლუბის პრეზიდენტი;
შოთა ვეშაპიძე - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი;
ერეკლე უგრელიძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მარკეტინგის კათედრის დოქტორანტი;
ოთარ ჯანელიძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ნოდარ ხონელიძე - ილიას უნივერსიტეტის გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი;
ხათუნა ბერიშვილი - ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ნიკოლოზ დორეული - ისტორიკოსი, ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელი;
ანდრო ბედუკაძე - კრიტიკოსი, ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი;

ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲘᲚᲘᲐ

ჯემალ ხარიტონიშვილი - ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ლოიდ ქარჩავა - ბიზნესის აადმინისტრირების დოქტორი, საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე;

ზურაბ მჭედლიშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსის მაგისტრანტი;

მურმან კვარაცხელია - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

თემურ შენგელია - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;

გია ჯანდიერი - „ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველოს“ ვიცე-პრეზიდენტი;

გიორგი ჩხიკვაძე - „ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველოს“ წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი;

გიორგი ჩიქოვანი - „ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველოს“ წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი;

პაატა შეშელიძე - „ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველოს“ პრეზიდენტი.

10:00 რეგისტრაცია

10:30 გახსნა

- პაატა შეშელიძე: რატომ ილია და რატომ “ნამდვილი” ილია?

10:40 მისალმებები

- გიორგი კეკელიძე
- ანდრო ბედუკაძე
- ელბერტ ბატიაშვილი
- შოთა ვეშაპიძე

10:50 პირველი ნაწილი: მსოფლმხედველობა

- წამყვანი: გია ჯანდიერი
- ომარ გოგიაშვილი: ილია - ლიბერალური აზროვნების ფუძემდებელი საქართველოში (თავისუფლება და კერძო საკუთრება)
- ელბერტ ბატიაშვილი: ილია ჭავჭავაძის საერთო ნიადაგის თეორიის სახელმძღვანელო პრინციპები
- შოთა ვეშაპიძე: ილია ჭავჭავაძის ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებული საყოველთაო კეთილდღეობის კონცეფცია
- ერეკლე უგრელიძე: ილია ჭავჭავაძე - ლიბერალური აზროვნების ფუძემდებელი საქართველოში
- ოთარ ჯანელიძე: ილია ჭავჭავაძის ლიბერალური შეხედულებანი

12:10 შესვენება ყავაზე

12:30 მეორე ნაწილი: საზოგადოება

- წამყვანი: გიორგი ჩიქოვანი
- ნოდარ ხონელიძე: ილია ჭავჭავაძის მიერ ქართული პოლიტიკური აზროვნების აღორძინება
- ხათუნა ბერიშვილი: ილია ჭავჭავაძე ქალთა უფლებების შესახებ
- ნიკოლოზ დორეული: გერმანული კვალი - ილია და არტურ ლაისტი

13:50 სადილი

14:40 მესამე ნაწილი: ეკონომიკა

- წამყვანი: გიორგი ჩხიკვაძე
- ჯემალ ხარიტონიშვილი: ილია ჭავჭავაძე ეკონომიკის პრინციპების შესახებ
- ლოიდ ქარჩავა: ილია ჭავჭავაძის შეხედულებები უცხოური ინვესტიციების შესახებ და თანამედროვეობა

• ზურაბ მჭედლიშვილი: ილია ჭავჭავაძე საქართველოს ეკონომიკის საერთაშორისო სპეციალიზაციის შესახებ

16:20 შესვენება ყავაზე
16:40 მეოთხე ნაწილი: თანამედროვეობა
• წამყვანი: პაატა შეშელიძე
• ნოდარ ჩინჩალაძე: ილიას გზით
• მურმან კვარაცხელია: ილია და დღევანდელობა
• თემურ შენგელია: ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური მოძღვრების ფუნდამენტური მეთოდოლოგიური საკითხები და თანამედროვეობა
• გიორგი ჩხიკვაძე: ილია ჭავჭავაძე: როგორი იქნებოდა მისეული ეკონომიკა და სახელმწიფო დღეს?

18:00 შეჯამება
• გია ჯანდიერი: არ მესროლოთ, ისევ ილია ვარ!

18:20 დასასრული
• პაატა შეშელიძე: სამომავლო გეგეგმები

ნამდვილი ილიას ძიებაში

პაატა შეშელიძე
„ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველო“-ს
პრეზიდენტი

„ეგ ლიბერალი, ბურთივით მრგვალი“-ო - გრიგოლ ორბელინმა - ილია ჭავჭავაძეზე.
მასეც იყო - თავისი დროის შვილი და ყველაზე მოწინავე მსოფლმხედველობის მოზიარე.

აღიარებდა:

„მოვალეობის გარეშე უფლება არ არსებობს, ხოლო მოვალეობა ისაა, რომ პატივი სცე, დაიცვა კიდეც სხვისი უფლება და არ დაარღვიო იგი“.

სწამდა:

„რა არის მთელი პროგრესი კაცობრიობისა, თუ არა ის, რომ ადამიანის პიროვნება, ადამიანის სინდისი, ყოფა-ცხოვრება, - უსაბუთოდ, უსაფუძვლოდ არავისაგან ხელშეხებული არ იყოს, არავისაგან შემწიკვლულ, შეგინებულ, შევიწროებულ“.

ფიქრობდა:

„მივიწყებულს ეკონომიკურს მხარეს ჩვენი ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის, რომ ეკონომიკური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა, ტანში გამართვისა.“

აკავშირებდა:

„ხელშეუხებლობა პირადის საკუთრებისა ... მერმისის ქვაკუთხედად არის აღიარებული, და ყოველს, რაც ჰზღუდავს და ჰხუთავს ამ ხელშეუხებლობას, რჯული ძნელად იშვნევს, ძნელად იწყნარებს“.

აზუსტებდა:

„კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქვაკუთხედად უდევს ... მთელს ცხოვრებას დაწინაურებულ ქვეყნებისას მთელ დედამიწის ზურგზე. ... კერძო საკუთრება, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, ჯერ კიდევ დიდ ხანს იქნება დიდს პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც გინდა იყოს, იაფად არ დაუჯდება“.

ესმოდა:

„ეკონომიკური ბუნება ქონებისა ის არის - უძრავი ქონებაა თუ მოძრავი - რომ უხერხო და უმცდელ კაცისგან ხერხიან და მცდელ კაცის ხელში გადადის. ამ კანონს ეკონომიკურ ბუნებისას წინ ვერაფერი დაუდგება, როგორც საერთო ბუნებურ კანონსა“.

ასწავლიდა:

„საცა მიქცევ მოქცევაა საქონლის პატრონთა შორის, იმ ადგილს ბაზარი ჰქვიან. საქონელთა ყიდვა-გაყიდვას, გაცვლას, მთლიანობაში, საქონელმიმოქცევა ეწოდება, რომელიც საქონლის ფასს ხან ასწევს, ხან დასწევს“.

ავრცობდა:

„გამნაღდებელი ნაშრომისა ბაზარია და იგი ეკონომიკური მოქმედება აღებ მიცემისა, რომელსაც ვაჭრობა ჰქვიან“.

განმარტავდა:

ფრიტრეიდერობა - „აღებმიცემობის თავისუფლებაა... და იმაში მდგომარეობს, რომ სააღებმისაცემო საქონელი, შინაური თუ გარედამ შემოსული, ყოველის ბაჟისა და გადასახადისაგან დახსნილი იყოს და არა რომელისამე კანონმდებლობისაგან შეხუთული არ უნდა იქნეს“.

მიიჩნევდა:

„ბანკი ერთი იმისთანა გამოსადეგი ღონეთაგანია, რომლის შემწეობითაც გროვდება გაფანტული და უქმი კაპიტალი საზოგადოებისა და ფული ერთის ხელიდან მეორეში გადადის წარმოების გასაძლიერებლად“.

ხსნიდა:

„კრედიტი, ესე იგი ნდობისა ესტიბარის ძალით ხელის გამართვა“.

ამჩნევდა:

„დღეს ხელახლად თავი წამოჰყო და ფეხზედ წამოდგა წინათ უარყოფილი სისტემა პროტექციონობისა, ესე იგი სისტემა, რომლის დაძლევაც დიდის სიხარულით მიღებულ იყო ამ ორმოცის წლის წინათ და მასზედ გამარჯვებული ფრიტრედერობა კი – პატივცემული, როგორც სისტემა ლიბერალობის მოძღვრებისა“.

წუხდა:

„დღეს თითქმის ყველგან პროტექციონობის გაძლიერებას ვხედავთ, თუმცა მეცნიერებისაგან-კი ანდერძაგებულია და დაწუნებული“.

ასკვნიდა:

„ყველასათვის, ერთნაირად ღია ბაზარი უმჯობესია, იმიტომ რომ ყოველის კაცისათვის ისა სჯობია, საშუალება ჰქონდეს, საჭირო საქონელი იქ და იმისგან იყიდოს, საცა და ვისაც უფრო კარგი საქონელი აქვს და უფრო იეფი ჩემ-შენაობას გაურჩევლად“.

აქებდა:

„ერი უდიდესი სამსახური, რომელიც რობერტ პილმა გაუწია თავის ქვეყნასა, ის იყო, რომ 1846 წელს გააუქმა პურზედ დადებული ბაჟი, პური სულ მთლად გაანთავისუფლა ბაჟისგან ღარიბთა მცხოვრებთა საოხად და საკეთილდღეოდ “.

ურჩევდა:

“ამ ეკონომიურ გზაზე ჩვენი საქართველო რომ დადგეს, ჩვენმა მიწათმოქმედებამ რომ ეს ახალი გზა და მიმართულება ირჩიოს, რუსეთისათვის ის ამზადოს, რაც რუსეთს არ აქვს, და იქიდამ ის ჰზიდოს, რაც რუსეთს ვერ - კი გაუსაღებია”.

ციტირებდა:

„ტყუილად –კი არა სთქვა ტურგენიევმა, რომ ეს ქვეყანა ტაძარი-კი არ არის, საცა კაცი უნდა ჰლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და ჰმუშაობდესო“.

გმობდა:

„გაუტანლობა იმის გამო, რომ შენ სხვა თესლისა ხარ და მე სხვა თესლისა და ერთად ვერ გვეცხოვრებაო, მარტო ბრიყვის და უვიცის მოძღვრებაა და სამართლიანად გასაკიცხი ყოველ პატიოსან და გონებაგახსნილ კაცისაგან“.

ახსენებდა:

„სად იყო ბანკები, რომ მთელი ტბილისი ამ საუკუნის დასაწყისში სულ ქართველობას ეკუთვნოდა. ოცდაათმა წელმაც არ გაიარა და მთელი ქალაქი სხვის ხელში გადავიდა“.

მოუწოდებდა:

“ისტორია და წარმატება – მარჯვესი, გამრჯესი, მხნესი და მერმისისათვის მებრძოლის კუთვნილია. ამისთანად აღმოჩნდა ევროპიელი, და ბურთი და მოედანიც იმას დარჩა. იგია დღეს გამგებელი ქვეყნიერობისა, იგია დღეს ქვეყნის უღლის მწეველი და იგივეა ქვეყნის სიკეთის მკრეფავი და პატრონიცა. ამა ქვეყნის მადლის თაფლსა მარტო ევროპიელიღა იღებს ქვეყნის სკისაგან, რომელსაც ხან იქით უბრუნებს პირს, ხან აქეთ, იმისდამიხედვით, როგორც და საითაც უჯობს, რადგანაც ამისათვის ბარიც ხელში აქვს და ნიჩაბიც, ესე იგი, მეცნიერება და მხნეობა, ჭკუა და ხელი. ამ მეცნიერებასა და მხნეობას, ამ ჭკუასა და ხელს ამოქმედებს დაუღალავი წყურვილი ხვალის უკეთესობისა და მწვავი უკმარობა დღევანდელობისა. ამ ორ გრძნობათაგან წარმოსდგება ის ძლევამოსილი წინმსვლელობა, ის დიადი წარმატება, რომელიც ყარმანსავით ყაფის მთას მხარებზედ დაიყენებს, რომ ქვეშ ჯარმა მშვიდობით და უწყინარად გაიაროს”.

რას იტყოდა ის დღეს?
რას შემოგვთავაზებდა?
რას დაუჭერდა მხარს?
საით წაგვიძღვებოდა?

სწორე ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად გაერთიანდა ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველო, საქართველოს უნივერსიტეტი, ნაუმანის ფონდი და მეცნიერთა დიდი ჯგუფი ბატონ შოთა ვაშაპიძის მეთაურობით, და შეეცადა ხელახლა ეპოვნა „ნამდვილი ილია“. ეროვნულ ბიბლიოთეკაში 2017 წლის 4 ნოემბერს, ილიას დაბადებიდან 180 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, ისევე როგორც საქართველოს უნივერსიტეტში 2017 წლის დეკემბერში ჩატარებული სალექციო ციკლზე გაკეთებული მოხსენებების ქვემორე კრებული სწორედ ამ ძიების შედეგია.

ილია - ლიბერალური აზროვნების ფუძემდებელი საქართველოში (თავისუფლება და კერძო საკუთრება)

ომარ გოგიაშვილი
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი

რეზიუმე

კლასიკური ლიბერალიზმის იდეოლოგიის ფუნდამენტური პრინციპებისა და ილიას პოლიტიკური მსოფლმხედველობის ურთიერთდამთხვევის ასპექტები ყველა ძირითად ღირებულებაში აშკარაა, მათ შორის თავისუფლების და კერძო საკუთრების ურთიერთდამოკიდებულების ხასიათში, რომელიც ილიამ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე იკვლია.

ილიას თვალსაზრისით ლიბერალიზმის კონცეპტუალურ ორგანიზმს ქმნის რამდენიმე ფუძემდებლური თეზისი. მათ შორის ძირითადია თავისუფლება, როგორც პოლიტიკური რეჟიმის დემოკრატიულობისა და ჰუმანურობის მთავარი კრიტერიუმი. თავისუფლებასთან უშუალო, მიზეზ -შედეგობრივი ურთიერთობებით დაკავშირებულია კერძო საკუთრება, როგორც უმაღლესი სოციალური ღირებულება. თავისუფლებისა და კერძო საკუთრების რეალიზაცია უზრუნველყოფს პიროვნების სხვა შემოქმედებით პოტენციის გახსნას და ამ კონცეპტუალური ბირთვის საფუძველზე ყალიბდება ადამიანთა ლიბერალური თანაცხოვრების წესის სხვა კომპონენტები.

მხოლოდ კერძო საკუთრებაა ინდივიდუალური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პირობა. მხოლოდ კერძო საკუთრება ხდის პიროვნების თავისუფლებას და ამასთან ერთად აყალიბებს ინდივიდუალიზმს.

Ilia Chavchavadze – founder of liberal thinkingin Georgia (freedom and private property)

Omar Gogiashvili,
Professor at Georgian Technical University

The aspects of coincidence of fundamental principles of classical liberalism and political worldview of Ilia Chavchavadzeis obvious in all prime values, including the nature of interrelations between freedom and private property, which was studied by Ilia Chavchavadzefor a long period of time.

In Ilia Chavchavadze's view, the conceptual organism of liberalism is created by a number of fundamental theses, with the main thesis being freedom as the key criterion of democracy and humaneness of a political regime. Private property, as the most significant social value, is connected to freedom by establishing direct, cause and effect relationships with it. The application of the right to freedom and private property unlocks creative potential of an individual, and on the basis of this core conceptual element, other components of the particular way of life called liberal cohabitation are formed.

ნებისმიერი საზოგადოება, თვით ყველაზე განვითარებული და მაღალორგანიზებულიც შემადგენლობით არაერთგვაროვანია (განსხვავებული სოციალური, ეროვნული, რელიგიურ-კონფესიური, დემოგრაფიული და სხვა ჯგუფებისაგან შედგება), განსხვავებული დოზით მათი ურთიერთდაპირსპირება ბუნებრივი პროცესია. ამ დაპირისპირებაში, რომელსაც ხშირად რადიკალური, კონფრონტაციული ხასიათი აქვს, სოციალურ-პოლიტიკური ჯგუფები ეყრდნობიან მათ მიერ გაზიარებული იდეების ერთობლიობას, რომელიც ამართლებს მათ ხელისუფლებაში მოსვლას (ოპოზიცია), ან ხელისუფლებაში დარჩენას (პოზიცია).

ცნობილ საახალწლო მილოცვაში „მეცხრამეტე საუკუნე“, რომელიც 1899 წლის 31 დეკემბერს გამოქვეყნდა, ილიამ წინა წლების ანალოგიური მილოცვებისაგან განსხვავებით, ერთი წლის ან მცირე ისტორიული მონაკვეთის მიმდინარე პროცესების გაანალიზება კი არა, მთელი საუკუნის საკაცობრიო მიღწევების ძირითად შტრიხებში დახასიათება მოგვცა.

ილიამ შეაჯამა XIX საუკუნის მიღწევები საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების უმთავრეს ასპექტებში და აღნიშნა, რომ პროგრესმა ამ საუკუნეში იმ დონეს მიაღწია, რაც „„მთელს დანარჩენს თვრამეტს საუკუნეს ერთად არ უნახავს“ და ამის საფუძველი წინა საუკუნეში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება იყო.

ამ საკაცობრიო პროგრესში ყველაზე მნიშვნელოვნად, ყველაზე არსებით მოვლენად ილიასდემოკრატიულიდაჰუმანიტარულიიდეების დამკვიდრება მიაჩნდა. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების ზოგადდემოკრატიული პრინციპების პოლიტიკურ ცხოვრებაში თანდათანობით შეღწევის მეთოდურმა პროცესმა ილიას დიდი იმედები ჩაუსახა. თუმცა ეს პროცესები იმ ქვეყანაში, სადაც მას ცხოვრება და მოღვაწეობა უხდებოდა, ნაკლებად შეიმჩნეოდა და სერიოზულ დაბრკოლებებს ხვდებოდა, მაგრამ ილიას ამ შემთხვევაში ზოგადსაკაცობრიო პროცესები აინტერესებდა, რომლებიც ჯერ თავის „კვალს“ დემოკრატიისთვის უფრო მომზადებულ ქვეყნებში აჩენდა და შემდგომ სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის რუსეთის იმპერიაშიც გაკვალავდა თავის გზას, მით უმეტეს, რომ ამის გარკვეული სიმპტომები უკვე არსებობდა: „ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურებამდეც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი - ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულშემატკივარი“[1]

ადამიანი იბადება თავისუფალი, მაგრამ ის ყველგან ჯაჭვშია - მიაჩნდა ჟან ჟაკ რუსოს.[2] ეს ცოტა მკაცრად ნათქვამია; ილიას თვალსაზრისი, ჩემი აზრით, უფრო შეესატყვისება ჰოლბახის თავისუფლების გაგებას, რომელიც თვლიდა, რომ თავისუფლება არის იმის შესაძლებლობა, საკუთარი თავის ბედნიერებისათვის გააკეთო ყველაფერი, მაგრამ ისე, რომ არ დააზიანო საზოგადოების სხვა წევრების ბედნიერება.3 თავისუფლების, უფლებებისა და მოვალეობების ფუნდამენტური ღირებულებების კლასიკური ლიბერალიზმის იდეოლოგიასა და ილიას პოლიტიკურ მსოფლმხედველობას შორის ურთიერთშეხებისა და ურთიერთდამხვევის ასპექტებზე ბევრი შეიძლება ვისაუბროთ. მაგრამ ერთი, როგორც განმსაზღვრელი ფაქტორი, აუცილებლად უნდა აღინიშნოს: ყველა კატეგორია, ყველა ცნება და ღირებულება ზნეობრივ ჭრილში განიხილება და ამ შემთხვევაშიც ილიასათვის „თავისუფლება - ადამიანისა სხვა არა არის-რა, რომ ბოროტისათვის სრულად შეკრული იყოს და სიკეთისათვის უხვად გზა გახსნილი“.[4]

1877 წელს დაწერილ „პედაგოგიკის საფუძვლებს“, ბუნებრივია, გარკვეული მიზანმიმართულება ჰქონდა და უპირველესი პრობლემა სწავლა-განათლების მშობლიურ ენაზე მიღების დასაბუთება იყო. მაგრამ, ამასთან ერთად, როგორც დამახასიათებელი ილიას აზროვნების სტილისათვის, პედაგოგიური მეცნიერების განვითარებას და პრაქტიკის გამდიდრებას ზოგადსაკაცობრიო იდეების განვითარების კვალობაზე, ამ ღირებულებებთან კონტექსტში იხილავს, რაც სრულიად გამართლებულია. მეცნიერება სწავლა-აღზრდის შესახებ არ შეიძლება სხვა მეცნიერებებისა და აზროვნებითი ღირებულებებისაგან იზოლირებული ვითარდებოდეს. ამ მეთოდოლოგიის საფუძველზე პედაგოგიკის განვითარების იმ ეტაპს, როცა ცქოლასტიკას საფუძველი შეერყა და მოძღვრება „ჰუმანობისა“ წამოდგა ფეხზედ“, კაცობრიობამ, ბევრის მხრივ გონებაგახსნილმა, მრავალი რამ აღმოაჩინა. მაგრამ „ყველაზე უდიდესი აღმონაჩენი ამ დროისა, - მიშლესი არ იყოს, ადამიანია, ესე იგი, ამ საუკუნემ ახალის თვალით მიახედა კაცობრიობა ადამიანის ღირსებაზედ და იმის არსებობის საგანზედა“.[5]

ადამიანთა თანასწორობისა და თავისუფლების ზოგადი პრინციპების აღიარება და მისი მეტ-ნაკლები დამკვიდრება პოლიტიკური ცივილიზაციის ავანგარდში მყოფ ქვეყნებში ილიას XIX საუკუნის მთავარ მონაპოვრად მიაჩნდა, მაგრამ ისევე, როგორც საზოგადოებრივი პროგრესის სხვა ასპექტებში, ამ სფეროშიც წარმატებები წინა ეპოქების დამსახურება იყო. XIXსაუკუნემ ეს ზოგადდემოკრატიული „მოძღვრება განადიდა, გაამლიერა და გააფართოვა“.

ახალი იდეები რომ გარდაქმნის საფუძველია, მისი ლოკომოტივია რევოლუციურის თუ ევოლუციურის, ეს საყოველთაოდ ცნობილია. ქვეყნის წინსვლა, მისი წარმატებები, მოდერნიზაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში მხოლოდ ახალ იდეებს ეფუძვნება. ეს

ხელისუფლებამაც კარგად იცისო, აღნიშნავს ილია და ამის გამოა, რომ „თვალგაფაციცებით აქეთ-იქით იყურებიან, არსაიდან შემოგვეპაროსო“.6 სულ ტყუილია, განაგრძობს ილია, რომ იდეა იმისთანა გარდამქმნელი ძალაა, რომელისაც ვერც ხმალი და ვერც თოფი ვერ მოერევა. თოფი და ხმალი კი არა, საკმარისია „ერთი უბრალო მაკრატელი და იმის ჯანი... ამის მაგალითი თვითონ ეს წერილი გახლავთო“ (შინაური მიმოხილვის მაგიერ“, 1881 წელი, იანვარი).

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ილიას თვალსაზრისი ამ ორი იდეოლოგიის, ლიბერალიზმის და კონსერვატიზმის პრინციპების არსის, ფუნქციების, მათი ურთიერთდაპირისპირების პირობებში ურთიერთშევსებისა და ურთიერთშეღწევის ტენდენციების შესახებ, უაღრესად თანამედროვეა და ამ „შინაური მიმოხილვის“ დაწერიდან (1881 წ. მაისი) განვლილმა წლებმა ილიას არცერთ დებულებას, არცერთ მოსაზრებას მეცნიერულობა და აქტუალობა არ დაუკარგა. შეიძლება სხვაგვარადაც ითქვას - განვლილ 140 წელიწადში კონსერვატიზმისა და ლიბერალიზმის ილიასეულ მახასიათებლებს, მათი პრინციპების ურთიერთშეღწევის ტენდენციებს ვერც პოლიტიკურმა მეცნიერებებმა და ვერც პოლიტიკურმა პროცესებმა არსებითად ვერაფერი შემატა.

კონსერვატიზმის იდეურ საფუძვლად ილიას მიაჩნდა „ის წყობა, რომელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია, დაუდგენია და დღეს მოქმედებს“, ლიბერალიზმისა კი ‘ის - რასაც დღევანდელი დღე თხოულობს“. ილია ამტკიცებს, რომ ცნობიერებაში და ყოფიერებაში ამ ორი მიმდინარეობის - გამოცდილის, აპრობირებულის, ტრადიციულის და ახლის, დღევანდელი დღის მოთხოვნილებების მოქმედება „დაუძინარია“ - ე. ი. მუდმივმოქმედი.

ილია აღნიშნავს, რომ ძველის, უკვე დადგენილის დამცველებს ევროპაში კონსერვატორებს ეძახიან, ხოლო ახლის მესვეურებს და მდომელებს ლიბერალებს. ეს ცნობილი ჭეშმარიტებაა, მაგრამ, ჩვენთვის საინტეერესო და დღესაც გასაზიარებელია ის დებულება, რაც ამას მოსდევს. „თუმცა ერთნი ძველის მცველები არიან და მეორენი ახლის მდომელნი, მაგრამ პირველებს ყველაფერი ძველი არ მოსწონთ და მეორეებს ყველა ახალი არ ენატრებათ. ბევრი იმისთანა ახალია, რომლის მოსაპოვებლად ჭეშმარიტი კონსერვატორი სიცოცხლესაც არ დაზოგავს, და ბევრი იმისთანა ძველია, რომლის დღეგრძელობისათვის ჭეშმარიტი ლიბერალი თავის საკუთარ დღეის შეიმოკლებს“.[7] მაგალითიც სიმპტომატურია, ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, ინგლისის პოლიტიკური ცხოვრებიდან - ირლანდიელი კონსერვატორი ეროვნული თავისუფლებისათვის სიცოცხლეს არ დაზოგავს, ხოლო ინგლისელი ლიბერალი „დიდი ქარტიის“ არცერთ ასოს უსიკვდილოდ არ დასთმობს, მიუხედავად იმისა, რომ ის „ძველია“. ამას მოსდევს კონსერვატიული იდეოლოგიის ზედმიწევნით ზუსტი დახასიათება, რომელიც მხოლოდ ნიუანსებში ჩამწვდარ მოაზროვნეს შეიძლება გაეკეთებინა: „ჭეშმარიტი კონსერვატორობა ესარჩლება და იცავს მარტო იმისთანა ძველს, რომელიც მისი გულწრფელის აზრით, ჯერ კიდევ გამოსადეგია და საჭირო ცხოვრებისათვის“. ილია იმასაც არ გამორიცხავს, რომ კონსერვატიული იდეების ერთგული შეიძლება იმისთანა „ძველის’ დამცველიც აღმოჩნდეს, რომელიც დღეს გამოუსადეგარია, მაგრამ ის „გულწრფელად“ უნდა დარწმუნდეს, რომ „ძველის“ ადგილას „ახალი“ ქვეყანას „კეთილს მოუტანს“.

ილიას მიაჩნდა, რომ ყველა ცივილიზებული, განათლებული ერი ამ ორი იდეოლოგიის შერწყმა-შეხამების პრინციპების გამოყენებით აშენებს თავის სახელმწიფოს. ეს თვალსაზრისი საკაცობრიო ცივილიზაციის დღევანდელი მიღწევა უფროა, ვიდრე იმ პერიოდისა, როცა ილია ამ სტრიქონებს წერდა: „ყველგან, საცა კი ისტორიის ღირსი ერი თავისითა სცხოვრობს, ორპირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა შეადგენს ცხოვრების მდინარეობასა“. დავუკვირდეთ კიდევ ერთხელ ილიას ღრმააზროვან გამონათქვამს - ყველა ერი, რომელიც ისტორიის ღირსია, ამ „ორნაირ აზრთა წყობის“ ძირითად პრინციპებზე უნდა აგებდეს თავის ცხოვრებას - ე.ი. სახელმწიფოებრიობას - პოლიტიკური სისტემის, ეკონომიკის და სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტებს. ილია მიიჩნევს, რომ ეს ორი „მიმდინარეობა აზრისა“ - კონსერვატიზმი და ლიბერალიზმი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული მხარეებია. ისინი ერთმანეთთან თანაარსებობენ, ერთმანეთს ავსებენ, ერთი მეორეს წიაღში იბადება, როცა ამის საჭიროება დგება და შემდეგ ვითარდება და მტკიცდება, როცა ამის პირობები იქმნება.

ლიბერალურ-კონსერვატიული კონსენსუსი, როგორც ჩამოყალიბებული ტენდენცია და უმთავრეს პრინციპებში კონვერგენციული პროცესი დამუშავდა ამერიკელი მეცნიერების და პოლიტიკოსების დ. ვიზენჰაუერის, ე. სტივენსონის, ე. გოლდმენის, კ. როსისტერის, რ. ჰოფსტედტერის შრომებში8.

ამერიკელმა მეცნიერმა რ. ჰოფსტედტერმა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა მიუთითა კონსენსუსის ტენდენციებზე და აღნიშნა მისი პოზიტიური რლი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ახსნასა და წარმართვაში, მიუთითა, რომ ამერიკის ისტორიის არსს შეადგენდა ბრძოლა კონსერვატიულ და ლიბერალურ ტრადიციებს შორის, მაგრამ ამის მიუხედავად ლიბერალიზმი იყო „კონსერვატიული“, ხოლო კონსერვატიზმი - „ლიბერალური“. ბუნებრივია ამ ქვეყანაში ასეთ კონსენსუსს ყველაზე ნაკლები პრობლემები და წინააღმდეგობები დახვდებოდა.

ლიბერალიზმი თავისი პრინციპებით წარმოადგენდა თვითკმარ სიახლეს კლასიკურ პოლიტიკურ-ფილოსოფიურ ტრადიციასთან და, შესაბამისად, იმ ღირებულებებიდან განდგომას, რომლებიც დამუშავებული იყო წინა თაობების მოაზროვნეების მიერ. თავისუფალი ინდივიდი, თანასწორი თავისი ბუნებრივი უფლებებით სხვა ინდივიდებთან, ლიბერალური თეორიისა და იდეოლოგიის საფუძველია. ასეთ ინდივიდს, რომელიც ბუნების მიერ დაჯილდოებულია უძლიერესი იარაღით - გონებით, აქვს შესაძლებლობა, შექმნას სამართლიანი საზოგადოება, რომელიც ლიბერალიზმის თეორიტიკოსების მტკიცებით, დაფუძნებული იქნება კანონის წინაშე თანასწორობასა და ურთიერთგაგებაზე თავის მსგავს ინდივიდებთან ურთიერთობაში.

საყოველთაო კეთილდღეობის იდეას და მისი მიღწევის გზებსაც ლიბერალიზმის თეორია და პრაქტიკა განიხილავს ცალკეული ინდივიდების კეთილდღეობის პრიზმაში და არა ზოგადად, აბსტრაქტული საზოგადოებრივი ინტერესების პრიმატის კუთხით. ლიბერალიზმის გაგებით, ინდივიდუმის კეთილდღეობა ქმნის საზოგადოების კეთილდღეობას, განსაზღვრავს მის ხარისხს, დონეს და არა, პირიქით. თანასწორობის იდეას ლიბერალიზმი იცავს არა სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეს ფანტაზიის სფეროა, არამედ მხოლოდ სამართლებრივ სფეროში - კანონის წინაშე ყველა თანასწორია. სწორედ ეს პრინციპი დაედო საფუძვლად შემდგომში სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციების ჩამოყალიბებას.

ინდივიდუალიზმზე და პირად თავისუფლებაზე დამყარებული პოლიტიკური იდეოლოგიები კონფრონტაციულად დაუპირისპირდა ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკურ და რელიგიურ ლეგიტიმაციას, ძალადაკარგულად გამოაცხადა არსებული მემკვიდრეობითი პრივილეგიების ყველა ფორმა და წარმატების საფუძვლად ყველა სფეროში პიროვნების ბუნებრივი უნარი გამოაცხადა.

ლიბერალური იდეოლოგიის არსებით ნიშანს ილია ასე განსაზღვრავდა: „ჭეშმარიტი ლიბერალობა უარყოფს იმისთანა ძველს, რომელსაც თავისი დრო და ჟამი მოუჭამია, რომელიც დღეს ხარიხად გასდებია ცხოვრებას და წინსვლას უშლის“. ლიბერალიზმი მხოლოდ იმისთანა „ძველს“ ებრძვის, რომელიც ხელს უშლის შემდგომ პროცესს და ეძებს იმისთანა ახალს, „რომელიც ძველზედ უკეთ ხელს მოუმართავს ცხოვრების განკარგებასა და წარმატებას“.[9]

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში არც ერთ პოლიტიკურ თეორიას, იდეოლოგიას არ მოუხდენია ისეთი კეთილნაყოფიერი ზეგავლენა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა ჩამოყალიბებასა და დანერგვაში, როგორც ლიბერალიზმის თეორიამ და პრაქტიკამ. შემთხვევითი არ იყო, რომ ბენედიტო კროჩეს მთელი XIX ს. ისტორია ლიბერალიზმამდე დაყავდა.[10]

ფრიდრიხ ფონ ჰაიეკს ინდივიდუალიზმზე დაფუძნებული იდეოლოგიის მთავარ ღირსებად, ადამ სმიტის დამოწმებით, მიაჩნდა ის, რომ ასეთ საზოგადოებაში ძალიან მცირეა უგონო ხალხისაგან მიყენებული ზიანი. ეს ისეთი საზოგადოებრივი წყობაა, რომლის ფუნქციონირებისათვის და სამართავად არ არის აუცილებელი ყველა წესიერი პიროვნება გამოიძებნოს, არ არის აუცილებელი, რომ ყველა ადამიანი გახდეს უკეთესი. ეს წყობა აიძულებს ყველას ემსახურონ საკუთარ თავს არსებული მრავალფეროვნებისა და მრავალი სირთულეების პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი წესიერი, ზოგი უწესო, ზოგი ჭკვიანი, ზოგი სულელია.

პოლიტიკური მეცნიერების მეორე ავტორიტეტულ წარმომადგენელს კ. პოპერს ლიბერალიზმის პრინციპებზე აგებული პოლიტიკური სისტემის უპირატესობად ის მიაჩნდა, რომ ამ შემთხვევაში საზოგადოებას უმთავრესად ინსტიტუტები მართავენ და არა პიროვნებები. მმართველები რომ სუსტნი იყვნენ საზოგადოება დიდად არ დაზარალდება, რადგან, თუ ერთი ტიპის ინსტიტუტები ასეთ პიროვნებას განუსაზღვრელ ძალაუფლებას გადასცემენ, სხვა ტიპის ინსტიტუტებმა ძალაუფლების ნაწილი უნდა ჩამოართვან, - აღნიშნავდა კ. პოპერი.[11]

ლიბერალიზმის კონცეფციურ ორგანიზმს ქმნის რამდენიმე ფუძემდებლური თეზისი. მათ შორის

ყველაზე მნიშვნელოვანია პირადი თავისუფლება, თითოეული ინდივიდის თავისუფლების ხარისხი, როგორც პოლიტიკური რეჟიმის დემოკრატიულობისა და ჰუმანურობის მთავარი კრიტერიუმი. თავისუფლებასთან უშუალო, მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობებით დაკავშირებული კერძო საკუთრება, როგორც უმაღლესი სოციალური ღირებულება. ამ ღირებულებების რეალიზაცია უზრუნველყოფს პიროვნების სხვა შემოქმედებითი პოტენციის გახსნასა და განვითარებას და იმავდროულად წარმოადგენს ზოგადად, საზოგადოების სრულყოფისა და პროგრესის, მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის პერმანენტული ზრდის საფუძველს. ამ კონცეპტუალური, აზრთა შემკრები და წარმომქმნელი ბირთვის საფუძველზე ყალიბდება ლიბერალური იდეოლოგიის სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები, მათ შორის სახელმწიფოსა და პიროვნების, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის პრინციპები. ამასთან დაკავშირებით პოლიტიკური აზრის ისტორიისა და თეორიის მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ლიბერალიზმის, როგორც პოლიტიკური იდეოლოგიისა და სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრაქტიკის ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევა ისაა, რომ მის პრინციპებზე აგებული საზოგადოება კარგად მართვადია იმისდა მიუხედავად, ამ სახელმწიფოს მმართველი პირები რამდენად გამოსადეგი არიან ხელისუფლებაში ყოფნისათვის.

ლიბერალიზმის უმნიშვნელოვანესი, არსებითი ნიშანი, რომელმაც განსაზღვრა მრავალი თაობის, სოციალური ჯგუფის და პოლიტიკური ელიტის დამოკიდებულება მრავალ ქვეყანაში, როგორც ყველაზე მისაღები, ჰუმანური, ლოიალური პოლიტიკური იდეოლოგიისადმი, იყო ის, რომ მისთვის უცხოა რადიკალიზმი, რევოლუციური ლოზუნგები, კონფრონტაციულობა, როგორც ერთი ქვეყნის შიგნით სოციალურ ფენათა, ისე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში.

აზროვნების თავისუფლების იდეა ლიბერალიზმმა რაღაც განყენებულ, უსაგნო დონეზე კი არა, კონკრეტული სფეროების უფლებებსა და თავისუფლებებს დაუკავშირა -კერძო საკუთრების ფლობის უფლებას, თავისუფალ ბაზარს, კონკურენციას და მეწარმეობას, მოქალაქეების სამართლებრივ თანასწორობას, სახელმწიფოს სახელშეკრულებო ბუნებას, პოლიტიკაში მოპაექრე სოციალური ჯგუფების თანაბარ პირობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას.

სრული საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ ვამტკიცოთ: ყველა ლიბერალური ღირებულება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, ის იდეებისა და კონცეფციების მთლიანი სისტემაა, მაგრამ პრიორიტეტი, გამჭოლი იდეა, მაინც თავისუფლებაა: ეკონომიკაშიც, პოლიტიკაშიც, სულიერ ცხოვრებაშიც. არც ის არის შემთხვევითი, რომ ამ იდეოლოგიის სახელწოდება ლათინური „liberalis“-დან წარმოდგა, რაც თავისუფალს ნიშნავს. ადამიანის თავისუფლების იდეა საზოგადოებაში, მისი უფლება და შესაძლებლობა საკუთრივ განსაზღვროს ცხოვრებისეული მიზანი და, შესაბამისად, აიღოს პირადი პასუხისმგებლობა მოქმედების შედეგებისადმი, ლიბერალური იდეოლოგიის უმთავრესი პრინციპია. მაგრამ ადამიანის თავისუფლება, პირველ რიგში, უნდა აისახოს მისი პოლიტიკური არჩევანის თავისუფლებაზე და სხვა „ბუნებრივ უფლებებზე“, რომელთა რიგშიც კერძო საკუთრებას განსაკუთრებული ადგილი უკავია; კერძო საკუთრებისა და ეკონომიკური თავისუფლების მოპოვება კი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ თავისუფალი ბაზრისა და თავისუფალი კონკურენციის პირობებში. ლიბერალიზმის თეორიაში ადამიანის მრავალგანზომილებიან უფლებებსა და თავისუფლებებში კერძო საკუთრებას განმსაზღვრელი როლი ეკისრება, რადგან ის განიხილება როგორც თავისუფლების გარანტი და საფუძველი. ლიბერალიზმმა თავისუფლება და კერძო საკუთრება ორ ურთიერთდაკავშირებულ ღირებულებად აღიარა და ამავე დროს დაასაბუთა, რომ ისინი ერთმანეთს განაპირობებენ. ჰეგელისათვის საკუთრება იყო „ადამიანის თავისუფლება, რომელიც მოვლენათა სამყაროში რეალიზდება“.

მხოლოდ კერძო საკუთრებაა ინდივიდუალური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პირობა. მხოლოდ კერძო საკუთრება ხდის პიროვნებას თავისუფალს და ამასთან ერთად აყალიბებს ინდივიდუალიზმს.

მაგრამ ასეთ მოსაზრებებს ყველა როდი იზიარებდა. 1840 წელს პრუსიაში საკმაოდ გავლენიანმა მოაზროვნემ პრუდონმა გამოაქვეყნა წიგნი - „რა არის საკუთრება“, და ამ კითხვას ასე უპასუხა: „საკუთრება არის ქურდობა“.

თავისუფლების გარეშე არ არსებობს კერძო საკუთრება და კერძო საკუთრების გარეშე თავისუფლება ფიქციაა. ლიბერალიზმს ეკონომიკური თავისუფლებიდან, რომელიც მხოლოდ კერძო საკუთრებას შეიძლება ეფუძნებოდეს, გამოყავს „თავისუფლების“ ზოგადი კონცეფცია.

პოლიტიკის თეორია საკუთრებას უაღრესად

ფართო მნიშვნელობით განიხილავს. საკუთრებაში არ იგულისხმება მხოლოდ ფიზიკური საგნები, როგორც ეს ბევრს მიაჩნდა. მიწასთან, ბინასთან, ფულთან და ამ ყაიდის მატერიალურ ფასეულობებთან ერთად ადამიანის საკუთრებაა მისი აზრები, იდეები, რწმენისა და აღმსარებლობის საკითხები და მათი გამოხატვის საშუალებები.

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით საინტერესოა სტატიაში „ყალბი და ნამდვილი“ ილიას მიერ ერთ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები.

ერთ რუს მწერალს, საზოგადოებისათვის არც თუ ნაცნობს, გაზეთებში „საწვრილმანო“ სტატიები უწერია. ერთ გაზეთს „Судебная газета“-ს ამ მწერლის, ა. გორშენევის სხვადასხვა გაზეთში დაბეჭდილი სტატიები ამოუკრეფია და ავტორის დაუკითხავად დაუბეჭდავს. ა. გორშენევს გაზეთისათვის სასამართლოში უჩივლია და თავისი ნამუშევრებისათვის ფასის გადახდა რედაქტორისათვის დაუკისრებია.

ილია აღნიშნავს, რომ „აქ... არაფერი ნამუსისა და პატიოსნების წინააღმდეგი არა არის რა. კაცს, ცუდია თუ კარგი, თავისი ნაამაგარ-ნაშრომი ნაწერები აქვს; ეგ მისი კუთვნილებაა, მისი საკუთრებაა ... ეს საკუთრება მუქთად დაიჩემა მეორემ და პატრონმა ეს მუქთამჭამელობა არ დაუთმო და თავისი მოითხოვა. აქ არაფერი უკადრისობა არ შეეწამება პატრონსა. პირიქით, ჩვენა გვგონია, რომ პატრონმა ამ შემთხვევაში თავისი მოქალაქური მოვალეობა შეასრულა საზოგადიების წინაშე, რომლის დედაბურჯი ის არის, რომ ყველამ თავისი მოიხმაროს და თავისით ირჩინოს თავი და რომლის წინაშე ყველა დავალებულია, რომ ეს წესი ცხოვრებისა არავის არ დაარღვევინოს დაუსჯელად“.12 თეზისს, რომ „ყოველი პიროვნება თავის თავს ეკუთვნის“, დიდი ხნის ტრადიცია აქვს და ანტიკური მოაზროვნეებიდან იღებს სათავეს. ახალ დროში მას მრავალი ფილოსოფოსი შეეხო, მაგრამ ყველაზე არგუმენტირებულად - ჯ. ლოკი: ჩემ მიერ ხმარებული „საკუთრება“ უნდა იქნეს გაგებული როგორც ის „საკუთრება“, რომლებსაც ადამიანები არა მარტო ქონების, არამედ თავიანთი პიროვნების სახით ფლობენ, - აღნიშნავდა ჯ. ლოკი.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ამ პრობლემას დაუბრუნდა პოლიტიკური ფილოსოფიის ცნობილი მკვლევარი რობერტ ნოზიკი თავის ნაშრომში „ანარქია, სახელმწიფო და უტოპია“ (ნიუ-იორკი, 1974 წ.).13 პიროვნების თავისუფლებას მთელი ეს ფილოსოფიურ-ლიბერალური ტრადიცია საკუთრებას და მის ფორმებს უკავშირებს. რ. პაიპსი თავის „საკუთრება და თავისუფლებაში“ აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 2500 წლის მანძილზე დასავლური პოლიტიკური თეორიის ერთ-ერთ უმთავრეს თემას კერძო მფლობელობის ღირსება-ნაკლოვანებების შესახებ დავა-კამათი შეადგენს, ერთი რამ ცხადია - „მაშინ, როცა შესაძლებელია საკუთრების ამა თუ იმ ფორმით არსებობა თავისუფლების გარეშე, თავისუფლების არსებობა საკუთრების გარეშე სრულიად წარმოუდგენელია“. [14]

ილიამ ყველაზე უკეთ იცის, რომ ლიბერალიზმის უმაღლესი იდეები და ღირებულებები იმდროინდელი საქართველოს პირობებში ვერ განხორციელდებოდა, თუნდაც იმის გამო, რომ „პოლიტიკური თავისუფლება პირადი თავისუფლების გარანტია“, რისი ელემენტარული წანამძღვრებიც კი რეალურად არ არსებობდა, მაგრამ ილიას ამ მოაზროვნის (ბ. კონსტანი) მეორე დებულებაც გააზრებული აქვს - „პოლიტიკურ თავისუფლებას არ შეუძლია შესცვალოს პირადი თავისუფლება“. ისიც გასათვალისწინებელია, რომ XXს. ლიბერალურ-კონსერვატიული „სინთეზის“ ისეთი წარმომადგენლები, როგორიც ფრიდრიხ ფონ ჰაიეკია, ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, რაც უპირველესად საკუთრების ფლობისა და განკარგვის უფლებაში აისახება, პოლიტიკური თავისუფლების საფუძვლად თვლიდნენ. პოლიტიკური თავისუფლება მიუღწეველია, ყოველ შემთხვევაში პროგნოზირებად პერსპექტივაში, მაგრამ საკუთრებაზე დამყარებული პირადი თავისუფლების ზოგიერთი სფერო შესაძლებელი, რადგან „... ხელშეუხებლობა პირადის საკუთრებისა - მართლა თუ ტყუილად - მერმისის ქვაკუთხედად აღიარებულია და ყოველს, რაც ჰბღალავს და ჰხუთავს ამ ხელშეუხებლობას, რჯული ძნელად იშვნევს, ძნელად იწყნარებს“.[15]

პირველი, ვინც შემოღობა მიწის ნაკვეთი და მოიფიქრა ეთქვა „ეს ჩემია“, მოძებნა გულუბრყვილო ხალხი, რომ ეს დაეჯერებინა, იყო ნამდვილი დამაარსებელი სამოქალაქო საზოგადოებისა, - აღნიშნავდა ჟ.ჟაკ რუსო. მას მიაჩნდა, რომ ყველა უბედურების - ომების, დანაშაულებების, მკვლელობების და ა.შ. პირველ-წყარო იყო კერძო საკუთრების აღმოცენება და, როგორც მისი შედეგი, ადამიანების უთანასწორობა. კერძო საკუთრების დასაცავად მოგონილმა კანონებმა შეავიწროვეს და შემდეგ საერთოდ მოსპეს ადამიანების ბუნებრივი თავისუფლება. ადამიანი იბადება თავისუფალი, მაგრამ ის შემდეგ ხდება დამონებული და ამას ადამიანები ურთიერთშეთანხმებით ან საზოგადოებრივი ხელშეკრულებით აფორმებენ.

ასეთი შეთანხმებისა და ხელშეკრულების გარეშე

ადამიანთა მოდგმა მოისპობოდა. ადამიანები ამას ხვდებიან და რომ წინააღმდეგობა გაუწიონ დამანგრეველ ძალებს, ამიტომ ერთიანდებიან. ამ გაერთიანების არსი კი ასოციაციის ისეთი ფორმის მოძებნაა, რომელიც დაიცავს საერთო ძალით ასოციაციის წევრ პირივნებას და მის ქონებას.[16]

კერძო საკუთრებას ლეგიტიმაციას აძლევს შრომა. ჯ. ლოკი როცა ამ პრობლემას განიხილავდა, აღნიშნავს, რომ მიწა, მასზე მოსული პროდუქტი, მცენარეები, ტყის ნაყოფი, ცხოველები და სხვა თავის ბუნებრივ მდგომარეობაში ეკუთვნის ყველას და არავის არა აქვს მასზე განსაკუთრებული უფლება. მაგრამ ადამიანს აქვს საკუთარი რესურსი, რომელიც, მხოლოდ მას, პერსონალურად ეკუთვნის. ეს არის შრომა, რომელიც იყო კერძო საკუთრების წარმოშობის საფუძველი. როდესაც ადამიანი ბუნების რაიმე საჩუქარს ითვისებს, ის აუცილებლად ამ პროცესში თავის შრომას დებს - იქნება ეს მიწის, ტყის პროდუქტი, ნადირობის, თევზაობის თუ სხვა საქმიანობის შედეგი. ადამიანი თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ბუნებრივ პროდუქტს უმატებს საკუთარ შრომას, რაც გამოირიცხავს სხვის უფლებას ამ პროდუქტზე. შრომის წყალობით წარმოიქმნება კერძო საკუთრება ადამიანის საქმიანმობის უმთავრეს ობიექტზე, მიწაზე, როცა ადამიანმა შემოღობა თავისთვის ნაკვეთი, დაამუშავა და მიიღო მოსავალი“.[17]

ილია „ხიზნების საქმეში“ კერძო საკუთრების წარმოშობის ძირითად წყაროებსაც განიხილავს. მათ შორის გამოყოფს დაპყრობით ომებს: „შემოსეულები ჩამოართმევდნენ ხოლმე მიწებს მკვიდრებსა და ერთმანეთში დაჩემებით მოირიგებდნენ“.18 ამ გზით გაჩნდა კერძო საკუთრება ინგლისში, საფრანგეთში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში, მიაჩნდა ილიას.

კერძო საკუთრების წარმოშობის მეორე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა უპატრონო მიწების დაჩემება და შემდეგ მისი საკუთრებაში მემკვიდრეობით გადასვლა: „ვინც ცარიელ მიწას სათემოში, ანუ ტყეს შემოღობავდა შესამუშავებლად, იმას საშვილიშვილოდ შეეძლო დაეჭირა შემოღობილი. ამგვარი მიწები თემის ხელქვეითობიდან გამოდიოდა ისე, რომ თემს მათზედ არაფერი უფლება არა ჰქონდა“.

ვინც დიდი მამულები ჩაიგდო ხელში, ერთი ოჯახის შრომითი რესურსებით მის დამუშავებას ვეღარ ახერხებდა. ამის გამო „იძულებულნი იყვნენ მოეწვიათ (მუშა-ხელი - ო.გ.) და სამერმისოდაც ჰყოლოდათ, უნდა მამულზედ დაეყენებინათ, და ისე მოეხერხებინათ, რომ სამუდამოდ დაებათ“. ამ პროცესის საყოველთაო ხასიათის ნათელსაყოფად ილია ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის ანალოგიურ პროცესებს განიხილავს და აკეთებს დასკვნას, რომ „ყველგან დიდკაცობამ ღონითა და მძლავრობით დაიჩემა მიწები და უღონო გლეხი ცარიელზედ გაიყვანა“.[19]

ამ. როგორც ილია აღნიშნავს, სხვადასხვა „საეკონომიო“ და „საპოლიტიკო“ პროცესებმა არსებითი ცვლილებები განაპირობა საკუთრების ფორმებში და განმსაზღვრელი ტენდენცია გახდა ის, რომ „ზოგადმა ელემენტმა საკუთრებისამ თანდათან გზა დაუთმო პირადსა“ და ეს პროცესი მთელი თავისი „სასტიკობით“ გამოიხატა ფეოდალიზმში, რომელიც ილიას ძალიან საინტერესო დახასიათებით, „იმისთანა წყობაა, რომელიც მარტო უფლებაა უმოვალეობო, უსაზღვრო, პირობადაუდებელი, და რომელსაც სხვა საგანი არა ჰქონდა-რა, გარდა ცალკე კაცის პირადის კეთილდღეობისა“.[20]

წარმოების საშუალებების, მათ შორის ძირითადის, მიწის თავმოყრამ ერთი წოდების (უმცირესობის) ხელში დააშორა და დაუპირისპირა ერთმანეთს საზოგადოებრივი ძალები, გათიშა მათი მატერიალური ინტერესები, „განაშორა მუშახელი სამოქმედო საგანს, მიწასა, განაცალკევა მუშა და სამუშაო საგანი. მაგ. განშორებამ და განცალკევებამ დიდათ შეარყა და შეშალა ბუნებრივი მდინარეობა ეკონომიურის ცხოვრებისა, იმიტომ, რომ ერთ მხრივ დარჩა მუშახელი უმიწოდ და მეორეს მხრივ მიწა უმუშახელოდ“.[21]

საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პირობებში მისთვისაც, ვისაც მიწა აქვს, მაგრამ დამუშავება არ შეუძლიან და მისთვისაც ვისაც მიწა არ აქვს, მაგრამ დამუშავება შეუძლია, ურთიერთობის ასეთი ფორმა მომგებიანი აღმოჩნდა: „ამ გარემოებაში, უეჭველია ერთი მეორისაკენ მიიზიდებოდა უსათუოდ ეკონომიურობის ანგარიშითა: სახეიროა - გაძლევ მამულს, სახეიროა - ვიღებ მამულს“.22 ამ შემთხვევაში მიწის მფლობელისა და მიწის დამმუშავებლის ეკონომიკური ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ ეს პროცესი არ არის მარტივი და სწორხაზობრივი. ის, რომ ამ მოვლენის პირველი ფაქტორი არის ადამიანი, „რომელიც ეძიებს საქმე გაუჩინოს უმამულო ხელს სხვის მიწაზე“,[23] პროცესის ერთი მხარეა. მაგრამ ეს ადამიანი პიროვნულად თავისუფალია და ის ყოველმხრივ ეცდება ხანგრძლივი ბრძოლით მოპოვებული თავისუფლება ეკონომიკურმა გაჭირვებამ არ დააკარგვინოს, „რომ ფეხებში ბორკილი არ შეიყაროს, თავისდაუნებურად არ დაებას სხვის მამულზე სამუდამოდ“.

ილიას სტატიების ციკლი „ცხოვრება და კანონი“ ერთი უმნიშვნელოვანესი დებულების ანალიზით იწყება, რომელსაც ზოგადსაკაცობრიო

მნიშვნელობაც აქვს, მაგრამ საქართველოსთვის მაშინაც და ახლაც განსაკუთრებით აქტუალური იყო და არის. ლაპარაკია იმაზე, რომ ქვეყანა, როგორი ბუნებრივი სიმდიდრეებით და პირობებით განებივრებულ არ უნდა იყოს, ხალხის კეთილდღეობისათვის ეს საკმარისი არ არის. მთავარი და გადამწყვეტი თვით ადამიანების ურთიერთდამოკიდებულების ხასიათია, ე.ი. საზოგადოებრივი წყობა, სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა, რომელიც ბევრი მხრივ განსაზღვრავს ხალხის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას, მათ უფლებებსა და მოვალეობებს: „კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე, ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეიძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადათ განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილებისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის, ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერებაზედ“.[24]

საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემა და მისგან გამომდინარე ადამიანებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი უმთავრესია მოსახლეობის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის განმსაზღვრელ ფაქტორებში. ილიას დროსაც და დღესაც იყო და არის ქვეყნები, რომლებიც ღმერთმა დიდი სიმდიდრით დააჯილდოვა, მაგრამ არსებული პოლიტიკური რეჟიმი მოსახლეობის უმრავლესობას გაჭირვებაში ამყოფებს. არც ისეთი ქვეყნების დასახელება ჭირს, რომლებსაც განსაკუთრებული სტრატეგიული ნედლეული არ აქვს და არც მიწისა და ბუნების სიკეთით გამოირჩევიან, მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უმაღლეს სტანდარტებს აღწევენ. ასეთ შემთხვევაში სწორედ „ადამიანების ურთიერთშორისი საზოგადოებრივი დამოკიდებულება“ განსაზღვრავს ცხოვრების დონესა და ხარისხს. ბუნებრივია, რომ ასეთ პრობლემებზე მსჯელობისას ილიას ლოგიკურად უნდა გამოეთქვა თავისი თვალსაზრისი უმნიშვნელოვანეს დილემაზე - რა არის ის საფუძველი, რომელიც ღარიბ ქვეყანას საშუალებას აძლევს თავისი მოქალაქეები ნორმალურად აცხოვროს და მდიდარი ქვეყნის მოსახლეობას კი სიღარიბეში უწევს არსებობა.

ამშეკითხვაზერომპასუხიგავცეთ,მივყვეთილიას მსჯელობას. ის პარალელს ავლებს შოტლანდიელი მთიელებისა და სპარსელების ცხოვრებას შორის. პირველებს მწირი ბუნება აიძულებს ყოველდღიურად იბრძოლოს ლუკმა-პურისთვის, მაგრამ მაინც ოპტიმისტურად განწყობილია, ბედნიერია; სპარსელი კი გულდათუთქული, ილაჯგაწყვეტილია, მიუხედავად იმისა, რომ გარს მდიდარი ბუნება ახვევია: „რა არის ამის მიზეზი? ის არის, რომ ბედნიერმა შოტლანდიელმა იცის „ჩემი აქ თავდებაო და სხვისა აქ იწყებაო“, უბედურს სპარსელს კი არც თავისი გაეგება და არც სხვისა“. [25]

კერძო საკუთრებაა ის საფუძველი, რომელზედაც უნდა აშენდეს ადამიანებს შორის ურთიერთობა, კერძო საკუთრება განსაზღვრავს ადამიანის თავისუფლების ხარისხს, არეგულირებს საზოგადოებაში პიროვნების უფლებებსა და მოვალეობებს, მიაჩნდა ილიას და ყოველივე ამის შემდეგ ლიბერალიზმის ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი დებულება, გადმოცემული ილიასებური ლაკონური, მაგრამ საოცრად ტევადი დეფინიციით: „რაც სხვისია, ჩემი მოვალეობაა, რაც ჩემია, - ეგ ჩემი უფლებაა“.26 არ ვიცი, მკითხველი დამეთანხმება თუ არა, მაგრამ ჩემი ფიქრი მაინც მინდა გაგიზიაროთ: ამ სტრიქონების ავტორი რომ ინგლისელი, გერმანელი ან ფრანგი ყოფიულიყო, ის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში ისეთ მნიშვნელობას შეიძენდა, როგორც, ვთქვათ, ლიბერალიზმის თეორიის ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი: „ჩემი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი თავისუფლება“ ან ჯ.ს. მილის: „ადამიანმა ყველა მთავრობაზე უკეთ იცის, მას რა სჭირდება“, მაგრამ არახალია, არც განსაკუთრებული მტკიცება სჭირდება იმ ფაქტს, რომ პატარა ერი, მით უმეტეს იმ საზოგადოებაში მყოფი, თავის დიდ შვილებს, (ვიხმაროთ ილიას ტერმინი - „გენიოსებს“) საჭირო ასპარეზს ვერ აძლევს.

ილია საკუთარი ქვეყნის მაგალითზე კიდევ ერთხელ ხაზგასმით მიუთითებს, რომ „რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ იქ ჩემი და შემი, ესე იგი კაცთა უფლება და მოვალეობა, ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ, აქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველდღე უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის“. უპირველესად ილიას თავისი ქვეყნის ბედი აინტერესებს და ამ ციტატის გაგრძელება მხოლოდ მრავალმნიშვნელოვნად შეიძლება გავიგოთ: „ამის მაგალითი თვით ჩვენი ქვეყანაა. ერთი მითხარით, რა არ მოუცია ღმერთს ჩვენი ბედნიერებისათვის? ყოველისფერი უხვადა გვაქვს, მხოლოდ არა გვაქვს ურთიერთშორისი განწყობილება“. ილია მეტს ვერ იტყოდა, თუ იტყოდა, ის სტატია ან აზრი დღის სინათლეს ვერ

ეღირსებოდა. გასაგებია რომ „ურთიერთშორისი განწყობილება“ მხოლოდ ფსიქოლოგიური განზომილებით ვერ აიხსნება. ილიას ამ ტერმინით უფრო ფართო - საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემით განპირობებული ადამიანთა შორის ურთიერთობები ჰქონდა მხედველობაში.

როდესაც თავისუფლების კატეგორიის ილიასეულ გაგებაზეა საუბარი, უაღრესად საინტერესოდ გვეჩვენება ერთი კონკრეტული ფაქტის კომენტარი, რომელსაც ადგილი ჰქონდა პრუსიაში.

მდიდარმა ვაჭარმა ცოლი ითხოვა და მის სახლში მიყვანის შემდეგ არ შეატყობინა ადგილობრივ პოლიციას, რაც პრუსიის კანონის დარღვევა იყო. პოლიციამ ვაჭარი უმნიშვნელო თანხით „მანეთზე ცოტა მეტით“ დააჯარიმა. პოლიციის ეს ქმედება ვაჭარმა უკანონოდ ჩათვალა და პოლიციას სასამართლოში უჩივლა. დავა დიდხანს სხვადასხვა ინსტანციაში გაგრძელდა და მიუხედასვად იმისა, რომ „ასჯერ მეტი“ ეხარჯებოდა, თავისი სიმართლის დამტკიცებას დაჟინებით ითხოვდა.

ამ არცთუ ღირშესანიშნავი შემთხვევის ფონზე ილია აანალიზებს თავისუფლების კატეგორიას კანონმორჩილების ჩარჩოებში და საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს.

„თავისუფლება იგი ყოფა-მდგომარეობაა ადამიანისაო, ამბობს „ბოსსუეტი“ თავის მსოფლიო ისტორიაში, საცა ყოველი ემორჩილება მარტო კანონსა და საცა კანონო უმლიერესია ყოველ ცალკე კაცზედაო“. ამასთან. ილია მიუთითებს, რომ ეს ჭეშმარიტი არსი თავისუფლებისა დღევანდელი მეცნიერებისაგან საყოველთაოდ აღიარებულია და რომ „ჭეშმარიტი რიგიანი აგებულება და წყობილება კაცთა საზოგადოებისა სწორედ ამ ქვაკუთხედზედ უნდა იყოს ამოყვანილი. საცა ეგ არ არის... ძალმომრეობაა, ერთმანეთის თელვაა, ერთმანეთის ჩაგვრა და ძარცვა-გლეჯაა“.

ლიბერალურმა აზროვნებამ დაამკვიდრა ბუნებრივ უფლებათა თეორიების განვითარება, რომელიც სათავეს მეჩვიდმეტე, მეთვრამეტე საუკუნეებში იღებს. ამ თეორიების თანახმად ინდივიდები აღჭურვილნი არიან ღვთითმომადლებული ბუნებრივი უფლებებით. გერმანელი ფილოსოფოსი ემანუილ კანტი (1724-1804) ამტკიცებდა, რომ ინდივიდებს თანაბარი ღირსებები და ღირებულებები აქვთ და ისინი „თვითმიზანია“ და არა სხვა მიზნის მიღწევის საშუალება. იმავეს ამტკიცებდა ჯ.ს. მილი, რომელსაც მიაჩნდა, რომ თავისუფლება იძლევა შესაძლებლობას „გონიერმა ეგოისტმა“ სრულიად დაიცვას საკუთარი ინტერესები, რაც საზოგადოებისთვისაც სასარგებლო იქნება.

.. ბოსსუეტი-ბოსუე ჟაკ ბენინ (1927-1704)-ფრანგი მწერალი და ისტორიკოსი სიტყვის, აზრის, პრესის, ასოციაციების თავისუფლება მილს მიაჩნდა უმაღლეს ადამიანურ ღირებულებებად, პროგრესის თვითმიზნად. ამასთან დაკავშირებით ილია აღნიშნავდა: „ადამიანისათვის სულ ერთია, ცალკე კაცი ჭლახავს ადამიანურს უფლებას, თუ რაზმად დაწყობილი კრებული ... სხვის უფლების, მერე იმისთანისა, რომელიც ბუნებითად მინიჭებული აქვს ყოველს ადამიანს, შეუწყნარებელია და დაუზოგველდ განსაკითხავი ყოველგან და ყოვლისგან“.[27]

ინდივიდუალიზმი არის რწმენა ინდივიდის უზენესობისა ნებისმიერი სოციალური ჯგუფის ან კოლექტივის წინაშე.

ინდივიდის უზენაესობის რწმენას ბუნებრივად მივყავართ ინდივიდის დამოუკიდებლობის აღიარებამდე, ხოლო დამოუკიდებლობა და თავისუფლება იდენტური, ურთიერთმონაცვლე ცნებებია. თავისუფლება, როგორც ილია იტყოდა, „ჭეშმარიტი ლიბერალისთვის“ უზენაესი პოლიტიკური ღირებულებაა და ამ გაგებით ლიბერალური იდეოლოგიის ამოსავალი, შემკრები პრინციპია.

„ეხლანდელი დრო და მასთან ერთად ყოველივე ცოტად თუ ბევრად გონებაგახსნილი კაცი და ქალი რომ ხმამაღლა ჰღაღადებს ხელშეუხებლობას ადამიანისა, განა მარტო პოლიციის მიერ ხელშეუხებლობა აქვთ სახეში, არამედ ყოველგვარი ხელშეუხებლობა და, სხვათა შორის, იგიც, როცა სამარცხვინო და სახელგასატეხ ბრალს რასმე სდებს ერთი მეორეს ტყუილისა და მართლის წინასწარ გამოუძიებლად და აუწონლად“28. - აღნიშნავდა ილია. ინდივიდს თავისუფლება უმაღლესი ღირებულებაა, რომელიც „შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ თავისუფლებისათვის“ (ჯ. როულსი), მაგრამ არც ადრინდელი, არც ილიას თანამედროვე ლიბერალები ინდივიდის აბსოლუტურ თავისუფლებას არ აღიარებდნენ. ჯონ სტიუარტ მილი თავის ნაშრომში თავისუფლების შესახებ ადრეული ლიბერალიზმის სტილში ამტკიცებდა, რომ ცივილიზებულმა საზოგადოებამ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გამოიყენოს ძალა (ე.ი. შეზღუდოს თავისუფლება), თუ ინდივიდის მოქმედება სხვა ინდივიდის შეურაცხყოფაა. ინდივიდი აბსოლუტურად შეუზღუდავი, თავისუფალი უნდა იყოს საკუთარი თავის მიმართეთ ქმედებებში, მაგრამ მისი ქმედებები უნდა შეიძღუდოს, თუ ეს ქმედებები მიმართულია სხვა ინდივიდის თავისუფლების შეზღუდვის ან მისი

შეურაცხყოფისაკენ.

საზოგადოების სამართლიანობის და სტაბილურობის უმთავრესი პირობა კანონია, რადგან ის „რჯულია ცხოვრებისა“, მაგრამ საკმარისი არ არის, ის ერთდროულად „სამართლისაგან ამოწვდილი ხმალიც არის ურჩთათვის და ფარიც არის საძგერად და სახსნელად ჩაგრულთათვის... კანონიმაშინარისკაცთათვისმადლისმომნიჭებელი, როცა ამ ორნაირს უწმინდეს მნიშვნელობას მისას ჰპატრონობს თვითონ საზოგადოება, თვითეული წევრი, თითოეული კაცი“.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში კერძო საკუთრების მნიშვნელობას ილია მოგვიანებით კვლავ დაუბრუნდა, როცა 1905-1907 წლების აზვირთებული რევოლუციური ანარქიის პირობებში საკუთრების ხელყოფის, მიტაცების, განადგურების ფაქტები ჩვეულებრივი, ყოველდღიური მოვლენა გახდა.

გაზეთ „მოგზაურის“ ცილისმწამებლურ სტატიაში, რომელიც შემდეგ „ივერიამაც“ გადაბეჭდა, აღნიშნული იყო, რომ საგურამოსა და ჭოპორტის გლეხკაცობამ ბოიკოტი გამოუცხადა რამდენიმე თავადს და მათ შორის ილია ჭავჭავაძესაც. პასუხად ილია აღნიშნავდა, რომ საქმის არსი რამდენიმე თავადის „ბოიკოტში“ კი არ არის, არამედ მოვლენის მასშტაბებში, მიზეზებსა და მიზნებში. ის, რომ გლეხთა რევოლუციური მოძრაობა მასობრივი ხდება, რამდენიმე თავადის პრობლემა კი არა, ქვეყნისა და საზოგადოების პრობლემაა, რომლის შედეგებიც თვით გლეხებისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება: „გულდამშვიდებული გარჩევა უნდა, ვინ ვის რას ემართლება, ვინ ვის რას ერჩის, ვინ ვისზე სამართლიანად ხელს იწვდის. განა კაცთა ადამიანური ცხოვრება, ისტორია, პროგრესი და სხვა რაიმე სიკეთე შესაძლებელია, თუ ყოველთ უწინარეს კაცთა ურთიერთობაში ისინი არ მოიკითხა, ამაების პასუხი არ იძია“.[29] მოვლენათა არსში წვდომა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირურთიერთობების ისტორიული და შედარებითი ანალიზი ილიას კვლევის მეთოდის ყველაზე არსებითი ნიშნებია. ასეთი მიდგომით კვლევას მოითხოვდა ილია გლეხთა მოძრაობის მიზეზებში, რადგან ეს რამდენიმე თავადის წინააღმდეგ მიმართული ერთჯერადი აქცია კი არა, „დიდმიზეზიანი საგანია, დიდათ გამოსაფხიზლებელი, დიდფათერაკიანი“. ამის გამო „ამ დღევანდელს ამბავს დიდის გულდადებით და ღერძად უნდა ჩაუკვირდეს ადამიანი, მთელი სიგრძე გაუზომოს, თავით ბოლომდე თვალწინ დაიყენოს“[30].

რაც შეეხება რევოლუციისადმი თანმდევი კერძო საკუთრების ხელყოფას და სხვისი საკუთრების მიტაცებას, ილიას პოზიცია აშკარად უარყოფითია. ილიას ბოლომდე გაცნობიერებული აქვს კერძო საკუთრების მნიშვნელობა საზოგადოებრივი პროგრესისათვის მიმავალ მაგისტრალზე, მან მრავალჯერ დაასაბუთა ფორმულა - „თავისი-უფლება“ – „სხვისი-მოვალეობა“ და იმაშიც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ღარიბი თუ მდიდრის ქონებას მიიტაცებს, ამით სამართლიანი და თავისუფალი საზოგადოება ვერ აშენდება. ილია ზუსტ შეფასებებს აძლევს იმ მოვლენებს, „როცა კაცს სხვა საბუთი არ მიუძღვის იმის გარდა, რომ მე ცოტა მაქვს და შენ ბევრი და ამიტომ შენ უნდა წაგერთვას და მე მომერთვასო. აბა უკიდურეს სიღატაკიდან უდიდეს სიმდიდრამდე რამდენი საფეხურია, რამდენი კიბეა, რამდენი ერთმანეთზე მეტია, და მოდით და გაარჩიეთ, რომელმა რომელი უნდა სწეწოს და ჰგლიჯოს მთელ ამ დიდ მანძილზე. ილიას ზემოაღნიშნული ციტატი იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც აზრის ლოგიკურობითა და სიცხადით არავითარ კომენტარს არ საჭიროებს, მაგრამ ერთი გარემოება კი ხაზგასმით უნდა აღინიშნოს - ვერც მანამდე და ვერც ილიას შემდეგ, ვერცერთი რევოლუციის პირობებში, ვერცერთმა მოაზროვნემ ვერ დაასაბუთა ქონებრივი კიბის რამდენი დაბალი საფეხურია, რომელზე მდგომ პიროვნებებსაც აქვთ მორალური უფლება „სწეწოს და ჰგლიჯოს“ უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი მდიდრები. ან ის შუალედური საფეხური რომელია, რომელიც ქვევით და ზევით მდგომ მდიდრებსა და ღარიბებს ერთმანეთისაგან ყოფს და რევოლუციის ლოგიკით (თუ ასეთი რამ არსებობს) ხელშეუხებლები უნდა იყვნენ. ილია იმასაც არ უარყოფს, რომ „კერძო საკუთრება ხშირად წარმოშობით უსამართლოა, არც კერძო საკუთრებაზე დამყარებული ურთიერთობებია ილიასათვის იდეალური და ორი საუკუნის მიჯნაზე არცერთ პოლიტიკოსს (მათ შორის რუსული მოდიფიკაციის მარქსისტებს) ისე საფუძვლიანად არ უკრიტიკებიათ საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებასა და კაპიტალის პირვანდელი დაგროვების მანკიერი მეთოდები, როგორც ილიას. მაგრამ ამის მიუხედავად, ‘კერძო საკუთრება, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება დიდს პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც გინდ იყოს, იაფად არ დაუჯდება“.31 არ შეიძლებვა ამაშიც არ დაეთანხმო ილიას. კაცობრიობის შემდგომმა მთელმა ისტორიამ ეს ჭეშმარიტება დაამტკიცა და ერთხელ კიდევ თვალსაჩინოდ დაადასტურა მისი პოლიტიკური პროგნოზირების შეუმცდარი

უნარი - ყველა რევოლუციამ თუ სახელმწიფო გადატრიალებამ, მათ შორის თავისი მაშტაბებითა და შედეგებით უდიდესმა, ბოლშევიკურ-რუსულმა, რომლებმაც კერძო საკუთრების მიმართ ძალმომრეობა განახორციელა, ფიასკო განიცადა, რაც მათ ორბიტაში მყოფ ქვეყნებსა და ხალხებს ნამდვილად „იაფად არ დაუჯდათ“. ამიტომ ყოველთვის აქტუალური იყო და არის ილიას მოწოდება „ქვათა ღაღადიდან: „სხვისი ნურა გინდა-რა, შენი იკმარე, - ეს არის კაცთა ურთიერთობის ქვაკუთხედი, ეს არის დედაბოძი ზნეობისა“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ილია ჭავჭავაძე, ათტომეული (პ. ინგოროყვას რედაქციით), ტ. I, გვ.8.
2. Гаджиев К.С. В ведение к политическую науку. М. 1997, с. 413
3. Гольбах, П.А. Избр. произведения, в 2 т. т1, М. 1963, с.118
4. „ივერია“, №129, 1897, 2
5. ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება და კანონი, ათტომეული, ტ. IV გვ. 301
6. ილია ჭავჭავაძე, „შინაურ საქმეთა“ გამო, ათტომეული, ტ. VIII გვ. 244-245
7. ილია ჭავჭავაძე, ხიზნების საქმე, ნარკვევი მეორე, ათტომეული, ტ. VI გვ. 141
8. დაწვრილებით იხილეთ Hofstadter R. The Paranoid style in American politics. N.Y.1965; Goldman E. The Tragedy of ?Linden Johnson. N.Y. 1969 და სხვა.
9. ილია ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა 1881 წ. მაისი, ათტომეული, ტ. V გვ. 91
10. Опыт русского либерализма. Антология, М. 1997, с.341
11. Попер К. Открытое обшество и его враги. М. 1992, т2. с.153
12. ილია ჭავჭავაძე, პოლემიკური წერილები „ცხოვრება და კანონის“ გამო, ათტომეული, ტ. IV გვ. 390-391
13. Nozick R. Anarchy? State and Utopia. Oxford, New York: Basic, 1974
14. რ. პაიპსი. საკუთრება და თავისუფლება, თბილისი, 2004, გვ.15
15. ილია ჭავჭავაძე, ხიზნების საქმე, ათტომეული, ტ. VI გვ. 149
16. Руссо Ж.Ж. Трактаты. М.1969, с. 72
17. Локк, Д. Избр. философских произведения: в 2 т. т2 М. 1960, с.14
18. ილია ჭავჭავაძე, ხიზნების საქმე, ნარკვევი პირველი, ათტომეული, ტ. VI გვ. 120
19. ილია ჭავჭავაძე, ხიზნების საქმე, ნარკვევი პირველი, ათტომეული, ტ. VI გვ. 121-122
20. ილია ჭავჭავაძე, ხიზნების საქმე, ნარკვევი მეორე, ათტომეული, ტ. VI გვ. 142
21. ილია ჭავჭავაძე, ხიზნების საქმე, ნარკვევი მეორე, ათტომეული, ტ. VI გვ. 142
22. ილია ჭავჭავაძე, ხიზნების საქმე, ნარკვევი მეორე, ათტომეული, ტ. VI გვ. 151
23. ილია ჭავჭავაძე, ხიზნების საქმე, ნარკვევი მეორე, ათტომეული, ტ. VI გვ. 155
24. ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება და კანონი, ათტომეული, ტ. VI გვ. 8
25. ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება და კანონი, ათტომეული, ტ. VI გვ. 8
26. ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება და კანონი, ათტომეული, ტ. VI გვ. 8
27. “ივერია“, №53, 1897, 2
28. ილია ჭავჭავაძე, „ნუთუ?“, ათტომეული, ტ. IX გვ. 270
29. ილია ჭავჭავაძე, „ნუთუ?“, ათტომეული, ტ. IX გვ. 278-279
30. ილია ჭავჭავაძე, „ნუთუ?“, ათტომეული, ტ. IX გვ. 280
31. ილია ჭავჭავაძე, „ნუთუ?“, ათტომეული, ტ. IX გვ. 280

ილია ჭავჭავაძის საერთო ნიადაგის თეორიის სახელმძღვანელო პრინციპები

ელბერდ ბატიაშვილი,
პროფესორი

ილია ჭავჭავაძის „საერთო ნიადაგის“ თეორია ორ ათეულზე მეტ სამართლებრივ, პოლიტიკურ, სოციალურ–ეკონომიკურ და ზნეობრივ პრინციპებს მოიცავს. მისი უმთავრესი ზოგად სოციოლოგიური პრინციპია ქვეყნის ბუნებრივ–ისტორიული განვითარების შეწყვეტილი პროცესის აღდგენა და მისი შემდგომი განვითარება ახალ დროსა და პოლიტიკურ სივრცეში. ამ თეორიის სიტყვიდან საქმედ ქცევა საზოგადოების მნიშვნელოვანი ამოცანაა.

Guidelines to Common Ground Theory of Ilia Chavchavadze

Elberd Batiashvili
Professor

Summary

Ilia Chavchavadze's "Common Ground Theory" consists of more than two dozen legal, political, socio-economic and moral principles. Its main general sociological principle is to restore the process of natural-historical development of the country and its further development in new time and political space. Practical use of that theory is important task for Georgian society.

ილია ჭავჭავაძის „საერთო ნიადაგის“ თეორიის კვლევა და თანამედროვე ეპოქასთან მისადაგება მიზანმიმართულ და შრომატევად ძალისხმევას თხოულობს ჩვენგან. ამ მიზნით დააფუძნა ილიამ „ივერიის“ სპეციალური რუბრიკა – „ცხოვრება და კანონი“.

ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიის უმთავრესი ზოგადსოციოლოგიური პრინციპია ქვეყნის ბუნებრივ–ისტორიული განვითარების შეწყვეტილი პროცესის აღდგენა და მისი შემდგომი განვითარება. ილიასთვის ისტორია „ღვთის ნების გამოვლენაა“, ისტორიული პროგრესი კი – მისი ასახვა დროსა და სივრცეში. ამიტომ ბუნებრივ–ისტორიულ პროცესს ილიასთან ალტერნატივა არა აქვს.

„ცხოვრება თვითრჯულია – იგი არ გამოიჭრება კაცისაგან მოგონილს რიკრიკაზედ“.

პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა „დაპირისპირებულთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“. ილიამ შემოქმედებითად განავითარა დიალექტიკის ჰეგელისეული „დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი“ და მას, რევოლუციურის ნაცვლად, ევოლუციური, მშვიდობიანი ხასიათი მისცა გარემომცველი სინამდვილის სამივე სფეროს – აზროვნების, საზოგადოებისა და სამყაროს მიმართებაში. ამიტომ „დაპირისპირებულთა ბედნიერი მორიგება“ ილია ჭავჭავაძის „საერთო ნიადაგის“ თეორიის უნივერსალური პრინციპი და, ერთდროულად, მეთოდიცაა.

„სისხლი და მახვილი ვერაფერი მეგზურია კაცთა ცხოვრების განკარგებისათვის – მხოლოდ დაპირისპირებულ იდეათა და ძალთა ბედნიერი მორიგება მისცემს კაცსაც და კაცობრიობასაც სიკეთეს“.

სულიერისა და ფსიქიკურის, იდეის, სიტყვის, აზრის პირველადობასა და დიდ გარდამქმნელ ძალაში ხედავდა ილია ქვეყნის ხსნასა და ქართველი ერის სამომავლო გზასაც. ეროვნული სული, მისი

ᲤᲡᲘᲥᲝ–ᲒᲔᲜᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲓᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲔᲓᲝᲡ „ᲑᲐᲚᲐᲕᲠᲘᲡ ᲥᲕᲐᲓ“ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ–ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐᲡ – ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡ ᲬᲘᲜᲐ�პᲘᲠᲝᲑᲐᲡ.

„ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲜᲘ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲦᲝᲜᲔᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ“.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲔᲠᲡ ᲒᲔᲜᲔᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲗᲐᲜᲓᲐᲧᲝᲚᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕ–ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ–ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲐᲜᲘ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲐᲣᲪᲘᲚᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲜᲔᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ. ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲐ–ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲔᲠᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲧᲝᲤᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ.

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲫᲕᲔᲚᲘᲗᲒᲐᲜ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲦᲛᲝᲕᲨᲝᲑᲝᲗ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲑᲐᲫᲘᲗ“.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲔᲡ–ᲬᲧᲝᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ–ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ, ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ, ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲔᲧᲠᲓᲜᲝᲡ ᲐᲠᲐ ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲓᲐᲜ ᲜᲐᲗᲐᲠ�გᲛᲜ ᲓᲐ �გᲐᲓᲛᲝᲥᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲣᲚ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲜᲝᲠᲛᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲡ. ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲔᲥᲪᲔᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲐᲛᲝᲖᲠᲓᲘᲚᲘᲐ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ.

„ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘ, ᲐᲜᲣ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲒᲘ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐ�გᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘ“.

„ᲔᲠᲘ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲗ ᲨᲔᲓᲣᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲡᲣᲚ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲮᲝᲠᲪ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ“, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲘᲐᲦᲬᲔᲕᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠ ᲓᲐ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠ ᲐᲦᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲐᲓ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲓᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲖᲐᲐ.

„ᲔᲠᲘ ᲣᲫᲚᲔᲕᲔᲚᲘᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲖᲔ ᲓᲒᲝᲛᲘᲗ, ᲔᲠᲗᲜᲔᲑᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲘᲗ“.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲘᲓᲔᲐᲚᲘ „ᲝᲥᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲮᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲐ“. ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ–ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ–ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐ–�გᲐᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲝᲑᲐ �გᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲘᲐ.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲜᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐᲡ“ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲨᲔᲕᲫᲚᲔᲑᲗ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲐᲛ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲜᲘᲡ ᲜᲝᲡᲢᲐᲚᲒᲘᲐ–ᲛᲝᲜᲐᲢᲠᲔᲑᲘᲡ „ᲡᲔᲜᲘ ᲨᲔᲒᲕᲔᲧᲠᲔᲑᲐ“, ᲛᲘᲡᲘ „ᲡᲣᲠᲜᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲕᲘᲡᲣᲜᲗᲥᲔᲑᲗ, ᲛᲘᲡᲘᲗ ᲕᲘᲐᲠᲡᲔᲑᲔᲑᲗ ᲓᲐ ᲕᲘᲡᲣᲚᲓᲒᲛᲣᲚᲔᲑᲗ“. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ „ᲫᲐᲚᲘᲡᲮᲛᲔᲕᲘᲡ“ ᲓᲐ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲔᲤᲘᲡ „ᲡᲐᲗᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲖᲘᲡ“ �გᲐᲛᲗᲚᲘᲐᲜᲔᲑᲐ–�გᲐᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲕᲫᲚᲔᲑᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ. ᲔᲡ ᲙᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ „ᲔᲠᲗ ᲣᲦᲔᲚᲨᲘ ᲨᲔᲑᲛᲘᲗ“ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ.

„ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲠᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲘᲜᲐ�პᲠᲔᲑᲘᲡ �გᲖᲐ–ᲙᲕᲐᲚᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲓᲔᲡ“.

„ᲫᲜᲔᲚᲑᲔᲓᲝᲑᲘᲗ ᲬᲐᲠᲮᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲔᲡᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ“ �გᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲐᲐ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲣᲠᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲨᲔᲕᲫᲚᲔᲑᲗ ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲐᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲒᲖᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲐ.

„ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲡᲜᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘᲐ“.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲔᲡ–ᲬᲧᲝᲑᲘᲡ“, ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲓᲔᲐᲚᲘ „ᲮᲛᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲗᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘᲐ“. ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲠᲐᲥᲘᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕ–ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ, „ᲘᲡᲜᲘᲡ ᲙᲐᲠᲐᲕᲘᲡ“ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐᲐ. ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ, ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲘᲡ, ᲫᲕᲔᲚ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲤᲡᲘᲕᲔᲑᲗᲐᲜ – „ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲗᲐᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ“, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲡ–ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐᲐ. ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲫᲐᲠᲓᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲒᲕᲙᲐᲠᲜᲐᲮᲝᲑᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲧᲝᲤᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ.

„ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲜᲘ ᲨᲕᲘᲚᲜᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲭᲘᲠᲡᲐ ᲗᲣ ᲚᲮᲘᲜᲨᲘ“.

ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲡᲓᲒᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚ–ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲥᲔᲛᲐ, ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲨᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕ–ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲔ�გᲘᲝᲜᲔᲑᲐ: ᲡᲝᲤᲔᲚᲘ – ᲗᲔᲛᲘ – ᲛᲮᲐᲠᲔ, ᲐᲘ, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕ–ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲝᲑᲘᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲝᲞᲢᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚ–ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲔ�გᲘᲝᲜᲔᲑᲐ,

რაც ბოლოს მოუღებს ახლო წარსულის მეტროპოლიისაგან თავსმოხვეულ მკაცრად ცენტრალიზებულ ბიუროკრატიულ სტრუქტურებს და მმართველობას – კორუფციისა და მაფიოზური კლანების მთავარ წარმომშობ წყაროს ჩვენს ქვეყანაში.

„კარგად უნდა გავიგოთ და დავიმახსოვროთ – ყველა სოფელს, თემსა და მხარეს თავისი განუმეორებელი იერ–სახე აქვს და ამეების დაკარგვა სიკეთეს არას მოგვიტანს“.

ქართული სახელმწიფოს მმართველობითი სისტემა უნდა აიგოს უნიტარიზმის და ფედერალიზმის პრინციპთა გარკვეული გასაშუალებით, მათ შორის თავისებური „ბედნიერი მორიგებით“. უნიტარიზმი და ფედერალიზმი ურთიერთგამომრიცხავი პრინციპები კი არ არიან, არამედ ურთიერთშეთავსებადნი. ადგილობრივ თვითმმართველობასა და მხარეთა ავტონომიურ მმართველობასთან ერთად, მკაცრად და ნათლად უნდა განისაზღვროს საერთო–ეროვნული ინტერესები და ფუნქციები – ქვეყნის უსაფრთხოება და თავდაცვა, საგარეო პოლიტიკა, საფინანსო–საგადასახადო, საბაჟო, ეკოლოგიური და დემოგრაფიული პოლიტიკა ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა.

„ყველა ადგილობრივნი საქმენი ადგილზევე უნდა წყდებოდეს, გარდა საერთო–საქვეყნოსი“.

ქართული სახელმწიფოს საკანონმდებლო ხელისუფლება შედგება ორპალატიანი „ერთა საბჭოსაგან“. „ერთა საბჭოს“ პირველ პალატას ქვეყნის მთელი მოსახლეობის, ხოლო მეორეს – მხარეთა დეპუტატები წარმოადგენენ. „ერთა საბჭოს“ ორივე პალატის დეპუტატთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 100–120 კაცს. ქვეყნის ცალკეულ მხარეებს ჰყავთ ერთპალატიანი „ერთა საბჭო“ სოფლისა და თემების პროპორციული წარმომადგენლობით.

„საპარლამენტო მართველობა არის ყველაზე უპრიანი ქვეყნის და ხალხის კეთილდღეობისათვის. ინგლისი ამ მხრივ ყველასათვის მისაბაძია“.

ქართული სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს „ერთა საბჭოს“ მიერ დამტკიცებული მთავრობა, რომელიც ანგარიშვალდებულია მხოლოდ და მხოლოდ მის წინაშე. მხარეთა მთავრობებს ირჩევს მხარეთა „ერთა საბჭო“, ხოლო თემისა და სოფლის ხელისუფლებას – ადგილობრივი საბჭოები.

„ერთა საბჭო ერს ერთიან ძალად და ორგანიზმად ჰკრავს“.

სასამართლო ხელისუფლებას ადგილზე წარმოადგენენ მოსახლეობის მიერ არჩეული მოსამართლენი. თითოეულ სოფელს თავისი მოსამართლე და აღმასრულებელი (მამასახლისი) ჰყავს, რომლებიც, ისე როგორც მასწავლებლები, ექიმები, პოლიციელები, გადასახადის ამკრეფნი ხელფასს ადგილობრივი ბიუჯეტიდან იღებენ.

„ადგილზე ყველაზე უკეთ იციან თავიანთი სალხინებელი და საჭირვებელიც“.

ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველია შერეული ტიპის სამეურნეო წყობა მიწაზე საკუთრების 5 ტრადიციული ეროვნული ფორმით: 1. კერძო–საკომლო; 2. სასოფლო–სათემო; 3. სახელმწიფო–სახაზინო; 4. საეკლესიო–სამონასტრო და 5. ხიზნური (დროებითი) მიწათმფლობელობა. მიწაზე გადასახადების, ისე როგორც სხვა მოსაკრებლების ორი მესამედი ადგილზე რჩება, დანარჩენი კი ცენტრალურ ბიუჯეტში ირიცხება.

„მიწა ქართველი კაცის სიმდიდრისა და სიძლიერის უპირველესი წყაროა. ქართული სოფელი და ქართველი გლეხობა – ჩვენი ეროვნულ იმედების სული და გული“.

ეროვნულ ეკონომიკას, როგორც რეგიონალურ ეკონომიკათა თავისებურ კონგლომერატს, თავისი პრიორიტეტები და ეკონომიკური სტრატეგია უნდა გააჩნდეს. ჩვენი ეროვნული ხასიათისა და ცხოვრების წესის პირობებში ეს ქვეყნის საზოგადოებრივ–ეკონომიკური განვითარების აგრარულ–ინდუსტრიული სტრატეგიაა.

„როგორც გინდა არ უნდა მოეძალოს ინდუსტრია საქართველოს, იგი მაინც „მიწისა და გუთნის“ ქვეყნად უნდა დარჩეს“.

ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ყოველნაირად შევუწყოთ ხელი სოფელთან და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამრეწველო დარგების (გადამამუშავებელი მრეწველობა, ენერგეტიკა, სამშენებლო მრეწველობა სასოფლო–სამეურნეო მანქანათმშენებლობა, ელექტრომრეწველობა, მცირე და სამთო მექანიზაცია) განვითარებას.

„ახალი ტექნიკა და ტექნოლოგიები საქართველოს სამოთხედ გადააქცევს“.

მთა ისტორიულად ყოველთვის იყო საქართველოს პანაცეა – ქართველი ერის გადამრჩენი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც. მთის სოციალურ–ეკონომიკური აღორძინება და შემდგომი განვითარება ქართული სახელმწიფოს ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანაა. ქვეყნის ტერიტორიის 80% მთაგორიანია და დღეს აქ შექმნილმა ვაკუუმმა, მისი განქართულების პროცესის შემდგომმა

გაგრძელებამ და ურბანიზაციამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს საქართველოს და ქართველის ერის სამომავლო განვითარებას.

„მთა მარად იყო და კვლავაც უნდა დარჩეს ქართული წეს–წყობის ბალავრის ქვად“.

„კომლი ძველ საქართველოში წარმოადგენდა არამცთუ სამეურნეო სხეულსა, არამედ საზოგადოებრივსაც. ყოვლიფერი – შრომა, ბეგარა, გადასახადები, სოფლის მართველობა, ჯარში გაწვევა კომლზე იყო გათვლილი“.

დედმამიშვილობის სისხლის ნათესაობაზე დაფუძნებული კომლის ინსტიტუტის სამეურნეო და საზოგადოებრივი ფუნქციის, „კომლის თავის“, „გუთნის დედის“, „კომლეულთა“ და „ხოდაბუნების“ ძველი საამხანაგო–კორპორაციული ტრადიციების აღდგენა და გათანმედროვეობა წარმოადგენს სოფლის თვითმმართველობის, მისი სოციალურ–ეკონომიკური განვითარების, მართლწესრიგის, განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პრობლემათა გადაწყვეტის აუცილებელ წინაპირობას.

„კომლი და ხოდაბუნების საამხანაგო გაერთიანებანი კაპიტალიზმის ქართული ალტერნატივაა“.

საქართველო აქტიურად უნდა ჩაებას გლობალური და რეგიონალური ინტეგრაციის მიმდინარე პროცესებში, „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ფორმირებაში.

„ჩვენდა სასახელოდ, ქართველი კაცისთვის არასოდეს უცხო რამ ხილი არ ყოფილა ზოგადკაცობრიული იდეალები და ღირებულებანი. „ვეფხისტყაოსანი“ დადასტურებაა ამისა“.

ეროვნული და რელიგიური შემწყნარებლობა ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარების და ეროვნული ხასიათის ორგანული ნაწილია. „ოქროვანი ხანის საქართველოს“ იმანაც მოუპოვა პრესტიჟი და ძლიერება, რომ იგი სხვა ქვეყნებიდან დევნილთა საიმედო თავშესაფარი გახდა.

„ქართველს მისდა სასახელოდ, სიძულვილი არ შეუძლია... სიძულვილის წილ სიყვარული – ქართველი კაცის დიდბუნებოვანობის არსია“.

ქართულ სახელმწიფოს კეთილმეზობლური ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მსოფლიოსა და ევრაზიული სივრცის ყველა ქვეყანასთან, მაგრამ მათგან განსაკუთრებით კავკასიის ხალხებსა და ქვეყნებთან. ისტორიულადაც იგი ხომ, ფაქტობრივად, კავკასიური სახელმწიფო, თავისებური „კავკასიის შეერთებული შტატები“ თუ შვეიცარიის კონფედერაციის მსგავსი პოლიტიკური წარმონაქმნი იყო. პოემაში „ქართვლის დედა“ ილიამ შესანიშნავად გამოხატა კავკასიელ ხალხებთან ქართველი ხალხის სოლიდარობის იდეა.

„საქართველოსა და მთელი კავკასიის თავისუფლება“ – ასეთი უნდა იყოს დღესაც ჩვენი იდეალი.

ვფიქრობთ, რომ გლობალიზაციის პირობებში შეიქმნება ხელსაყრელი წანამძღვრები ევროპის „საერთო ბაზრის“ მსგავსი პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებისათვის კავკასიაში.

ჩვენში რატომღაც დამკვიდრდა თვალსაზრისი, რომ ეროვნული ეკონომიკა მხოლოდ კაპიტალიზმის ფულად–სასაქონლო მეურნეობასთან და ინდუსტრიულ საზოგადოებასთან არის დაკავშირებული. გარეგნულად რა თქმა უნდა კაპიტალიზმმა სულ სხვა გაქანება და მასშტაბები მისცა ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ ეკონომიკას, მაგრამ შინაგანი არსით მან ყველა ქვეყანაში თავისი ეროვნული სპეციფიკა ყველგან შეინარჩუნა: სხვა არის ვთქვათ, ინგლისის ეროვნული ეკონომიკა და სხვა იაპონიის, ნორვეგიის, ბრაზილიის, თუ ფილიპინების...

ჩვენი ეროვნული ეკონომიკაც გუშინ და გუშინწინ არ შექმნილა. მას უძველესი ფესვები აქვს. ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“, ისე როგორც მთლიანად „ქართველი ერის ისტორიის“ თორმეტტომეულში, ნათლად არის ნაჩვენები ეს. საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვისთანავე ეროვნული სამეურნეო ტრადიციების მნიშვნელობაზე არაერთხელ გაამახვილა ყურადღება ილია ჭავჭავაძემ („ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“, „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“, „ცხოვრება და კანონი“ ...). ერთი სიტყვით, ამ ახალ საუკუნესა და ახალ ათასწლეულში საკითხი ასე დგას: რა გზით უნდა წავიდეს ქართველი ერის მომავალი საზოგადოებრივ–ეკონომიკური განვითარება – მხოლოდ „უცხო ბაძით“ და სხვათა და სხვათა კანონებით და გამოცდილებით, თუ ჩვენს ისტორიაშიც არის ისეთი რამ, რომლის გათავისება–გათანამედროვეობა – გამოყენებაზე ფიქრი და განსჯა ღირს...

სტატიაში – „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“, ილია წერს:

„საქართველო... განუწყვეტლივ იბრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა და ბოლოს მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს თვითმყოფადი სული ისე დალია, რომ არავისი ვალი და ვახში არ დასდებია...

ვთქვათ მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის – რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა? საზრდოობას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?

უეჭველია, ჩვენი უწინდელი წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდან ჰქონია ის ქონებითი ძალ–ღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაი–ვაგლახსა ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში. აი, საგანი ღირსშესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად... ამ საგანზედ რომ პასუხი მოგვცეს ვინმემ, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა“.

„აწმყოზე ნათელის მოფენა“ დღეს ყველასათვის ნათელია: საქართველოს და მის ეკონომიკას დღეს ყველაფერი შეიძლება ეწოდოს, გარდა „ეროვნულისა“. სად და ვისთან არ ვეძებთ ხსნას, გარდა საკუთარი თავისა და ისტორიისა. „ჩვენს იქით ჩვენი ხსნა მხოლოდ ტკბილი სიზმარია... უფულო ერი ფულიანთა საძოვარია, მათი საცხოვრისია“, წერდა ილია და იქვე გვიჩვენებს ამ ხსნის გზას: „ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია“. ეს თუ ვერ შევძელით, მაშინ ერი დაკარგავს თავის მთავარ საარსებო და სასიცოცხლო წყაროს – მიწასა და მის მწარმოებელ ძალას. დღეს ყველაფერი ეკონომიკის ფრონტზე წყდება და ჩვენც თუ გვინდა, რომ მომავალი გვქონდეს ამ ძალას განვითარების ახალი სივრცე და პერსპექტივა უნდა მივცეთ, მისი შესატყვისი ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური სტრატეგია. ეს ერის ინტელექტუალური ძალების უპირველესი ამოცანა და მოვალეობაა...

მაგრამ როგორ, რა გზით და საშუალებებით შეიძლება გლობალიზმის ეპოქაში ამ ამოცანის განხორციელება?... ერთი რამ ცხადი უნდა იყოს ყველასათვის: თუ ჩვენ ვერ ვპოვებთ ამ გზას, მაშინ ვერც ეროვნულ ეკონომიკას და ვერც ეროვნულ სახელმწიფოს ვპოვებთ, რამეთუ ისინი ერთმანეთის გარეშე არ არსებობს და არ მოიაზრება.

ყველაფერი შენს ეროვნულ ტრადიციებს, ეროვნულ ხასიათს, შენს ისტორიულ და ფსიქო–გენეტიკურ ფესვებს უნდა მოარგო. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ შევქმნათ დღევანდელი კოლონიური ეკონომიკის ნაცვლად, ხვალინდელი საქართველოს ძლიერი და ფესვმაგარი ეროვნული ეკონომიკა და მასთან ერთად, ეროვნული სახელმწიფოც...

ესისფუნდამენტიდა„ბალავრისქვაა“,რომელზეც ჩვენზე ადრე სხვებსაც უფიქრიათ და უწერიათ. სოლომონ დოდაშვილიდან და ილია ჭავჭავაძიდან მოყოლებული, მთელი XIX-XX საუკუნეების ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა და საზოგადოებრივ–პოლიტიკური აზროვნება ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ამ ბალავრის ძიებაშია, თაობიდან თაობამდე გრძელდებოდა ეს ძიება და ასე შეიქმნა „საერთო ნიადაგის“ თეორია, მისი სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ–ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპები, რომელთა რაოდენობა 2 ათეულს აღემატება. ამ თეორიის სიტყვიდან საქმედ ქცევა მთელი ჩვენი საზოგადოების – ერის თუ ბერის, პოზიციის თუ ოპოზიციის საერთო ამოცანაა. „საერთო ნიადაგიც“ ამიტომ ჰქვია. ეს სახელწოდება ამ 100 წლის წინ „მესამე დასის“ კლასობრივი სიძულვილისა და ბრძოლის ანტიეროვნულ იდეოლოგიასთან დაპირისპირებაში იშვა...

„საერთო ნიადაგის“ თეორია მის მთლიანობაში ცალკე კვლევის საგანია. იგი ვრცელ და ყოველმხრივ ზოგად–სოციოლოგიურ და პოლიტოლოგიურ კვლევას მოითხოვს. ეს მომავლის საქმეა, აქ კი გვინდა შევჩერდეთ მის სოციალურ–ეკონომიკურ მიმართულებაზე. ამ კუთხით შეიძლება გამოვყოთ შემდეგი პრინციპები:

1. „მიწისა და გუთნის საქართველო“ და ამ მხატვრულ მეტაფორაზე აგებული ეკონომიკური განვითარების აგრარულ–ინდუსტრიული სტრატეგია არის მომავალი საქართველოს ილიასეული იდეალი. ეს მაშინდელმა მესამედასელმა მარქსისტმა–ინტერნაციონალისტებმა „დამყაყებული ქართული ნაციონალიზმის ბურჯს“ ანტი–ინდუსტრიულ ეკონომიკურ პოზიციად ჩაუთვალეს. მაგრამ მათგან განსხვავებით ილიას კარგად ესმოდა, რომ ჩვენი ქვეყნის მთისა და ბარის ბუნებრივ–კლიმატური და გეოგრაფიული გარემო – პირობები, ხალხის ხასიათი, ცხოვრების ეროვნული წესი და ტრადიციები ამ სტრატეგიას თხოულობენ. მას არც მაშინ და არც დღეს ალტერნატივა არა აქვს...

2. ამ ეკონომიკური სტრატეგიიდან და ქვეყნის ობიექტური პირობებიდან გამომდინარე, ქართული სოფელი და ქართველი გლეხი უნდა გახდეს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა და ბიუჯეტის მუდმივი პრიორიტეტი. „ქართველი გლეხი – ჩვენი ეროვნული იმედების სული და გული“ – ასე გამოხატავდა ამ პრინციპს „საერთო ნიადაგის“ თეორიის ფუძემდებელი. დღეს კი ყველაზე დაჩაგრული და მიტოვებული ქართული სოფელი და ქართველი გლეხია. უნდა შეიქმნას დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეული რეგიონების სოციალურ–ეკონომიკური განვითარების კონცეფციები, რამეთუ ეროვნული ეკონომიკა ისტორიული გააზრებით სხვა არაფერია, თუ არა ცალკეული რეგიონების ეკონომიკათა თავისებური მათემატიკური ჯამი.

3. „კომლსა“ და „ხოდაბუნებზე“ დაფუძნებული საერთო–ეროვნული სამეურნეო კორპორაციების სისტემის შექმნა არის ერთ–ერთი უმთავრესი და უპირველესი ამოცანა. კაპიტალიზმის

ფულად–სასაქონლო ურთიერთობებმა სისხლით ნათესაობაზე დაფუძნებული ძველი პატრიარქალური კომლი დაშალა. ეს პროცესი სწორედ ილიას ეპოქაში წარიმართა და ამ ფაქტს იგი დიდი გულისტკივილითაც აღნიშნავდა („კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“). მაგრამ კომლის დაშლა ცალკეულ ოჯახებად სრულებითაც არ ნიშნავს ამ ძველი ტრადიციული სამეურნეო–კორპორაციული სისტემის მოშლას და მასზე უარის თქმას. კაპიტალიზმის პირობებში მისი გათანამედროვეობის საშუალებას იძლევა „ხოდაბუნი“ – ეროვნული ეკონომიკის ბუნებრივ–ისტორიული განვითარებით ფორმირებული თავისებური „ქართული კიბუცი“. ისრაელის მსგავსად, საქართველოსაც აქვს მკვიდრი ისტორიული საფუძველი შექმნას აგრარული წარმოების ახალი „ხოდაბუნური“ სასოფლო–სამეურნეო დასახლებანი ამერ–იმერის მთასა თუ ბარში…

„ქართლის ცხოვრება“ გვიფიქსირებს პირველ „ხოდაბუნებს“ ჯერ კიდევ XI საუკუნეში („დავით აღმაშენებლის ანდერძი შიო მღვიმის მონასტრისადმი“). „კომლის“ მსგავსად, „ხოდაბუნური“ სამეურნეო სისტემა ამ 100–150 წლის წინ დაირღვა, მაგრამ სავსებით შესაძლებელია მისი ახალი სამართლებრივი და სოციალურ–ეკონომიკური ბაზის შექმნა თანამედროვეობის ახალ ისტორიულ პირობებში. საამისოდ საჭიროა სათანადო პოლიტიკური ნება…

4. ილიას სოციალური იდეალი „წოდებათა თანასწორობა“ იყო. ამიტომ იყო, რომ იგი დიდი სიმპატიით უყურებდა ვარლამ ჩერქეზიშვილის (1846–1925) „ხოდაბუნური სოციალიზმის“, ანუ, იგივე „არასახელმწიფოებრივი სოციალიზმის“ იდეას. ვარლამ ჩერქეზიშვილი ევროპაში მოღვაწეობდა და „ანარქო–სინდიკალიზმის“ ერთ–ერთ ფუძემდებლად ითვლება, რომლის არსი სახელმწიფო მართველობის დეცენტრალიზაცია და მისი „სინდიკატთა“ თვითმართველურ ასოციაციებად გარდაქმნაა. დღევანდელი „ევროპული რეგიონალიზმი“ და „ევროპის საერთო ბაზარი“ ბევრმხრივ XX საუკუნის დასაწყისის ამ იდეოლოგიიდან იღებს სათავეს.

ვარლამ ჩერქეზიშვილმა და მისი ინიციატივით დაფუძნებულმა „სოციალ–ფედერალისტთა პარტიის“ რიგმა ლიდერებმა (არჩილ ჯორჯაძემ, გრიგოლ რობაქიძემ, ძმებმა გოგელიებმა), პრაქტიკულადაც სცადეს თვითმართველური სამეურნეო კორპორაციების შექმნა 1918–21 წლებში, მაგრამ ბოლშევიკური რუსეთის ანექსიამ ყველა ამ ცდებს ბოლო მოუღო. ვფიქრობთ, რომ მისი აღორძინება აგრარული პოლიტიკის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი შეიძლება გახდეს. „ხოდაბუნური სოციალიზმი“ დაერქმევა ამას, თუ „სახალხო კაპიტალიზმი“, ამას რაიმე არსებითი და პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს…

5. ბუნებრივ–ისტორიული განვითარებით საქართველოში წარმოიშვა მიწათსარგებლობისა და მიწათმფლობელობის 5 ტრადიციული ფორმა – კერძო, სასოფლო–სათემო, სახელმწიფო–სახაზინო, საეკლესიო–სამონასტრო და ხიზნური (დროებითი) მიწათმფლობელობა. მათგან ილია უპირატესობას სასოფლო–სათემოს ანიჭებდა. ამ ეროვნულ სამეურნეო ტრადიციებსაც გათვალისწინება და გათანამედროვეობა სჭირდება. მაგალითად: ტყე, სამოვარი, შირაქის მსგავსი სახნავ–სათესი და სამარცვლე დანიშნულების მიწის დიდი მასივები კერძო საკუთრებაში არ შეიძლება ყოფილიყო. ისინი სასოფლო–სათემო საკუთრებას შეადგენდნენ. ქვეყნის მარცვლეულით უზრუნველყოფა სწორედ ხოდაბუნური ტიპის სასოფლო–სამეურნეო კორპორაციით ხდებოდა. ეს ერთიან ორგანიზმად კრავდა მაშინდელ ქართულ სოფელს, მიუხედავად წოდებრივი განსხვავებისა. ამით იზრდებოდა მართველი ფენების სოციალური პასუხისმგებლობაც და ეროვნული ერთობის განცდაც. ამ ეროვნული ტრადიციის აღდგენა–გათავისება–გათანამედროვეობა ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის ერთ–ერთი ძირითადი მიმართულება უნდა გახდეს.

6. ყველაფერი ეს დაკავშირებულია ქვეყნის ახალი ტერიტორიალურ–ადმინისტრაციული მოწყობის პრობლემასთან. ამ პატარა ქვეყანას თითქმის 70 ერთეულამდე „რაიონული“ ტერიტორიალურ–ადმინისტრაციული ერთეული არა სჭირდება. ბევრს ვლაპარაკობთ „საბჭოურ გადმონაშთებზე“ და ეს ხომ, საბჭოთა სისტემის ყველაზე დიდი გადმონაშთია, თვით სიტყვა – „რაიონიც“ კი არ არის ქართული. ჩვენი ეროვნული და ტრადიციული ადმინისტრაციულ–ტერიტორიალური დაყოფა სოფელი – თემი – მხარეა. ამ ტრადიციის აღორძინებაზეც ღირს ფიქრი და განსჯა. საქართველო უნდა დაუბრუნდეს ბუნებრივ–ისტორიული განვითარებით ფორმირებულ თავის ძველ ტრადიციულ დარეგიონებას. სხვანაირად „დემოგრაფიულ თავკომბალად“ დარჩება მუდმივად...

7. ყველაფერი ეს უკავშირდება აგრეთვე, სახელმწიფო მშენებლობის ისეთ მნიშვნელოვან პრინციპებს, როგორებიცაა უნიტარიზმი და ფედერალიზმი. ამ გააზრებით თუ განვსაზღვრავთ ეროვნულ ეკონომიკას, იგი რეგიონალურ

ეკონომიკათა თავისებური არითმეტიკული ჯამია. დღეს კი, ჩვენი ეკონომიკური განვითარება, ისე როგორც სახელმწიფო მართვის სისტემა, მკაცრად ცენტრალიზირებული ვერტიკალია – ყველაფერი იწყება თბილისიდან და მთავრდება თბილისით. ეს სახელმწიფო – მონოპოლიზმისკენ და ერთდროულად, კოლონიური ეკონომიკისკენ მიაქანებს ქვეყანას. როგორც ზევითაც ითქვა, აუცილებელია ამერ–იმერის მთისა და ბარის ცალკეული რეგიონების სოციალურ–ეკონომიკური განვითარების კონცეფციათა შემუშავება და მასში ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ჩართვა. ეს ხელს შეუწყობს ხალხის თვითმოქმედებისა და თვითმართველობის განვითარებასაც.

„ქართულ წეს–წყობას“ რომ ახასიათებდა და აანალიზებდა, ილია სიამაყით წერდა – თვით ევროპისაგან განსხვავებითაც კი, ჩვენმა ისტორიამ არ იცის უმიწაწყლო ქართველი გლეხი, თვით ყველაზე სუსტ და მცირერიცხოვან კომლსაც კი, 20 დღიური მიწა მაინც ჰქონდა, ხოლო ჩვენში სრულიად უცხო რამ არის ერთგვარი დანაშაული, რასაც რუსეთში „бродяжничество” ჰქვია...

მართლაც რომ საოცარია ისტორიულად ისეთ მცირემიწიან ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მიწის ასეთი სამართლიანი და ამასთან, ეკონომიკურად ეფექტური განაწილება. მიწათსარგებლობის, მიწათმფლობელობისა და მიწათმოქმედების ზემოდაღნიშნული მოქნილი სისტემა განაპირობებდა ამას. ეს გვინახავდა და გვარჩენდა ქართველობას საუკუნეებისა და ათასწლეულების მანძილზე. ამიტომ ვერ ნახავდით ვერასოდეს ჩვენს მიწა–წყალზე ამ „ერთგვარ დანაშაულს – бродяжничество“–ს...

ნუ გავაკეთებთ იმას, რომ ეს ილიას მიერ ქართველი გლეხისთვის უცხო და მიუღებელი „бродяжничество“ ჩვენთვისაც ცხოვრების წესად და ეროვნულ ხასიათად იქცეს. ამის ნიშნები კი უკვე სახეზე გვაქვს. ეს 20 წელი, როგორც იტყვიან, ერთ ჩაკეტილ წრეში ვტრიალებთ და ამასთან დაკავშირებით ძალაუნებურად მახსენდება „ამირან–დარეჯანიანის“ ეს სიმბოლიკა – „ვერ გაგიგია ამირან, არგამარჯვების ნიშანი, ისევ იმ ადგილს მოვედით, სადაც დავკარი ისარი“.უსუპის ეს გაფრთხილება ტერ–ტერასაგან მოტყუებული ამირანისა, ჩვენს დღევანდელ თაობებს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჩვენც არასწორი გზით მივდივართ მიზნისაკენ. ეს გზა „ტაძრამდე“ ვერ მიგვიყვანს, იგი ბოლოს სხვის ლუკმად აქცევს ქვეყანას...

ილიას არ უყვარდა გადაჭარბებული ქება–დიდება, რეგალიები და საიუბილეო ზარ–ზეიმები. ამას იგი „ყიზილბაშურ სენს“ უწოდებდა. ყველა მისი იუბილე მან თვითონვე ჩაშალა, ოთარაანთ ქვრივივით ვერ იტანდა უსარგებლო და უმაქნის ტკბილსიტყვაობას... მისთვის მთავარი მისი იდეალების განხორციელება და საქმედ ქცევა იყო...

დღესაც ჩვენთვის მთავარი მისი ქება–დიდება და ხოტბის შესხმა კი არ უნდა იყოს, არამედ მისი იდეების საქმედ ქცევა. იგი უპირველეს ყოვლისა, „ჩვენი დიდი ეროვნული იდეოლოგია“ (ვაჟა–ფშაველა), და ეს იდეოლოგია დღევანდელი საქართველოს საზოგადოებრივ–ეკონომიკური განვითარების სამოქმედო პროგრამად უნდა ვაქციოთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭავჭავაძე ი. რა გითხრათ? რით გაგახაროთ? თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი 5, თბ., 1955. გვ. 10-14.

2. ჭავჭავაძე ი. ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი 4, თბ., 1955. გვ. 175-178.

3. ჭავჭავაძე ი. მეცხრამეტე საუკუნე. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი XIV. “ილიას ფონდი”, 2007. გვ. 324-327.

4. ჭავჭავაძე ი. წოდებათა თანასწორობა. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი X. “ილიას ფონდი”, 2007. გვ. 371-373.

5. ჭავჭავაძე ი. ცხოვრება და კანონი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი 6, თბ., 1956. გვ. 7-114.

6. ჭავჭავაძე ი. თვითმოქმედებისათვის. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი IX. “ილიას ფონდი”, 2006. გვ. 652-657.

ილია ჭავჭავაძის ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებული საყოველთაო კეთილდღეობის კონცეფცია

შოთა ვეშაპიძე
დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის
აკადემიის პროფესორი
Shota46@yahoo.com

ანოტაცია: ნაშრომში განხილულია ილია ჭავჭავაძის კონცეფცია და ნაჩვენებია, თუ რა პრაქტიკული შედეგების მოტანა შეუძლია მის განხორციელებას. ილიამ სისტემურად ჩამოაყალიბა თავისი ხედვა იმის შესახებ, თუ რატომ არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი ევროპული ღირებულებები, რომელი ღირებულებებისკენ უნდა მივისწრაფოდეთ და როგორ დავნერგოთ საქართველოში, როგორ მოვარგოთ ევროპული სტანდარტები ჩვენი ყოფის თავისებურებებს, რაც თითოეული ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესებასა და ეროვნული თვითმყოფადობის დაცვაში დაგვეხმარება. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ამჟამად წარმატებით ხორციელდება ევროკავშირთან ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის პოლიტიკა, ილიას მოსაზრებების შესწავლა მეტად საინტერესო და აქტუალურია.

ილიამ ჩამოაყალიბა ეკონომიკური ლიბერალიზმის ქართული ნაირსახეობის მთავარი ღირებულებითი საფუძვლები, რომელთაგან უპირველესი არის შესაძლებლობების შექმნა თავისუფალი ეკონომიკური განვითარებისთვის. არგუმენტირებულად ასაბუთებდა თავისუფალი ვაჭრობის, გახსნილი ეკონომიკის, მთავრობის ლიბერალური ჩარევის, ლიბერალური გადასახადების მნიშვნელობას. საჭიროდ მიიჩნევდა ჩართვას ეკონომიკური ინტეგრაციის მსოფლიო პროცესებში. ქვეყნის ეკონომიკური დაწინაურებისათვის მიზანშეწონილად მიაჩნდა შრომის ნაყოფიერების გადიდება და სპეციალიზაციის გონივრულ გაღრმავება, კონკურენტული გარემოს შექმნა, საჭირო ინვესტიციების გამოძებნა, მონოპოლიების დაძლევა. თვლიდა, რომ საერთო ეკონომიკურ კეთილდღეობას მნიშვნელოვნად აფერხებს კერძო საკუთრების დაუცველობა, ბიუროკრატიზმი, კორუფცია, ეკონომიკის არასათანადო რეფორმირება და ინსტიტუციონალიზაცია, პროფესიონალიზმის ნაკლებობა, ადგილობრივი თავისებურებების უგულებელყოფა.

ილია ჭავჭავაძემ საუკუნენახევრის წინ აღდო ალღო ქართული და ევროპული სულიერების ნათესაობასა და იმ სიკეთეს, რომლის მიღებაც ჩვენს ერს შეუძლია მოწინავე ევროპული ღირებულებების გაზიარებით და არა მარტო ჩვენს ერს. ილიას მიაჩნდა, რომ ეს ღირებულებები უნივერსალური ხასიათისაა და ყველასათვის არის მისაღები, რადგან საშუალებას გვაძლევს პროგრესი შეუქცევადი გავხადოთ. ევროპული ღირებულებების განხორციელება ილიას მიაჩნდა მთელი ერისა და თითოეული ადამიანის უფლებების, დემოკრატიის, სიტყვის თავისუფლების, უმცირესობების, კანონის უზენაესობის, სიცოცხლის, თავისუფლების, საკუთრების, თანასწორობის დაცვის, ჰარმონიის მიღწევის, კეთილდღეობის ამაღლების საშუალებად. მათი განხორციელება სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვს.

საკვანძო სიტყვები: ყოველი ადამიანის ბედნიერება, კეთილდღეობა, ეკონომიკური ინტეგრაცია, ევროპული ღირებულებები, ადგილობრივი თავისებურებები.

Ilia Chavchavadze's concepet of universal welfare focused on European values

Shota Veshapidze
Ministry of Defence of Georgia
lepl David Agmashenebeli
National Defence Academy of Georgia
Professor

Abstract

The paper deals with Ilia's concept and shows us its further practical results. Ilia has shown his vision about importance of European values. He described the ways of European standards adjusting to our life features. In his opinion the mentioned would help us to improve our lives and provide with the national identity protection. Though Georgia has been successfully implementing the policy of mutual beneficial cooperation with the EU, the study of Ilia's opinions is the most interesting and relevant.

Ilia has formed the main basic values of Georgian variety of economic liberalism, the foremost of which is the ability to create some opportunities for further economic development.

He substantiated with arguments need for free trade, open economy, government liberal intervention, liberal taxes. He believed that the most necessary for his country was to be involved in the economic processes of economic integration processes. In order to ensure the country's economic promotion, he considered on enlarging labour productivity and reasonable deepening of specialization, also the creation of competitive environment, to find the necessary investments, to overcome monopolies. He thought that the common economic prosperity was prevented significantly by the private property insecurity, by bureaucracy, the corruption, the lack of economic reform and the institutionalization, the lack of professionalism, the lining of local peculiarities.

Even a century and a half ago Ilia Chavchavadze realized the Georgian and European spiritual relations and the goods that our country could get by sharing leading European values. Ilia thought that these values were parochial and were acceptable for everyone, as it allowed us to make the progress unrecoverable. By Ilia's opinion the implementation of European values will protect the rights of every person and of the nation in whole, democracy, freedom of speech, the minorities, the law rule, life, liberty, property, equality, harmony and understanding, also can be a means to increase the welfare. Their implementations will require different approaches in different countries.

Keywords: each human's happiness welfare, economic integration, European values, local peculiarities.

ნებისმიერი საზოგადოების პროგრესისთვის საჭიროა სამი მთავარი პირობა: ტექნოლოგიური ინოვაციების ეფექტიანად გატარება, საკმარისი ინსტიტუციონალური უზრუნველყოფა და აუცილებელი, სათანადო ღირებულებათა სისტემა.

საზოგადოების ღირებულებათა სისტემა წარმოგვიდგება, როგორც მიზანდასახულობანი, ქცევის ნორმებისა და მსოფლაღქმის საშუალებების ერთობლიობა. ეს სისტემა გაბატონებული ცივილიზაციური იდეოლოგიის საფუძველს შეადგენს, რომლებიც განსაზღვრულ სტიმულს ანიჭებენ ეკონომიკის განვითარებას.

ყველაზე მარტივად თუ ვიტყვით, `ღირებულებაა ის, რაც შეესაბამება ადამიანის ადგილს სამყაროში~. ის ისეთი რამაა, რომელსაც დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნია (იდეალურია) და ყოველი რეალურის განმსაზღვრელია. ისეთი იდეალურია, რომლისკენაც მუდმივად უნდა ვისწრაფვოდეთ, რომელიც საზოგადოებას რაც უნდა ის კი არაა, არამედ ისაა, რაც საზოგადოებას უნდა უნდოდეს, რომელსაც ვერასოდეს მივაღწევთ, რადგან ღირებულებებისკენ სწრაფვა სრულყოფილებისკენ მუდმივ სწრაფვას ნიშნავს, იმას ნიშნავს, რომ არსებული გარემო არ უნდა გვაკმაყოფილებდეს, მუდამ უნდა გვინდოდეს უკეთესი, უკეთესის მარადიული წადილი უნდა გვამოძრავებდეს, რასაც მუდმივად უნდა განვიცდიდეთ, მუდმივად უნდა ვგრძნობდეთ, რისკენაც მუდმივად უნდა მივილტვოდეთ.

ყველა ადამიანი გარკვეული ღირებულებების მატარებელია, და ეს ღირებულებები სიბრძნის მეშვეობით ყალიბდება. სიბრძნე კი არის `ფასეულობის გრძნობის გამსჭვალვა (შეღწევა) ცხოვრებაში, საგნების ნებისმიერ გრძნობადობაში,

ყოველგვარ მოქმედებასა და რეაგირებაში სპონტანურ "შეფასებამდეც" კი, რომელიც ახლავს ყოველ განცდას.

როგორც ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, სიბრძნე ავითარებს ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა სათნოება, სიყვარული, სიმართლე, ჭეშმარიტება, მადლი, მოწყალება. ილია მიანიშნებდა იმ დიდი ღირებულების შესახებ, რასაც ჰქვია ობიექტური რეალობის შესაცნობად მეცნიერებასა და რელიგიას საუკეთესო, განუყრელ ერთიან საშუალებად მიიჩნევა. მეცნიერებისა და სარწმუნოების ერთმანეთში მორიგებას ასეთი დიდი მნიშვნელობა იმიტომ აქვს, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება ვეზიაროთ ჭეშმარიტ სიბრძნეს. გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრების დედააზრად, მის მთავარ ღირებულებებად მიაცნდა `კაცთათვის მსახურება~. სიბრძნსთან ერთად ილია გამოკვეთს გაბრიელ ეპისკოპოსის კიდევ ორ ღირსეულ თვისებას – ორ ღირებულებას – საკუთარი ერის ცხოვრებით, მისი ტკივილებითა და სიხარულით ცხოვრებისა და მშობლიური ენით მოციქულობასა და ამ ენის ქომაგობას.

ღირებულებათა გარეშე ჩვენს ცხოვრებაში არც არაფერი არსებობს, არც იწერება, არც იქმნება. მის შინაარსს სრულყოფილად ვერ გაიგებ, თუ არ გაირკვა რა მთავარ აზრს შეიცავს მისი ცნება. ჩვენი აზროვნების უმთავრესი ფასეულობითი კონტექსტები სწორედ ამ ტერმინით გადმოცემულ შინაარსში აისახება, რომელიც ცალკეული სიტყვის ღირებულებით დატვირთვას გვიხსნის.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, ქვეყნის წინსვლა ეროვნული ეკონომიკური ღირებულებების გარეშე წარმოუდგენელიც არის და მიზანშეუწონელიც. უმთავრესი ჩვენთვის ის უნდა იყოს, რომლის გარეშეც „ჩვენ", „ჩვენ", არ ვიქნებოდით. ასეთებად ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა მამული, ენა და სარწმუნოება, რომლებსაც `სამ ღვთაებრივ საუნჯეს~ უწოდებდა. იგი აღნიშნავდა: `სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?~ [17, გვ. 26-27]. ილია ჭავჭავაძე ქვეყნის წინსვლისათვის ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევდა სწავლას და განათლებას. ამ ღირებულებებს იგი განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა და სწორედ ამას მიიჩნევდა დავით აღმაშენებლისა და თამარ დედოფლის ხანის საქართველოს წარმატების უმთავრეს საფუძვლად. ილიას მიაჩნდა, რომ საუკუნეთა განმავლობაში თავისუფლე¬ბისათვის მებრძოლ ქართველ ხალხს `...თუ შიგა-და შიგ, ჭრელად, რამდენიმე წელიწადი მოსვენება შეხვედრია, მაშინვე ის მოსვენების დრო შეუწირავს სწავლისა და განათლებისათვის. დავით აღმაშენებლისა და თამარ დედოფლის მეფობა ამ შემთხვევაში მეტად სანუგეშო მაგალითებს წარმოგვიდგენს...~ [18, გვ. 321]. თავის მნიშვნელობას დღესაც არ კარგავს ის პრინციპები და უმთავრესი ღირებულებები, რომელთა განხორციელების შედეგადაც შეიძლება მივაღწიოთ წინსვლას. ამ პრინციპებს შორის აღსანიშნავია: ერთიანობა, თავისუფლებისათვის შეუპოვრობა, აღმშენებლობა, რეფორმები.

ილია ჭავჭავაძის ლიბერტარიანული ეკონომიკური ფილოსოფია ერის ფუნდამენტური, მატერიალური ინტერესების ხორცშესხმას ემსახურება. მისი ხედვა ეფუძნება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა: კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, პიროვნების თავისუფლების დაცვა, პლურალიზმი, ჰუმანიზმი, დემოკრატიზმი, საბაზრო ეკონომიკა, მეწარმეობის თავისუფლება, მთავრობის ლიბერალური ჩარევა, ლიბერალური გადასახადები, კონკურენცია, საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია, გახსნილი ეკონომიკა, თავისუფალი ვაჭრობა, სამართლიანი რეფორმები. ეს გზა "ეკონომიკური ბედნიერების" მიღწევის საშუალებად მიაჩნდა.

აღსაშნავია, რომ აშშ კონსტიტუციით ყველაზე მთავარ ღირებულებებად გამოცხადებულია სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება. არავითარი ღირებულება არ არსებობს `თავისუფლების~ გარეშე. `თავისუფლება~ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება პირობებს არ კარნახობს და თავის ნებას არ ახვევს ხალხს. ხელისუფლება ხალხის მოთხოვნებს და საჭიროებებს უნდა პასუხობდეს. თავისუფლება არის იქ, სადაც ხალხს შეუძლია შეცვალოს ლიდერი, თუ ის არ მოსწონს. თავისუფლება უნივერსალურია, ანუ ის არის საზოგადო, ყოვლისმომცველი, საყოველთაო. თუ ადამიანებს შანსი მიეცემათ, ისინი აუცილებლად აირჩევენ მას. თავისუფლებისათვის უნდა ვიბრძოლოთ. ეს ბრძოლა კი აუცილებლად უნდა იყოს მშვიდობიანი. მხოლოდ ასე შეიძლება მივაღწიოთ იმას, რომ ხალხი თვითმმართველობაზე გადავიდეს. თავისუფლება_ შესაძლებლობა, მოიქცე ისე, როგორც გსურს.

ადამიანთა საყოველთაო კეთილდღეობის მისაღწევად ილია პრიორიტეტულად თვლიდა „თავისუფლებას". სწორედ თავისუფლება დაუსახა მიზნად ილიამ ქართველ ერს თავის სამოქმედო პროგრამაში „მგზავრის წერილებში", რადგან ღრმად ოყო დარწმუნებული მოხევე ლელთ ღუნიას სიტყვებში: „ადრიდა ავად თუ კარგად

ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ“. თავისუფლებაში ხედავდა ილია ყოველი ადამიანის ბედნიერების მიღწევის გზას. ჭეშმარიტი თავისუფლების მისაღწევად კი, ილიას მნიშვნელოვნად მიაჩნდა ევროპული გამოცდილება, ევროპულ ღირებულებებზე ორიენტაცია. ეს მიმართულება საცნაურად გამოხატა ილიამ 24 წლის ასაკში. აქ საკმარისია გავიხსენოთ პეტერბურგიდან სამშობლოში, მომავალი ილიას საუბარი ევროპელ ფრანგთან, რომელსაც „ვლადიკავკასში“ შეხვდა.

„როცა ავიბარგე, ესე იგი ჩემი ერთადერთი ბოხჩის ოდენა ტყავის ხურჯინი ჩავაგდე პოვოსკაში, მივუბრუნდი ჩემს ახლად გაცნობილს ფრანსიელს გამოსასალმებლად.

- ეგ ეტლი ვისი მოგონილია? - მკითხა მან და მიმიშვირა ხელი ფოშტის პოვოსკაზედ, რომელზედაც ჯერ არგამოფხიზლებული „იამშჩიკი“ უგემურად სთვლემდა.

- რუსისა, - ვუპასუხე მე.

- მგონი, არა ხალხი მაგაში არ შეეცილოს. მებრალებით, რომ თქვენ იძულებული ხართ მაგას გაალაყებინოთ ტვინი და გაადღვებინოთ გულ-მუცელი.

- არა უშავს-რა. მთელი რუსეთი მაგით დადის და მე რა ღმერთი გამიწყრება, რომ დამიშავდეს რამე.

- მაგით დადის?! იმიტომაც შორს არის წასული!.. ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ. მე კი, სწრედ გითხრათ, თავს ვერ გამოვიმეტებდი, რომ მაგაში ჩავმჯდარიყავ. მშვიდობით! თუ შევხვდეთ ერთმანეთს კიდევ როდისმე, გთხოვთ მიცნობდეთ.

ამ სიტყვებზედ მომაწოდა ხელი გამოსასალმებლად და ისე მჭიდროდ მომიჭირა ხელი, როგორც მარტო ევროპელმა იცის ხოლმე.“

ილია ჭავჭავაძე ყოველ ადამიანს იმით აფასებდა, თუ რა ღირებულებების მატარებელია ეს ადამიანი და საკუთარ თავსაც ამ საზომით უდგებოდა. თავის სიტყვაში, რომელიც წარმოთქვა გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს. ილია მნიშვნელოვნად მიიჩნევდა იმას, რომ გაბრიელ ეპისკოპოსის მოწვაწეობის სიმბოლო იყო „კათთათვის მსახურება“, ყოველი ადამიანის კეთილდღეობისთვის ზრუნვა. ილია ეპისკოპოსის შესახებ აღნიშნავდა:

„დიაღ, ბატონებო, დღეს სამუდამოდ ვეთხოვებით იმისთანა დიდბუნებოვანს კაცს, რომელსაც ღმერთი მოუვლენს ხოლმე ამ ცოდვილს ქვეყანას, რომ ადამიანმა მისის მიხედვით და მაგალითით შეიძლოს საკუთარის ზნისა და ხასიათის გაწრთვნა და განმტკიცება.

თვითოეული წამი მისის ცხოვრებისა _ მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისათვის. ერთად კი მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალსათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მადლისა და მოწყალებისა.“

„ქვეყანა, ბატონებო, სავსეა ხილულითა და არახილულითა ადამიანის სულიერ და ხორციელ თვალისათვის. ერთის ბრძნისა არ იყოს, “ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ, და ზოგი კი იმისთანა, თუ არ ირწმუნე ვერ დაინახავ.

ამ ორს სამფლობელოთა შორის შემაერთებელს ხიდსა სწნავს მარტო სიბრძნე, რომელიც ასე იშვიათია ამ წუთისოფელში, რომლითაც ასე სავსე იყო განსვენებული მღვდელმთავარი და რომელიც, ჩემის ფიქრით, სხვა არა არის რა, გარდა მეცნიერების და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერად მორიგებისა, ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად.

მთელი მოძღვრება აწ განსვენებულის სახელოვანის მღვდელმთავრისა რომ აიღოთ, ძნელად იპოვით მაგალითს, რომ მეცნიერება გაეწიროს სარწმუნოებისათვის, ან სარწმუნოება მეცნიერებისათვის. პირიქით, იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა, თუ ასე ითქმის, და მთელი სიბრძნე მისი ამაშია გამოსახული.“

„იგი ერთს თავისს ქადაგებაში სთხოვდა თავისს სამწყსოს, რომელიც ყოველთვის სულგაკმენდით უსმენდა ხოლმე, ევედრენით ღმერთს, რომ მომცეს მე ძალა ჯეროვანად ვემსახურო ეკკლესიასა, ესე იგი, თქვენს ცხოვრებასაო, ეს იყო მისი განათლებული რწმენა, ეს იყო მისი გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერება, ეს იყო ის, რასაც სიბრძნეს ეძახიან და რის გარედ მსახურება თვისი მსახურებად არ მიაჩნდა, ღვაწლი _ ღვაწლად, მადლი _ მადლად, საქმე _ საქმედ. არ არის არც ერთი მაგალითი, რომ სადმე და რაშიმე ესუსტნოს ამ რწმენისათვის, პირიქით, თვისი ხანგრძლივი სამსახური მარტო ამ რწმენას შესწირა და შეალია. კაცთათვის მსახურება მსახურებაა ღვთისაო, _ ამას მარტო ღრმადმეცნიერული სარწმუნოება იტყვის და ამისთანა სარწმუნოებისა იყო იგი, ვისიც სიბრძნე მარტო ჩვენ არ გვანცვიფრებს.

სიბრძნესთან ერთად ორი სიკეთე კიდევ ჰქონდა მიმადლებული ღვთისაგან. ერთი ისა, რომ იგი იყო შვილი, სისხლი და ხორცი ამა ერისა, და, მაშასადამე, იცოდა რა ტკივილით იმტკივნეულოს, რა სიხარულით ინუგეშოს, და მეორე ისა, რომ მოციქულობდა ჩვენის სამშობლო სიტყვითა, იმ ენითა, რომლითაც დღესაც ვადიდებთ ღმერთსა, ვპატრონობთ ქვეყანასა და სულსა და გულს ვაწვდით ერთმანეთსა საუკუნიდამ საუკუნემდე.

ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲘᲚᲘᲐ

ღმერთმაც ვერ გაგზავნა მოციქულნი სხვა ქვეყნად, ვიდრე არ მოუვლინა ცოდნა იმ ქვეყნის ენისაო, _ ამბობდა განსვენებული და ამიტომაც იგი ქრისტეს ჯვარით ხელში თავგამეტებით იდგა ჩვენის ენის მწედ და მფარველად.

დიდხანს და დიდხანს იქნებიან საქმენი მისნი ჩვენდა საოხად, სიტყვანი მისნი ჩვენდა ანდერძად და სახელის ხსენება მისი ჩვენდა საწვრთნელად. ყოველივე ეს დიდხანს კიდევ ისაქმებს ჩვენში. “

ილია არგუმენტირებულად ასაბუთებდა, რომ ადამიანთა კეთილდღეობას ორი მთავარი მდგენელი განაპირობებს. ერთია მატერიალური მხარე, ანუ ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობები და მეორე იდეალური, ის ღირებულებანი, რომლითაც რეალური ცხოვრება არის გამსჭვალული. მათ შორის უპირველესი, განმსაზღვრელი არის ღირებულებები. ადამიანი, უფრო ბედნიერი და კმაყოფილი ისეთ საზოგადოებაშია სადაც მისი უფლებები არის დაცული. შეიძლება გავიხსენოთ ორი ისტორიული მომენტი მრავალთაგან, რომლებიც კარგად აქვს ჩამოყალიბებული ილია ჭავჭავაძეს. ილია აღნიშნავდა, რომ რაც უნდა მეტი ეკონომიკური რესურსები ჰქონდეს ქვეყანას ბოძებული, ხალხთა კეთილდღეობისათვის მარტო ეს საკმარისი არ არის. 18771881 წლებში დაწერილ ნაშრომში “ცხოვრება და კანონი,” ი. ჭავჭავაძე აღნიშნავდა: “ბუნებამ, რაც უნდა სიმდიდრით მორთოს რომელიმე მხარე, ანუ ქვეყანა, რაც უნდა მრთელი ჰავა მისცეს ადამიანს საცხოვრებლად და ნაყოფიერი მიწა საზრდოებისათვის, მაინცდამაინც ხალხთა კეთილ დღეობას სხვა მხრითაც ხელის შეწყობა სდომებია. კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილებისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის, ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერობაზედ”. [12, გვ.7].

აღნიშნულის დასაბუთებისათვის, ი. ჭავჭავაძე ერთმანეთს ადარებს შოტლანდიელისა და სპარსელის ცხოვრებას და არკვევს რომელია უფრო ბედნიერი და კმაყოფილი. ასეთი კი იმ ქვეყნის მცხოვრებია, სადაც ადამიანი არის თავმომწონე, გამბედავი, თავისუფალი, მედგარი, გულდაგული კაცი. იქ კი, სადაც, არაა თავისუფლება, ცხოვრება გაუფასურებულია, გაბატონებულია უარყოფითი ღირებულებანი და ადამიანი არის გულჩათუთქული, ილაჯგაწყვეტილი, მფრთხალი, გათელილი, სასოწარკვეთილი, შეშინებული, ასეთი ადამიანი არის წარუმატებელი. როგორც ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, აღნიშნულის მთავარი მიზეზი “ის არის, რომ ბედნიერმა შოტლანდიელმა იცის “ჩემი აქ თავდებაო და სხვისა აქ იწყებაო”, უბედურს სპარსელს კი არც თავისი გაეგება და არც სხვისა.

რაც სხვისაა, ჩემი მოვალეობაა, რაც ჩემია, ეგ ჩემი უფლებაა.

უფლება და მოვალეობა.... არიან პირველნი და უკანასკნელნი საგანნი ურთიერთშორის განწყობილებისა...” [12, გვ.8].

აქედან კარგად ჩანს, რომ მთავარი რეალურ ცხოვრებაში, მისი განმსაზღვრელი არის ღირებულება. ილია ასაბუთებს, რომ საყოველთაო ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად, ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება არის საკუთრება. და არკვევს კერძო საკუთრების მნიშვნელობას.

1847 წელს ირლანდიაში “დიდი შიმშილი” დაიწყო. შემდგომი სამი წელიც ზედიზედ საშინლად მოუსავლიანი იყო. 1847 წლიდან 1861 წლამდე კარტოფილის მოსავალი ვეღარ მოშენდა, სისტემატურად იკლებდა. ამ ხანებში მრავალი ხალხი შიმშილით გაწყდა, მარტო 1847 წელს ნახევარი მილიონი ადამიანი შიმშილით დაიღუპა. ამის მთავარი მიზეზი იყო ინგლისის მიერ ირლანდიაში შემოტანილი არისტოკრატული წესი მიწათმფლობელობისა, რომელმაც გლეხობა უმამულოდ, ცარიელი დატოვა. 18411861 წლებში ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად თითქმის 2,4 მილიონი ირლანდიელი. დაეპატრონნენ რა “აუარებელ ტიტველა მინდვრებს”, მათ მიწათმოქმედების ისეთი უნარი გამოავლინეს, რომ ამერიკისთვისაც დიდი სარგებელი მოჰქონდათ და ირლანდიაში დარჩენილ თავის ნათესავებსაც არსებობის სახსარი მოაშველეს. ამ ისტორიული მაგალითით ნათლად დასტურდება როგორი უსუსურია უმამულო, საკუთრებას მოკლებული ხალხი და რამდენად ბევრის შემძლეა ხალხი, რომელსაც ამ შემთხვევაში მიწის, მამულის სახით თავისი საკუთრება ხელთ უპყრია. მოჰყავდა რა აღნიშნული ეპიზოდი, ნაშრომში “ირლანდია და ინგლისი,” ი. ჭავჭავაძე აღნიშნავდა: „17 წლის განმავლობაში ამერიკაში გადასახლებულთ ირლანდიელთ თავის ნათესავებს, ირლანდიაში დარჩენილებს, მოაშველეს სამას ოცდახუთი მილიონი ფრანკი. ორ წელიწადში 18521854 წ. ას თოთხმეტი მილიონი გამოუგზავნეს. თუ ირლანდიელი მართლა ხასიათ დაცემულია, ავის თვისების კაცია, ლოთი, მცონარე, უმეცარი გაუფრთხილებელი ბედოვლათია, საიდამ

შეაგროვა ამოდენა სიმდიდრე ამერიკაში, რომ არა მცთუ თვითონ გამოიკვება და ირჩინა თავი, არამედ ამოდენა უშველებელი ფული თავის გაჭირვებულ მოძმეთ მოაშველა შორიდამ, მერე ვინა? გახიზნულმა კაცმა, თავის ბინიდამ, სამშობლოდამ აყრილმა და უცხო ქვეყანაში ახლად დაშენებულმა. ეს მაგალითები უტყუარი საბუთია მისი, თუ რა ძალი ჰქონებია ხალხს, ოდეს მამული ხელთ უპყრია, და რა უღონო, უძლური, მშიერ-მწყურვალი ყოფილა, როცა სიკეთე ხელიდამ გამოსცლია." [19, გვ. 35].

აქედან კარგად ჩანს, რომ მთავარი რეალურ ცხოვრებაში, მისი განმსაზღვრელი არის ღირებულება. ილია ასაბუთებს, რომ საყოველთაო ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად, ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება არის საკუთრება. ილია ისტორიული მაგალითებით ასაბუთებდა, რომ კერძო საკუთრების უფლების განხორციელება არის ძალზედ მნიშვნელოვანი, ხალხის გაძლიერების, სიკეთისა და ბედნიერების მომტანი ღირებულება. ამიტომ იყო, რომ 1905 წელს, ილია აღნიშნავდა: "კერძო საკუთრება ქვაკუთხედად უდევს მთელს სახელმწიფურს და საზოგადოებურ წყობას, მთელს ცხოვრებას დაწინაურებულ ქვეყნებისას მთელ დედამიწის ზურგზე". [20, გვ. 279-280].

ეს სიტყვები შესანიშნავად ეხმიანება ცნობილი ლიბერტარიანელის, რიჩარდ პაიპსის მიერ ნათვამს: "მაშინ, როცა შესაძლებელია საკუთრების ამა თუ იმ ფორმის არსებობა თავისუფლების გარეშე, თავისუფლების არსებობა საკუთრების გარეშე სრულად წარმოუდგენელია" (რიჩარდ პაიპსი. საკუთრება და თავისუფლება. რედაქტორები: არმაზ ახვლედიანი, მიხეილ ნიშნიანიძე, გამომცემლობა "დიოგენე" თბილისი, 2004 გვ.15).

ილიას მიაჩნდა, რომ საკუთრების გამიჯვნა საზოგადოების აუცილებელი პირობაა. ამ საკითხს განსაკუთრებული აქტიურობით აყენებდა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, რადგან ამ რეფორმამ ბევრი პრობლემა წარმოშვა. ამ პრობლემების განხილვისას ილიას მოჰყავდა არგუმენტები ეკონომიკური კეთილდღეობისათვის კეძო საკუთრების პრიორიტეტული მნიშვნელობის შესახებ. ილია აღნიშნავდა: „1864 წ. მოხდა ჩვენში ყმების განთავისუფლება. მოისპო ჩვენში ერთისაგან მეორის ადამიანობის გაქელვის მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს....ერთს ჩამოაცალეს ის, რაც სიმართლის შეურაცხყოფა იყო, მეორეს დაუბრუნეს ის, რაც უმართლოდ წართმეული ჰქონდა. ამ მხრით ორთა-შუა ხელის მოსაკიდებელი და სადავიდარაბო არა დარჩენილა რა, ჩემსას და შენსას ამ მხრით მათ შორის ადგილი აღარ ჰქონდა. მაშასადამე, აქ საჭირო არ იყო განსაზღვრა უფლებებისა და მოვალეობისა. ხოლო ბატონ-ყმობის საქმეში არის მეორე მხარეც, რომელსაც ქვეყნის კეთილღეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. განთავისუფლებულ გლეხს დაბინავება უნდოდა. უამისოდ გლეხის განთავიცუფლება იმას ეგვანებოდა, რომ კაცისათვის გეთქვა: წადი, ეხლა თავისუფალი ხარ, რომ შიმშილით მოკვდეო."[12, გვ. 9]. ილია წუხდა, რომ მართალია „გლეხს ბინა მიეცა, მიწა მიეცა" , მაგრამ „ მიწა საბატონოდ აღიარეს და გლეხს სახმარისად დაუტოვეს." ვიდრე მას გამოისყიდდა, გლეხს ყოფილი ბატონისთვის მოსავლის მეოთხედი უნდა ეხადა. ეს გზა ილიას არ მოსწონდა, რადგან არგუმენტირებულად მიაჩნდა, რომ „მებატონეს მაშინვე მიეყიდნა გლეხისათვის მამული და მთავრობას გლეხისათვის ამაში ხელი გაემართა, ან არა და გადასახადი მოჭრით განესაზღვრათ, გადაეკვეთათ."[12, გვ. 9-10]. „მეოთხედობა" ყველანაირად აფერხებდა მიწაზე სრული საკუთრების აღიარებას.

ილია ჭავჭავაძემ 1897 წლის 31 დეკემბერს გამოაქვეყნა გამოკვლევა, რომელშიც ქართველი ხალხის მიერ ორი ათასი წლის მანძილზე განუწყვეტელი ბრძოლების, ომებისა და სისხლის ღვრის შედეგად განვლილი გზა შეაჯამა და გამოთქვა ჰიპოთეზა, საქართველოს გადარჩენის სიკეთეების შესახებ. ილიამ ახსნა, ქართველი ერი იმან გადაარჩინა, რომ მის ცხოვრებაში, ჭეშმარიტ პატრიოტიზმს მუდამ თან ახლდა ნამდვილი პროფესიონალიზმი. [7]. Aასევე მმიშვნელოვანია ძველი საქართველოს ეკონომიკური ორგანიზაციის სიკეთე. Mმიწა და სხვა რესურსები ისე სამართლიანად მორიგებული ყოფილა, რომ უმამულო, უბინაო კაცი ქვეყანაში არ მოიძებნებოდა. Yყველას თანაბარი პირობები ჰქონა შექმნილი მიწათმოქმედებისა და საზრდოობისათვის. მიღწეული იყო ოპტიმალური თანაფარდობა საკომლო და სამსოფლო, კერძო და საზოგადო ინტერესების დაკმაყოფილებისთვის. მეურნეობას ისე უძღვებოდნენ, რომ რესურსებიდან მიღებული სარგებლობის განაწილებისას დაცული იყო სიცოცხლისა და ადამიანის სხვა ძირითადი უფლებები. . [8]. მნიშვნელოვანია "ხიზნობის" ინსტიტუტი. ილია აღნიშნავდა: "ხიზნობა იმისთანა მიწათ-მფლობელობაა, რომელიც არც საკუთრებაა, არც იჯარა და ერთისა და მეორის შუა კი დგას, როგორცგანსაკუთრებული,ერთგვარი,თავისებური სახე მიწათმფლობელობისა". [9]. ასეთ დროს, მიწის დამქირავებლებს შეეძლოთ მიწა ჰქონოდათ თავის სარგებლობაში და მფლობელობაში სამუდამოდ,

ასევე გადაეცათ თავისი შთამომავლებისთვის, თუმცა, მისი გაყიდვის უფლება მათ არ ჰქონდათ. ასეთი მიდგომა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მას შეუძლა სარგებლობა მოიუტანოს ქვეყანას, რათა თავისი რესურსები ხალხს მოახმაროს უკლებლივ და სრულად.

ილია უარყოფითად აფასებდა საკუთრების ხელყოფის ნებისმიერ გამოვლინებას, რა მიზეზითაც არ უნდა მომხდარიყო ეს, რადგან სხვისი ქონების მიტაცებით ვერც თავისუფლებას დავიცავთ და ვერც სამართლიანი საზოგადოებას ავაშენებთ. "როცა კაცს სხვა საბუთი არ მიუძღვის იმის გარდა, რომ მე ცოტა მაქვს და შენ ბევრი, ამიტომ შენ უნდა წაგერთვას და მე მომერთვასო, აბა, უკიდურეს სიღატაკიდან უდიდეს სიმდიდრემდე რამდენი კიბეა, რამდენი საფეხურია, რამდენი ერთმანეთზე მეტია და მოდით და გაარჩიეთ, რომელმა რომელი უნდა სწეწოს და ჰგლიჯოს მთელ ამ მანძილზე". [20, გვ. 280].

საბაზრო ეკონომიკა, მეწარმეობის თავისუფლება, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობა, დაბალი გადასახადები, კონკურენცია ილიას საყოველთაო კეთილდღეობის, ყოველი ადამიანის ბედნიერების მიღწევის პინციპად მიაჩნდა. ეკონომიკური თავისუფლების, დაბალი გადასახადების მნიშვნელობა ილიას კარგად აქვა ნაჩვენები ნაშრომში „ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი".

ილია აღნიშნავდა, რომ ერთაშორისი დაუნდობლობა, ომი და სისხლის ღვრა კაცობრიობის ბედნიერებისა და კეთილდღეობის სულის შემხუთავი და დამღუპავია. იმისდა მიუხედავად, მთელი ევროპა მუდამ იმასა ცდილობს, რომ საომრად მოემზადოს; ამ განზრახვით ევროპის სახელმწიფონი არავითარს ხარჯსა და საშუალებას არა ჰზოგავენ მხოლოდ იმიტომ, რომ აუარებელი ჯარი იყოლიონ. ამით კი, ევროპის ბევრი სახელმწიფო „თავს იღარიბებს და იღატაკებს" ილია აღნიშნავს: ამჟამად ევროპას თექვსმეტ მილიონამდე ჯარისკაცი ჰყავს. ამ მოკლე ხანში ოც მილიონამდე შეისრულებს. ერთის სიტყვით, მთელს ევროპას თოფ-იარაღის ქვეშ ჰყავს ერთი მერვედი მთელის მუშა, მწარმოებელი ხალხისა. ეს ერთი მერვედი წლიდგან წლამდე არაფერს აკეთებს, მხოლოდ სამხედრო ხელობაში ვარჯიშობს და თავის თანაოძმეთა ნაშრომიითა და ნაღვაწით იკვებება. საფრანგეთი, რომელსაც ოთხ მილიონამდე ჯარისკაცი ჰყავს, ჯარსა და ფლოტს ანდომებს წელიწადში 900 მილიონ ფრანკზე მეტს. ეს ფული ყველა მკვიდრე რომ გავანაწილოთ, გამოვა, რომ თითო მკვიდრი ჯარისა და ფლოტის შესანახად ხდის წელიწადში 24 ფრანკსა და ნახევარს. ინგლისის თითო მკვიდრი იხდის წელიწადში 21 ფრანკს, და გერმანიისა 12 ½–ს.

შემდეგ ილიას შედარებისთვის მოჰყავს ჩრდილოეთ ამერიკის მონაცემები და აღნიშნავს: „ეხლა ვნახოთ, რამდენი ჯარი ჰყავს ჩრდილო ამერიკის შტატებს და რამდენი ეხარჯება. ამ შტატებს ჰყავს მხოლოდ 27 000 ჯარისკაცი. ამ მცირე ჯარის შესანახად თითო მკვიდრი წელიწადში იხდის 4 ½ ფრანკს".

სწორედ ეს მიაჩნია ილიას ამერიკის ვაჭრობისა და მრეწველობის დაწინაურების მიზეზად და აღნიშნავს: „როგორც ჰხედავთ, ამერიკის მხედრობა ბევრად ჩამორჩება ევროპისას. სამაგიეროდ ერის სიმდიდრე და კეთილდღეობა ამერიკის შტატებისა იმდენად სჯობნის ევროპისას, რომ ვაჭრობასა და მრეწველობაში შტატები წარმატებულნი არიან ევროპაზედ... შტატები თანდათან იხდიამ სახელმწიფო ვალებს, ევროპის სახელმმწიფონი–კი თანდათან ვალებში სცვივიან".

ამით ამერიკა წარმატებით ისწრაფვის მსოფლიოში ეკონომიკური პირველობის მისაღწევად როგორც ილია აღნიშნავდა, ამერიკა წარმატებით ისწრაფვის გადაწყვიტოს,

„შეერთდნენ ამერიკის სახელმწიფონი ისე, რომ არც ერთი სახელმწიფო ამერიკისა არ დაიჩაგროს, რომ სახელმწიფოებმა ყოველივე შფოთი, უსიამოვნება და ანგარიში მორიგებითა და მშვიდობიანად გაათავონ ხოლმე. უეჭველია, რომ რაკი ამერიკის სახელლმწიფონი ძმურად მორიგდებიან, მხედრობით გატაცებულს ევროპას კიდევ უფრო დასცემს ეკონომიურად და მსოფლიო მეთაურობასაც დაიმკვიდრებს ამერიკა".

ილია მნიშვნელოვნად მიიჩნევდა უილიამ პეტის, ადამ სმითის, ჯ. სტიუარტ მილის, რიკარდოს, სისმონდის, ფრენსის ბეკონის, ჰ. სპენსერის, შტამლერის, გუსტავ შმოლერის, კობდენის, ბრაიტის, რობერტ პილის, გლადსტონის, ბასტიას, ლებოკის, ტეილორის, ვებერის, ლენორმანის, სეიესის, ჰინქსის, კლაპორტის, შრადერის, უსლარის, ბროკის, ტალბოტის, გარნიეს, შევალიეს, პაჟეს, მაკკულოხის, მორდვინოვის და მსოფლიო სახელის მქონე ლიბერალური მიმართულების სხვა მეცნიერ-ეკონომისტების თეორიული მიდგომების გათვალისწინებას. სხვა ქვეყნების გამოცდილების საქართველოში განხორციელებას ადგილობრივი თავისებურებების მიხედვით უდგებოდა. ყველაფერს ადგილობრივი თავისებურებების, გარემო პირობების და დროის მიხედვით გამოვლენილი თავისებურებებიდან აფასებდა. ამ პრიორიტეტებს ეფუძნება ილიას ლიბერალიზმის

ქართული ნაირსახეობის იდეოლოგია, მისი დოქტრინა. ესაა ხედვა, ევროპის და სხვათა მოწინავე გამოცდილების დანერგვის შესახებ ისე, რომ არ დავკარგოთ ჩვენი ტრადიციები, ადათ-წესები, ჩვეულებები და ამასთან ერთად, სხვისი მოწინავე გამოცდილებაც გავითვალისწინოთ, ე.ი. მივაღწიოთ მის ოპტიმალურ სინთეზსს.

ილია ჭავჭავაძე აქტიურად სწავლობდა ცხოვრების ყველა სფეროს, ქმნიდა ჭეშმარიტ მსოფლმხედველობას, აყალიბებდა, უშუალოდ ერთვებოდა და სტიმულს აძლევდა საზოგადოებრივი ინსტიტუტების შექნასა და მართვაში, ხელს უწყობდა თითოეული ადამიანის აზრის გათვალისწინებას საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიზნების მისაღწევად. ილია ქართულ საზოგადოებაში ჭეშმარიტ ღირებულებებს ამკვიდრებდა. სწორედ მან, ჩამოაყალიბა ეკონომიკური ლიბერალიზმის მთავარი ღირებულებითი საფუძვლები, რომელთაგან უპირველესი არის შესაძლებლობების შექმნა თავისუფალი ეკონომიკური განვითარებისთვის. მეისნერის პროექტის განხილვის საფუძველზე ილიამ არგუმენტირებულად დაასაბუთა, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია კონკურენტული გარემოს შექმნა, საჭირო ინვესტიციების გამოძებნა. ხელისშემშლელია მონოპოლიების გაჩენა. [2]. საერთო ეკონომიკური კეთილდღეობას მნიშვნელოვნად აფერხებს კერძო საკუთრების დაუცველობა, ბიუროკრატიზმი, კორუფცია, ეკონომიკის არასათანადო რეფორმირება, პროფესიონალიზმის ნაკლებობა, ადგილობრივი თავისებურებების უგულებელყოფა. [12, 13, 14, 15].

ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ ქვეყანამ ისე უნდა გამოიყენოს თავისი აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობანი, მისი ეკონომიკის მდგრადობას საფრთხე არ დაემუქროს და ხალხისთვის, არსებობისთვის საჭირო სახსრები ადვილად და იაფად მოსაპოვებელი გახადოს. მნიშვნელოვანია სრულად გამოვავლინოთ და მაქსიმალური სარგებლიანობით გამოვიყენოთ ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი.

ილიამ არგუმენტირებულად გამოიკვლია „სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა» და დაასაბუთა, რომ ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის საყოველთაოდ განვრცობის პირობებში აბსოლუტური უპირატესობის, ანუ იმის წარმოების რაც სხვაზე ნაკლები ფაქტორების დანახარჯით შეგვიძლია და შეფარდებითი უპირატესობის, ანუ იმის წარმოების რაც სხვაზე ნაკლები ალტერნატიული დანახარჯით შეგვიძლია, ზომის ზუსტად მიგნება განვითარების მისაღწევად, მისი გონივრული, ერის საერთო ინტერესების კონტექსტში გადაწყვეტა, საზოგადოების ყველაზე პრიორიტეტული, სტრატეგიული ამოცანაა. [3]

ილია ჭავჭავაძემ სისტემურად დაამუშავა საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის წარმატების გზები და ისინი მსოფლიო კონტექსტში განიხილა. ილია მიუთითებდა, რომ მიწათმოქმედების, საფაბრიკო და საქარხნო წარმოების გასაძლიერებლად ჩვენ გვჭირდება დავაგროვოთ „საჭირო ცოდნა და გამოცდილება», აუცილებელია სხვამ არ დაგვასწროს და ჩვენ თვითონ დავიკავოთ ჩვენი ნიში, ანუ როგორც ილია უწოდებდა „მოცლილი და სხვისგან დაუჭერელი ადგილი». ეს არის მნიშვნელოვანი. XVII-XVIII საუკუნეებში და XIX 60-იან წლებამდე ეს სფერო საქართველოში საკმაოდ შეზღუდული იყო და ხალხი მხოლოდ წვრილმან მრეწველობას მისდევდა. საჭირო იყო აქტიურად ჩავრთულიყავით შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. ასეთი იყო საუკუნის მოთხოვნა. [4, 40].

ილიას ქვეყნის ეკონომიკური დაწინაურებისათვის მიზანშეწონილად მიიჩნევდა შრომის ნაყოფიერების გადიდებას და სოფლისმეურნეობრივი სპეციალიზაციის გონივრულ გაღრმავებას. mas მიაჩნდა, რომ საჭიროა ხელი მოვკიდოთ ჩვენი რეალური ეკონომიკის განვითარებას, ყველაფრის მოყვანას, რის მოცემაც შეუძლია ჩვენს მდიდარ ქვეყანას, რისთვისაც ჰავა და მიწა ხელს გვიმართავს. Mმხოლოდ ასე შეიძლება გამოვავლინოთ, მივაღწიოთ და დავინახოთ ჩვენი შედარებითი უპირატესობები. მხოლოდ ასე ვისწავლით ერთი და იმავე შრომით და ხარჯით ახლანდელზე ბევრად მეტი გამოვაღებინოთ მიწას, ვისწავლით სხვა უფრო ძვირფასი რამ მოსავალი მოვიყვანოთ იმისთანა, რომლის შეძლებასაც უხვად გვაძლევს საქართველოს ჰავა და მიწა, რომელსაც ყოველთვის მყდველი ჰყავს ჩვენთანაც და საზღვარგარეთაც. ილია ქვეყნის მდგრადი განვითარების მიღწევას აბსოლუტური და შედარებითი უპირატესობის ერთიანობის კანონის მოთხოვნების გამოყენებით მიიჩნევდა შესაძლებლად. სწორედ ეს მოგვცემს შესაძლებლობას, რომ ყოველგვარი საქონელი ვაწარმოოთ, რაც ქვეყანას შეუძლია, მივაღწიოთ ქვეყნის მდგრად განვითარებას, შევინარჩუნოთ მისი "თვითარსებობა" და ამასთან ერთად, მაქსიმალური ეფეტიანობით ჩავერთოთ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში.

ილია ასაბუთედა, რომ ქვეყნის პოტენციალიდან

გამომდინარე, შესაძლებელი და მიზანშეწონილი იყო პრიორიტეტული ყურადღება დაგვეთმო საქართველოში ჩაის, სორგოს, ალისარჩულის, აბრეშუმის, ბამბის, ყოველგვარი ხეხილის, ყურძნის კულტურების, ასევე ღვინის, თითქმის ყოველგვარ საზეთე, სამღებრო და საფთიაქო მცენარეების განვითარების ხელსარელი პირობების შექმნისთვის, რადგან „ჩვენის ქვეყნის ბუნება ნებას გვაძლევს უფრო ძვირფასი ჭირნახული მოვიყვანოთ იმავე შრომით, გარჯით, იმავე ჰავითა და მიწით» [5, 64-65].

მაგალითად მოჰყავდა ბელგიის, ინგლისის, გერმანიის, ჰოლანდიის, ამერიკის გამოცდილება. ყურადღება მიაქცია სოფლის მეურნეობის კომერციულ მხარეს, განვითარებისთვის საჭირო იაფი კრედიტის მოძიებას, ამხანაგობების მეშვეობით საქმის გაძღოლის მნიშვნელობას, სათანადო განათლების მიღების აუცილებლობას, დასავლეთ საქართველოს მიწების გაკულტურებას, აღმოსავლეთის მშრალი მიწების მორწყვას, მოსავლის მავნებლებისა და სტიქიური ზიანისგან დაცვას, მარცვლეული კულტურების მოყვანის საქმეს, მეცხოველეობის განვითარებას.

ილია ჭავჭავაძეს მნიშვნელოვნად მიაჩნდა საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია, ღია ეკონომიკა. ილია სათანაო პოსტულატებისა და არგუმენტების მეშვეობით ასაბუთებდა, რომ ერთი ქვეყნის ჭეშმარიტი სარგებლობა იმაზეა დამყარებული, რომ მეორეც, სხვებიც კარგად იყვნენ. ქვეყანა მით უფრო მეტ სარგებელს ნახავს თვითონ, რაც უფრო მეტ სიკეთეს მოუტანს სხვებს. აღსანიშნავია, რომ ილია თავისი დროის ყველაზე უფრო განვითარებული ქვეყნის, ინგლისის „სარგებლობას», მის „კარგად ყოფნას» დამოუკიდებლად, ცალკე აღებულად კი არ განიხილავს, არამედ რეგიონულ, გლობალურ კონტექსტში. ასევე უდგება იგი საქართველოსაც, რომელსაც ილია ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ კარად განიხილავს, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ყოველთვის საჭირონი ვართ აზიასა და ევროპას შორის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განსამტკიცებლად. [6, 242].

ილიას ეკონომიკური წარმატების ერთ-ერთ აუცილებელ გზად ილიას მიაჩნდა ეკონომიკის გახსნილობა (ღია ეკონომიკა), სხვა ქვეყნებთან საგარეო ეკონომიკური კავშირების დამყარება. ილია აღნიშნავდა: „სხვა ხალხებთან კარგი ურთიერთობების გარეშე საქართველოს ხსნის გზა არ არსებობს.“ საფუძვლიანად მიიჩნევდა, რომ საერთაშორისო და საშინაო ვაჭრობა მოითხოვს მშვიდობიან, იაფ, სწრაფ გზას და თვლიდა, რომ ეკონომიკაში ყოველგვარი წარმატების საფუძველი არის მხოლოდ იაფი და მაღალხარისხიანი საქონლის წარმოება. [5, 62-63].

ილიას კონცეფციის მიხედვით, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მდიდარი ადამიანური, ბუნებრივი და წიაღისეული რესურსების, კლიმატის, ჰავის, წყლის რესურსების ათვისება, კარგი სამიმოსვლო გზების განვითარება, ბაქო-ბათუმის რკინიგზის ეფექტიანი გამოყენება, ტრანსპორტის ყველა სახეობის განვითარება, ბაქოდან შავ ზღვამდე მილსადენი ტრანსპორტის გაყვანა და კავკასიის ნავთობის დიდი საბადოების ეფექტიანი ათვისება, ღვინის და სხვა აგრარული პროდუქტების მსოფლიო ბაზრებზე გატანისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

ილია ჭავჭავაძის კონცეფციის მიხედვით, საზოგადოების მთავარი მიზანია „ყოველი ადამიანის ბედნიერება». [10, 326; 11, 373]. ილია თვლიდა, რომ ადამიანის მოვალეობაა, მოქმედების მთავარ პრინციპად დავისახოთ უწყვეტი თვითშეფასების წესი იმის შესახებ, რათა ჩვენი საქმიანობით სარგებლობა მოგვქონდეს თითოეული ინდივიდისა და მთელი საზოგადოებისთვის. ჩვენ საჭირონი ვართ არა მარტო ჩვენთვის, არამედ სხვებისთვისაც.

ილია ჭავჭავაძემ საუკუნენახევრის წინ აუღო ალღო ქართული და ევროპული სულიერების ნათესაობას. ილიას მიაჩნდა, რომ სიკეთეს, რომლის მიღებაც ჩვენს ერს მრავალი სიკეთის მიღება შეუძლია ისეთი მოწინავე ევროპული ღირებულებების ოპტიმალური გაზიარებით, როგორიცაა: პიროვნების თავისუფლება, ადამიანური ღირსება, კანონის უზენაესობა, ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობა. ევროპული ღირებულებებიდან, რომელთა განხორციელებითაც ევროპელები დაწინაურდნენ, ილია ასახელებდა ქვეყნისათვის მსახურებას, ყოველთვის ერის ინტერესების წინა პლანზე წამოწევას, ადამიანის უფლებების და მისი ღირსების დაცვას, სხვათა დადებითი გამოცდილების უეჭველ გათვალისწინებას. ილიას მიაჩნდა, რომ ეს ღირებულებები უნივერსალური ხასიათისაა და ყველასათვის არის მისაღები, რადგან საშუალებას გვაძლევს პროგრესი შეუქცევადი გავხადოთ. ეს არის არა გაუმართლებელი ექსპერიმენტების, არამედ ცივილიზებული გამოცდილების, „ევროპიული მეცნიერების,» როგორც “საზომის” ან “საწყაოს”, სტანდარტის შესწავლის და მომარჯვების გზა, რომელიც სხვაგან უკვე გამოცდილი და გამოყენებულია. ილია აღნიშნავდა: „აი საგანი და აი გზაც მისდა მისაღწევად. ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა,

რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება, და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს. ამაზედ უკეთესს საგანს, ამაზედ უკეთესს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილს და გამოყენებულს, სხვას ვერას ვუჩვენებთ ჩვენს საიმედო ყმაწვილ-კაცობას. ეს საგანი და ეს გზა სახეში უნდა გვქონდეს. სხვა საწყაო ტყუილია და ამაო: სხვისი ბაძი იქნება და არა ჩვენის თავის საჭიროებაზედ გამოჭრილი“. [1, გვ. 468-469]. მთავარი აზრი ნათელია, საქართველოსთვის მთავარი მიზნის მიღწევის გზა „სხვისი ბაძი“ კი არა, არამედ „ჩვენის თავის საჭიროებაზედ გამოჭრილი“, ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული უნდა იყოს. ამის გარეშე, სხვისი გამოცდილების გადმოღება, უშედეგო იქნება.

ევროპული ღირებულებები გამოხატავენ ჩვენს სწრაფვას ყოველი ადამიანის კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით. ეს ღირებულებები მიგვანიშნებენ, როგორ მოვიპოვოთ საყოველთაო “დღეგრძელობა, კეთილდღეობა, ბედნიერება, სახელი და დიდება”. ვინაიდან, ჩვენ, ყველა ერთად და თითოეული ცალ-ცალკე, განუყოფელი ნაწილი ვართ მთელის ერისა, თითოეული ადამიანის ბედიერების მიღწევას უნდა ვეძებდეთ “მარტო მთელის ერის კეღილდღეობაში და არა ცალკე.” [11, გვ. 372-373]. მხოლოდ ასე შეიძლება “ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთს დიდებულ დენას შეერთებულის ძალისას”, და “სიკეთე ერთობისა და ყველასათვის სახეიროდ გაიშალოს”.

ილია ჭავჭავაძე “ივერიაში” აქვეყნებდა წერილებს ისეთი რუბრიკებით, როგორიცაა “შინაური მიმოხილვა”, “საპოლიტიკო მიმოხილვა” და სხვა. მან გააანალიზა ისეთ ღირებულებათა შინაარსი, როგორიც არის თავისუფლება, ქალთა უფლებები, ზნეობრივი სიწმინდე (მისი მნიშვნელობა ერის მერმისისათვის), განიხილა ინგლისში შექმნილ დამხმარე საზოგადოებათა სიკეთე, მიუთითა საერთაშორისო სასამართლოს შემოღების აუცილებლობაზე ქვეყნად მშვიდობის განსამტკიცებლად. საქართველოსთვის საგულისხმოა მისი მითითება, სახელმწიფოებრივი აზროვნების მნიშვნელობის შესახებ, რომ “საფრანგეთის ზნეობრივი ძალ-ღონე მამულის სიყვარულშია”.განსაკუთრებითამახვილებდადიდი ილია ყურადღებას იმაზე, რომ სამართლიანობის დაცვა, “კანონის წინაშე თანასწორობა საზოგადოების წესიერი აგებულების საფუძვლის ქვაკუთხედია”, რომ “ერის ჯანმრთელობა სახელმწიფოს ერთი უდიდესი საზრუნავია”, რომ არსებობს “ისეთი დაწესებულების საჭიროება, სადაც შესაძლებელი იქნება გართობა, გასაუბრება, დასვენება”, და ა.შ. ევროპული ღირებულებების განხორციელება ილიას მიაჩნდა მთელი ერისა და თითოეული ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის დაცვის, სიცოცხლის, თავისუფლების, საკუთრების, თანასწორობის დაცვის, ჰარმონიის მიღწევის, სახელმწიფოს უპირველეს საზრუნავად, მათი კეთილდღეობის გადაქცევის საშუალებად. საუბრობდა ქართული მწერლობის “ევროპეიზაციის” (ანუ ევროპულ ღირებულებებზე მისი ორიენტაციის) საჭიროებაზე.

მნიშვნელოვანია, რომ ილია ჭავჭავაძე ცხოვრების მოვლენებს ფარდობითობაში ანუ რელატივურობაში განიხილავდა. მისი მთავარი დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ ყველაფერს საკუთარი ქვეყნისადმი, მისი ადგილის (გეოსტრატეგიული მდგომარეობა), გარემო პირობების და ისტორიული ვითარების (დროის) ნიშნით, მასზე დამოკიდებულების მიხედვით იკვლევდა. მისი თეორია ეკონომიკურ ცხოვრებას წარმოგვიდგენს არა როგორც მოვლენათა, არამედ როგორც თანაფარდობის გაგებას (ახსნას), რომლის მიღწევაც ყველას კეთილღეობას დადებით შედეგებს მოუტანს. ილია სულ ამ თანაფარდობის დადგენის ძიებაშია:

არგუმენტირებულად ხსნის როგორია ოპტიმალური, ჭეშმარიტი თანაფარდობა, საკუთრების ორ უმთავრეს, კერძო და საზოგადო ფორმას შორის; ასბუთებს რომ საკუთრების ამ ორ ფორმას შორის ისეთი თანაფარდობაა უკეთესი, როდესაც შრომა არის თავისუფალი როგორც დროში, ასევე სივრცეში;

იკვლევს ზოგადკაცობრიული და ეროვნული ეკონომიკური იდეალების თანაფარდობას (საზომის, “საწყაოს”, “სტანდარტის” ჩამოყალიბებას). კრიტერიუმად მიიჩნევს “ზოგადსაკაცობრიულს”, რომელიც თავისი მნიშვნელობით, მსოფლიო ღირებულებამდე (ყველასთვის მნიშვნელოვანი, ერთნაირად სარგებლობის მომტანი) ამაღლებული “ეროვნული ღირებულებაა”;

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიზნით მნიშვნელოვნად მიიჩნევს ჭეშმარიტი ადგილობრივი მმართველობის დამკვიდრებას, ადგილობრივი სახელმწიფო მმართველობისა და თვითმმარათველობის ოპტიმალურ გამიჯვნას “ევროპული გამოცდილების” გათვალისწინებით;

ყურადღებას აქცევს საერთო ეროვნული და რეგიონული ინტერესების თანაფარდობის მნიშვნელობას; მიიჩნევს, რომ ყველა “ადგილობრივ წრილმანებს” ადგილობრივ ადგილობრივი თვითმმართველობები უნდა აგვარებდნენ, ხოლო

სახელმწიფოს მიერ საერთოეროვნულ დონეზე უნდა განიხილებოდეს "საყოველთაო კანონმდებლობის წარმოება" ანუ საერთო კანონშემოქმედებითი საქმიანობა, "საერთო შემოსავალ-გასავალი" ანუ ქვეყნის ფინანსები და "საყოველთაო მხედრობის დაწყობილობა" ანუ ქვეყნის თავდაცვა;

ასაბუთებს ფრიტრედერული (ლიბერალური, ღია) საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ მნიშვნელობას, ქვეყნის "თვითარსებობისა" და "თვითგანვითარების" უზრუნველსაყოფად და სხვა მრავალი.

სწორედ ასეთი თანაფარდობის დადგენის საფუძველზე მიიჩნევს ილია შესაძლებლად ჭეშმარიტი, ოპტიმალური, მთელი საზოგადოებისთვის მისაღები ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებას. ეს კი მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს ზოგადკაცობრიული და ეროვნული ღირებულებების ოპტიმალური სინთეზის მისაგნებად. ეს არის ჩვენი "მე"-ს, "ადგილობრივი წვრილმანების", ტრადიციების და ზნე-ჩვეულებათა შენარჩუნების, საერთო წინსვლის გზა. თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში ასეთ მიდგომებს გამოყენებითი დანიშნულება აქვს.

ილია ჭავჭავაძემ დაასაბუთა, რომ ყველა ქვეყანას ერც ერთი და იგივე საკითხის ერთი და იმავე გზით გადაწყვეტა გამოადგება და მითუმეტეს, არც ერთმანეთის გამოცდილების შაბლობის სახით გადატანა. ასეთი პრობლემების მოგვარება სხვადასხვა ქვეყნებში განსხ¬ვავებულ მიდგომებს მოითხოვს. ინგლისში, გერმანიასა და საფრანგეთში მუშების დუხჭირი ყოფის პრობლემათა მოგვარების მაგალითებზე დაყრდნობით, ილიამ მნიშვნელოვანი დასკვნა შემოგვთავაზა. სხვების მიერ უკვე განვლილ გზას, მათ გამოცდილებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს და მას (მის დედააზრს დაუმახინჯებლად) უეჭველად უნდა ვიყენებდეთ ადგილობრივი თავისებურებების შესწავლისა და ყოველმხრივ დასაბუთებულებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე. ილიას სამაგალითოდ მიაჩნდა „ევროპის განათლება, მმართველობა და გამგებლობა ქვეყნისა, ევროპის წესი და რიგი". გვმოძღვრავდა, რომ კარი გაგველო ევროპის ცივილიზაციისათვის, რადგან ის ყველაზე მოწინავე, პროგრესული იყო. მიიჩნევდა, რომ მოწინავე გამოცდილებას საერთოდ ყველა ქვეყნისას უნდა ვითვალისწინებდეთ. მისი მთავარი დასკვნა ასეთია: ზოგადად მოწინავე სახელმწიფოებიდან ყველაფერი უნდა გადმოვიღოთ, რასაც მოითხოვს ქვეყნის სიკეთე და ბედნიერება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭავჭავაძე ი. შინაური მიმოხილვა (სლავიანების მაგალითი. რისთვის უნდა მომზადდეს ყმაწვილკაცობა ჩვენში?...)თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ.VI, "ილიას ფონდი", თბ., 1997. გვ. 459-473.

2. ჭავჭავაძე ი. შინაური მიმოხილვა. ბ-ნ მეისნერის პროექტი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი VII. "ილიას ფონდი", 2005. გვ. 26 - 79.

3. ჭავჭავაძე ი. სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი IX. "ილიას ფონდი", 2006. გვ. 385-401.

4. ჭავჭავაძე ი. კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი 7, თბ., 1956. გვ. 36-56.

5. ჭავჭავაძე ი. ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი 7, თბ., 1956. გვ. 61-66.

6. ჭავჭავაძე ი. შინაური მიმოხილვა (აღმოსავლეთის საქმე და ჩვენ. ჩვენ სხვისთვის ვართ რამე თუ არა....) თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ.VI, "ილიას ფონდი", თბ., 1997. გვ. 241-262.

7. ჭავჭავაძე ი. რა გითხრათ? რით გაგახაროთ? თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი 5, თბ., 1955. გვ. 10-14.

8. ჭავჭავაძე ი. ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი 4, თბ., 1955. გვ. 175-178.

9. "ივერია", 1886, 221, გვ. 2.

10. ჭავჭავაძე ი. მეცხრამეტე საუკუნე. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი XIV. "ილიას ფონდი", 2007. გვ. 324-327.

11. ჭავჭავაძე ი. წოდებათა თანასწორობა. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი X. "ილიას ფონდი", 2007. გვ. 371-373.

12. ჭავჭავაძე ი. ცხოვრება და კანონი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი 6, თბ., 1956. გვ. 7-114.

13. ჭავჭავაძე ი. ხიზნების საქმე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი 6, თბ., 1956. გვ. 115-150.

14. ჭავჭავაძე ი. კერძო და სათემო მიწათმფლობელობა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი 6, თბ., 1956. გვ. 151-200.

15. ჭავჭავაძე ი. საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი 6, თბ., 1956. გვ. 201-240.

16. ჭავჭავაძე ი. თვითმოქმედებისათვის. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი IX. "ილიას ფონდი", 2006. გვ. 652-657.

17. ჭავჭავაძე ი. ორიოდე სიტყვა „შეშლილი"-ს თარგმნაზედა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი 4, თბ., 1955. გვ. 320-327.

18. ჭავჭავაძე ი. საზოგადოება შეძლებულ მოსწავლეთა შემწეობისათვის. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი 3, თბ., 1953. გვ. 7-27.

19. ჭავჭავაძე ი. ირლანდია და ინგლისი, თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტომი 9. საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1957.

20. ჭავჭავაძე ი. ნუთუ? თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტომი 9. საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1957. გვ. 270-304.

19.ასათიანი ი. (1994). ილია ჭავჭავაძე და თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკი. თბილისი, "მეცნიერება. - 385 გვ.

20. ვეშაპიძე შ. (1999). ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგია და თანამედროვე ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები. თბილისი. – 296 გვ.

21. თოდუა გ. მდგრადი ეკონომიკისა და შეფარდებითი უპირატესობის ერთიანობის საყოველთაო კანონი, ჟურნ. "ეკონომიკა", 1996 წლის #12.

22. სართანია ტ. (2007). ილია ჭავჭავაძე საქართველოს ეკონომიკური განვითარების გზების შესახებ. ილია ჭაცჭავაძე – 170. გამომცემლობა "ბათუმის უნივერსიტეტი". – გვ. 167-181.

23. ქისტაური შ. ილია ჭავჭავაძე _ დიდი ქართველი ბანკირი-ფინანსისტი, თბ., 1998. 24. შენგელია თ. მულტიკულტურიზმი როგორც სოციალუტ-ეკონომიკური მოვლენა და ბიზნესის განმსაზღვრელი დეტერმინანტი. გამომც. „უნივერსალი", თბილისი, 2015. -335გვ.

25. Silagadze, A., Atanelishvili, T. (2010). Aspects of economic doctrines in Georgia. Peninsula University of Technology, Business and Informatics. San Francisco (USA).

26. Silagadze, A. (2011). Economic Teachings, Ilya Chavchavadze and Modernity- "Actual problems of Historical and economic Teachings ". Moscow, "VZFEI", pp.71 -77.

27. Silagadze, A., Atanelishvili, T. (2010). Some questions of economic doctrines in Georgia. Moscow. Silagadze, A. (2009). Aspects of economic doctrines in feudal Georgia - Historical and economic sciences in the past and present. Moscow.

ილია ჭავჭავაძე – ლიბერალური აზროვნების ფუძემდებელი საქართველოში

ერეკლე უგრელიძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ეროვნული და საზოგადოებრივი განვითარების ილიასეული კონცეფცია ლიბერალიზმს ეფუძნებოდა. პიროვნების თავისუფლება, საყოველთაო თანასწორობა კანონის წინაშე, სახელმწიფოს მიერ კერძო საკუთრების ხელშეუხებლობისა და თავისუფალი შრომის უზრუნველყოფა საკაცობრიო აზრის ის უმნიშვნელოვანესი მიღწევები იყო, რომლებიც ილია ჭავჭავაძის აზრით საქართველოსაც საკუთარ ორიენტირებად უნდა დაესახა.

Ilia Chavchavadze - the founder of liberal thinking in Georgia

Erekle Ugrelidze
Doctorate of Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

Ilia Chavchavadze's concept of national and social progress was based on liberalism. Freedom of personality, universal equality before the law, provision of private property as well as free labor by the state were the most important human achievements and they would be necessarily set as Georgia's development vectors.

„ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყოს კაცმაო", – ასე სწამდა ილია ჭავჭავაძეს, რომლის ლიბერალურ შეხედულებებზეც უნდა ვისაუბროთ დღევანდელ ლექციაზე, ვერწმუნოთ მას და ჩვენც შესავლით დავიწყოთ. უპირველესად, განვმარტოთ სიტყვის ეტიმოლოგია და შემდეგ განვსაზღვროთ, რამდენად მისდევს ლიბერალიზმის ილიასეული აღქმა მის კლასიკურ დეფინიციას.

ლიბერალიზმი (ფრანგ.) — ეს არის იდეოლოგია, ფილოსოფიური შეხედულება და პოლიტიკური ტრადიცია, რომლის მიხედვით თავისუფლება ძირითადი პოლიტიკური ღირებულებაა. იდეოლოგია დასავლეთის განმანათლებლობის ეპოქაში იღებს დასაბამს, თუმცა ტერმინი ამჟამად გაცილებით მრავალფეროვან პოლიტიკურ ნააზრევს მოიცავს.

ვრცელი გაგებით თანამედროვე ლიბერალიზმის ქვაკუთხედი ინდივიდუალური უფლებებია. ის მიელტვის საზოგადოებას, რომლისთვისაც დამახასიათებელია თითოეული ადამიანის აზროვნების თავისუფლება, ძალაუფლების შეზღუდვა, განსაკუთრებით მთავრობის და რელიგიის, კანონის უზენაესობა, უფასო საზოგადოებრივი განათლება, იდეათა თავისუფალი გაცვლა, საბაზრო ეკონომიკა, რომელიც უზრუნველყოფს თაფისუფალ კერძო მეწარმეობას, და მთავრობის გამჭვირვალე სისტემას, რომელშიც ყველა მოქალაქის უფლება დაცულია. თანამედროვე საზოგადოებაში ლიბერალები მხარს უჭერენ ლიბერალურ დემოკრატიას ღია და თანასწორი არჩევნებით, სადაც ყველა მოქალაქეს ერთნაირი უფლებები აქვს კანონით და თანასწორი შესაძლებლობები წარმატებისთვის.

მონოგრაფიის „ილია დღეს" შესავალში, ავტორი ომარ გოგიაშვილი წერს: „ნაშრომის უმთავრეს ნიშანს და ამავდროულად მიზანს წარმოადგენს ილიას პოლიტიკური ფილოსოფიის, იდეოლოგიის, თეორიებისა და კონცეფციების მის თანადროულ და წინა პერიოდების უდიდეს მოაზროვნეებთან ურთიერთდამოკიდებულების

ხასიათის, იდეური ნათესაობის კვლევა, რათა მკითხველისთვის საცნაური გახდეს მისი აზროვნების სიღრმე და მასშტაბურობა. მკითხველისთვის უთუოდ საინტერესო უნდა იყოს იმჟამინდელი (და ამჟამინდელი) ცივილიზებული საზოგადოების „აზრთა მპყრობელი“ პოლიტიკური იდეოლოგიებიდან – ლიბერალიზმიდან, კონსერვატივიზმიდან, ტრადიციონალიზმიდან, სოციალ-დემოკრატიის ორი მიმდინარეობიდან (დასავლეთ-ევროპული და რუსული), რომელი იდეები იყო ილიასთვის მისაღები და აქედან გამომდინარე, ის კონცეპტუალური წანამძღვრები, რომლებზეც დაფუძნდა მისი ეროვნული იდეოლოგია.

ასევე იმის ჩვენება, რამდენად თანამედროვეა და გამოყენებითი მნიშვნელობისა დღევანდელი ტრანსფორიმირებადი საზოგადოებისა და პერმანენტული „ახლად შენების“ ქართული სახელმწიფოებრიობისთვის ილიას პოლიტიკური ნააზრევი,რაცმისსახელწოდებაშიცაისახა.შემდეგის აგრძელებს: მთელ საკაცობრიო პროგრესში ყველაზე მნიშვნელოვნად, ყველაზე არსებით მოვლენად, ილიას, დემოკრატიული და ჰუმანური იდეების დამკვიდრება მიაჩნდა. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების ზოგადკაცობრიული პრინციპების პოლიტიკურ ცხოვრებაში თანდათანობითი შეღწევის მეთოდურმა პროცესმა, ილიას დიდი იმედები ჩაუსახა, იგი წერდა: „ერთი დიდი და სახელიანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურებზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი – ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულშემატკივარი“.

ინდივიდუალიზმსა და პირად თავისუფლებაზე დამყარებული პოლიტიკური იდეოლოგიები კონფრონტაციულად დაუპირისპირდა ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკურ და რელიგიურ ლეგიტიმაციას.

ფ. ჰაიეკს ინდივიდუალიზმზე დაფუძნებული საზოგადოების მთავარ ღირსებად, ადამ სმიტის დამოწმებით, მიაჩნდა ის, რომ ასეთ საზოგადოებაში ძალიან მცირეა უგონო ხალხისგან მიყენებული ზიანი.

პოლიტიკური მეცნიერებების მეორე ავტორიტეტულ წარმომადგენელს, კ. პოპერს, ლიბერალიზმის პრინციპებზე აგებული პოლიტიკური სისტემის უპირატესობად ის მიაჩნდა, რომ ამ შემთხვევაში საზოგადოებას უმთავრესად ინსტიტუტები მართავენ და არა პიროვნებები.

ორტეგა ი გასეტი: ლიბერალიზმის სიმართლე აღიქმება არა განყენებულად, თეორიულად, არამედ როგორც ბედისწერის სიმართლე.

საზოგადოებრივ ცნობიერებაში ლიბერალიზმის ეკონომიკური ასპექტების დამკვიდრების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა „დიდი შოტლანდიელის“, ადამ სმიტის 1776 წელს გამოქვეყნებულმა ნაშრომმა „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“, რომელშიც ავტორმა პირველად დაასაბუთა ეკონომიკის სფეროში ხელისუფლების ჩაურევლობის პრინციპი, უფრო ზუსტად, მისი ჩარევის სფეროები და საზღვრები, რომელსაც უნდა უზრუნველეყო კერძო საკუთრებისა და თავისუფალი კონკურენციის დაცვა.

ლიბერალური იდეოლოგიის ცენტრში ინდივიდია და დანარჩენი ყველაფერი, სოციალური და ყოველგვარი სხვა ჯგუფები, კლასები, ერთიანობაში აღებული მთელი სოციუმი, აზროვნების თავისუფლებასა და პასუხისმგებლობებზე აშენებული კატეგორიებია.

ლიბერალიზმის თეორიაში ადამიანის მრავალგანზომილებიან უფლებებსა და თავისუფლებებში კერძო საკუთრებას განმსაზღვრელი როლი ეკისრება, რადგან ის განიხილება თავისუფლების გარანტად და საფუძვლად. ლიბერალიზმმა თავისუფლება და კერძო საკუთრება ორ ურთიერთდაკავშირებულ ღირებულებად აღიარა და ამავე დროს დაასაბუთა, რომ ისინი ერთმანეთს განაპირობებენ. ჰეგელისთვის საკუთრება იყო „ადამიანის თავისუფლება, რომელიც მოვლენათა სამყაროში რეალიზდება, მხოლოდ კერძო საკუთრებაა ინდივიდუალური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პირობა. მხოლოდ კერძო საკუთრება ხდის პიროვნებას თავისუფალს და ამასთან ერთად უყალიბებს ინდივიდუალიზმს“.

კერძო საკუთრების ეფექტიანობა და სარგებლიანობა ყველაზე სრულად და თანმიმდევრულად დაასაბუთა ადამ სმიტმა. მან აუხსნა იმდროინდელ საზოგადოებას, რომ კერძო საკუთრების უპირატესობა ყველა სხვა ფორმასთან, წარმოების ზრდის, ეფექტიანობისა და მწარმოებლური პროდუქციის სიუხვის ხელშეწყობაა. მონის შრომა არ შეიძლება იყოს მწარმოებლური, რადგან მას არ შეუძლია შეიძინოს საკუთრება და ერთადერთი ინტერესი მისი მუშაობისა არის, რაც შეიძლება მეტი ჭამოს და ნაკლები იმუშაოს“, – წერდა სმიტი.

ლიბერალიზმი, როგორც ეკონომიკური თეორია,

კერძო საკუთრებისა და საბაზრო ეკონომიკის იდეოლოგიაა, ხოლო პოლიტიკურ ასპექტში სახელმწიფოს მართვის ფუნქცია მინიმუმამდეა დაყვანილი და ამის გამო, მას მინიმალურ სახელმწიფოსაც უწოდებენ. ეკონომიკური თავისუფლების გარეშე პოლიტიკა ქვეყანას აუცილებლად მიიყვანს იმ მდგომარეობამდე, რომელსაც ფონ ჰაიეკმა მართებულად უწოდა „გზა ყმობისკენ“.

რ. პაიპსი, თავის ნაშრომში „საკუთრება და თავისუფლება“, წერს: „მაშინ, როცა შესაძლებელია საკუთრების ამა თუ იმ ფორმის არსებობა თავისუფლების გარეშე, თავისუფლების არსებობა საკუთრების გარეშე სრულიად წარმოუდგენელია“.

ილიამ კარგად იცის, რომ ლიბერალიზმის უმაღლესი იდეები და ღირებულებები იმდროინდელ საქართველოში ვერ განხორციელდება თუნდაც იმის გამო, რომ „პოლიტიკური თავისუფლება პირადი თავისუფლების გარანტიაა“ (ბ. კონსტონი).

ილიას ამ მოაზროვნის მეორე დებულებაც გააზრებული აქვს – „პოლიტიკურ თავისუფლებას არ შეუძლია შეცვალოს პირადი თავისუფლება“.

საყურადღებოა, რომ XX ს-ის ლიბერალურ-კონსერვატიული „სინთეზის“ ისეთი წარმომადგენელი, როგორიც ფრიდრიხ ფონ ჰაიეკია, ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, რაც უპირველესად საკუთრების ფლობასა და განკარგვის უფლებაში აისახება, პოლიტიკური თავისუფლების საფუძვლად თვლიდა. ილიას მოღვაწეობის დროს პოლიტიკური თავისუფლება მიუღწეველია, ყოველ შემთხვევაში, პროგნოზირებად პერსპექტივაში, მაგრამ ილია უკან არ იხევს: „ხელშეუხებლობა პირადი საკუთრებისა მერმისის ქვაკუთხედად აღიარებულია და ყოველს რაც ჰბღალავს და ჰხუთავს ამ ხელშეუხებლობას, რჯული ძნელად იშვნევს, ძნელად იწყნარებს“. ბუნებრივია, რომ კერძო საკუთრებამ და მისგან გამომდინარე პრობლემატიკამ ილიას პოლიტნააზრევში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

ილიას სტატიების ციკლი – „ცხოვრება და კანონი“, ერთი უმნიშვნელოვანესი დებულების ანალიზით იწყება, რომელსაც ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაც აქვს, მაგრამ საქართველოსთვის მაშინაც და ახლაც, განსაკუთრებით აქტუალური იყო და არის. ლაპარაკია იმაზე, რომ ქვეყანა როგორი ბუნებრივი სიმდიდრეებით და პირობებით განებივრებულიც უნდა იყოს, ხალხის კეთილდღეობისთვის ეს საკმარისი არ არის. მთავარი და გადამწყვეტი თვით ადამიანების ურთიერთდამოკიდებულების ხასიათია, ე. ი. საზოგადოებრივი წყობა, სოციალ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა.

„კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე, ვერცა სიკეთე ჰაერისა, ვერცა სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორის უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილებისთვის, ხალხთა კეთილდღეობისთვის, ეს უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყანაზედ“.

ილიას დროსაც და დღესაც იყო და არის ქვეყნები, რომლებიც ღმერთმა დიდი სიმდიდრით დააჯილდოვა, მაგრამ არსებული პოლიტიკური რეჟიმები მოსახლეობის უმრავლესობას გაჭირვებაში ამყოფებს.

ამ პრობლემაზე მსჯელობისას, ილიას ლოგიკურად უნდა გამოეთქვა თავისი მოსაზრება უმნიშვნელოვანეს დილემაზე – რა არის ის საფუძველი, რომელიც ღარიბ ქვეყნებს საშუალებას აძლევს თავისი მოქალაქეები ღირსეულად აცხოვროს. ილიას მიაჩნია, რომ საკუთრების გამიჯვნა საზოგადოების აუცილებელი პირობაა და ამ საკითხს ილია განსაკუთრებული აქტიურობით აყენებდა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, რადგან ამ რეფორმამ ბევრი პრობლემა წარმოშვა: „განმეორება იქნება ასჯერ თქმულისა, რომ ქვეყნის ეკონომიკური ყოფა-ცხოვრების წარსამატებლად ერთი უდიდესი ძარღვი – მამულების გამიჯვნაა, ე.ი. მამულების იმ მდგომარეობაში მოყვანა, რომ ყველამ იცოდეს თავისი კუთვნილება და სხვისგან შეუცალებად ჰპატრონობდეს და უვლიდეს საკუთარ მიწა-წყალსა“.

თავისუფალი კერძო ბაზარი ისეთი მექანიზმია, რომელიც ადამ სმიტისეული უხილავი ხელით, თავისთავად, წინასწარი განსაზღვრის გარეშე წარმოშობს თანამშრომლობის რთულ სტრუქტურას. თავისუფალ, კერძო ბაზარზე გამორიცხულია ყოველგვარი იძულება.

კერძო საკუთრებაა ის საფუძველი, რომელზეც უნდა აშენდეს ადამიანებს შორის ურთიერთობა, კერძო საკუთრება განსაზღვრავს ადამიანის თავისუფლების ხარისხს, არეგულირებს საზოგადოებაში პიროვნების უფლებებსა და მოვალეობებს, მიაჩნდა ილიას და ყოველივე ამის შემდეგ, ლიბერალიზმის პრინციპის - „ჩემი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი თავისუფლება“ მსგავსად, გვთავაზობს აღნიშნული საკითხის მისეულ დეფინიციას: „რაც სხვისია, ჩემი მოვალეობაა, რაც ჩემია, – ეგ ჩემი უფლებაა“.

საყურადღებოა, ილიასეული კანონისადმი პატივისცემისა და საზოგადოებისგან მხარდაჭერისადმი დამოკიდებულება. კანონის

პატრონობას ილია იმაში ხედავს, რომ თუ კანონი ირღვევა, მართლმსაჯულებას უდიერად ექცევიან და ფეხქვეშ თელავენ, „მაშინ მე ვიჩაგრები ამისგან თუ სხვა, მაინც მოვალე ვარ, თავი გამოვიდო, კანონის სახელი ძირს არ დავცე და არ გავაქელვინო. იმიტომ რომ კანონი ყველას ფარ-ხმალია და მაშასადამე ჩემიცა“. კანონის დაცვას უნივერსალური ხასიათი უნდა ჰქონდეს და საქმის მასშტაბები, მისი სიდიდე, მნიშვნელობას არ უნდა იძენდეს.

ილია როდესაც სახელმწიფოს მნიშვნელობაზე ლაპარაკობს თუ წერს, იქვე დასძენს, რომ „ამასთანავე, კერძო საკუთრების შეურყევლობაც დიდს განძად მიაჩნია სახელმწიფოს თვითონ საზოგადოების დღეგრძელობისა და წესიერი ცხოვრებისათვის“. სახელმწიფომ ყველა უფლება ისე უნდა გამოიყენოს, რომ კერძო საკუთრების პატრონი არ დაზარალდეს, მაგრამ რადგან კანონი იმ დროს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვეოდა, ილია მოუწოდებდა მოსახლეობას, შეესწავლათ კანონები თავისი უფლებების დასაცავად და ამ კანონებს ის სისტემატურად აქვეყნებდა გაზეთ „ივერიაში“.

რევოლუციის თანამდევ კერძო საკუთრების ხელყოფასა და სხვისი საკუთრების მიტაცებასთან დაკავშირებით, ილიას პოზიცია მკვეთრად უარყოფითია. ილიას ბოლომდე გაცნობიერებული აქვს კერძო საკუთრების მნიშვნელობა საზოგადოების პროგრესისთვის. მან მრავალჯერ დაასაბუთა ფორმულა: „თავის-უფლება“, სხვისი მოვალეობა და იმაშიც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ღარიბი თუ მდიდრის ქონებას მიიტაცებს, ამით თავისუფალი და სამართლიანი საზოგადოება ვერ აშენდება. „როცა კაცს სხვა საბუთი არ მიუძღვის იმის გარდა, რომ მე ცოტა მაქვს და შენ ბევრი, ამიტომ შენ უნდა წაგერთვას და მე მომერთვასო, აბა, უკიდურეს სიღატაკიდან უდიდეს სიმდიდრემდე რამდენი კიბეა, რამდენი საფეხურია, რამდენი ერთმანეთზე მეტია და მოდით და გაარჩიეთ, რომელმა რომელი უნდა სწეწოს და ჰგლიჯოს მთელ ამ მანძილზე“.

ილიას ზემოთ მოტანილი ციტატის აზრის ლოგიკურობას კომენტარი არ სჭირდება, მაგრამ ერთი კია, ვერც ილიამდე და ვერც ილიას შემდეგ, ვერც ერთი რევოლუციის პირობებში, ვერც ერთმა მოაზროვნემ ვერ დაასაბუთა ქონებრივი კიბის რამდენი დაბალი საფეხურია, რომელზეც მდგომ პიროვნებებსაც აქვთ მორალური უფლება „სწეწოს და ჰგლიჯოს“ უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი მდიდრები.

ილია აღნიშნავდა: „ადამიანისათვის სულ ერთია, ცალკე კაცი ჰლახავს ადამიანის უფლებას თუ რაზმად დაწყობილი კრებული, თანაც ისეთ უფლებებს, რომელიც ბუნებრივად მინიჭებული აქვს ყოველ ადამიანს, ასეთი საქციელი შეუწყნარებელია და დაუზოგველად განსაკითხავი ყოველგან და ყოვლისგან“.

ინდივიდის უზენაესობის რწმენას ბუნებრივად მივყავართ ინდივიდის დამოუკიდებლობის აღიარებამდე, ხოლო დამოუკიდებლობა და თავისუფლება, იდენტური, ურთიერთმონაცვლე ცნებებია.

თავისუფლება, როგორც ილია იტყოდა „ჭეშმარიტი ლიბერალისთვის” უზენაესი პოლიტიკური ღირებულებაა და ამ გაგებით ლიბერალური იდეოლოგიის ამოსავალი, შემკრები პრინციპია „ეხლანდელი დრო და მასთან ერთად ყოველივე ცოტად თუ ბევრად გონებაგახსნილი კაცი და ქალი რომ ხმამაღლა ჰღაღადებს ხელშეუხებლობას ადამიანისა, განა მარტო პოლიციის მიერ ხელშეუხებლობა აქვთ სახეში, არამედ ყოველგვარი ხელშეუხებლობა და სხვათა შორის იგიცა, როცა სამარცხვინო და სახელგასატეხ ბრალს რასმე სდებს ერთი მეორეს ტყუილსა და მართალს წინასწარ გამოუძიებლად და აუწონლად“.

XIX საუკუნის 80-იანი წლებისთვის ეროვნულობის გადარჩენისთვის ილიას და მისი თანამოაზრეების ბრძოლის ოცწლიანი ეტაპი გარკვეული წარმატებით დასრულდა, მაგრამ ამ პერიოდშიც ილიას არ აკმაყოფილებდა ქართული საზოგადოების ცნობიერებაში ზოგადი, საერთო ინტერესების შეცნობის დონე. არადა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, ძველი საბერძნეთის ისტორიული გამოცდილების საფუძველზე, თუკიდიდე ამტკიცებდა, რომ „ინტერესების მსგავსება ყველაზე მყარი კავშირია როგორც სახელმწიფოს, ისე ინდივიდებს შორის“.

ილია კატეგორიულად უარყოფდა, რომ საზოგადოებრივი ინტერესების არად ჩაგდება ქართველი ერის ისტორიული ტრადიციაა და მისი დამახასიათებელი თვისებაა. ეს რომ ასე ყოფილიყო, ქართველი ერი დიდი ხნის აღგვილი იქნებოდა პირისაგან მიწისა. ჩვენს წინაპრებს „ჯერ ჩვენ“ ჰქონდათ სახეში და მერე „მე“. ილიას მით უფრო უკვირს, საიდან შემოგვეპარა ეს სენი, როგორ დაიჭირა „მემ“ „ჩვენის“ ადგილი და ორაზროვნად იმასაც მიუთითებს, ვინ შეუწყო ხელი ამ სენის გავრცელებას, ვის აინტერესებს ამ ავადმყოფობით ერის დაავადება: „ეგ ადვილი მისახვდომია: იმისაგან, ვისაც უძლური „მე“ უფრო უნდება, ვიდრე ძლიერი და ძალგულოვანი „ჩვენ“.

ლიბერალური იდეოლოგიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი მისი ჩამოყალიბების საწყის ეტაპზევე გახდა პლურალიზმი. ილიას აზრით: „პირველი ნიშანი საზოგადოების ასაკოვნებისა და

აღმატებულობისა სხვათა მრავალთა შორის ის არის, რომ საზოგადოება სხვისის აზრის შეწყნარებამდე ტანში იყოს გამართული“.

„შეწყნარება დაჯერებას კი არ ნიშნავს გინდა თუ არა, არამედ პატივსა, რომელითაც უნდა მოექცეთ სხვის აზრს, თუნდაც თქვენ უსიამოვნოს, თქვენს წინააღმდეგს. პატივით მოქცევა კიდევ იმას ჰქვიან, რომ მთქმელს თუ გამკითხველს საბუთი გაუჩხრიკოთ, საბუთი აუწონოთ…“

ლიბერალურ-დემოკრატიული აზროვნება აუცილებლად გულისხმობს საზოგადოების სხვა წევრების ჯგუფების მოსაზრებების „თანხმობას რომ არ დაეთანხმო“. ილიას დამოკიდებულება ეთანხმებოდა ვოლტერის პოზიციას, რომ „მე არ ვიზიარებ თქვენს მოსაზრებას, მაგრამ სიცოცხლეს გავწირავდი, რათა თქვენი აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება გქონდეთ“. განსხვავებული აზრი, ოფიციოზის კრიტიკა „ცხოველმყოფელი სისხლია ყოველგვარი რაციონალური აზროვნებისა“ (კ. პოპერი).

ივ. ჯავახიშვილს ილიას უდიდეს შემოქმედებით მემკვიდრეობაში აღაფრთოვანებდა საქართველოს ეკონომიკური ისტორიის კვლევა. ის პირდაპირ მიუთითებდა, რომ ილიას ქართული აზროვნების ისტორიაში ამ პრობლემის დაყენების და კვლევის სრული პრიორიტეტი აქვს. ეს შეფასება ივანე ჯავახიშვილმა წამოაყენა და დაასაბუთა ილიას სტატიის, „ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ“ ანალიზის საფუძველზე. ილიას მიაჩნდა და ამას არაერთხელ მიუთითებდა, რომ ეკონომიკური კანონები, ისევე როგორც ბუნების კანონები, ადამიანებისგან დამოუკიდებლად არსებობენ. მათი ჩამოყალიბება და მოქმედება ადამიანის ნებას არ ექვემდებარება. კანონი უნდა შეიმეცნო და მას უნდა მიუსადაგო შენი მოქმედება, ხოლო თუ შეეწინააღმდეგები, აუცილებლად დამარცხდები. ილიამ პირველმა, ქართველ მოაზროვნეათაგან, მიმართა თავისი ანალიტიკური გონება იმ ფაქტის კვლევისკენ, რომ ქართველ ხალხს თავისი 2000-წლიანი ცხოვრების მანძილზე ასი წელიც არ ჰქონია ისეთი პერიოდი, რომ „მტრისგან მოსვენებული ყოფილიყოს ზედმიწევნით და განუწყვეტლივ“. „საქართველო დღედაღამ იარაღით ხელში იდგა, მტერი ყოველი მხრიდან მოწოლილი იყო, ჩვენი ხალხი თითქმის ორი ათასი წელიწადი იბრძოდა, ომობდა, სისხლს ღვრიდა და ბოლოს, მე-18 საუკუნის დასასრულს, თვითმყოფადი სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავისი ვალი და ვახში არ დასდებია“. „ვთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა – რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამისთანა ომებსა და სისხლისღვრასა? ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზე კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტერთაგან მტვრად არ აღგვილიყო და საზრდოს ვინ აძლევდა და რა აძლევდა?“

აი, სწორედ ეს იყო ის ახალი, ქართველი ერის თვითდამკვიდრების, თვითშენახვისა და თვითგადარჩენის შესახებ, რომელზეც ილიამდე არავინ დაფიქრებულა. მან, პირველმა, ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი წარსულის ეკონომიკური საფუძვლის გამორკვევის აუცილებლობა აღიარა. ილია ამბობდა: „მხოლოდ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამისი პასუხი ჩვენს ეკონომიკურ აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს. უეჭველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიკური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაივაგლახსა და ომებსა ამდენი ხნის განმავლობაში“.

მისი აზრით, საქართველოს ეკონომიკური სიძლიერის განმსაზღვრელი, გამუდმებული ომების პირობებშიც კი, მიწის საკუთრების ისტორიული ფორმები ყოფილა, რომელიც იმდროინდელ საქართველოში გაცილებით სამართლიანად იყო ორგანიზებული, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

შრომა და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა როგორც ქვეყნის, ერისა და პიროვნების მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის საფუძველი ყოველთვის იყო ილიას განსაკუთრებული ყურადღებისა და ზრუნვის საგანი და ბუნებრივია, ამ პრობლემატიკას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის მსოფლგაგებაში. „ეს წუთისოფელი ისეთია, - აღნიშნავდა ილია, რომ ვინც თვითონ არ მხნეობს, ვინც თვითონ არ იბრძვის დღიურის ლუკმისთვის, მისი ბედი გადაწყვეტილია, იმას შეიძლება ერთ დღეს ან რამდენიმე ხანს კაცთმოყვარეობით უშველოს კაცმა, მაგრამ მას მერე მაინც ისევ მშიერი და უპოვარი დარჩება“. როდესაც ილია გაბრიელ ეპისკოპოსის ღვაწლს ახასიათებდა, ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტზე მიუთითებდა, რომ გაბრიელ ეპისკოპოსს თავის ქადაგებებში შრომის ზნეობრიობა და მისი ქება არ გამორჩენიაო. XIX ს-ის მიწურულს, როცა საბაზრო ეკონომიკის საწყისი ეტაპისთვის დამახასიათებელმა საზოგადოების პოლარიზაციამ და ქონებრივმა დიფერენციაციამ თავისი შედეგები რეალური გახადა, ილიას ერთი უმთავრესი მიზანი საზოგადოების ცნობიერებამდე იმის დაყვანა გახდა, რომ ყოველდღიურმა მიზანმიმართულმა შრომამ ფართო, სოციალური ფენებისთვის თვითგადარჩენის მნიშვნელობა შეიძინა. ცნობილ

საახალწლო სტატიაში „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!“ (1897წ.) ილიამ ქვეყნის გადარჩენის ფრონტი საბრძოლო ველზე კი არა, შრომის ველზე გაატარა და მოუწოდებდა მოსახლეობას, რომ ეს ფრონტი არანაკლებ ვაჟკაცურია. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს… ეხლაც ომია, ხოლო სისხლისღვრისა კი არა, ოფლისღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი“.

ამასვე სწერდა სახელოვანი ქართველი მწერლის, ეკატერინე გაბაშვილის ვაჟი, რევაზ გაბაშვილი, რომელმაც თავისი პატრიოტული და ბოლშევიზმთან შეურიგებელი პოზიციის გამო სიცოცხლე ემიგრაციაში დაასრულა, ასევე ემიგრანტ პეტრე ხვედელიძეს, რომელსაც ემიგრაციაშიც ერთი წუთით არ შეუწყვეტია საქართველოზე ფიქრი და ზრუნვა: „მე რომ ვიცნობ ქართულ ისტორიას, არამარტო სამიათასის წლისას, არამედ სულ უკანასკნელსაც, ჩემი, ჩვენი დროისას, რამდენი მართლა გმირი მინახავს თავგანწირული (და იცოდე, ჩემო პეტრე, რომ მოქალაქეობრივი თავგანწირვა უფრო ძნელია და იშვიათი, ვიდრე სამხედრო), რომ უამისოდ საქართველო იმ სახელოვან ისტორიას ვერ შექმნიდა“.

როგორ ახერხებდა ილია მუდამ საკაცობრიო აზრთა ავანგარდში ყოფილიყო? იგი ძალიან ბევრს მუშაობდა იმდროინდელი ევროპის პრობლემატიკაზე. 1886 წელს ილიამ გამოაქვეყნა სტატიების ციკლი „ევროპა 1886 წელს“, 12 სტატია, რომელშიც მოცემულია ზოგადევროპული პრობლემატიკის ბრწყინვალე ანალიზი.

ილია უდიდესი სერიოზულობით ეკიდებოდა საკუთარი მოსაზრებებისა და კონცეფციების არგუმენტაციას. ამაზე მეტყველებს მის მიერ დამუშავებული უმდიდრესი ლიტერატურის, ისტორიისა და ფილოსოფიის მეცნიერებების მრავალრიცხოვანი დამოწმებული, გამოჩენილი ავტორიტეტები: ფ. ბეკონი, ჯ. ს. მილი, ჰ. სპენსერი, ა. სმიტი, ლებოკი, ტეილორი, ვებერი, ლერონმანი, სეიესი, ტალბოტი, ჰინქსი, კლაპორტი, შრადერი, უსლარი, ბროკი და ეს კიდევ არ არის სრული ჩამონათვალი.

დასასრულ, კიდევ ერთხელ გამოვყოთ ყველაზე უფრო გავრცელებული იდეური და სოციალურ-პოლიტიკური მიმდინარეობის, ლიბერალიზმისთვის ნიშნეული პრინციპები, ესენია: პიროვნების თავისუფლების დაცვა, ჰუმანიზმი და დემოკრატიზმი, საბაზრო მეურნეობა, მეწარმეობის თავისუფლება, კონკურენცია სახელმწიფოს მინიმალური ჩარევით, ზომიერი რეფორმატორობა, რაციონალიზმი, შემწყნარებლობა, პარლამენტარიზმი, ინდივიდუალიზმი.

როგორც ვნახეთ, ილია განუხრელი სიზუსტით მიჰყვება და სახელმძღვანელო-სამოქმედო პროგრამადაც აღიარებს ლიბერალური იდეოლოგიის ამ უმნიშვნელოვანეს პრინციპებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

გოგიაშვილი ომარ: ილია დღეს, პოლიტიკური ფილოსოფია, იდეოლოგია, პოლიტიკა, პოლიტიკოსები, წიგნი მეორე, თბ. 2012წ.

ბერძენიშვილი ლ., ბრაგვაძე ზ., გვახარია გ., დარასელია ზ., თაქთაქიშვილი ლ., საყვარელიძე ფ., (2004). ადამიანის უფლებები და ქართული კულტურა.

მილტონ ფრიდმენი: ეკონომიკური, პიროვნული და პოლიტიკური თავისუფლება (გამოქვეყნდა 1991 წ.). ინტელექტუალები, განათლება და თავისუფლება, თავისუფლების ბიბლიოთეკა, წიგნი IV, 2006წ.

ჭავჭავაძე ილია: თხზულებანი. თბ., საბჭოთა საქართველო 1984წ.

ჯერვალიძე ციცინო: პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით, წიგნი ეძღვნება ქართველი ემიგრანტის, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, რევაზ გაბაშვილის დაბადებიდან 130 წლისთავს, თბ. პეგასი 2012წ.

ილია ჭავჭავაძე ლიბერალიზმის კონტექსტში

ოთარ ჯანელიძე,
პროფესორი

სტატიაში განხილულია ლიბერალური იდეების გავრცელების ფონი და სირთულეები XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში და ნაჩვენებია ილია ჭავჭავაძისა და სხვა თერგდალეულთა როლი ამ საქმეში.

პოლიტიკური იდეოლოგიების ცნობილი მკვლევრის, ენდრიუ ჰეივუდის დაკვირვებით, XIX საუკუნის შუა ხანების კონტინენტურ ევროპაში ნაციონალისტობა ლიბერალობას ნიშნავდა და პირიქით. ამ შეხედულების ილუსტრაციად ნაშრომში გააზრებულია ის ფაქტი, რომ თერგდალეულები ეროვნული იდეოლოგიის პარალელურად, საქართველოში თვითონ ამკვიდრებდნენ ლიბერალიზმის იმ პრინციპებს, რომელთაც უნდა დაეჩქარებინათ ერის წინსვლა და განვითარება.

ხაზგასმულია, რომ ლიბერალურ თემატიკას (თავისუფლება, კერძო საკუთრება, კანონის უზენაესობა, ინდივიდუალიზმი, ომზე მშვიდობის პრიმატი, ადამიანის უფლება-მოვალეობები და სხვ.) მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ილია ჭავჭავაძისსაზოგადოებრივ-პოლიტიკურ ნაზრევში. ილია საფუძვლიანად იცნობდა ლიბერალიზმის ბევრი თეორეტიკოსისა და იდეოლოგის ნაშრომებს, ცდილობდა მიესადაგებინა მათი არსი საქართველოს სინამდვილისათვის და ამ გზით ლიბერალური იდეები ქართველი საზოგადოებისათვის მისაღები გაეხადა.

Ilia Chavchavadze in the context of liberalism

Otar Janelidze,
Professor

Resume

The article discusses the background and difficulties of spreading of liberal ideas in the second half of the 19th century in Georgia and the role of Ila Chavchavadze and other Tergdaleulis in this case.

According to observations of Andrew Haywood, a famous researcher of political ideologies, in Continental Europe of the 19th century, nationalism meant liberalism and vice versa. As an illustration of this view in the work there is examined the fact that the Tergdaleulis themselves in parallel with the national ideology implemented principles of liberalism in Georgia in order to accelerate the nation's advance and development.

Here it is emphasized that liberal topics (liberty, private property, rule of law, individualism, peace primacy, human rights and obligations etc.) held significant place in Ilia Chavchavadze's public-political conclusion. Ilia was thoroughly familiar with the theories of many theorist and ideologist of liberalism, trying to adjust their essence to reality of Georgia and thus make liberal ideas acceptable for Georgian public.

ლიბერალური იდეები ტერმინ „ლიბერალიზმის“ გაჩენამდე წარმოიშვნენ. ვიდრე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობად ან კიდევ, სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრაქტიკად იქცეოდა, ლიბერალიზმი პოლიტიკური დოქტრინა იყო. იგი უპირისპირდებოდა ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკურ და რელიგიურ ლეგიტიმაციას, უარყოფდა თეორიას მონარქის ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის შესახებ, ამხელდა ფეოდალიზმის მანკიერ მხარეებს და იდეალად სახავდა იმგვარ საზოგადოებას, რომელიც ინდივიდის თავისუფლებას და კეთილდღეობას უზრუნველყოფს. ლიბერალიზმი, როგორც იდეა, ფართოდ გავრცელდა და XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოშიც შემოაღწია.

რა ნიადაგი, რა საზოგადოებრივი განწყობა ხვდებოდა ამ ახალ იდეურ მიმდინარეობას ქართულ რეალობაში?

ეს იყო დრო, როდესაც საქართველო ბრძოლისაგან

დაღლილ, ბოროტ ნებას დაყოლილ, უნუგეშო და მცდომ ქვეყანას წარმოადგენდა, რომელსაც ,,დედო ძარღვი" გასწყვეტოდა და ეროვნული პულსი ოდნავღა ესინჯებოდა. ,,კუთხე-პროვინციებად" დანაწევრებულ ერს, საკუთარი სამშობლოს სახელიც რომ ვეღარ შეერჩინა, კონფორმიზმი მოსძალებოდა, რული მორეოდა და ნირვანამდე აღარაფერი უკლდა. ქართული არისტოკრატია დეგრადაციას განიცდიდა. რწმენის სიმტკიცეს საფუძველი შერყეოდა. ეკლესიას ზურგშექცეული, ურწმუნო და სახელმწიფოსაგან გაუცხოებული ხალხი ,,განთვითოებულ" ადამიანთა მასად ქცეულიყო. პეტერგურგის უნივერსიტეტიდან სამშობლოში დაბრუნებულმა ილია ჭავჭავაძემ საქართველოში ვერავინ ნახა ისეთი, გულს რომ გადაუშლიდა, თავის დიდ საწუხარს გაანდობდა: (,,ამდენ ხალხში კაცი არ არის, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო").

Liberty თავისუფლებაა, ხოლო ლიბერალი, ყველაზე ზოგადი განმარტებით, თავისუფლებისმოყვარეს ნიშნავს. საქართველოს მთელი ისტორია თავისუფლებისა და საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის, ამდენად, თავისუფლებისმოყვარეობის ისტორიაა. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში, სადაც იმ დროისათვის დიდი თუ პატარა საკითხი ეროვნული თვალსაზრისით განიზომებოდა, ეროვნულობისაგან ერთგვარად დისტანცირებულ ხსენებულ იდეოლოგას დამკვიდრება უნდა გაჭირვებოდა. გაუჭირდა კიდეც. უფროსმა თაობამ, რომელიც არსებულ სინამდვილეს შეჩვეული და მორგებულიც იყო, ლიბერალიზმი მიუღებლად მიიჩნია, დაიწუნა, აითვალწუნა და მისი ქართველი მიმდევარი ახალგაზრდების აბუჩად აგდება სცადა (გრ. ორბელიანი: ,,ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალი" და სხვ. ...).

ის გარემოება, რომ მამათა თაობის თვალში ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა ლიბერალობა დაცინვის საგანი იყო, სრულიადაც არ არის გასაკვირი. ამგვარი ფაქტები სხვა ქვეყნების სინამდვილეშიც დასტურდება. როგორც კემბრიჯის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი რემონდ ჰოისი შენიშნავს: XIX საუკუნეში არსებობდა ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც მათი მოწინააღმდეგენი ,,ლიბერალებს" უწოდებდნენ (ჰოისი 2014:). თერგდალეულებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რომ ლიბერალიზმის ცნება (ისე როგორც თერგდალეულთა არსი) ერთგვარად გაეკეთილშობილებინათ და ლიბერალური იდეები ქართველი საზოგადოებისათვის მისაღები გაეხადათ. გარკვეული სიამაყითაც პასუხობდნენ ,,მამებს": ,,ლიბერალობა, პატრიოტობა სალანძღავ სიტყვად არ გაგვიხდია."

ლიბერალიზმი თავისი არსით კოსმოპოლიტური იდეოლოგიაა. ამ მართებული თვალსაზრისის მიუხედავად, იყო დრო, როდესაც ლიბერალობა ჯერ კიდევ არ უპირისპირდებოდა კონსერვატიულ ღირებულებებს, არ უარყოფდა ეროვნულ ტრადიციებსა და კულტურის, პატრიოტიზმსა და ნაციონალური სახელმწიფოებრიობის იდეას. ლიბერალიზმი და ნაციონალიზმი ურთიერთს ავსებდნენ და ამდიდრებდნენ.

პოლიტიკური იდეოლოგიების ცნობილი მკვლევრის, ენდრიუ ჰეივუდის სიტყვით, XIX საუკუნის შუა ხანების კონტინენტურ ევროპაში ნაციონალისტობა თავისთავად ნიშნავდა ლიბერალობას და პირიქით (ჰეივუდი 2008: 161-162). ამერიკელი მეცნიერის ამ დასკვნას ქართული სინამდვილეც ადასტურებს. ასე იყო ჩვენშიც. თერგდალეულები ეროვნული იდეოლოგიის პარალელურად, საქართველოში თვითონ ამკვიდრებდნენ ლიბერალიზმის იმ პრინციპებს, რომლებიც, მათი აზრით, ხელს შეუწყობდა ერის წინსვლას და რომელთა განხორციელებაც შესაძლებელი იყო ლეგალური გზით.

ლიბერალურ ღირებულებათა საქართველოში შემოტანა და დამკვიდრება მნიშვნელოვანწილად ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის სახელებთანაა დაკავშირებული. როგორც ცნობილია, მათი ძალისხმევა ქართული აზროვნებისა და პოლიტიკური კულტურის ევროპეიზაციისაკენ იყო მიმართული. ისინი იცნობდნენ ლიბერალიზმის თეორეტიკოსებისა და იდეოლოგების ადამ სმიტის, ჯონ ლოკის, ჯონ სტიუარტ მილის, ჰერბერტ სპენსერისა და სხვ. მოაზროვნეთა ნაშრომებს, გზას უკაფავდნენ მათ მოწინავე შეხედულებებს, ცდილობდნენ შეესაბამებინათ ეს შეხედულებანი ქართული რეალობისათვის და ქართველი ერი თვითიზოლაციიდან პროგრესის ფართო ასპარეზზე გაეყვანათ.

ლიბერალიზმს რამდენიმე ფუნდამენტალური ღირებულება აქვს, რომელთაგან უმთავრესი თავისუფლება და კერძო საკუთრებაა. თავისუფლება მრავალგვარი შეიძლება იყოს: ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ეროვნული, პიროვნული და სხვა, ხოლო კერძო საკუთრება ერთია და იგი წარმოადგენს როგორც ყოველგვარი თავისუფლების საფუძველს, ისე მათი დაცვის ეფექტურ გარანტს. ინგლისელი სწავლულის მორის კრენსტონის თანახმად, ლიბერალი ესაა ადამიანი, რომელსაც სწამს თავისუფლების (სტენფორდის 1996:).

თავისუფლების თემას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ილია ჭავჭავაძისა და ზოგადად, თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ნააზრევში. მათთვის, როგორც

სახელმწიფოებრიობამოშლილი და კოლონიური ქვეყნის შვილებისათვის, წინა პლანზე ეროვნული თავისუფლების საკითხი იდგა. კარგადაა ცნობილი, რომ ქართველმა სამოციანელებმა შეცვალეს დამპყრობელთან შეთქმულება-აჯანყებებით დაპირისპირების მეთოდი და რუსეთის კოლონიური უღლისაგან თავდაღწევის ტაქტიკად მშვიდობიანი ბრძოლის გზა აირჩიეს. ეს არჩევანი შექმნილი რეალობის გონივრულ ანალიზს ეფუძნებოდა. XIX საუკუნის პირველი მესამედის დაუსრულებელ აჯანყებებში განცდილმა მარცხმა ქართველი ერის სასიცოცხლო ენერგია შეასუსტა. გაღებული მასშტაბური მსხვერპლი ისედაც მცირერიცხოვან ქვეყანას უმძიმეს შედეგებს უქადდა. საჭირო იყო იმგვარი საშუალების გამოძებნა, რომელიც სანუკვარ მიზანს შედარებით უსაფრთხოდ და ერისათვის ნაკლები ზიანით მიგვაღწევინებდა. ილია ჭავჭავაძეს შესანიშნავად ესმოდა, რომ თავისუფლება, როგორც ეროვნული ბედნიერების წინაპირობა, მსხვერპლის გარეშე წარმოუდგენელია (,,თავისუფლებისმშოვნელი ამ ქვეყნად მხოლოდ თოფია"), მაგრამ ბრძენკაცი იმასაც ითვალისწინებდა, რომ გამუდმებული აჯანყებები ერს ღონეს აცლიდა და მის მომავალს უნუგეშოს ხდიდა. ამიტომაც ილიამ და თერგდალეულებმა უარი თქვეს კოლონიურ რეჟიმთან ძალით დაპირისპირებაზე, გეზი მშვიდობიან ბრძოლაზე აიღეს, რომლის იარაღად ცოდნა და განათლება დაიგულეს. ეს მკაფიოდ ჩანს აკაკი წერეთლის ლექსში ,,დედა და შვილი". როდესაც ეროვნული თავისუფლებისათვის გულანთებული შვილი დედას მიმართავს: ,,დედილო, მომეც ფარ-ხმალი, რომ ავასრულო ვალიო!" - დედა პასუხობს:

,,ადრეა შვილო ჯერ კიდევ,

წიგნია შენი ხმალიო!" (სურგულაძე 1973: 277).

თერგდალეულებს ერისათვის იმაზე მეტი პრაქტიკული ამოცანა არ დაუსახავთ, რისი მიღწევაც კონკრეტულ ვითარებაში უმსხვერპლოდ და უზიანოდ იყო შესაძლებელი.

დამპყრობლის მიმართ ამგვარი ფრთხილი, აუჩქარებელი და წინდახედული დამოკიდებულება სპეციალურ ლიტერატურაში ,,აქტიური ლოდინის ტაქტიკადაა" სახელდებული. სხვაგვარად, ,,შესაძლებლის მაქსიმუმი" ანუ მიღწეულით დროებითი დაკმაყოფილება და პარალელურად, მზადება უფრო მეტისთვის, საღი და

რეალისტური პოლიტიკის გამოვლინებაა, რაც ნამდვილად დამახასიათებელი იყო ქართველ სამოციანელთათვის (ჯანელიძე 2002: 32). მაგრამ ამჯერად მე მაინტერესებს, რა მიმართებაში იყო ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად თერგდალეულთა მიერ არჩეული ტაქტიკა ლიბერალიზმის იდეოლოგიასთან.

ლიბერალიზმის საგულისხმო თვალთახედვაა ხალხთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობისა და ომზე მშვიდობის პრიმატის აღიარება. ცნობილია, რომ იმანუელ კანტი, ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტდი, იერემია ბენტამი და რიჩარდ კობდენი განადიდებდნენ ,,მუდმივ მშვიდობას" და საერთოდ, ლიბერალთა უმრავლესობა იზიარებდა აზრს, რომ წარმატებული ომი გამარჯვებულისათვისაც კი ბოროტებაა და მშვიდობა ყოველთვის უმჯობესია ომზე (მიზესი 2001).

ლიბერალებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ნებისმიერი უთანხმოება შეიძლება არა ძალადობითა და ომით, არამედ მშვიდობიანი გზით, დისკუსიებითა და მოლაპარაკებებით მოგვარდეს (ჰეივუდი 2008: 22-23; 71).

ილია ჭავჭავაძეც მიიჩნევდა, რომ ,,ომი უბედურებაა, ომი დამთქმელია ადამიანის სიცოცხლისა, ადამიანის ღვაწლისა, მონაგარისა" და რომ: ,,მორიგებით, მშვიდობიანობით საქმის გათავება, რასაკვირველია, ყოველთვის კარგია" (ილია 1997: 175; 43).

ამდენად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ილიასეული და თერგდალეულთა მშვიდობიანი ბრძოლის ტაქტიკა სრულად პასუხობს ლიბერალიზმის თეორიულ პოსტულატებს და თავსდება მის კონცეფციაში.

ლიბერალურ აზროვნებას შეესაბამება ასევე, ილია ჭავჭავაძის შეხედულება წოდებათა შერიგებისა და თანხმობის, ყველა საზოგადოებრივ ძალთა გაერთიანების შესახებ, რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში ,,საერთო ნიადაგის" თეორიის სახელწოდებითაა ცნობილი.

აზრი იმის შესახებ, რომ ,,საერთო ნიადაგის" თეორია არსობრივად ,,ლიბერალ-რადიკალურია" ჯერ კიდევ არჩილ ჯორჯაძემ გამოთქვა 1901 წელს ჟურნალ ,,მოამბეში" გამოქვეყნებულ სტატიაში ,,პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე". ეს აზრი გაზიარებულია თანამედროვე ისტორიოგრაფიასა და პოლიტიკურ მეცნიერებაში. ,,საერთო ნიადაგის" თეორია კონსერვატიულ-ტრადიციონალისტურ საფუძველზე დგას, შენობა კი მთლიანად ლიბერალურია" (გოგიაშვილი 2008: 113; 132).

ილია ჭავჭავაძესა და თერგდალეულებს ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ ადამიანის უფლებები, რაც ლიბერალიზმის მოძღვრების ერთ უმთავრეს პრინციპს შეადგენს. თერგდალეულთა აზრით, ადამიანის უფლებები საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან მუდმივი ზრუნვისა და დაცვის საგანი უნდა იყოს. ილია ჭავჭავაძე ამ საკითხს სულაც კაცობრიობის პროგრესს უკავშირებდა. მისი სიტყვით: ,,რა არის მთელი პროგრესი კაცობრიობისა, თუ არა ის, რომ ადამიანის პიროვნება, ადამიანის სინდისი, ყოფა-

ცხოვრება, - უსაბუთოდ, უსაფუძვლოდ არავისაგან ხელშეხებული არ იყოს, არავისაგან შემწიკვლულ, შეგინებულ, შევიწროებულ“ (ილია 1997: 45).

ილია ჭავჭავაძის ლიბერალურ ნაზრევში განსაკუთრებით ხაზგასმულია ადამიანის ღირსების საკითხი, რომელიც ,,ჭეშმარიტ ლიბერალობას ... დიდი ასოებითაა აქვს დაწერილი თავის დროშაზედ“ (ილია 1955 ა: 168). ილიას ადამიანის ღირსება ,,ზნეობით კუთვნილებად“ მიაჩნდა და მოითხოვდა, რომ იგი ,,ღრმად პატივცემული“ ყოფილიყო (ილია 1997: 288).

ილია აღნიშნავდა: ,,ადამიანისათვის სულ ერთია, ცალკე კაცი ჰლახავს ადამიანის უფლებას თუ რაზმად დაწყობილი კრებული, თანაც ისეთ უფლებებს, რომელიც ბუნებრივად მინიჭებული აქვს ყოველ ადამიანს, ასეთი საქციელი შეუწყნარებელია და დაუზოგველად განსაკითხავი ყოველგან და ყოვლისგან”.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ თერგდალეულები ადამიანის უფლებებს ყოველთვის მოვალეობასთან კავშირში განიხილავდნენ, რაც ასევე ლიბერალური თვალთახედვაა. ნათქვამის საილუსტრაციოდ არაერთი ციტატის მოხმობა შეიძლება მათი პუბლიცისტური ნაწერებიდან, მაგრამ დავკმაყოფილდეთ ილია ჭავჭავაძის გამონათქვამებით, რომლებიც ასე ჟღერს: ,,ადამიანის შვილი ერთის მხრით უფალია, მეორეს მხრით მოვალე“ (ილია 1997: 15) და ,,მოვალეობის გარეშე უფლება არ არსებობს, ხოლო მოვალეობა ისაა, რომ პატივი სცე, დაიცვა კიდეც სხვისი უფლება და არ დაარღვიო იგი“ (ილია 1961: 81).

ლიბერალიზმის ღირებულებათაგან მეტად ფასეულია კანონის უზენაესობა. ამ მხრივაც ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულები მაგალითის მიმცემნი იყვნენ. ილია კანონმორჩილი კაცი იყო. მას, როგორც საქართველოს თავისუფლების მოსურნე მოღვაწეს, ცხადია, ვერ დააკმაყოფილებდა ის ცარისტული კანონები, რომლებიც ზღუდავდნენ მისი სამშობლოს თავისუფლებას, მომხრე იყო, რომ საქართველოსთვის კანონები საქართველოშივე იწერებოდეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საზოგადოდ, კანონისადმი პატივისცემა აუცილებლად მიაჩნდა. ილიას წარმოდგენით, საზოგადოება უფრო მეტად უნდა ყოფილიყო გაცნობიერებული კანონებში, უკეთ უნდა შეესწავლა მათი არსი, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა ეს კანონები საკუთარი უფლებების დასაცავადაც გამოეყენებინა. წერდა: თუ კანონი ირღვევა, მართლმსაჯულებას უდიერად ექცევიან და ფეხქვეშ თელავენ, ,,მაშინ მე ვიჩაგრები ამისგან თუ სხვა, მაინც მოვალე ვარ, თავი გამოვიდო, კანონის სახელი ძირს არ დავცე და არ გავაქელვინო. იმიტომ რომ კანონი ყველას ფარ-ხმალია და მაშასადამე ჩემიცა“.

ილია ჭავჭავაძეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეხედულება გააჩნდა კერძო საკუთრების რაობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების განვითარებაში. მწერლის სიტყვით, ,,ხელშეუხებლობა პირადის საკუთრებისა ... მერმისის ქვაკუთხედად არის აღიარებული, და ყოველს, რაც ჰზღუდავს და ჰხუთავს ამ ხელშეუხებლობას, რჯული ძნელად იშვნევს, ძნელად იწყნარებს“ (ილია 1997: 233). საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძეს კერძო საკუთრების შეურყევლობა სახელმწიფოსა და საზოგადოების სტაბილური განვითარების, მისი დღეგრძელობის საფუძვლად წარმოედგინა.

ლიბერალურ თეორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდუალიზმს, რომელიც პიროვნების პირად დამოუკიდებლობას, თვითდამკვიდრებას გულისხმობს და ნებისმიერი სოციალური ჯგუფის ან კოლექტივის წინაშე მის უზენაესობას აღიარებს. ინდივიდუალიზმი ადამიანთა საყოველთაო თანასწორობას ემყარება (ჰეივუდი 2008: 22-23; 70), ხოლო პიროვნული თავისუფლება ადამიანური ღირსების გარანტიაა.

ადამიანის თავისუფლებისა და თანასწორობის საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში. მას თანასწორობა იმ საჯარო უფლებად მიაჩნდა, რომელიც ყველას კუთვნილი და ყველასათვის ერთნაირად ძვირფასია. ,,თანასწორობა ...სულია და გული ყოველის წყობისა“, წერდა იგი (ილია 1997: 38).

ლიბერალური კონცეფციით, თანასწორობაში არა სოციალური, არამედ უფლებრივი და სამართლებრივი თანასწორობა მოიაზრება. სხვაგვარად, ესაა თანაბარი შესაძლებლობები, ასევე კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის და პოლიტიკური თანასწორობის პრინციპის აღიარება, რომელიც გულისხმობს, რომ თითოეული ამომრჩევლის ხმას თანაბარი წონა აქვს (,,ერთი პიროვნება - ერთი ხმა“).

საგულისხმო ლიბერალური თვალთახედვაა საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, ანუ, როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა: ,,საკუთარი თავის მოიმედობა“. თერგდალეულები პირად ინიციატივას, საკუთარი უნარის, ნიჭისა და თვითმოქმედების გამოვლენას ქვეყნის წინსვლა-განვითარების პირობად სახავდნენ და არა ცალკეულ პიროვნებებს, არამედ მთელ ერს მოქალაქეობრივი აქტივობისაკენ მოუწოდებდნენ. ,,ჩვენი ცხოვრების შარა-გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ“, ,,ჩვენს გარეშე ჩვენი ხსნა სიზმარია“ - მოძღვრავდა ქართველ ერს ილია ჭავჭავაძე (ილია 1955 ბ: 321, 323).

როგორც ვნახეთ, ილია ჭავჭავაძესა და სხვა

ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲘᲚᲘᲐ

თერგდალეულებს არ შეუქმნიათ თეორიული ტრაქტატები, მათ ცალკე კონკრეტული წერილიც კი არ მიუძღვნიათ ლიბერალიზმისადმი, მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ ისინი კარგად გაერკვნენ ამ იდეოლოგიის არსში, ჩაწვდნენ მის სულს და ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპები საქართველოს სპეციფიკას მიუსადაგეს.

ილია ჭავჭავაძის ნააზრევი არ თავსდება ერთი რომელიმე მსოფლმხედველობის ჩარჩოში. იგი იყო ტრადიციონალისტი-კონსერვატორიც და იმავდროულად დემოკრატიული და ლიბერალური იდეების ერთგული დამცველიც. ამიტომაცაა, რომ ილია ჭავჭავაძეს მისი მსოფლმხედველობის მიუხედავად, თავისკენ ექაჩებოდა და ექაჩება სხვადასხვა პოლიტიკური ძალა. მას თავის ,,იდეურ და სულიერ მამამთავრად“ მიიჩნევდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ხოლო ქართველი ფედერალისტები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ილია ჭავჭავაძის ეროვნული დროშა ,,ხელში აიღო და აღმართა ახალ ვითარებასთან შეგუებით სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ“ (ჯანელიძე 2002: 29).

კომუნისტებმა ხანგრძლივი ათვალწუნების შემდეგ ილია ჭავჭავაძე ჯერ რევოლუციონერ-დემოკრატად, შემდეგ კი ლამის ბოლშევიზმის იდეურ წინაპრად გამოაცხადეს, ირწმუნებოდნენ: თავისი მოღვაწეობით ილია ამზადებდა ოქტომბრის რევოლუციას და ამით ხელს უწყობდა კომუნიზმის გამარჯვებასო. საბჭოთა ხელისუფლება ,,განახლებულ“, სოციალისტურ საქართველოს ილიას იდეების პრაქტიკულ ხორცშესხმად წარმოაჩენდა. ეს რომ ასე არ იყო, მკაფიოდ ცხადყოფს გალაკტიონ ტაბიძის ერთი ლექსის სტრიქონიც, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში პოეტის ,,უჯრის პატიმრად” რჩებოდა და ფართო საზოგადოებისათვის გვიან გახდა ცნობილი: ,,დაკარგულია გზა მოხევესი.” საბჭოთა საქართველოს სინამდვილე შორს იყო ილია ჭავჭავაძის ოცნების საქართველოსაგან და ნაკლებად შეესაბამებოდა მის ეროვნულ მისწრაფებას.

ივანე ჯავახიშვილი ბრძანებდა, ჩვენდა საუბედუროდ, თავის დროზე ილია ჭავჭავაძეს კარგი გამგონე არ გამოსჩენიაო. მართლაც, მწერლის ზოგი თანამედროვე, და გაცილებით მეტნი შთამომავალთაგან, ვერ მიუხვდნენ ერის დიდ მოძღვარს, ვერ ჩაწვდნენ მისი ნააზრევის სიღრმეს, მცდარად გაიგეს ანდა ძალით გააუკუღმართეს იგი.

1987 წელს ილია ჭავჭავაძე საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. 2009 წელს საქართველოს პრეზიდენტმა, მ. სააკაშვილმა ილია პირველ ქართველ ლიბერტარიანელადაც გამოაცხადა. დღეს ილია ხატად არის ქცეული და გარკვეულად საკრალიზებულიც. არადა, საჭიროა მისი ნააზრევის უფრო სიღრმისეული შესწავლა, გონივრული ანალიზი, რადგან საქართველოს თავისუფლების, სახელმწიფოებრივი აღორძინებისა და განახლების გზა ილია ჭავჭავაძის მიერ ორიენტირებულ ,,ჩატეხილი ხიდის” გამთელებაზე, დიდ ეროვნულ თანხმობაზე, კონსოლიდაციაზე, ერის სულიერ წვრთნაზე, ზნეობრივ გაჯანსაღებაზე, განათლებასა და ცოდნაზე, მამულის მსახურებაზე, ,,ახსნილ შრომაზე,” ,,მაშვრალთა განკაცებაზე” გადიოდა და გადის. ეს გზა იმ ლიბერალურ პრინციპებს უნდა დაეყრდნოს, რომლებიც დასახული მიზნის მიღწევას გააადვილებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგიაშვილი 2008: გოგიაშვილი ო. ილია დღეს, თბ., 2008.
2. ილია 1997: ილია ჭავჭავაძე, ამას ვამბობ და ვღაღადებ, ქუთაისი, 1997.
3. ილია 1955 ბ: ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, ტ. IV, თბ., 1955.
4. ილია 1955 ა: ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, ტ. V, თბ., 1955.
5. ილია 1961: ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, ტ. X , თბ., 1961.
6. მიზესი, 2001: Мизес Л. фон. Либерализм (Пер. с англ. А. В. Куряева), М., 2001. http://www.sotsium.ru/books/13/141/mises_lib06_ch1.html
7. სურგულაძე 1973: სურგულაძე ა. ქართული საზოგადოებრივი აზრის XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1973.
8. სტენფორდის 1996: Stanford Encyclopedia of Philosophy. განთავსებულია 16 სექტემბერს 2010. მის.:http://plato.stanford.edu/entries/liberalism/
9. ჟვანია 2006: ჟვანია ნ. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია, თბ., 2006.
10. ჰეივუდი, 2008: ჰეივუდი ენდრიუ, პოლიტიკა = Politics, თარგმ. გია ჭუმბურიძე, ზაზა ჭელიძე, თბ., 2008.
11. ჰოისი 2014: Рэймонд Гойс, Неуют либерализма. განთავსებულია 14 მარტიდან 2014. მის.: http://magazines.russ.ru/nz/2010/5/go1.html
12. ჯანელიძე, 2002: ჯანელიძე ო. ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.

ილია ჭავჭავაძე ქალთა უფლებების შესახებ

ხათუნა ბერიშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ივ.ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახ. უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ფემინიზმი ცხოვრების სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სხვა სფეროებში ქალის უფლებების აღიარება და მამაკაცის უფლებებთან გათანაბრებაა. საქართველოში XIX საუკუნეში დაიწყო ქალის ფუნქციებისადმი კონსერვატიული დამოკიდებულების მკაცრი კრიტიკა. თანამედროვე 21-ე საუკუნის პოსტსაბჭოთა, პოსტკოლონიური ეპოქის საქართველო, არის სწორედ ის ქვეყანა, რომლისთვისაც კვლავაც ყველაზე მეტად არის საჭირო დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ნააზრევი ,,ქალთა უფლებების შესახებ". ილია ჭავჭავაძემ ქალთა საკითხი წამოსწია. იგი ცნობდა ქალის თანასწორ უფლებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. ილია ჭავჭავაძის სახელს ყველაზე ფართოდ მოიხსენიებენ დღეს საქართველოში. ფაქტობრივად, ეს არის ის პიროვნება, ის ავტორიტეტი, რომელსაც ყოველგვარი ეჭვის გარეშე იზიარებს საქართველოს ყველა სოციალური თუ ინტელექტუალური ფენა. ის, რომ საქართველოში ,,ქალთა უფლებების" აღიარება და დაცვა დღეს, 21-ე საუკუნეში არის რეალური ფაქტი, ჩვენ სწორედ ილია ჭავჭავაძის სახელთან უნდა დავაკავშიროთ.

Ilia Chavchavadze about women's rights

Khatuna Berishvili
Doctor of Economy, Associate Professor. Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

Feminism is acknowledgement of women's rights in social, cultural, economic, political spheres of life and their equality with the rights of men. The ideas of feministic character first appeared in Old China. In Georgia in XIX century sharp criticism started on the conservative approach to the functions of women. Georgia of XXI century, of post-Soviet, post-colonial epoch is just the country, for which still of greatest importance and most necessary are the ideas of writer and public figure Ilia Chavchavadze, expressed in "About the Rights of Women". Ilia Chavchavadze put forward the issue of women. He recognized the equal right of women in all branches of the public life. Most widely Ilia Chavchavadze's name is mentioned in the present-day Georgia. In fact, he is the personality, the authority, shared undoubtedly by all the social and intellectual layers in Georgia. We should connect Ilia Chavchavadze's name with the fact that today in Georgia of XXI century "the rights of women" are recognized and protected.

ფემინიზმის, როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობის ჩამოყალიბებას მე–19 საუკუნეში ხელი შუწყო იმ საზოგადოებრივმა გაერთიანებამ, რომელმაც ქალი დამოუკიდებელ სუბიექტად მიიჩნია და იწამა მისი როლი მთლიანად საზოგადოების განვითარებაში. ფემინიზმი მოიცავს ორ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ კომპონენტს – ქალთა მოძრაობას და ფემინისტურ იდეოლოგიას. ის ლიბერალიზმის პრინციპებს დაეფუძნა და მოითხოვს ქალებისა და მამაკაცების თანასწორუფლებიანობას, მათი შესაძლებლობების გამოვლენას, რაციონალური არჩევანის უფლებას.

ფემინიზმი ცხოვრების სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სხვა სფეროებში ქალის უფლებების აღიარება და მამაკაცის უფლებებთან გათანაბრებაა. ის ასევე გულისხმობს ამავე სახელწოდების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას [1, გვ. 19].

ქალის საზოგადოებრივი როლის დადგენის

პირველი ცდა გვხვდება ნიკეის (თურქეთი) პირველ საეკლესიო კრებაზე, რომელიც ჩატარდა 325 წელს. ქრისტიანობის ისტორიაში ამ პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაადგინა ქრისტიანობის ძირითადი დოქტრინები. ერთ-ერთი მუხლი შეეხებოდა ქალთა როლის განსაზღვრას საზოგადოებაში. ნიკეის საერთაშორისო კრება შეიძლება მივიჩნიოთ გლობალიზაციის განვითარების საფუძვლად, რადგან იგი ერთმნიშვნელოვნად მიისწრაფვოდა, რომ მსოფლიოში დაემკვიდრებინა საერთო დოქტრინები და წესები, რაც არსებითად გაამარტივებდა ქვეყნებს შორის ინტეგრაციულ კავშირს [7].

ფემინისტური ხასიათის იდეები პირველად ძვ. ჩინეთში გამოჩნდა. თუმცა მისი თეორიის ჩამოყალიბება დაიწყო 1792 წელს, როდესაც გამოვიდა მერი უოლსტოუნქრაფტის წიგნი ,,განცხადება ქალთა უფლებების შესახებ". მერი უოლსტოუნქრაფტი მე-18 საუკუნის ინგლისელი მწერალი, ფილოსოფოსი და ქალთა დამცველია. მერი თავის ნაშრომებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქალის როლს საზოგადოებაში, ვინაიდან ადრეულ საუკუნეებში მეტად სენსიტიურ თემად მიიჩნეოდა ქალის დაკნინებული როლი, ის თავის ნაშრომში პირველად ბედავს და აკრიტიკებს ოჯახს, განათლებასა და ქალის ტრადიციულ შრომას, როგორც ქალთა დაქვემდებარების ინსტიტუტებს. არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ის გადაჭრით ამბობს და ხაზს უსვამს მათ არარსებობას, იგი გულისხმობს ქალის როლის ამაღლებას საზოგადოებაში და მისი უფლებებისა და მოვალეობის გათანასწორებას მამაკაცთან. იგი ერთხმად აღიარებს, რომ ქალიც გონიერი არსებაა, თუ ადრე ქალს ასწავლიდნენ, რომ უნდა ყოფილიყო ნაზი, მორჩილი და თავშეკავებული, მერი უოლსტოუნქრაფტის მიზანი სწორედ ქალისთვის თავისუფალი არჩევანის პირობების შექმნა იყო. [12,გვ. 62]

უფრო ფართო აუდიტორია ფემინისტურმა იდეამ მოიპოვა 1840-1850 წლებში, როცა დასავლეთის რიგ ქვეყნებში გაიშალა სუფრაჟისტების მოძრაობა, რომლებიც მოითხოვდნენ ქალებისათვის სარჩევნო უფლების მინიჭებას. ეს იყო ფემინიზმის ე.წ. ,,პირველი ტალღა". მას შემდეგ რაც დასავლეთ ევროპის უმრავლეს ქვეყნებში XX ს-ის ქალებს მიეცათ საარჩევნო უფლება, ქალთა მოძრაობა რამდენადმე შენელდა. 1960-იან წლებში გაიშალა ფემინიზის "მეორე ტალღა". მასში გამოიხატა ქალთა პოლიტიკური ემანსიპაციის რადიკალური მოთხოვნები. ფემინისტური მოძრაობის პირველ ეტაპებზე მიზნად იქნა დასახული ქალებისათვის საარჩევნო უფლებების მოპოვება, ამიტომ მოძრაობის მონაწილეებს სუფრაჟისტებს უწოდებდნენ. სუფრაჟიზმი აღმოცენდა ინგლისში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მოგვიანებით კი გავრცელდა აშშ-ში, გერმანიაში, საფრანგეთსა და მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაში. 1870– იან წლებში უნივერსიტეტებმა პირველად გაუღეს კარი ქალბატონებს. 1893 წლის 19 სექტემბერს ქალებმა პირველად მოიპოვეს საარჩევნო ხმის უფლება – ახალ ზელანდიაში. შემდეგ იყო ფინეთი –1906, პირველი ევროპული ქვეყანა, ბრიტანეთი (1918), ამერიკა (1920), საფრანგეთი (1944), იტალია (1945)… ყველაზე გვიან ხმის მიცემის უფლება ქალებმა შვეიცარიაში მიიღეს – 1971 წელს. საქართველოში ხმის უფლების მიცემა ქალებს 1918 წლიდან აქვთ მენშევიკური მთავრობის გადაწყვეტილებით.

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე 21-ე საუკუნის პოსტსაბჭოთა, პოსტკოლონიური ეპოქის საქართველო, არის სწორედ ის ქვეყანა, რომლისთვისაც კვლავაც ყველაზე მეტად არის საჭირო დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ნაზრევი ,,ქალთა უფლებების შესახებ''.

საქართველოში XIX საუკუნეში დაიწყო ქალის ფუნქციებისადმი კონსერვატიული დამოკიდებულების მკაცრი კრიტიკა. ილია ჭავჭავაძემ ქალთა საკითხი წამოსწია. იგი ცნობდა ქალის თანასწორ უფლებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. ილია წერდა: "შორს არ არის ის დრო, როდესაც დედათა საქმე თავისას გაიტანს და ეს მთელი ნახევარი სქესი კაცობრიობისა მოწვეულ იქნება წუთისოფლის სუფრაზედ თავისი კუთვნილის ადგილის დასაკავებლად".

ილია ჭავჭავაძეს კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული ისტორიის წერის როლი ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესში, თუმცა, როცა ქალთა საკითხზე მიდგება საქმე, იმ დროის მამაკაცებისთვის დამახასიათებელია თანამედროვე ქალების კრიტიკა და წარსულის სამაგალითო ,,დედებთან" შედარება. ვაი, რომ ,,დედაკაცნი" წავიდნენ, აღარ გვყვანან და მარტო ,,ქალები"–ღა დაგვრჩნენ" [11, გვ 13] – მისტირის ილია წარსულის ქალებს და ამ შემთხვევაში სიტყვა, ,,დედაკაცი" დადებითი კონოტაციის მატარებელია, ,,ქალი" კი დაგმობილი. როცა ქართველი ფემინისტები წარსულში ქალის მდგომარეობაზე და ისტორიაში ქალის როლზე საუბრობენ, ეროვნულობის და ქართველობის თემა მათთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია. თანამედროვე მამაკაცების შემთხვევაში კი ქალების ჩაგვრა და დაქვემდებარება აქტიური განსჯის საგანს არ წარმოადგენს, თუმცა წარსულის ქალი გაიდეალებულია და ზოგადად, ქალი ხშირად მოიხსენიება დედის, ოჯახის ბურჯის, ენის და კულტურის დამცველის კონტექსტში [11, გვ 24]. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდნენ ქალების გულშემატკივარი კაცებიც, ქალის საკითხი ეროვნულ საკითხს უფრო ებმოდა. ამასთან, სამწუხაროდ, კაცების, განსაკუთრებით, ილია ჭავჭავაძის გავლენა ბევრად დიდი იყო, ვიდრე ქალებისა. ამაზე მიუთითებს როგორც არქივებში

ქალების და კაცების მასალების რაოდენობას შორის ძალიან დიდი განსხვავება, ისე ის ფაქტიც, რომ ქალების მიერ დაწერილი სიტყვები და სტატიები ხშირად საერთოდ არც კი ქვეყნდებოდა. [13, გვ 6].

ილია ხაზს უსვამს ევროპულ და ამერიკულ მიდგომებს ქალთა უფლებებზე და დასძენს, რომ ევროპაში მუდამ იწერება ქალთა ემანსიპაციზე, მათი მომხრეები ხედავენ, რომ კაცთა და ქალთა უფლებები არასამართლიანად არის განაწილებული და მნიშვნელოვანია სამართლიანი პირობების შემოღებაო: ,,ერთს დროს დიდი და გაცხარებული ლაპარაკი ჰქონდა ევროპიის ლიტერატურას და ნამეტნავად რუსეთისას ეგრეთწოდებულ ,,დედათა ემანსიპაციის'' თაობაზედ. მომხრენი ამ საქმისა ჰხედავდნენ, რომ ეხლანდელი ურთიერთობა მამათა და დედათა სქესისა ვერ არის სამართლიანად მოწყობილი და აშენებულია უმართლო მოძღვრებაზედ, ვითომ დედაკაცი მამაკაცთა ტყვე და მონა არისო და ამის გამო ბევრში უფლებას თავისუფალის ადამიანისას მოკლებულიაო. ამის მიხედვით დაჩაგრულთა დედათა მომხრენი სწერდნენ და ჰქადაგობდნენ, რომ ქალებს უნდა მიენიჭოთ ყოველივე უფლება, რაც მამაკაცთა აქვთ მინიჭებული, ასე რომ ამ ორ სქესთა შორის ურთიერთობა სამართლიანის თანასწორობით დადგენილ იქმნას კაცთა ცხოვრებაშიო.

ილია გულდაწყვეტით აღნიშნავს, მიუხედავად ყველა მცდელობისა, რომ ამდენი წერილი იწერება საქართველოში ,,ქალთა უფლებების'' შესახებ, მაინც არ არის საფუძვლიანად შესწავლილი ეს საკითხი და დიდად ქალებიც არ გამოირჩევიან აქტიურობით ამ საქმეში. ეს ხომ მხოლოდ თეორიაა დ პრაქტიკულად უნდა იყოს განხორციელებული საზოგადოების მიერ. მხოლოდ საუბრებია ამ თემის ირგვლივ, რომ ქალთა უფლებები იყოს დაცული, მაგრამ ამისთვის ქალები ერთ ნაბიჯსაც არ დგამენ და უმოქმედონი არიან ყველა იმ წრეში, სადაც უხდებათ ყოფნა, სწორედ ამით სარგებლობენ მათი მოწინააღმდეგენიო: ,, ბევრი კარგი რამ ითქვა ამაზედ, ბევრი საბუთიანი ,,ჰო და არა გამომჟღავნდა და ბევრიც უქმი, წინდაუხედავი სიტყვა დაიხარჯა. მაინცდამაინც საბუთი აქვს კაცს სთქვას, რომ ეს საგანი საკმაოდ გამორკვეულია დღეს და თეორიულად მრავალკეცად და გონებადასმით გარჩეული და გაჩხრეკილი. ჩვენ ეს ბუნება და ისტორია ამ ფრიად საყურადღებო საქმისა აქ დღეს ორიოდე სიტყვით მოვიხსენიეთ, იმიტომ რომ აზრად არა გვაქვს ამ საგნის ბუნება და ისტორია დაწვრილებით გამოვიკვლიოთ. ჩვენ მარტო ის გვინდა ვსთქვათ, რომ ამ თეორიულად საკმაოდ კარგად გარჩეულმა საქმემ საზოგადოების ყურამდე სრულის სავსებით ვერ მიაღწია. ბევრს კაცსა, თუ ქალსა ჰგონია დღესაც რომ აქ მარტო იმაზეა ლაპარაკი, ვითომც ამ ემანსიპაციის საქმეში სხვა არა არის რა, გარდა იმისა, რომ ქალთა, თუ დედათა მხოლოდ უფლება მიენიჭოთ და იმას კი აღარავინ ჰფიქრობს, რომ არ არის არც ერთი იმისთან უფლება კაცთა ურთიერთობაში, რომელსაც არ მოსდევდეს მოვალეობაცა. მართალია, მამაკაცს ეხლანდელს ცხოვრებაში ბევრი იმისთანა უფლება აქვს, რომელიც სამართლიანად ქალსაც ეკუთვნის, მაგრამ მამაკაცი ამასთანავე მსახურია სახელმწიფოსი, ქვეყნისა, საზოგადოებისა, ოჯახისა და ყოველგვარი მძიმე ტვირთი ადამიანთა რთულის ცხოვრებისა კისრად ადევს. დღეს ქალები რომ იძახიან, _ მოგვეცით უფლებაო, ეს ძახილი თუმცა სამართლიანია, მაგრამ ჰრჩება ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა: იმიტომ რომ ყველანი ჰხედვენ, რომ ქალები ბევრწილად უქმნი და უვარგისნი არიან იმ მოკლედ შემოხაზულ წრეშიაც კი, რომელშიაც დღეს იმყოფებიან, და იმ მცირეოდენს მოვალეობასაც ვერ უძღვებიან, რაც დღეს მიზომილი აქვთ საზოგადოებასა, თუ ოჯახობაში ეს დღევანდელი უქმობა და უვარგისობა ქალებისა ხელზედ დახვეული აქვთ ყველას, ვინც კი დედათა ემანსიპაციას არ ემხრობა და ეწინააღმდეგება. თითო-ოროლა მაგალითი საქმითა და გამჭრიახობით გამოჩენილ ქალებისა ამ წინააღმდეგობის საბუთს ბევრს არას არღვევს. ამ მაგალითებს მარტო ბედნიერ შემთხვევად სთვლიან და უფროს-ერთს ქალზედ კი ისევ ის უვარგისობის აზრი ჰრჩება.

ილია მუდმივად აკვირდებოდა უცხოეთში განვითარებულ მოვლენებს ,,ქალთა უფლებების შესახებ''. ის წერდა თავის წერილებში, რომ იქაური ქალები აქტიურად არიან ჩართულნი საზოგადოებრივ საქმიანობაში საკუთარი როლის ამაღლებასა და წამყვან პოზიციებზე დასაქმებაში. მათ მიაჩნიათ, რომ ჭკუით, გონებით და საქმით მამაკაცს არ ჩამოუვარდებიან. ამის დასამტკიცებლად ილიას მოჰყავს სხვადასხვა უცხოური ჟურნალებიდან ამოკრებილი მაგალითები, თუ ქალი კაცს როგორ ეცილება ტექნიკის განვითარებაში. ის, რომ ქალებს ამერიკაში უამრავი პატენტი აქვთ მიღებული და მრავალი გამოგონების ავტორები არიან: ,, ამერიკაში იგრძნეს ქალებმა, რომ ეს ასეა და სამართლიანის ემანსიპაციის მოსაპოვებლად იმას აღარა სჯერდებიან, რომ იძახონ: უფლება მოგვეცითო. იმათ უფრო უკეთესი სახსარი, უკეთესი გზა ამოურჩევიათ. იმათ უფიქრნიათ, რომ ქვეყანას უნდა დავანახვოთ, რომ ჩვენც შეგვიძლიან რადმე ყოფნა ქვეყანაზედ, ჩვენც შეგვიძლიან ყველა მოვალეობას ადამიანისას გავუძღვეთ, ჩვენც შეგვიძლიან არამც თუ ხელით გარჯა, შრომა, საქმის კეთება, არამედ გონებითაც, ჭკვითაც და არც ერთსა და არც მეორეში მამაკაცს არ ჩამოვუვარდებითო. ამ პატიოსანს გაზრახვას შესდგომიან და, როგორც ჰნახავთ, საკვირველის ძლევამოსილობითაც შეუსრულებიათ.

ამის დასამტკიცებლად ჩვენ მოვიყვანთ საოცარს ამბებს, ერთის გერმანულის ჟურნალიდამ

ᲓᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲘᲚᲘᲐ

ამოკრებილს. ამ ამბების მიხედვით უტყუარად გამოარკვევს კაცი თუ, რის შემძლებელი არის ქალი და რა მონაწილეობას ჰღებულობს იგი ამერიკაში საზოგადო ცხოვრების წარსამატებლად და რარიგად ეცილება მამაკაცს ცხოვრების მოედანზედ, სატეხნიკო სარბიელზედაც კი. ეს ამბები მით უფრო საკვირველია, რომ ქალის გამჭრიახობასა და შემძლებელობას იმისთანა საქმეში გვიჩვენებს, რომელიც დღეს აქამომდე ქალისათვის უფრო ხელმიუწვდომელი ეგონა ადამიანს.

იგი გერმანული ჟურნალი ამბობს: ჩრდილო-ამერიკის არხივებიდამ ამოკრებილიაო ცნობანი, რომ ქალებს ამერიკაში 1900 პატენტი მიუღიათ მათ მიერ მოგონილ სხვადასხვა მაშინების გამო. ერთი ამ საქმის მცოდნე ამერიკელი უმატებს: ის კი ანგარიშში არ მოგვყავს, რომ ბევრი ქალი დაჰხმარებია მამაკაცს ამისთანა საქმეშიო. ეს ხომ საოცარია და საოცარი, უფრო საკვირველი ის არის, რომ იქაურ ქალებს იმისთანა საქმეშიც გამოუჩენიათ თავი, რომელიც ქალის ცხოვრებაზედ ერთობ შორს არის და ქალის ბუნებას უნდა ეუცხოვებოდეს. მაგალითებრ, ერთს ქალს, გვარად მატერს, ნიუ–იორკში მოუგონია ტელესკოპი მიწის ქვეშეთისათვის, ქალს გვარად მონტგომერს – ფოლადის ჯავშანი საომარ ხომალდისათვის, ქალს გოშამს _ ახალგვარი ზარბაზანი, ქალს ბიზელს – წყლისაგან გადასარჩენი ნავი, ქალს ტანნეის – მაშინა ზღვაში დაღუპულ ხომალდების ამოსაღებად და სხვანი. საქალო საქმეშიაც გამოუჩენიათ თავი. მაგალითებრ, ქალს როზენტალს უფრო უკეთესი საკერავი მაშინა მოუგონია, ვიდრე აქამომდე იყო.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, ძლიერი საბუთია ,,დედათა ემანსიპაციის'' მომხრეთათვის და ამისთანა საბუთს სიტყვას შეუბრუნებს მხოლოდ კერპობა და ჯიუტობა ადამიანისა. არ იქნება ურიგო, რომ ჩვენმა ქალებმაც ყური ათხოვონ ამისთანა მაგალითებს და ხალისი მოიპოვონ ამისთანა მოღვაწეობისა და მოქმედებისათვის. [17, გვ. 279]

ცხადია, ილია ამ შემთხვევაში ძალიან ნიშანდობლივ აქცენტს აკეთებს ქალთა უფლებებზე საქართველოში და ქალთა განათლებისსაკითხებზე. ეს არ არის შემთხვევითი. ეს არის სწორედ ის პროგრესული ღირებულება, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ევროპული საზოგადოებისთვის არის მნიშვნელოვანი, სწორედ ამ ლოგიკით ილია საქართველოშიც ხაზს უსვამს დედათა განათლების საკითხებზე თავის წერილებში, ისევე, როგორც ქალთა სოციალურ ფუნქციაზე.

თავის წერილში - „დედათა საქმე და ქალთა განათლება“ - 1899 წელს ილია ძალიან ნათლად აცხადებს, რომ ქალის სოციალური როლი არ უნდა იყოს შემოფარგლული მხოლოდ დედობით, ცოლობისა და დობის უღლით; იგი უნდა იყოს ორიენტირებული მაღალ მიზნებზე, მაღალ სოციალურ-სამოქალაქო და თვითრეალიზებად მიზნებზე.

„დედაც კაცია, ადამიანია, - ამბობს ილია, - და მარტო კაცისა და ადამიანის სახელით დედათა უფლებისსაქმეუნდაღაღადებდესდათხოულობდეს თვის წარმართვასა. ამ ფართო გზაზედ სდგას ეს საქმე ევროპაში დღეს და გვგონია, ვერაფერს სამსახურს უწევენ ქალებს ისინი, ვინც ამ საქმეს მოკლე ფარგალით უზომავენ ადგილს და დედაკაცი ადამიანობიდან ჩამოჰყავთ, რომ მარტო დედობისა და ცოლობის და დობის უღელი გააწევიონ, ესე იგი ბევრისაგან ცოტა უწყალობონ“. სწორედ, ამ აქცენტით, ილია დღევანდელ საქართველოსაც ეხმიანება, ცხადია, იმიტომ, რომ, ფაქტობრივად, ილიას მიერ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დასახული ამოცანები ეს არის კაცობრიობის პროგრესის იდეაზე ორიენტირებული ამოცანები, რომელიც თავის აქტუალობას არ კარგავს კვლავ და კვლავ ოცდამეერთე საუკუნეშიც. ის, რომ თითოეული მოქალაქის როლი, ეს არის ილიასთვის ნიშანდობლივი ამოცანა და თითოეულ მოქალაქეში პერსონალური თვითშეგნების და თვითიდენტობის გაღვიძება არის ერთიანი ნაციონალური ამოცანა, მის მიერ პუბლიცისტურ წერილებშიც არაერთხელ არის ხაზგასმული და, ცხადია, ის ხაზგასმულია ლოზუნგების სახით, მოწოდებების სახით მის პოეტურ შემოქმედებაში. [13, გვ 26].

ილია ასევე აღნიშნავდა არჩევნებში ქალთა ჩართულობის მნიშვნელობაზე, ის თავის ნაშრომებში ,,წერილები უცხოეთზე'' წერდა, ინგლისის პარლამენტზე, რომ ,,ათმა წელმა გაიარა, რაც ქალებმა არჩევანის უფლება ითხოვეს და მას აქეთ ეს საქმე არამც თუ შემწყდარა, არამდე საკვირველად გაძლიერდა. ილია ყურადღებას ამახვილებდა იმდროინდელი ლონდონის პარლამენტის დეპუტატის ფორსაიტის დამოკიდებულებას ქალთა აქტიურობაზე: ,,ეჭვი არ არის, რომ ქალები ისე გონივრულად მოიხმარებენ არჩევანის უფლებას, როგორც ამომრჩეველნი კაცები''. მე დარწმუნებული ვარ, რომ დრო მოვა და ქალთა მოწინააღმდეგთა სათაკილოდ გაუხდებათ ცრუმორწმუნეობა, რომელნიც ამტკიცებდნენ , რომ ქალებს განათლება არ უნდა მივცეთო''. [15, გვ.236]

ილია არა მარტო თვალს ადევნებდა უცხოეთში მიმდინარე მოვლენებს, არამედ მაქსიმალურად იყო ჩართული ამ პროცესებში. ის ცდილობდა დაერწმუნებინა იმდროინდელი ქართული საზოგადოება იმაში, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ქალის როლის ამაღლება საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ქალთა უფლებების ზრდას კაპიტალიზმის განვითარებამაც შეუწყო ხელი. ჩამოყალიბდა მუშა ქალების ფენა. XX საუკუნის დასაწყისში კავკასიაში გაიხსნა ქალთა უმაღლესი სასწავლებელი - ქალთა უმაღლესი კურსები. “ქართველ ქალთა საქველმოქმედო ორგანიზაციას” ილიას მეუღლე -

ოლღა გურამიშვილი ხელმძღვანელობდა. მწერალმა ქალმა ანასტასია ხოშტარია-ერისთავმა 1913წ. გორში დააარსა ქალთა გაერთიანება "მანდილი" და სხვ. ყოფილ საბჭოთა კავშირში ქართველი ქალები თავისი განათლებით და პროფესიონალიზმით ლიდერობდნენ. 1989 წლის აღწერით ყოველ 1000 ქალიდან 204-ს უმაღლესი განათლება ჰქონდა, ქალებს ეკავათ ხელმძღვანელი პოსტები სახალხო განათლების, ჯანდაცვის და სხვა სფეროებში. საქართველოში 1990 წლის ეკონომიურ კრიზისამდე ქალები ჩაბმული იყვნენ ფართომასშტაბიან ეკონომიურ საქმიანობაში. ქალთა შრომითი საქმიანობა განსაკუთრებით მაღალი იყო სოფლის მეურნეობაში, საზოგადოებრივი კვების სისტემაში; ეკონომიკის ე.წ. მამაკაცურ სექტორშიც კი ქალთა მონაწილეობამ 30-40%-ს მიაღწია. ქალები უმრავლესობას წარმოადგენდნენ ისეთ პრესტიჟულ პროფესიებში, როგორიცაა: მასწავლებელი, ექიმი, მსუბუქი და კვების მრეწველობის ინჟინერი, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწე. მმართველობით და პოლიტიკურ სტრუქტურებში კი შეზღუდული იყო ქალთა რიცხვი. ქალები ძირითადად მართვის საშუალო რგოლში იყვნენ წარმოდგენილი. [3, გვ27].

ილია ჭავჭავაძის სახელს ყველაზე ფართოდ მოიხსენიებენ დღეს საქართველოში. ფაქტობრივად, ეს არის ის პიროვნება, ის ავტორიტეტი, რომელსაც ყოველგვარი ეჭვის გარეშე იზიარებს საქართველოს ყველა სოციალური თუ ინტელექტუალური ფენა. სინამდვილეში, ილია ჭავჭავაძის სახელს ესაკუთრება არა მხოლოდ თანამედროვე საქართველო, არამედ მისი მოღვაწეობის ეპოქაც, სადაც მას განსაკუთრებული სოციალური როლი ჰქონდა მინიჭებული, როგორც ეროვნულ ლიდერს. ასევე ნიშანდობლივია, რომ ილია ჭავჭავაძის სახელი ძალიან დიდი ხნის მანძილზე ადრეულ საბჭოთა პერიოდში იყო ტაბუდადებული, მაგრამ მისი გააქტიურება სწორედ 30-იანი წლების ბოლოდან მოხდა ქართულ სააზროვნო სივრცეში[13]. თუმცა, ილია ჭავჭავაძის ფიგურა და როლი დღეს, თანამედროვე საქართველოსთვის უფრო მნიშვნელოვანია.

წარსულში და დღესაც, მიუხედავად რიგი ცვლილებებისა, ქალების ისტორია მხოლოდ ფრაგმენტულად, ისიც ფემინისტების ნააზრევში გვხვდება. საჭიროა იმის გაცნობიერება, რომ ისტორია არ არის უბრალოდ ფაქტები წარსულზე, არამედ ესაა აქტიური პროცესი, რომელიც იქმნება აწმყოში და ურთიერთქმედებს მასთან. საქართველოში ისტორია დიდწილად იდეოლოგიზირებულია[2, გვ.32]. ამასთან, ყველა ცნებას და მოვლენას თავისი ისტორია აქვს, სიტყვებიც არ არსებობს ისტორიული კონტექსტის გარეშე. ამ პროცესში გენდერის როგორც ისტორიული ანალიზის კატეგორიის შესწავლა ძალიან დიდი მნიშვნელობის მატარებელია გენდერული უთანასწორობის მიზეზების გასაგებად და აღმოსაფხვრელად. ის გარდა ინფორმაციისა, ლეგიტიმურობას მატებს დღევანდელ ფემინისტურ საქმიანობას და გენდერული უთანასწორობის აღიარებას. მითუმეტეს, როცა საბჭოთა იმპერიის და რიგი სხვა მიზეზების გამო ფემინიზმი და ქალთა უფლებები დასავლეთიდან შემოსულ უცხო მოვლენად მოიაზრებოდა საქართველოში. [11, გვ.9]. ის, რომ საქართველოში ,,ქალთა უფლებების" აღიარება და დაცვა დღეს, 21-ე საუკუნეში არის რეალური ფაქტი, ჩვენ სწორედ ილია ჭავჭავაძის სახელთან უნდა დავაკავშიროთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაეროს ქალთა ორგანიზაციის / ევროკავშირის პროექტი „ინოვაციური ინიციატივა გენდერული თანასწორობისათვის" (IAGE) . გენდერული მეინსტრიმინგი. www.unwomen.org
2. გოგავა ი. საშუალო სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოების ანალიზი; 2014.
3. კიკნაძე თ, დონაძე ნ. გენდერი, სოც. და პოლიტ. სწავლებანი, თბ 2006.
4. კუხალაშვილი რ. ეკონომიკური კეთილდღეობის გენდერული ასპექტი ანუ ფინანსური მართვის სადავეები ქალებს. www.iset-pi.ge
5. ლაზვიაშვილი მ. ,,ლეკვი ლომისა სწორია'', თბ.2012
6. მერკვილაძე ი. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი „ფემინიზმი"თბ., 2016
7. „ნიკეის პირველი საეკლესიო კრება" www. ka.wikipedia.org
8. გოგიაშვილი ო. ,,ილია დღეს'', თბ; 2012.
9. რატიანი მ. გენდერი როგორც გლობალური პრობლემა. თბ., 2017
10. სუხიტაშვილი ნ. - „ფემინისტი არ ვარ, მაგრამ პოზიცია გულისხმობს, რომ ქალთა ჩაგვრას ვაღიარებთ. http://multimedia.tsu.edu.ge 2014.

ქართული ისტორიული ცნობიერების რეინკარნაცია ილია ჭავჭავაძის ფენომენში (თანამედროვე გააზრებისათვის)*

ნოდარ ხონელიძე
ილიას უნივერსიტეტის გ. წერეთლის სახელობის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერ–
თანამშრომელი

წარმოდგენილი სტატია არის მცდელობა დიდი ქართველი მამულიშვილის, ილია ჭავჭავაძის თვალით შევხედოთ, შევიმეცნოთ თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი (ერთდროულად) ჩამოყალიბების რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე მტკივნეული პროცესები და ამასთანავე გავიაზროთ თვით ილიას ფენომენი საქართველოს ისტორიულ წარსულსა და მის სამომავლო პერსპექტივაში (რა თქმა უნდა იმდენად, რამდენადაც ეს ერთი სტატიის ფორმატშია შესაძლებელი).

კერძოდ, წერილში ვსაუბრობთ იმ სისხლხორცეულ, ორგანულ კავშირზე, რომელიც ჩვენი აზრით არსებობს ერთი მხრივ IX საუკუნის სრულიად განსაკუთრებულ საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისადმი მიძღვნილ გიორგი მერჩულეს ფასდაუდებელ ქმნილებაში გამოთქმულ საპროგრამო დებულებას – „ქართლად ფრიადΩ ქუეყანაΩ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაΩ ყოველი აღესრულების ...“ – და მეორე მხრივ ილია ჭავჭავაძის მიერ წარუვალ ფასეულობად აღიარებულ–მიჩნეულ „მამული, ენა, სარწმუნოება“–ს შორის.

თავისთავად იგულისხმება, რომ ეს საკრალური ტრიადა ილიას ხედვით არის აუცილებელი წანამძღვარიც ქვეყნისათვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და მისი შემდგომი სრულფასოვანი არსებობა–განვითარების უცილობელი პირობაც.

სტატიაში ხაზგასმული სინანულითაა აღნიშნული, რომ ილიას თანამედროვე ქართველობა (თავის გადამწყვეტ უმრავლესობაში) ყრუ, ბრმა და უკიდურესად აგრესიულად უმეცარიც აღმოჩნდა ერის მოძღვარის შეგონებებისა და მოწოდებებისადმი.

კიდევ უფრო სამწუხარო და დამანგრეველია ის, რომ მას შემდეგ „ბედნიერ ერს“ თავის „ბედნიერებაზე“ უარი სულაც არ უთქვამს...

რაც შეეხება თავად ცნებას, ისტორიული ცნობიერება, რაც ნიშნავს „კაუზალური აზროვნების განსაკუთრებულ ფორმას, რომლის საგანი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების თანამიმდევრობაა და ამგვარად იგი დაკავშირებულია გამახვილებულ შეგრძნებასთან სინამდვილისა, რომელშიც ცხოვრობს ხალხი“. აქ, ვფიქრობთ, განსაკუთრებით გამოკვეთილად, სრული სისავსით წარმოჩინდება ილიას გიგანტური ფიგურა, რადგან არც მანამდე და არც მას შემდეგ არავის გამოუვლენია ისეთი მძაფრი შეგრძნება არსებული კრიზისული ვითარებისა და მოუცია მისი ყოვლისმომცველი ანალიზი, ისევე როგორც, არც არავის დღემდე ისე მკაფიოდ არ უთქვამს ქვეყნის ჭირის შესახებ და დაუსახავს, დაუსაბუთებია მისგან დაღწევის გზა–საშუალებებიც, როგორც ეს თავის დროზე სამართლიანად გააკეთა მკაცრმა რეალისტმა ილია ჭავჭავაძემ.

ამიტომ მიგვაჩნია აქტუალურ აუცილებლობად, ყოველგვარი გაფეტიშების გარეშე ამ ფენომენის სიღრმისეული გააზრება.

გაიხსენე ძველი დღეები,
იფიქრე გარდასულ თაობებზე...
(რჯლ. 32, 7)

„... და განა ისტორიკოსის დანიშნულება არ არის, წარ-
სულს რომ გვიხსნის, უწინარეს ყოვლისა მომავალი
განგვიმარტოს?“

ჟან-პოლ სარტრი

* წარმოდგენილი სტატია თავდაპირველად დაისტამბა კრებულში – ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, 5, თბილისი, 2008. ამჟამად იბეჭდება შესწორებული და შევსებული სახით.

Reincarnation of Georgian Historical Consciousness in the Phenomenon of Ilia Chavchavadze
(Towards Modern Conceptualization)

Nodar Khonelidze

It is shown in the paper that the role and significance of history in the genesis, shaping and the process of subsequent gradations hold a special – it may be said, central – place in the system of Ilia Chavchavadze's world view values; as well as the necessity of comprehensive conseptualization of the nation's memory of its own past.

The historical resemblance and genetic link of Chavchavadze's national conception with the idea statehood of Grigol Khandzteli 9th century Georgian ecclesiastic thinker are stressed.

The course of Chavchavadze's thought, insight into the essence of developments and the pathos of his judgement show us how clear-cut and keen is this perception and interpretation of history as a process, how close to his heart is the past, present and future of his fatherland, and how his "soul" is a fellow-traveler of any span or dimension of Georgia's time and moment.

The present paper serves the highlighting of this once more.

თავს უფლებას მივცემთ წინამდებარე წერილს ორიოდე წლის წინანდელი მცირე მოგონება წავუმძღვაროთ. თანამედროვეობისათვის ილია ჭავჭავაძის სულიერი და ინტელექტუალური მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ, როგორც ქართველობის (და ქართველობაში) გზამკვლევზე ჩემი მოსაზრების გამოთქმისას, თანამოსაუბრემ, ფართო ჰუმანიტარული სპექტრის ფრიად დაფასებულმა მკვლევარმა, უეცრად მომიგო – ილიასკენ ვეღარ დავბრუნდებით, წინ უნდა გავიხედოთო. მიძნელდება თქმა, მე ვერ გავუზიარე საკუთარი შეხედულება საკმაოდ გასაგებად, თუ დერეფანში შესვენებაზე გამოფენილი სტუდენტების მძლავრმა „კონტრაპუნქტმა" შეუშალა ხელი სწავლულს მეტი ყურადღებით მოკიდებოდა მოსმენილს (ხანმოკლე დიალოგი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ კორპუსში ხდებოდა), მაგრამ მისმა სიტყვებმა არასასიამოვნო დანალექი დამიტოვა, რადგან პასუხი იგი სიმპტომურად მეჩვენა თანამედროვე ქართული სინამდვილისა და სააზროვნო (თუ უაზრო, ხშირ შემთხვევაში ფსევდოინტელექტუალური) სიტუაციის საერთო ფონზე...

ამჟამინდელი ნიჰილისტური განწყობისა და, ვთქვათ პირდაპირ, ქვეყნის გარეთ თუ შიგნით (!) ანტიქართული პროპაგანდის აშკარა მომძლავრების პირობებში ჩვენი ისტორიული ცნობიერების საკითხის წამოწევა თანაბრად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისითაც და ვის უნდა მივმართოთ ამ პრობლემის კვლევისას, თუ არა პირველ რიგში ილიას; ვინ? – თუ არა ჩვენ, და როდის? – თუ არა ახლა!

ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობრივ ფასეულობათა სისტემაში, განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას ცენტრალური ადგილი უკავია ისტორიის როლსა და მნიშვნელობას ერის გენეზისის, ჩამოყალიბებისა და შემდგომი გრადაციის პროცესებში; ისევე როგორც, ამასთანავე, ერის მიერ საკუთარი წარსულის ხსოვნის და ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ ი გააზრების აუცილებლობას.

ილიას კვალდაკვალ შევნიშნავთ, რომ მხოლოდ ასეთი ანალიტიკური მიდგომის შედეგად იქცევა წარსული ი ს ტ ო რ ი ა დ. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდასული მხოლოდ ქრონიკად თუ შემოგვრჩება (უბრალო ქრონოლოგია ხომ ვერასოდეს ვერ ქმნის აზრობრივ მთლიანობას).

დიდი წინაპრის კონცეპტუალური წერილი „ერი და ისტორია" – ისევე როგორც მისი წინმსწრები „დავით აღმაშენებელი" – ამ თვალსაზრისით სამაგალითოა, საპროგრამო და მაშასადამე თანამედროვეც, ამ სიტყვის ნამდვილი ისტორიული გაგებით.

აკად. ივანე ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1937 წელს, ილიას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეზე, სავსებით მართებულად მიუთითებდა, რომ „ილია ჭავჭავაძის ღრმა რწმენით, ყოველმა კულტურულმა ერმა თავისი წარსული კარგად და სრული შეგნებით უნდა იცოდეს. ქართველებსაც, თუ წარმატებული არსებობა სურდათ, ეს დებულება უნდა კარგად ჰქონოდათ შეგნებული" [ჯავახიშვილი ივ., ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია. ტფილისი, 1938,4].

ვფიქრობთ, სავსებით დასაშვებია და აუცილებელიც, რომ მოხმობილი ციტატის ბოლო წინადადება აწმყოში (რომელიც ისევე არ „გვწყალობს", როგორც ილიას დროს) გადმოვიტანოთ. განა დღეს კვლავ აქტუალური არ არის ილიასეული კატეგორიულობა: „ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა, (...).

ბევრს ერს ქვეყანაზედ სულაც არა ჰქონია წარსული, სულაც არა ჰქონია ისტორია, ესე იგი იმისთანა ც ნ ო ბ ი ე რ ი (ხაზგასმა ჩვენია – ნ. ხ.) ცხოვრება, რომელიც გამოსახავს ხოლმე სულიერს და ხორციელს ვინაობას ერთიანის კრებულისას, მის მიზიდულობას, მის აზრს და საგანს არსებობისას, მის წმიდათა-წმიდას, და რომელიცა მკის თავის დროებისათვის და ამასთანავე სთესს მერმისისათვის (...). ულმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს ეხლანდელს დროში, და სხვა უფრო ძლიერის ისტორიის მქონე ერი დაეძგერება თუ არა, თანაც გაიტანს და შეიწირავს ხოლმე ამისთანა ხალხსა.

თუ ესეთი არა, ბევრი მეტი აღარ არის იგი ერი, რომელსაც ისტორია ჰქონია და იგი ისტორია დაუვიწყნია; აღარც ამისთანა ერსა აქვს მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსებობისთვის საჭიდაოდ (...). ფეხ-ქვეშიდამ გამოცლილი აქვს ის მაგარი მიწა, იგი ტანი თავის ვინაობისა, რომელსაც ისტორია შეადუღებს ხოლმე მამა-პაპათა ნადვაწ-ნამოქმედარისგან საშვილიშვილოდ ფეხმოსაკიდებლად და მოსამაგრებლად (...).

რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე, ამას ხსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია (...).

იგია მთხრობელი მისი თუ, – რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც“ [ჭავჭავაძე ილ. თხზულებანი. თბილისი, 1989,608-610,604].

გარკვეულ მკითხველთან, ალბათ ბოდიშის მოხდაც გვმართებს ილიას ესოდენ ვრცელი ციტირებისთვის, მაგრამ ამას თვით ჩვენი წერილის შინაარსი (ნაწილობრივ გამჟღავნებული მის სათაურში) და მიმართულება (ყურადღება გამახვილებულია მემკვიდრეობითობასა და თანამიმდევრობაზე) მოითხოვს; აღარაფერი რომ არ ვთქვათ იმ ამოსავალ თეზისზე, რომლის შესახებაც, ცოტა ქვემოთ, გაშლილად ვიმსჯელებთ.

რამდენად საჭირბოროტოდ მიაჩნია ილიას ერისთვის საკუთარი ისტორიის ცოდნა, ამაზე, ვფიქრობთ სიტყვის გაგრძელება არ ღირს. ახლა ვნახოთ, თუ როგორ ხედავს იგი ისტორიის როლს და მნიშვნელობას თვით ერის, როგორც ასეთის წარმოშობასა და ჩამოყალიბებაში.

ჩვენი აზრით, ამ საკითხზე თავისი შეხედულება ილია ჭავჭავაძემ ყველაზე მკა ფიოდ გამოთქვა ცნობილ და მრავალმხრივ საყურადღებო წერილში „ოსმალოს საქართველო“, სადაც დასაწყისშივეა გაცხადებული, რომ „ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს (...) თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა, ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ე რ თ ო ბ ა ი ს ტ ო რ ი ი ს ა (ხაზგასმა ჩვენია – ნ. ხ.). ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უდელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული – ერთსულობით, ერთგულობით ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი გაეყოს, დაერღვიოს, – მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ საყოფია ხოლმე ერთი რამე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულოვნებამ, ერთგულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო“ (ჭავჭავაძე ილ. თხზულებანი. ტ. VI, თბილისი, 1997,56).

ნიშანდობლივია წერილის გამოქვეყნების თარიღი – 1877 წლის აპრილი. ახალი დაწყებულია რუსეთ-თურქეთის მორიგი ომი (1877–78), რომელიც გარდა ბალკანეთისა, კავკასიის ფრონტსაც მოიცავდა.1 ილიას წერილი გამსჭვალულია იმედით, რომ ამ ომის შედეგად საქართველოს (თუნდაც გუბერნიებად დაყოფილ, არაავტონომიური ადმინისტრაციული ფორმით არსებულ განაპირა მხარეს უზარმაზარი იმპერიისა) დაუბრუნდება მისი ძირძველი, წინაპრისეული მიწა-წყალი, ის ღვიძლი ნაწილი მთლიანობისა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ქართველთა ისტორია და შესაბამისად ნამდვილი საქართველოც.2

აღნიშნულ წერილში ყურადღებას იპყრობს ავტორის დასა ბუ თებული, არგუმენტირებული მსჯელობა, თავიდანვე გაცხადებულ დედააზრს (ჩვენს მიერ ზემოთ ციტირებულს) სიმტკიცეს, დამაჯერებლობას რომ ანიჭებს. აქ, ილიას ხედვის ისტორიული სიღრმე, მოვლენათა კვალობაზე თანამიმდევრული განსჯა, პოლიტიკური გამოკვეთილობა და იდეური სიმაღლე – მემატიანეთა ცნობებისგან ყოველგვარი გადახვევის გარეშე, ფაქტების გააზრებული გადმოცემით – იმ სამომავლო მიზნისკენ გარღვევას ემსახურება (ისევე, როგორც მთელი მისი მოღვაწეობა), რომელსაც „ჩვენის დაცემული ვინაობის აღდგენას“ უწოდებდა თვითონ. ამასთან დაკავშირებით სრულიად სამართლიანდ შენიშნავს თანამედროვე ქართველი მოაზროვნე, რომ „უმთავრესი სტკივარი, რომლის წინაშეც აღმოჩნდა ილია, იყო არსებობის ნების ტოტალური დეფიციტი ქართულ საზოგადოებაში“ [ფირალიშვილი ზ. ილია: ისტორიული კონტექსტი და პიროვნება // ილია ჭავჭავაძე 170. საიუბილეო კრებული, თბილისი, 2007,247].

ისეთ ომში ჩართვას და აქტიურ მონაწილეობას „როცა თავგანწირული ერი აზღვავებულია, ამხედრებულია, თავისი პატივის, თავისი ღირსების, თავისი ვინაობის და თვისების დაცვისთვის...“, და სადაც „სიცოცხლე შეწირული დევნილთათვის – სახელოვანია, სისხლი, დაღვრილი ჩაგრულთათვის – წმინდა!..“3 [ჭავჭავაძე, 1997,54-55]. ილია უდავოდ

განიხილავდა ქართველებში ჩახშული თუ მიძინებული („როსდა გვედირსოს ჩვენ გაღვიძება“) ენერგიის გამოცოცხლების, ამოქმედების, სტიმულირების ერთგვარ შესაძლებლობად ეროვნული სხეულის, ისტორიული მამულის გამთლიანების რთულ და მტკივნეულ პროცესში. მას არც ზოგადად ომის საშინელებების აღნიშვნა ავიწყდება – „ომი სისხლის ღვრაა, ომი უბედურებაა, ომი დამთქმელია ადამიანის სიცოცხლისა, ადამიანის ღვაწლისა, მონაგარისა“ [იქვე] – და არც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კეთილშობილი მიზნისთვის გასაღებ შესაძლო მსხვერპლზე მითითებაც – „და თუ ამისთვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა...“ [იქვე,60]

ასე ამთავრებს ილია თავის წერილს. თუმცა, სჯობს თანამიმდევრობით მივყვეთ მის შინაარს, რადგან ამჯერად ჩვენი მთავარი სათქმელი სწორედ „ქართლის ცხოვრების მძიმე, ეკლიანი სავალის“ იმ ერთ მონაკვეთს უკავშირდება უშუალოდ, რომელსაც ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს.

საგულისხმოა, რომ მისი თანამედროვე მკითხველისთვის წერილის შესავალ ნაწილში, ოსმალეთის საქართველოს ზოგადი წარდგენის შემდეგ, ილია ჭავჭავაძე თავის ისტორიულ მიმოხილვას ასე იწყებს: „პირველად ქრისტიანობამ იქ, სამცხე-კლარჯეთში მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა, მაშინ როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპმსახურება სუფევდა“.

ასეთი დასაწყისი, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. ილიას წერილის მომდევნო მონაკვეთები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ სამცხე-კლარჯეთის ეგიდით ქართული სახელმწიფოს – როგორც ტერიტორიული, ასევე იდეოლოგიური თვალსაზრისით – ჩამოყალიბებასა და შემომტკიცებაში ქრისტიანული სარწმუნოება დომინანტურ როლს ასრულებდა. უკვე მოპოვებულის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში კი, მით უფრო გამოიკვეთა აღნიშნულის მნიშვნელობა. „როდესაც არაბები საქართველოში შემოვიდნენ – განაგრძობს ილია – და მაჰმადიანობის გავრცელებას ცდილობდნენ, ეხლანდელი ოსმალეთის საქართველო ქრისტიანობისათვის იღწვოდა ბაგრატიონების მეთაურობითა და წინამძღოლობითა (...). იმავე დროს სამცხე-კლარჯეთის ქართველნი მიდიოდნენ საბერძნეთს სწავლის მისაღებად, ნასწავლნი მოდიოდნენ უკანვე და ჰფენდნენ სწავლასა საქართველოს ხალხთა შორის (...). სამცხე-კლარჯეთის ქართველნი საღმრთო და საერო წიგნებს ქრისტიანობისას ჰსთაგმნიდნენ და ქრისტიანობის განმტკიცებისათვის აწესებდნენ მონასტრებსა, რომლებშიაც ყმაწვილებისათვის სასწავლებელთ მართავდნენ.

უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენნი, ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ (...). ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა ... “ [იქვე, 57-58].

ღიან, ილიამ იცის და ნათლად ამბობს, რომ ქართველთა ერთიანობის სახელმწიფოებრივი შედეგების ისტორიული აუცილებლობის იდეა და პროცესი იქ, მომავალი დიდი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მიწაზე იწყებს მომწიფებაზორცშესხმას.

ჩვენ, თანამედროვე მკითხველებმა, სკოლის მერხიდანვე ვიცით ამ პროცესის გამოხატვისა და ლეგიტიმაციის ხანძთელისეული სულისკვეთებით გამსჭვალული გიორგი მერჩულეს ფორმულა-დე ვი-ზი „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების...“. ერთობ დიდი ტევადობის და ღრმა შინაარსის მქონე ეს ფრაზა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა დაბადებულიყო, როდესაც დღის წესრიგში დადგა უკვე შევსებული და ჯერაც შეუვსებელი, მაგრამ დასახული ქართული სივრცის (არა მხოლოდ ფიზიკურ-გეოგრაფიული, ტერიტორიული გაგებით) პოლიტიკურად ათვისების, სახელ მწიფოებრივ ჩარჩოებში მოქცევისა და მოწყობის საკითხი.

იდეური და/ან იდეოლოგიური წანამძღვრებისა და საყრდენების გარეშე – იქნებოდა ეს რელიგიური დოქტრინა, ფილოსოფიური მოძღვრება, სოციალურ-ეკონომიკური თეორია თუ ყოველივე ამის სიმბიოზიდან აღმოცენებული მსოფლმხედველობრივი პრინციპები – სახელმწიფო, როგორც ასეთი არასოდეს არ შექმნილა. გამონაკლისი არც ქართული სახელმწიფო იყო.

გიორგი მერჩულეს ეს შესანიშნავი თხზულება „შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხოვრებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი...“ – სადაც ესოდენ ნათლადაა გაცხადებული რას ჰქვია და რას შეიძლება ეწოდოს ქართლი (საქართველო), სადაც „მკითხველს ხიბლავს ენისა და სტილის ვირტუოზობა, ფართო ისტორიული პერსპექტივები, სიუჟეტების რეალისტური და დრამატული განვითარება...“ [კეკელიძე კორ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1980,152] და რომელიც შინაარსობრივად „წარმოადგენს საყურადღებო ისტორიას არა მარტო საქართველოს ეკლესიისა მერვე-მეცხრე საუკუნეებში, კერძოდ ბერ-მონაზვნობისას ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ი ნ ა ზ ე, ტაო-კლარჯეთში, არამედ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური

ცხოვრებისასაც“ [იქვე, 153]. ძველი ქართული მწერლობის ეს მართლაც თვალსაჩინო, მაღალი ნიმუში, XIXს. 70-იან წლებში ჯერაც უცნობი რჩებოდა განათლებული ქართული საზოგადოებისა და მისი ლიდერის, „ოსმალოს საქართველოს“ ავტორისთვისაც. მხოლოდ მოგვიანებით, 1889 წელს ისევ და ისევ ილიასეულ „ივერიაში“ გამოჩნდება ცნობა მის შესახებ, ხოლო სრული ტექსტი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა“ უკვე წიწამურის ტრაგედიის შემდეგ გამოქვეყნდა. შესაბამისად, ილიას არ შეეძლო სცოდნოდა მის მიერ ჯერ კიდევ 1861წ. („ოსმალოს საქართველოს“ დაწერამდე 16 წლით ადრე) ჩამოყალიბებული ეროვნული იდენტობის სამსახოვანი ხატების – „მამული, ენა, სარწმუნოება“ – შორეული, მაგრამ უშუალო წინამორბედი და წინაპარი, ქართული სახელმწიფოებრიობის დევიზი-დირექტივა შემუშავებული IX–X საუკუნეებში. მით უფრო საგულისხმოა ისტორიულად, და მაშასადამე, პოლიტიკურადაც აზროვნების ამ ორი ნიმუშის თანხვედრა ესოდენ განსხვავებულ და მაინც გარკვეული კუთხით მსგავს ეპოქებში.

განსხვავებები ძირითადად გარეგნულია, თუნდაც მხოლოდ ქრონოლოგიიდან გამომდინარე; მსგავსება – სიღრმისეული და შინაარსობრივი. ეს იმდენად ცხადია, რომ ვინც ხანძთელ-ჭავჭავაძისეულ სახელმწიფოებრიობის საფუძვლების გააზრებაში პირდაპირ გენეტიკურ კავშირსა და ქართული ისტორული ცნობიერების გამოვლინებას უარყოფს, ან ვერ, თუ არ ხედავს, „ან ჭკვიანი მტერი არის, ან უგნური მოყვარე“.

IX საუკუნეში, ანუ გრიგოლის პერიოდში, საქართველო, როგორც შენივთულ-შესისხლხორცებული სახელმწიფოებრივი ორგანიზმი (ტერიტორიული მთლიანობა, ეროვნული იდენტიფიცირების საკმარისად მაღალი პოლიტიკური შემადგენელი, ცენტრალიზებული მმართველობის ჩამოყალიბებული ფორმა და სტაბილური სისტემა) ჯერ არ არსებობს; ილიას დროს კი, უკვე აღარ არსებობს. გრიგოლ ხანძთელი იძლევა საპროგრამო იდეას, წარმმართველ პრინციპს, ერთიანი ქართული სახელმწფოს საძირკვლის ქვას (როგორც ილია იტყოდა – ქვას მაგარს, და როგორც ისტორიამ დაადასტურა – უმაგრესს), ფაქტობრივად ქმნის ღერძს შემდგომი ქართული ყოფიერებისა, იწყებს აღმშენებლობას, რომლის კულმინაციაც დავით IV ბაგრატიონის, აღმაშენებლის მეფობა გახდება და რომელსაც თამარის ეპოქა დაასრულებს...

XIX საუკუნეში, ლამის ათასწლიანი კატაკლიზმების, გარედან მოვარდნილი ღვარცოფებისა თუ ღალატისა და გაუტანლობის შიდა ეპიდემიების შედეგად სისხლდაწრეტილ, დიდი ხნის დამოუკიდებლობა და კარგულ ქვეყანაში (ყველა ჯურის დამპყრობლის მიერ მოტანილმა უნივერსალურმა ვირუსმა: „გათიშე და იბატონე“, ერთობ იბარტყა ჩვენში) ილია იწყებს ნახანძრალებით ფერფლწაყრილი, თითქოსდა სამუდამოდ დასამარებული ქართული ისტორიული ცნობიერების, ეროვნული თვითშეგნების და ღირსების რეანიმაციის, აღორძინების მცდელობას იმ ერთადერთ ორგანულ ნიადაგზე, იმ ფასეულობებზე დაყრდნობით, რასაც მამული, ენა, სარწმუნოება ჰქვია; რომელთა ფესვები ისტორიული სამცხე-კლარჯეთიდან განშტოებულა „ფრიად ქართლში” და რომლის ბო ლომდე ამოძირკვა ვერავის მოუხერხებია – რისი დასტურიც თვით ილიას ფენომენის აღმოცენებაა. ამ ნიადაგზე ნერგავს ილია ჭავჭავაძე, ცდილობს დაამყნოს და გაახაროს ვაზი განახლებული ქართველობისა.

ილია, რა თქმა უნდა მკაცრი რეალისტია. „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით...“, „ბედნიერ ერი“-ს „პასუხის პასუხი“-ს ავტორმა კარგად იცის რა ვითარებასთან, რა მასალასთან აქვს საქმე: გახრწნა, დაცემა, გადაგვარება ქართველთა მოდგმის. აი, რეალობა, რომლის წინაშეც აღმოჩნდა იგი და რომელსაც იგი ასე უკომპრომისოდ დაუპირისპირდა საკუთარი შესაძლო ხვედრის სრული შეგნებით („დაე, თუნდ მოვკვდე...“), მაგრამ კიდევ უფრო მეტად თავისი ისტორიული მისიის მნიშვნელობის გაცნობიერებით („მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა...“).

ილია „ხედავდა კმაყოფილების განცხრომაში მყოფ დიდკაცებს, რომლებსაც არაფრად სჭირდებოდათ ქვეყნის ბედნიერება, რადგან მისი ბედკრულობა უფრო აძლევდათ ხელს. ლხინი და სიხარული, ფიქრი და გრძნობა, უბედურ ცრემლებთან ერთად ბედნიერი ღიმილი – ყოველივე თვალთმაქცობისა და მოჩვენებითობის დაღით იყო აღბეჭდილი. „გრძნობას ოქროს ფასად ჰყიდიან, მთავრის ღიმილზე – პატიოსნებას“. სოციალური უსამართლობითა და ეროვნული ინდიფერენტიზმით დასნეულებული ქვეყანა – ასეთი იყო პირქუში სინამდვილე“ [ნატროშვილი თ. „ვითარცა გამკითხველი“ // ილია ჭავჭავაძე 170, საიუბილეო კრებული. თბილისი, 2007,212].

უნდა შევნიშნოთ, რომ ილიას გამჭოლი მზერა მისი თანამედროვე სოციალური ბაკქანალიის, იდეოლოგიური შიზოფრენიის, პოლიტიკური ინცესტის სამომავლოდ საბედისწერო შედეგებსაც წვდებოდა, განსხვავებით ამ ფატალურ ფერხულში ჩაბმულ, გონებადაბინდულ თანამემამულეთა გადამწყვეტი უმრავლესობისგან.

ეს გარემოება, პოსტფაქტუმ აღნიშნულიცაა და შეფასებულიც ქართული პოლიტიკური აზრის ისტორიის მკვლევართა მიერ. კერძოდ, ერთერთ ასეთ განსჯაში ვკითხულობთ, რომ ილია ჭავჭავაძემ „პირველმა შეამჩნია ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში უცხო ძალის მომძლავრება. და მართლაც, სულ მალე XIXს. 80-იან წლების

საქართველოში, თერგდალეულთა პარალელურად იქმნება ახალი მიმართულების პუბლიცისტიკა და მხატვრული ლიტერატურა, რომელსაც საფუძვლად რუსული ნაროდნიკული მსოფლმხედველობა ედო. ნაროდნიკობა წმინდა რუსული მოვლენა იყო; მას ევროპული ანალოგი ვერ მოეძებნება, რად გან იგი, როგორც იდეური მიმდინარეობა იმპერიის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სპეციფიკითა და ჩამორჩენილობით იყო განპირობებული (...). რუსეთში ნაროდნიკობა იმ მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა, რომელიც ე.წ. „მარქსისტული" მიმდინარეობის აღმოცენებამდე რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა. საქართველოში კი ნაროდნიკობას ასეთი დიდი გავლენა და მნიშვნელობა არასოდეს ჰქონია (...).

XIX ს. 90-იან წლებიდან მდგომარეობა მკვეთრად იცვლება. ქართველი ახალგაზრდობის ერთ ნაწილში, პირველ რიგში რუსეთსა და საზღვარგარეთ მყოფ სტუდენტობაში, თავს იჩენს ყრუ ჩივილი საბრძოლო იდეებისა და ლოზუნგების მოძველებაზე, ასეთ ფონზე გზას იკაფავს რუსეთის პოლიტიკური აზროვნების ახალი მძლავრი ტალღა, ტალღა სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც საქართველოში „მესამე დასის" სახელწოდებით დამკვიდრდა და ამჯერად შეძლო ქართული პოლიტიკური აზროვნების დაპყრობა. ეს საშიშროება დაინახა ი. ჭავჭავაძემ. იგი თვლიდა, რომ კ. მარქსი გახლდათ „სახელოვანი მეცნიერი, რომელმაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანა სოციალური, კერძოდ, ისტორიული შემეცნების საქმეში. მისეული მემკვიდრეობის გაუთვალისწინებლად შემეცნების შესაფერისი სფეროების მეცნიერული მეთოდოლოგიის გაგება-გააზრება ნაკლულოვანი იქნება". და მაინც დიდი ილია მთელი არსებით შეებრძოლა მარქსისტული იდეოლოგიით შენიღბული „მესამე დასის" ტალღას საქართველოში. ესეც, ისე როგორც ნაროდნიკობა, რუსეთიდან შემოღწეული ცივი ჰაერის ნაკადი იყო" [მაჭარაშვილი ნათ. ქართული პოლიტიკური აზროვნების ზოგიერთი ასპექტი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე // ჟურნ. „პოლიტიკა" 1995,37-38].

არ შეიძლება არ მივუთითოთ, რომ საქმე მხოლოდ რუსეთიდან შემოჭრილი „ნაკადებით", „ტალღებით" თუ ჩამოწოლილი ზვავებით არ ამოიწურება. ამით არ დაწყებულა ჩვენი ისტორიის ბედუკუღმართობა და არც დამთავრებულა. პრობლემა, როგორც ჩანს, შესაძლოა აიხსნას არა იმდენად გარედან მოვარდნილ სტიქიებზე აქცენტირებით (თუმც კი, „ვართ გატეხილნი სპარსისა და ოსმალოს ალყით! ვართ გალუმპული ბერძნისა და არაბის ზვირთით!.."), არამედ, უფრო იმ ქრონიკული შინაგანი სენის არსებობით, რომელსაც აკაკი ბაქრაძე კონკრეტულად და შესაბამისი განზოგადებითაც „ბიზანტინიზმის ერთგულებას" უწოდებს. „ამის შესწავლას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რამეთუ ქართული პოლიტიკურ-რელიგიური რუსიზმი უშუალო გაგრძელება იყო ქართული პოლიტიკურ-რელიგიური ბიზანტინიზმისა" [ბაქრაძე აკ. დავიწყებული იდეა // ქართული მწერლობა. ტ. 5, თბილისი, 1988,26-27].

უფრო ფართო ისტორიულ ჭრილში საქართველოს შორეული თუ ახლო წარსულის წარმოჩინებისას (და, რა თქმა უნდა, თანამედროვეობისაც) ზემოთ მოხმობილ ციტატაში ნახსენები ტერმინების შეცვლა, სხვა, ჩვენთვის გაცილებით არაორგანული „იზმები"-თაც შეიძლება, რადგან ჟამთა და ჟამთა განმავლობაში თითქმის ყოველთვის გვახასიათებდა ყოველივე უცხო – საუცხოოსადმი ქედდრეკილი დოგმა, პროვინციული აღტაცება-ცახცახი და რაღაც მდაბიური, ქვემძრომელი მიმბაძველობა. ჩვენი ამჟამინდელი სახელდახელოდ გაევროპელობისა თუ საერთოდ ვესტერნიზაციის კარიკატურული მცდელობებიც ამ მოურჩენელი სენის ერთგვარი გამოვლინებაა და შეუძლებელია კვლავ არ დავეთანხმოთ ავტორს შეხედულებისა, რომ „ჩვენ წინაშე კალეიდოსკოპურად იცვლება ისტორიულ სტრატეგიათა რიგი, რომლებიც, ხშირად პრესტიჟულ იდეოლოგიათა სნობურ იმიტაციებს უფრო გვაგონებს, ვიდრე იმას, რასაც ცხოველმყოფელი ისტორიული სტრატეგია ან ქართული სოციო-კულტურული სხეულის შემკვრელი იდეა შეიძლება ეწოდოს"4 [ფირალიშვილი, 2007,246-247].

XIX ს.-ში ასეთ იდეას სთავაზობდა ილია ჭავჭავაძე ქართველებს; გადარჩენილ ქართველობას ამ იდეის სამსახურში ჩადგომისა და მისი განხორციელებისაკენ მოუწოდებდა. მოწოდება შინაარსით იდენტური და ფორმითაც კი ანალოგიური იყო XIს-ის მერჩულისეული პოსტულატისა იმ საერთო წანამძღვრებისა და მსგავსი ნიშნების გამო, რომლებიც ამ ორ ეპოქაზე დაკვირვებისას იკითხება.

მსგავსი მიზეზები და პირობები რომ მსგავს შედეგებს იწვევს, ეს ჯერ კიდევ თუკიდიდემ (ძვ. წ. VIს.) – პირველმა დიდმა რეალისტმა ევროპულ ტრადიციაში – შენიშნა და დაასაბუთა [წერეთელი ალ. თუკიდიდე // ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები. თბილისი, 1998,58].

ერთ კულტურულ-ისტორიულ სივრცეში განფენილ მოვლენათა ჯაჭვსა და თანამიმდევრობაში, მიუხედავად დროის ხანგრძლივობისა, ზემოთ აღნიშნული ალბათობა მით უფრო მაღალია და ილიაც, ვითარცა შეჰფერის კვლავმოვლენილ მისიონერს („მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის..."), თავის მცირერიცხოვან თანამოსაგრეებთან ერთად იწყებს ბრძოლას, უთანასწორო ომს უმძიმეს ფრონტზე – სულიერსა და ინტელექტუალურზე. საომარ საშუალებად კი ყველაზე ბასრი იარაღი, გონება და კალამი აურჩევია („ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში... აგვიყოლია

სიყრმიდანვე ჩვენ ქართლის ბედმა...“).

ილია ეძიებს, პოულობს და სახავს ეროვნული მეობის აღდგენა-აღორძინების, ქვეყნის აღმშენებლობის შესაძლო საშუალებებსა და მიმართულებებს. მაგრამ არანაირი მშენებლობა სახურავიდან არ იწყება; სახელმწიფოებრივი განახლებისა – ხომ, მით უფრო. ამიტომ მიმართავს მკვლევარი, მებრძოლი და ანალიტიკოსი ილია ჭავჭავაძე მისი ერისა და ქვეყნის თავდაპირველ საწყისებს. ისტორიის სიღრმეებში მოიძიებს იმ „მაგარ ქვას ჩვენი ცხოვრების საძირკვლისა“, რომელიც მერმისისთვისაც ვარგისია და აუცილებელი. მოიძიებს და „თავისი დროის ტკივილის“ შესაბამისად „დროების ქერქში ჩამჯდარი“, ახლებურად იტყვის იმ საძირკვლის ქვაზე ამოტვიფრული წარუვალი ფასეულობების შინაარს: „მამული, ენა, სარწმუნოება“.

ისტორიის პროცესის გათავისების, გაგებისა და გადმოცემისადმი ამგვარ, ილიასეულ მიდგომას აკად. ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევს ისტორიული პერსპექტივის აუცილებლობის სრულიად შეგნებულ, გაცნობიერებულ გამოვლინებად და იქვე დასძენს: „მართლაც, ცხადია, რომ უამისოდ წარსულის არც ერთ შეფასებას ღირებულება არ ექმნება“ [ჯავახიშვილი, 1938,8].

ქართული სამეცნიერო-საისტორიო სკოლის ფუძემდებლის მიერ ბეჭედდასმული ეს დებულება მრავალმხრივ საგულისხმოა. აქ გარდა წმინდა პროფესიული ხედვისა, გამოჩენილი მამულიშვილის მხრივ იგრძნობა დიდი წინაპრის, ახალი ქართული სააზროვნო ველის მამამთავარ ილია ჭავჭავაძის მთელი მოღვაწეობის, მისი კვლევა-განსჯის გენერალური ხაზის გამოკვეთა იმდენად, რამდენადაც ეს მაშინ იყო შესაძლებელი...

ჭეშმარიტად „კარგ მოქმელს, კარგი გამგონე უნდა“. მაგრამ ჯავახიშვილის რანგის და მასშტაბის ისტორიკოსი საუკუნეში ერთი შეიძლება შვას ერმა; ილიას ფენომენს, როგორც ვხედავთ, ჩვენში ათასწლეული დასჭირდა. ამ ფენომენის მნიშვნელობის გააზრება, მისი კრიტიკულად ათვისება (ასეთად გვესახება ილიას დაუწერელი ანდერძი) უკვე თავისთავად ქმნის იმ ნოეიერ ნიადაგს, იმ სივრცეს, რომელზეც უნდა იხაროს, რაც უნდა შეავსოს ქართულმა ისტორიულმა ცნობიერებამ.

აქ კი, ვფიქრობთ დრო ითქვას, თუ რას ვგულისხმობთ, როგორ გვესმის ისტორიული ცნობიერება როგორც ასეთი. ამ ცნების, ჩვენი აზრით ზუსტი დეფინიცია მოცემული აქვს გამოჩენილ გერმანელ სწავლულს, ბიბლიური თეოლოგიის ისტორიული ასპექტების მკვლევარ გერჰარდ ფონ რადს (. V. დად). განსაზღვრება ასეთია: „ისტორიული ცნობიერება არის კაუზალური აზროვნების განსაკუთრებული ფორმა, რომლის საგანი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების თანამიმდევრობაა. ამგვარად, იგი დაკავშირებულია გამახვილებულ შეგრძნებასთან სინამდვილისა, რომელშიც ცხოვრობს ხალხი“5 [Рад Герхард фон. Начало историописание в древнем израиле // Библейские исследования. Сборник статьей. Москва, 1997,485].

რამდენად გამძაფრებული ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს მშობელი ხალხის ცხოვრების ავ-კარგისა და საერთოდ, გარემომცველი რეალობის აღქმა, რამდენად დაძაბულია მისი ყურადღება ეპოქის მაჯისცემის მიმართ, ამაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. ვფიქრობთ, ნაწილობრივ ეს ჩვენს სტატიაშიც აისახა, მაგრამ ყველაზე უკეთ ამის შესახებ, რა თქმა უნდა, თვით ილიას შემოქმედება ღაღადებს და ამიტომ ზედმეტ მტკიცებას არ საჭიროებს.

ჩვენი წერილის შინაარსი და მიზანდასახულობა მოითხოვს მსჯელობა მივმართოთ ილიას ისტორიული ხედვისა და კონცეფციის იმ ნიშანთვისებებზე, ისეთ გამოვლინებებზე, რომლებიც, ვფიქრობთ, უდავოდ არის კაუზალური აზროვნების განსაკუთრებული ფორმა. ამ რთული და ფართო მოცულობის თემის მოქცევა ერთი სტატიის ჩარჩოში, ცხადია, შეუძლებელია (წინამდებარე წერილს მხოლოდ საკითხის დასმის კუთხით თუ შევხედავთ), მაგრამ ამ შემთხვევაში „ოსმალოს საქართველო“-საც რომ დავჯერდეთ, მაინც საკმარის საფუძველს მივიღებთ ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად.

როგორც ვიცით, ილიას განჯის საგანია ის ისტორიული გარემოებანი, რომლებმაც ჯერ სამცხე-კლარჯეთში დაუდეს სათავე ერთიან ქართულ სახელმწიფოებრიობას, ხოლო შემდეგ, დროთა განმავლობაში „ეგრეთ, – მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები – ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი. დიდმა ღვაწლმა ბაგრატ მესამისამ, დავით აღმაშენებლისამ, თამარ დედოფლისამ, უქმად ჩაუარა ამოდენად ტანჯულს, ბედისაგან დევნულს, ერთობისათვის და ქრისტიანობისათვის სისხლ-დანთხეულსა საქართველოსა“ [ჭავჭავაძე, 1997,60].

ამ მონაკვეთში ავტორი ერთგვარად აჯამებს იმ ისტორიულ მოვლენათა რიგს, რომელთაც ადრე ქრონოლოგიური თანამიმდევრობით აწვდის მკითხველს და შედეგის კონსტატაციასაც ახდენს. ეს მოვლენები კი, თავისი არსითაც და გარეგნული სახითაც პოლიტიკური ხასიათისაა.

მთლიანად „ოსმალოს საქართველო“-ს ავტორისეული პათოსი და მიზანმიმართულება, მისივე ჩანაფიქრისამებრ სრულიად აშკარაა.

საერთოდ, მასალის თანამიმდევრულად, შესაბამისი მსჯელობით გადმოცემა, მისი პოლიტიკური შემადგენლის გამოკვეთა და შემაჯამებელი დასკვნების ნათლად მოწოდება, ძირითადი მახასი-

ათებელია ილიას აზროვნების სტილისთვის. მისი ასეთი მეთოდიკა თავს იჩენს თითქმის ყველა ჟანრში, რომელსაც მოაზროვნე, მწერალი და პუბლიცისტი, ამა თუ იმ შემთხვევაში მიმართავს, იქნება ეს იგივე „ერი და ისტორია“, ან „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით...“, „ქვათა ღაღადი“, თუ ვთქვათ, „კატკოვის პასუხად“.

რადგან ამჯერად ჩვენი ყურადღების ცენტრში „ოსმალოს საქართველოა“, მართებული იქნება მსჯელობა კვლავ მის მიხედვით განვაგრძოთ. მით უმეტეს, რომ ამ წერილს მოჰყვება სერია ილიას პუბლიკაციებისა, სადაც ოსმალეთის იმპერიაზე საუბარია უკვე როგორც ევროპული დიპლომატიის მიერ „აღმოსავლეთის საკითხად“ წოდებულ, საერთაშორისო პოლიტიკის მწვავე პრობლემაზე. ამ სერიას აგვირგვინებს იშვიათი, დღესდღეობითაც სანიმუშო გეოპოლიტიკური ანალიზის შემცველი წერილი „ახალო აღმოსავლეთი და ხმელთაშუა ზღვის გზების საკითხი“.6

საქმე ისაა – და ეს სწორად არის გამოთქმული ჩვენ პერიოდიკაში,„რომ ილია დარწმუნებული იყო – რაიმე რადიკალური, არსებითი ცვლილება მისი სამშობლოს ბედ-იღბალში მეტწილად ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ხასიათსა და დიდ ქვეყნებს შორის ძალთა გადანაწილებაზე იყო დამოკიდებული“ [გოგიაშვილი ო.. ილია და „აღმოსავლეთის საქმე“ // ქართული დიპლომატია, წელიწდეული 8. თბილისი, 2001,304], ამიტომაც „ილია სისტემატურად იხილავდა და აანალიზებდა მსოფლიო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს და ცდილობდა, ქართველი საზოგადოება პოლიტიკური პროცესების საქმის კურსში ჩაეყენებინა. ამ პერიოდის მანძილზე ილიას არც ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა კომენტარის გარეშე არ დაუტოვებია“ [იქვე, 275-276].

ამ გარემოებას კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ იმის საილუსტრაციოდ, რომ ილიასთვის დამახასიათებელი კაუზალური აზროვნება არა მხოლოდ ქართველი ხალხის ისტორიის სიღრმეებს წვდებოდა და მიზეზ-შედეგობრივ კანონზომირებებს ავლენდა, არამედ მისივე თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ფართო სპექტრსაც მოიცავდა. ამ რიგის საკითხთა განხილვა, ილიასთან ყოველთვის ორიენტირებულია – დევს ეს ტექსტის ზედაპირზე, თუ არა – საქართველოს აწმყოსა და მომავლის განჭვრეტაზე (“ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს”).

ამ თვალსაზრისით, ილია ჭავჭავაძე უდავოდ წარმოგვიდგება, როგორც პოლიტიკოსი, ამ სიტყვის ნამდვილი და საუკეთესო გაგებით.

აქ გვსურს გამოვთქვათ ერთი მოსაზრება: ილიას მოღვაწეობა, ჩვენი შეხედულებით, ვერ ჰგუობს დანაწევრება-დაყოფას და ცალ-ცალკე განხილვას, როგორც „ილია ჭავჭავაძე – პუბლიცისტი“, „ილია ჭავჭავაძე – პოეტი“, „ილია ჭავჭავაძე – განმანათლებელი“ და სხვა, და ა.შ. (ეს, რა თქმა უნდა არ ნიშნავს, რომ ილიას მემკვიდრეობის შესწავლა-ათვისება დიფერენცირებულად არ ხდებოდეს).

დროთა გადასახედიდან ილიას ფენომენი ქართული სიტყვის, აზრის, გრძნობისა და სულიერების მონოლითურ განსხეულებად წარმოგვიდგება.7

ილია ჭავჭავაძის პიროვნების ეს სისრულე – ესოდენ მიახლოებული სახარებისეულ შეგონებასთან (მათე 7, 48) – მით უფრო გასაოცარია მისი თანამედროვე ქართული სინამდვილის ფონზე; მით უფრო თვალშისაცემია კონტრასტი იმ გარემოსთან, რომელშიც მას უხდებოდა ცხოვრება. გასაკვირი არაა, რომ ასეთი ფენომენი ვერ იგუა „ბედნიერმა ერმა“...

რა თქმა უნდა, იყო გამონაკლისიც მის მცირერიცხოვან თანამოსაგრეთა სახით, ვისაც ილიას ფასი და მნიშვნელობა მაშინაც მშვენივრად ჰქონდა გაცნობიერებული. მარტო აკაკის გამოსათხოვარი სიტყვა რად ღირს! დანაკარგის შეუვსებლობის განცდა სახეზეა ვაჟას უცრემლო, ვაჟკაცურად მოთოკილ ტკივილშიც „ჩვენის საწყლობის მოზარევ, მანდ დაისვენო ეგების?! ჩვენ რა ვქნათ, ჩვენა, ცოცხლებმა... გაგვიბატონდა, მგოსანო, სირეგვნე შეუწონარი“.

მოგვიანებით, გვაქვს წიწამურის საბედისწერო გასრულის შედეგების შეგნებისა და გამოთქმის სხვა მაღალი ნიმუშებიც: „წიწამურში რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა დასრულდა დიდი“, ან „სამშობლოსათვის გასახსენებლად კრწანისზე მწარე წიწამურია“, მაგრამ ამან ვერც „მესამე დასის“ სახე და სახელშეცვლილი რეციდივები ვერ აგვაცილა თავიდან, ვერც მეხუთე კოლონა ამოძირკვა ქართული ნიადაგიდან.

სამწუხაროდ, ჩვენზე ზედგამოჭრილი აღმოჩნდა მწარედ ირონიული მოარული თქმა, რომ ისტორიის გაკვეთილები გვასწავლის იმას, რომ ვერაფერს ვსწავლობთ მისგან.

... და აქვს კი დღევანდელ საქართველოს ასეთი „ფუფუნების“ უფლება?! თანამედროვე გლობალური ჯუნგლები (ტერმინი ეკუთვნის ამერიკელ პოლიტოლოგ ზბიგნევ ბჯეზინსკის (Бжезинский Зб. Выбор. Мировое господство или глобальное лидерство. М. 2004, с. 54.) ხომ გაცილებით საშიში, ფუნდამენტური გამოწვევების წინაშე აყენებს ქვეყანას, ვიდრე ეს ილიას ეპოქაში იყო.

გრიგოლ ხანძთელის იდეის იმპულსმა, მიუხედავად ყველაფრისა, მოაღწია XIX ს.-მდე და ილიას მეშვეობით აღორძინებაც იწყო, განახლებულ ცხოველმყოფელობას იძენდა...

მას შემდეგ ორასი წელიც არ გასულა. ამასობაში კი „აკაკი მოკვდა, მოკვდა ვაჟაც, ილია მოჰკლეს“ და რა გრიგალები აღარ დაგვატყდა თავს, რა ციცაბო დაღმართებით აღარ დავეშ-

ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲘᲚᲘᲐ

ვით. შედეგი – ჩამოჭრილი მამული, წაბილწული ენა, შერყეული სარწმუნოება, გასხვისებული მეობა; ქვეყანა, სადაც ფუძემდებლურ ცნებებსა და პრინციპებს: ზნეობა, სამართლიანობა, განათლება, სიყვარული, ვაჟკაცობა... დაუკარგავთ თავდაპირველი აზრი, ან სულაც საწინააღმდეგო მნიშვნელობა შეუძენიათ და „სისულელედ ეჩვენება სიმართლე სმენას“ და ისევ „ბრძნად გვაჩვენებს თავს რეგვენი გამობრძმედილი“.

ამიტომ ხდება ჩვენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ხელახლა გააზრება და გათავისება იმ საყისებისა, რომელსაც თავის დროზე დაეფუძნა, საიდანაც ამოიზარდა იდეა სახელწოდებით საქართველო და რომელსაც ერთ-ერთი მძიმე ისტორიული განსაცდელის ჟამს, პატიოსანი აზროვნებითა და მართალი სიტყვით, ბურჯად მოევლინა ადამიანი სახელად ილია ჭავჭავაძე.

შენიშვნები

1. პირველი წერილი, რომლითაც ილია გამოეხმაურა ამ მოვლენას, იყო „ასტყდა ომი“ [ჭავჭავაძე, 1997,54–55].
2. ბერლინის კონგრესზე (1878), რუსეთ-თურქეთის ომის საბოლოოდ გაფორმებული შედეგების თანახმად, რუსეთმა დაიბრუნა ბესარაბიის დუნაისპირა მონაკვეთი, ხოლო „კავკასიაში რუსეთის მფლობელობაში გადადიოდა არტაანის, ყარსის და ბათუმის ოლქები (...). ბათუმი ცხადდებოდა თავისუფალ სავაჭრო ქალაქად (...). რუსეთმა შემოიერთა ოსმალეთის მიერ წინათ მიტაცებული ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალი, სახელდობრ: აჭარა, ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა, არტაანი და ტაოს ჩრდილო ნაწილი – ოლთისი“ [სვანიძე მ. თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007,330].

ამ მიწა-წყალზე მცხოვრები მოსახლეობის სატკივარზე ილია შემდგომშიც, მითითებული მოვლენების (ომი და ბერლინის კონგრესი) უშუალოდ მომდევნო პერიოდში ხომ მით უმეტეს, იჩენდა მზრუნველობას [იხ. ჭავჭავაძე, 1997,235–237; 241–276].

3. ილია გულისხმობს ოსმალეთის იმპერიაში შემავალი ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქრისტიანი მოსახლეობის აჯანყებას მათ მიმართ განხორციელებული ეროვნული და რელიგიური ჩაგვრის წინააღმდეგ.

1875 წ. ოსმალეთის იმპერიის უკიდურეს ჩრდილო – დასავლეთში მდებარე სლავურ ოლქებში, ჯერ ჰერცეგოვინაში, შემდეგ კი, ბოსნიაში დაწყებულმა აჯანყებამ, რომელმაც უმალვე ჰპოვა მხარდაჭერა სერბეთსა და ჩერნოგორიაში, აგრეთვე დამატებითი სტიმული შესძინა განმათავისუფლებელ მოძრაობას ბულგარეთში, სათავე დაუდო 1875 – 1877 წლების ბალკანეთის (ახლო აღმოსავლეთის) კრიზისად ცნობილ მოვლენებს. ამ კრიზისის დიპლომატიური გზებით მოგვარების წარუმატებელი მცდელობების (კონსტანტინოპოლის კონფერენცია, 23. XII 1876 – 20. I 1877; ლონდონის პროტოკოლი, 31. III 1877) შემდეგ, 1877 წლის 12 აპრილს რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს [История дипломатии, 1963, 83 – 116; მიხეილ სვანიძე, 2007, 327] .

4. ქართული ცნობიერების წინაშე წამოჭრილი ამ მწვავე პრობლემის, ეროვნული თვითმყოფადობისა და თვითიდენტიფიცირებისათვის შექმნილი ამ საშიშროების შესახებ სხვადასხვა დროს მიუთითებდნენ და განგაშის ზარს რეკდნენ ჭეშმარიტი მა მულიშვილნი და ქომაგნი ჩვენი საარზრეოვნო კულტურისა. „დასავლეთისადმი ინტელექტუალური დამონება“ – ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა კულტურისადმი – მამულის დალატისა და ეროვნული დამცირების ტოლფასი იყო მათთვის. ასეთი დამონების უსაფუძვლობის გამოსაჩკარავებლად, მაგალითად, აკად. შ. ნუცუბიძე სამართლიანად მიუთითებდა რომ, „ევროპის კულტურის წყაროები ევროპაში კი არ უნდა დაიძებნოს, არამედ აღმოსავლეთში, აღმოსავლეთის გავლენით დასავლეთზე და არა პირიქით. [...] აღმოსავლეთით და დასავლეთით, განგის ნაპირებიდან, ვიდრე ე.წ. „დიდ საბერძნეთამდე“ – პითაგორელთა სამყოფელამდე – გაშლილი იყო დიდი შარაგზა მსოფლმხედველობათა მიმოქცევისა. ამ შარაგზაზე საქართველოს თავისი ადგილი ჰქონდა. წინა აზიის სანაპიროზე – ირანის ნაპირებზე – შეხვედრა და მის შემდეგ დასავლური ფილოსოფიის ჩასახვა, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა და ალექსანდრია, როგორც კულტურათა შეჯვარების ცენტრი, ქრისტიანობა, როგორც აღმოსავლეთის განმეორებითი შეჭრა დასავლეთის კულტურაში ... ყველაფერი ერთია და ერთი ყველაფერია – ამ ლოზუნგით შედის აღმოსავლური აზროვნება ერთხელ კიდევ დასავლეთში და იწყება ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეობის გამთელების ეპოქა“ [ციტირებულია ქ. ნუცუბიძე// შალვა ნუცუბიძე, 1983, გვ. 8 მიხედვით].

ძალაუნებურად გვახსენდება გერმანელი ფილოსოფოსის კარლ იასპერსის მახვილი ხედვა და დამაჯერებელი მსჯელობა „ღერძული დროის“ შესახებ, რასაც იგი უწოდებს ძვ. წ. VIII – II სს-ში ჩინეთიდან ვიდრე საბერძნეთამდე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოქმნილ და განვითარებულ სულიერ-ინტელექტუალურ მოძღვრებებს, როდესაც მათმა მქადაგებლებმა სრულიად უპრეცენდენტო, ეპოქალური გარღვევა მოახდინეს კაცობრიობის საარზრეოვნო ისტორიაში, სათავე დაუდეს ახალ ფასეულობათა სისტემას და მთელი მომდევნო აზროვნების კულტურას ჩაუყარეს საძირკველი (ამის შესახებ, თუმც სხვა საკითხებთან დაკავშირებით და სხვა კუთხით ჩვენ უკვე ვწერდით იხ. ლიტერატურული საქართველო №35 (3088), 1996 წ. 30 VIII–6IX. „თვალები ამომიღამდა ჩემი ღმერთის მოლოდინში“ აგრეთვე ჟურნ. „Литературная Грузия~, 7-9, 1998, с.205-215).

ვფიქრობთ, მკითხველის ყურადღების და მოთმინების გამოცდის მიუტევებელ გადამეტებად არ ჩაგვეთვლება თემიდან ერთ მცირე და – სიმართლე რომ ვთქვათ, ამ სტრიქონების ავტორისთვისაც – მოულოდნელ გადახვევას თუ გავაკეთებთ, მაგრამ რადგან საკითხი აღმოსავლეთის და დასავლეთის მრავალსაუკუნოვან ურთიერთგავლენებს შეეხო, უადგილოდ არ მიგვაჩნია მოვიხმოთ მოსაზრება, რომელიც ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი დოზით შეიცავს ისტორიული სინამდვილის მარცვლებს ევროპისა და აზიის კონფრონტაციული დამოკიდებულების იმ ასპექტის შესახებ, რომელიც გასაგებ მიზეზთა გამო, ჩვენი წერილის მიღმა რჩება. ეს კონცეფტუალური ხედვა ეკუთვნის გამოჩენილ ბრიტანელ სწავლულ-გეოგრაფსა და გეოპოლიტიკის ერთ-ერთ მამამთავარ, სერ ჰელფორდ მაკინდერს. 1904 წელს თავის ცნობილ მოხსენებაში (შემდეგ კი პუბლიკაციაში) „ისტორიის გეოგრაფიული ღერძი“, იგი მიუთითებდა: „ისე, როგორც სიძულვილის მომგვრელი რომელიმე პერსონა ასრულებს გარკვეულად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ფუნქციას – ხელს უწყობს რა მისი მტრების გაერთიანებას, ასევე, სწორედ გარეშე ბარბაროსთა ზეწოლის შედეგად შეძლო ევროპამ თავისი ცივილიზაციის შექმნა. აი, რატომ გთხოვთ თქვენ შეხედოთ ევროპას და ევროპის ისტორიას, როგორც აზიასა და მის ისტორიაზე დამოკიდებულ მოვლენას, რამეთუ ევროპული ცივილიზაცია ერთობ დიდწილად წარმოადგენს აზიური შემოსევების წინააღმდეგ საუკუნებრივი

ბრძოლის შედეგს“ [ციტირებულია Политология: хрестоматия М.; Гардарики, 2002 г. с. 724 მიხედვით].
ევროპის ჩამოყალიბებასა და ევროპელის თვითიდენტიფიცირებაზე აზიის ასეთი ნეგატიური, ან ერთი შეხედვით ნეგატიური (უნდა გვახსოვდეს, რომ „ომი წარმოადგენს იმ კოლექტიურ იმიტაციას, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, კულტურათა დიალოგისა და ნასესხობების იმ მთავარ ფაქტორს, რომელიც ესო დენ მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალური\ ცვლილებებში. ეს, პირველ რიგში, „ძალადობრივი იმიტაციაა:“ ომი საშუალებას არ აძლევს სახელმწიფოებსა და ხალხებს ჩაიკეტონ ავტარკიაში, თვითიზოლაციაში, ამიტომაც გვევლინება იგი ცივილიზაციათა კონტაქტების ყველაზე ენერგიულ და ყველაზე ეფექტურ ფორმად.“ Цыганков П. А., Международные отношение. М., 1996, с. 38-39) გავლენის თვალსაზრისითაც ჩანს ის უზარმაზარი, არსებითი როლი, რომელიც აღმოსავლეთმა (ფართო გაგებით და გარკვეულწილად მისთვისვე დრამატული შედეგებით) შეასრულა დასავლური კულტურის ჩამოყალიბებაში, რომელიც შემდეგ უდავოდ საკუთარი გზით, თავისი ინტელექტუალური რესურსის ხარჯზე განვითარდა.
აქ, კიდევ ერთხელ, ხაზგასმით გვინდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი მსჯელობა ევროპული კულტურის წინააღმდეგ კი არ არის მიმართული, არამედ მისდამი ბრმა, უგემოვნო მიმბაძველობის, მისი გაფეტიშების და ამ კულტურის სუროგატზე აღმოცენებული ფსევდოინტელექტუალური „ელიტის“ აგრესიული უმეცრების საპირწონედ.
მაგრამ დავუბრუნდეთ საკითხს და მასთან დაკავშირებულ – ვთქვათ პირობითად – ნუცუბიძისეულ პათოსს. საქართველოს მართლაც ეკავა თავისი ადგილი (არა მხოლოდ გეოგრაფიულად) „მსოფლმხედველობათა მიმოქცევის შარაგზაზე“, და ამ ადგილს კარგად ხედავდნენ (სამწუხაროდ, როგორც წესი, მდებარეობის თვალსაზრისით) გარეშე ძალები, განსაკუთრებით აზიიდან, ევროპიდან – ნაკლებად და ბოლოს ჩრდილოეთიდანაც დაგვადგეს თვალი, შემდეგ კი უღელი...
და როგორი ეროვნული იმუნიტეტი ჰქონდა საქართველოს გამომუშავებული ამ გრიგალების მიმოქროლვაზე და თუ ჰქონდა, როდემდე ეყო მას ეს იმუნიტეტი. ამის თაობაზე მოვუსმინოთ კიდევ ერთ ნამდვილ ქართველს და მაშასადამე ტრაგიკული ბედის პიროვნებას - ვახტანგ კოტეტიშვილს:
„ქართული ხელოვნების დაცარიელებულ დარბაზს აღარავინ სდარაჯობს. მხოლოდ „ვიღაც“ ფრაკით შეიჭრა შიგ და კედლებიდან ხალიჩები ჩამოხსნა. ჩვენი სულის უგზოობის დროს, ეს „ვიღაც“ ფრაკით მოგვევლინა და იკისრა გზის გაკვალვა. მზეს ზურგი შეგვაქცევინა.
[...] გრიგოლ ორბელიანმა, ქართული ხელოვნების მოხუცმა ადიუტანტმა, სცადა ამ „ვიღაცის“ შემობრუნება, მკვახეთაც შეუძახა, მაგრამ „ვიღაცამ“ ფრაკით აჯობა [...] და ქართულ ხელოვნებას, რომელსაც ქართულობა აღარაში ეტყობა, ის „ვიღაც“ უშლის „რაღაც“ პერსპექტივებს. „ობა“ – „იზმით“ კარგახანია შეიცვალა და ასე აპირებენ განგრძობას. ყველა ევროპულობის ციებ-ცხელებამ შეიპყრო. ყველას უნდა ბინოკლის შეფერება. თუმცა ეს გაევროპიელება, გარუსებას უფრო ჰგავდა, რაც უარესია (კურსივი ჩვენია – ნ.ხ.).
სენი მძლავრი აღმოჩნდა. იმდენად მძლავრი, რომ გაგების უნარი დაგვიკარგა [...] გაევროპიელებამ პსიხოზის ხასიათი მიიღო.
ევროპამ შეგვშალა და ალბათ წაგვშლის კიდეც, თუ ასე გაგრძელდა.
აზიაში მყოფნი, ევროპიდან უმზერდით აზიას, ამიტომ ჩაგვიქრა შემოქმედება, მკვდარ მიმბაძველობამ კი დაგვასნეულა” [კოტეტიშვილი ვ. აზიისაკენ, „ლეილა“ 1920 // ევროპა თუ აზია, თბილისი, 1997, გვ. 201].
შესაბამისი სხვა გამონათქვამების მოხმობისა და უფრო შორეული ექსკურსებისაგან თავის შეკავებით, ამჯერად ზემოთ ციტირებულ მხოლოდ ორ – მაგრამ რა გვართ! – ჩვენ ეროვნულ მოდვაწეთ მივაპყროთ სმენა და გონება. სეფე-სიტყვა კი, ამ კონკრეტული წერილის შემთხვევაში, ამ საკითხთან დაკავშირებითაც, ცხადია, ისევ ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის: „გაბედვით შეიძლება ითქვას, რომ ევროპელმა დაგვიხშო ბუნება და შეგვქმნა ძნელად შემგნებელი ჩვენი საკუთრებისა“ [ევროპა თუ აზია?, თბილისი, 1997, გვ. 12].
ილიას კიდევ შეეძლო ეთქვა ჩვენი „ჩვენი საკუთრებისა“. ისევე, როგორც ნიკო ლორთქიფანიძეს ჯერაც აწმყო დროში მოუხდა კონსტატაცია ფაქტისა: „იყიდება საქართველო“ (რა თქმა უნდა არც ილია გულისხმობდა „ჩვენის საკუთრებისა“-ში მხოლოდ ეროვნულ თვითშემეცნებას, და არც ნიკო ლორთქიფანიძესთვის იყო „გაყიდული საქართველო“ მხოლოდ მატერიალური სუბსტანცია) – და ახლა?!
5. გერმანელი ბიბლიოლოგი „კაუხალური აზროვნების განსაკუთრებული ფორმის“ პირველ გამოვლინებად კაცობრიობის ისტორიაში მიიჩნევს ძველი ბერძნების და „მათზე დიდი ხნით ადრე, ისრაელიანთა“ მიერ შექმნილ ისტორიოგრაფიას. გ. ფონ რადი მსჯელობს ამ ხალხთა უნარზე ჩაღრმავებოდნენ, დაკვირვებოდნენ და აღეწერათ არსი და თანამიმდევრობა მოვლენებისა, რომელთანაც უხდებოდათ შეხება, შეჯახება ან, რომლებსაც თვითონ ქმნიდნენ და მათთან დამო კი-დე ბულებაში „ავლენდნენ სწრაფვას აწმყოს ახსნისა გამომდინარე წარსულიდან; რაც არის კიდეც მკაფიოდ გამოხატული ისტორიული აზროვნება“ [Рад, 1997,488].
ავტორს საერთოდ მიაჩნია, რომ „დასავლეთის კულტურული არეალის ხალხები არიან მოწაფენი და მემკვიდრენი, როგორც ბერძნული, ასევე ბიბლიური ისტორიოგრაფიის ტრადიციისა“ [იქვე, 485].
გერმანელი სწავლულის მსჯელობის ლოგიკა სავსებით მისაღებია ჩვენთვის და ვფიქრობთ, უმართებულო არ იქნება მისი განვრცობა (ნაწილობრივ მაინც) ქართულ მატიანეთა მახასიათებლებზე. ასეთ შემთხვევაში, მით უფრო თვალსაჩინოდ გვესახება ილია ჭავჭავაძის ფენომენის გამოკვეთილობა (ხშირად კონტრასტიც) საქართველოს ისტორიისა და მისი ისტორიოგრაფიის ამა თუ იმ, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის ფონზე.
6. ილიას ნააზრევის ამ მიმართულებამ კარგა ხანია მიიპყრო ჩვენი ყურადღება. 2004 წელს, აკად. გიორგი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე გვქონდა პატივი წაგვეკითხა მოხსენება: „რამდენიმე მოსაზრება საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა გამო“. თემა გაშუქებული იყო პოლიტიკური რეალიზმის თეორიისა და გეოპოლიტიკური ხედვის კუთხით [იხ. მითითებული სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2004 წლის 2–4 დეკემბერი, თბილისი 2004].
7. ილიას მაგალითზე, თითქოს ვრწმუნდებით ცნობილი იტალიელი ფილოსოფოსის, ისტორიკოსისა და პოლიტიკურ მოღვაწე ბენედეტო კროჩეს (B. Croce) სიტყვების საფუძვლიანობაში, რომ ადამიანის სული მართლაც შეიძლება იყოს „ის ბრძმედი, სადაც ხდება სარწმუნოს გადადნობა ჭეშმარიტებად, ხოლო ფილოლოგია შეერწყმის რა ფილოსოფიას – წარმოშობს ისტორიას“ [Кроче Б. Теория и история историографии. Москва, 1998,17].
აქ აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ ბ. კროჩეს ხედვით „ყოველი ნამდვილი ისტორია არის თანამედროვე ისტორია“ და „თუ მივყვებით ნამდვილ გონს ისტორიისა, ისტორიას მისი გააზრების პროცესში, ძნელი არაა დავინახოთ, რომ სწორედ იგია ყველაზე პირადული და თანამედროვე ყველა სხვა არსებულ ისტორიათა შორის“ [იქვე, 9–10].

ილია ჭავჭავაძის მოძღვრების ფუნდამენტური მეთოდოლოგიური საკითხები და თანამედროვეობა

თეიმურაზ შენგელია
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, „საერთაშორისო ბიზნესის“ კათედრის ხელმძღვანელი

ცნობილი მწერალის, პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ქართველი ერის ისტორიაში ფასდაუდებელია. ამასთან, მნიშვნელოვანია ის წვლილი, რომელიც ილიამ შეიტანა ეკონომიკური აზრის ისტორიის განვითარებაში, მისი ეკონომიკური შეხედულებანი დღესაც არ კარგავს აქტუალობას. ი. ჭავჭავძის აზრით, საქართველოს ეკონომიკური სიძლიერის განმსაზღვრელი, გამუდმებული ომების პირობებშიც კი, მიწის საკუთრების ისტორიული ფორმები ყოფილა, რომელიც იმდროინდელ საქართველოში გაცილებით სამართლიანად იყო ორგანიზებული, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

1956 წელს გამოცემული ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის, ათ ტომეულის, მეშვიდე ტომი „წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე“ ქართული ეკონომიკის ისტორიის ქრესტომათიაა. თუ მოვახდენთ ი. ჭავჭავაძის ეკონომიკური, შეხედულებების სისტემატიზაციას შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ცნობილი მოღვაწის ყურადღების ქვეშ მოექცა. ესენია: საბაზრო ეკონომიკის; ფულის; მიწის საბანკო საქმის შესახებ და სხვა. ილიას მემკვიდრეობა მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც ქვეყანა ადგას ევროპეიზაციის გზას, ლიბერალური მიდგომა ილიას ნააზრში კვლავაც აქტუალური და მნიშვნელოვანია.

Fundamental Methodological Issues of Ilia Chavchavadze's Doctrine and Modernity

Teimuraz Shengelia
Doctor of Economics, Professor of Iv. Javakhishvili Tbilisi State University,
Head of International Business Department

Conclusion

It is known that the contribution of writer, publicist and public figure Ilia Chavchavadze is invaluable in the history of the Georgian nation. Along with this, his contribution is also of great importance in the development of history of economic thought, and his economic considerations today do not lose urgency. In the opinion of Ilia Chavchavadze, economic strength of Georgia, even in conditions of endless wars, was determined by the historical forms of land ownership, which in Georgia of that period was far more justly organized than in other countries.

Full collection of Ilia Chavchavadze's works was published in1956. The seventh volume of 10-volume collection "Letters on the issues of agriculture" is a chrestomathy of the Georgian economy. If we make systematization of Ilia Chavchavadze's economic considerations, several important problems can be outlined, which attract his special attention. They are on: market economy, money, land, banking activity, etc. Ilia Chavchavadze's heritage is very important today, when the country stands on the way to integration with Europe, and liberal approach in his thinking is still topical and significant.

ცნობილი მწერალის, პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ქართველი ერის ისტორიაში ფასდაუდებელია. ამასთან, მნიშვნელოვანია ის წვლილი, რომელიც ილია ჭავჭავაძემ შეიტანა ეკონომიკური აზრის ისტორიის განვითარებაში, მისი ეკონომიკური შეხედულებანი დღესაც არ კარგავს აქტუალობას. ილია ჭავჭავაძე ევროპულ ღირებულებათა

გააზრებისას ქართული საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესის შესახებ წერდა: „საქართველო დღე-ღამ იარაღით ხელში იდგა, მტერი ყოველ მხრიდამ მოწოლილი იყო. ჩვენი ხალხი თითქმის ორიათასი წელიწადი იბრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა, და ბოლოს მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს თვითმყოფობითი სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავისი ვალი და ვახში არ დასდებია. ვსთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის - რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლისღვრასა? ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო - და საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?“ [1, გვ. 150-151]. ივანე ჯავახიშვილი ამ გენიალური მოაზროვნის ეკონომიკური შეხედულებების შეფასებისას წერდა: „ილია ჭავჭავაძის სიტყვებით, საქართველოს ეკონომიკური წესწყობილების ამ კარგს მხარეს „ყური აღარ ათხოვეს; გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლეულობამ, ჩამოვარდა უსწორ-მასწორობა მიწის მფლობელობაში არამცთუ კომლთა შორისაც, არამედ სოფელთა შორისაც“-ო ((ჯავახიშვილი ივ., ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, თფილისი, 1938.10) და ი. ჭავჭავაძის ეკონომიკურ შეხედულებებში მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მან ჯერ კიდევ 1880 წ. აღიარა ისტორიის პროცესის გასაგებად ეკონომიკური საფუძვლის ცოდნის აუცილებლობა“ [2, გვ. 41].

ი. ჭავჭავძის აზრით, საქართველოს ეკონომიკური სიძლიერის განმსაზღვრელი, გამუდმებული ომების პირობებშიც კი, მიწის საკუთრების ისტორიული ფორმები ყოფილა, რომელიც იმდროინდელ საქართველოში გაცილებით სამართლიანად იყო ორგანიზებული, ვიდრე სხვა ქვეყნებში. შრომა და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა როგორც ქვეყნის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის საფუძველი ყოველთვის გახლდათ ამ გენიალური მოაზროვნის განსაკუთრებული ყურადღების სფერო, ამ პრობლემატიკას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის მსოფლმხედველობაში. „ეს წუთისოფელი ისეთია, აღნიშნავდა ილია, რომ ვინც თვითონ არ მხნეობს, ვინც თვითონ არ იბრძვის დღიურის ლუკმისთვის, მისი ბედი გადაწყვეტილია, იმას შეიძლება ერთ დღეს ან რამდენიმე ხანს კაცთმოყვარეობით უშველოს კაცმა, მაგრამ მას მერე მაინც ისევ მშიერი და უპოვარი დარჩება” [3, გვ.89].

XIX ს-ის მიწურულს, როცა საბაზრო ეკონომიკის საწყისი ეტაპისთვის დამახასიათებელმა საზოგადოების პოლარიზაციამ და ქონებრივმა დიფერენციაციამ უარყოფითი სოციალური შედეგები გამოავლინა, რამაც ილია იმ მოსაზრებამდე მიიყვანა, რომ ყოველდღიური მიზანმიმართული შრომა, სოციალური ფენების თვითგადარჩენის მნიშვნელობის მატარებელი იყო. ცნობილ სტატიაში “რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!” (1897წ.) ილია მიუთითებს, რომ „ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს... ეხლაც ომია, ხოლო სისხლისღვრისა კი არა, ოფლისღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი” [4.გვ. 105].

1956 წელს გამოცემული ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის, ათ ტომეულის, მეშვიდე ტომი „წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე“ ქართული ეკონომიკის ისტორიის ქრესტომათიაა. ნაშრომში წარმოჩენილია ილია ჭავჭავაძის მიდგომები სხვადასხვა ეკონომიკურ საკითხებზე, როგორიცაა: „სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საქმე“, „სააღებმიმცემო ჭირნახულის საქმე“, „მელიორაციის საქმე“, „მევენახეობისა და მეღვინეობის საქმე“, „მესაქონლეობის საქმე“, „გზებისა და ბაზრის საკითხი“, „მრეწველობის საქმე“ და „საქართველოს საბანკო-საკრედიტო და საფინანსო საქმეები“. ეს გახლდათ მნიშვნელოვანი მონაპოვარი, სადაც ცნობილმა მოღვაწემ სრულიად ორიგინალურად წარმოაჩინა იმ პერიოდისათვის ყველაზეაქტუალური ეკონომიკური პრობლემატიკა.

ილიას მიერ წარმოჩენილ ისტორიულ-ეკონომიკურ ანალიზში კარგად ჩანს საკუთარ ქვეყანასთან გაუცხოების, ეკონომიკური ცხოვრების სრულად დათმობის ტრაგიკული აღქმა: „ ჩვენ საუკუნეთა რაინდობის ანდერძებით გულს ვიფხანდით, თავს ვიწონებდით: ხმალი თოფი, ცხენი, რახტი, ლამაზი ქულაჯა და სხვა ამგვარი შეადგენდა საგანს ჩვენის ნატვრისა და წყურვილისას და როცა ჩვენ გატაცებული ვიყავით ამ ნატვრითა და წყურვილით, ჩრჩილი შემოგვეპარა. ჩვენი ერის ნაშრომ-ნაღვაწი ჩვენგან დაწუნებული ვაჭრობით ხელთ იგდო, ამ გზით საქმით გაგვიბატონდა, ყმად დაგვიჭირა და სიტყვით კი თავს გვიქონავდა და გვეძახდა, - ბარაქალაო, კაცებიც თქვენა ხართ და ქუდიც თქვენა გახურავთო; ჩვენ ეს ბარაქალა დავიჯერეთ, ამით მოვტყუვდით... ბურთი და მოედანი ეკონომიკური ცხოვრებისა... დაინარჩუნა იმან, ვინც უფრო მალე მიხვდა დროთა ბრუნვას, დროთა ჭირ-ბოროტს“ [5, გვ.142].

თუ მოვახდენთ ი. ჭავჭავაძის ეკონომიკური, შეხედულებების სისტემატიზაციას შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა,

რომელიც ცნობილი მოღვაწის ყურადღების ქვეშ მოექცა. აქ უმნიშვნელოვანესია:

ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი კერძო საკუთრების შესახებ

ილია როდესაც სახელმწიფოს მნიშვნელობაზე ლაპარაკობს მიუთითებს კერძო საკუთრების როლზე სახელმწიფოს განვითარებაში „ამასთანავე, კერძო საკუთრების შეურყევლობაც დიდს განძად მიაჩნია სახელმწიფოს თვითონ საზოგადოების დღეგრძელობისა და წესიერი ცხოვრებისათვის" [6, გვ. 67]. სახელმწიფომ ყველა უფლება ისე უნდა გამოიყენოს, რომ კერძო საკუთრების პატრონი არ დაზარალდეს, მაგრამ რადგან კანონი იმ დროს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვეოდა, ილია მოუწოდებდა მოსახლეობას, შეესწავლათ კანონები, თავისი უფლებების დასაცავად და ამ კანონებს ის სისტემატურად აქვეყნებდა გაზეთ "ივერიაში".

კერძო საკუთრების ხელყოფასა და სხვისი საკუთრების მიტაცებასთან დაკავშირებით, ილიას პოზიცია მკვეთრად უარყოფითია. ილიას ბოლომდე გაცნობიერებული აქვს კერძო საკუთრების მნიშვნელობა საზოგადოების პროგრესისთვის. მან მრავალჯერ დაასაბუთა ფორმულა: „თავის-უფლება", სხვისი მოვალეობა და იმაშიც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ღარიბი თუ მდიდრის ქონებას მიიტაცებს, ამით თავისუფალი და სამართლიანი საზოგადოება ვერ აშენდება. "როცა კაცს სხვა საბუთი არ მიუძღვის იმის გარდა, რომ მე ცოტა მაქვს და შენ ბევრი, ამიტომ შენ უნდა წაგერთვას და მე მომერთვასო, აბა, უკიდურეს სიღატაკიდან უდიდეს სიმდიდრემდე რამდენი კიბეა, რამდენი საფეხურია, რამდენი ერთმანეთზე მეტია და მოდით და გაარჩიეთ, რომელმა რომელი უნდა სწეწოს და ჰგლიჯოს მთელ ამ მანძილზე" [6, გვ. 123].

XIX საუკუნის მიწურულს ილია ჭავჭავაძე კაპიტალისტურ საზოგადოებაში ფულის ფუნქციის ანალიზის პროცესში ამართლებდა მის ნეგატიურ სოციალურ ბუნებას. ის წერდა: „ქადილი ოქრო-ვერცხლისა, რომ ყველაფერი ჩემიაო, ყველაფერს ვიყიდიო, გამართლდა ქვეყნის საუბედუროდ" [6, გვ 142] და იქვე „ ფულის ბრძანებას და ბატონობას მაინც ვერსად გავექცევით, ვერსად ვერ დავემალებით: საცა იქნება და როცა იქნება, მოგვასწრობს და ქეჩოში წაგვავლებს ხელს, ან მეყმე და ან შიმშილით სული ამოირთვიო, გეტყვის. მართალია, აქ ფული მეტისმეტად სულგრძელად გვექცევა, რადგან ორში ერთის არჩევანს ჩვენს ნებაყოფლობაზე აგდებს. მაგრამ ბევრი სახარბიელო არც ყმობაა და არც სულის ამორთმევა, თორემ ფული არც ყმობაა და არც სულის ამორთმევა, თორემ ფული არც ისე გაბედოვლათდებოდა, ერთიცა და მეორეც ჩვენს ნებაზე მოეგდო. წყეულ იყოს ამისთანა სულგრძელობა და ამისთანა გარემოება, რომელიც ან ყმობას გვიქადის, ან სულის ამორთმევას და, ამ ორს საარჩევანოს გარდა, სხვა გზას არ აძლევს ადამიანსა. ნუ გეგონებათ, ვითომც ეს სულთა და ხორცთამხუთავი ძალღონე ფულს დაწერილ კანონისაგან ჰქონდეს მინიჭებული. ესეთი კანონი არა რჯულში არა სწერია, არა კანონმდებელს თავის-დღეში ფიქრადაც არ მოსვლია. ესეთი ძალ-ღონე ფულისა იმ უწერულმა კანონმა შეჰქმნა, რომელსაც ცხოვრებას ეძახიან და რომლის ძალმომრეობა თვით დაწერილ კანონზე უძლიერესია და თავში გამწევი მოუდრეკლად. ჟამთა ცვლამ და ეკონომიურ შინაგან და გარეგან ვითარების წინსვლამ ისტორიაში ისე მოუმართა ფულს ხელი, რომ ყველგან და ყოველმხრივ ცხენის ძუის ბადე გააბა: გაინძრევით თუ არა, ამ ბადეში გაიხლართებით, როგორც ბუზი აბლაბუდაში" [6, გვ 143].

კაპიტალისტურ საზოგადოებაში ფულს დამონებული ადამიანის პრობლემისა და მისგან თავის დახსნის საშუალების გარკვევისას ილია ჭავჭავაძე წერდა: „აღვირაშვებულმა ფარფაშობამ ფულისამ ისე გაჰბაწრა და შესთოკა ადამიანი ეხლანდელ დროში, რომ ვისაც უფულობაში მოასწრო, იმის გაფულიანება თითქმის შეუძლებელიღაა პატიოსან შრომითა და გარჯითა, თუ ერთი უეცარი ბედი რამ არ მოევლინა, მაგალითებრ, შადრევანი ნავთისა, ან ყალბი ფული მართალ ფულად არ გაასაღა, ან შამპანურით სავსე ბოტლი ცარიელ ბოთლად არ შემოეპარა საბაჟოს, ან ერთზე ორი სარგებელი არ აიღო გასესხეულ ფულში და სხვა ამისთანა ჟამთა საფერ საქმეში კოჭი ალჩუდ არ დაუჯდა და სინდისმა არ დააბრკოლა. თუ არ ამ გზებით, დღეს კაცმა, მარტო და უფულომ, გაფულიანებაზე იმედი უნდა გადაიწყვიტოს, რადგანაც მეტ ფულიანი ნაკლებ ფულიანს ყოველგან სულსა ჰხდის, საცა კი მოასწრობს. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ფული ფულთან მიდისო. ჩვენ, ქართველები, უფულონი ვართ და თუ აგრეა, რამღა უნდა გვიშველოს? სადღაა და რაშიღაა ხსნა? ჩვენი დღევანდელი თავში საცემი საკითხი სწორედ ეს არის და სხვა არა-რა. ამას უნდა შევალიოთ ყოველი ჩვენი სულიერი და ხორციელი ღონე და გზა ხსნისა როგორმე გავიგონოთ, გავითვალისწინოთ. ერთგვარი სახსარნი იმისთანანი არიან, რომ ჩვენს საკუთარს თაოსნობასა, მხნეობასა და საქმის გაბედულად შეჭიდებაზედ არიან დამოკიდებულნი. უნდა

ვიცოდეთ, რომ რაც თვითეულ ცალკე კაცისათვის მიუწდომელია, ის ერთიანის შეკრულ-შებოჭვილ ღონით ვიმოქმედოთ: თვითეულის ცალკე გროში ერთად შევაგროვოთ, ღონე ღონეს შევაკეცოთ, შრომა შრომას მივუყენოთ და ამ გზით ბევრნი ერთად შევებნეთ უღელში ცხოვრების ავკარგიანობის საწეველად, რომ ჩვენი ნაოფლი, ჩვენი ნაღვაწი ჩვენვე გვრჩებოდეს, ჩვენვე გვრგებოდეს“ [6, გვ, 56].

ილია ჭავჭავაძე ქართული ეკონომიკური სისტემის განვითარებისთვის ისტორიულ ტრადიციებზე ამახვილებდა ყურადღებას და ქართულ საზოგადოებაში ეკონომიკური სიძლიერის საფუძველს მიწის საკუთრებაში ხედავდა: „უეჭველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში... ჩვენა გგვგონია, სიკეთე ჩვენის ეკონომიურის აგებულებისა და წყობისა იმაში ყოფილა, რომ მიწა, ესეიგი მამულ-დედული, ცოტათ თუ ბევრად უფრო სამართლიანად მორიგებული ყოფილა ჩვენს ხალხში, ვიდრე სადმე სხვაგან. საკვირველია, რომ დღეს აქომამდე უმამულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად არ მოიძევება. ამისთანა წყობამ მიჰმართა უსათუოთ ჩვენი ხალხი მიწათმოქმედებას, რომელიც უფრო დაუშრომელი და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზოგადოებისათვის, ვიდრე სხვა რამ. ხსნა ჩვენის ქვეყნისა ამ წყობაში უნდა ყოფილიყო, და ვიდრე ამ წყობას უფრთხილდებოდნენ ჩვენი მეფეები, იმ დრომდე ქვეყანა ჩვენი ღონიერი ყოფილა და გასძღოლია მტერს ასე თუ ისე [6.გვ. 151].

ილია ჭავჭავაძე საბაზრო ეკონომიკის შესახებ

სტატიაში „ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი (1893)“ ილია ჭავჭავაძე ქართული ეკონომიკის ფუნდამენტური და ტრადიციული იდენტობის ამსახველად პურსა და ღვინოს ასახელებს, ასევე XIX საუკუნის მიწურულს ქართველი საზოგადოების ეკონომიკური გონის დამორჩილებაზე მიუთითებს, რაც ქართველების მსოფლიო ცივილიზაციის პროცესში მომავალი წარმატების გარანტია იყო: „ჩვენ, ქართველები, პურისა და ღვინის პატრონების ვართ, ესე იგი, პურისა და ღვინის გამსყიდველნი ერთის მხრით, და მეორეს მხრით მსყიდველნი ყოველ იმისა, რაც ერთობ საჭიროა საყოველდღეო ცხოვრებისათვის. როგორც გამსყიდველნიც ვზარალობთ, რომ უფლება გვაიძულებს იაფად გავყიდოთ, და როგორც მსყიდველნიც, იმიტომ რომ სასყიდს ძვირად ვყიდულობთ, და იმოდენად ძვირად, რამოდენადაც სასყიდი საყოველდღეო ცხოვრებისათვის საჭიროა. ამ სახით ვაჭრების ხელში იმ ყოფითა ვართ, რომ ერთს ტყავს ორგზით გვაძრობენ. ესეთი ყოფა ჩვენ ორგზით გვაკლებს და ჩვენს ვაჭრებს ორგზით ჰმატებს. ქართველობამ ამ ბოლოს ხანებში დააჯერა გული, რომ ამ ყოფით დგომა ცხოვრების მოედანზე შეუძლებელიღაა, რადგანაც მოასწავებს დედამიწის ზურგიდამ აგვას, თუ წამალი რამ არ დაიდვა და თუ ისე არ მოაწყო საქმე, რომ ამ გაჭირებიდამ თავი დაიხსნას. ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამისთანა გაჭირებამ თვალი აუცილა ქართველობას თავის ყოფა-ცხოვრებაში ჩახედვისათვის. დღეს თვითეული ჩვენგანი ჰგრძნობს, რომ აქამომდე მივიწყებულს ეკონომიურს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის; რომ ეკონომიური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა, ტანში გამართვისა და აქ უნდა გავისარჯნეთ და ვიამაგოთ. ეს კახეთის რკინიგზა, ეს ღვინის საქმე კახელებისა, ეს ხშირი ლაპარაკი ჩვენში, რომ კახელების ღვინის საქმის მაგვარ უნდა მოეწყოს ქართლის პურის საქმეცა და იმერეთის სიმინდისაო, ეს არა ნაკლებ ხშირი მითქმა-მოთქმა, რომ საადგილმამულო კრედიტის გარდა, სხვა მოკლევადიანის კრედიტის დაარსებაც საჭიროა ჩვენთვისაო, ეს სოფლის მეურნეობის წარმატებისათვის საერთო ფულის შედგენა გლეხობისაგან, და ფიქრი და ლაპარაკი თავად-აზნაურობაში, რომ ამისთანა რამ ამათაც შეადგინონ, - ყოველივე ეს ერთად და თვითვეულად ცალკე დღეს ყოველს, თუნდ ცოტაოდნად მიხვედრილს და გაგებულს ქართველს, ენაზე აკერია, ყველგან ამაებზე ჰლაპარაკობენ და ჰბრჭობენ და ზოგნი კიდეც შესდგომიან სიტყვა საქმედ აქციონ. ყოველივე ეს იმის მომასწავებელია, რომ ქართველობა ახალ და სწორ გზაზე გამოდის სამოქმედოდ, და იმედია, რომ იგი ბოლოსაც გაატანს. რადგანაც სწორე გზის პოვნა და მასზე სვლა ნახევრად გამარჯვებაა“ [6,გვ. 48].

ილია ჭავჭავაზე ლიბერალიზმის შესახებ

ილიამ კარგად იცის, რომ ლიბერალიზმის უმაღლესი იდეები და აღირებულებები იმდროინდელ საქართველოში ვერ განხორციელდება თუნდაც იმის გამო, რომ „პოლიტიკური თავისუფლება პირადი თავისუფლების გარანტიაა” (ბ. კონსტონი). ილიას ამ მოაზროვნის მეორე დებულებაც გააზრებული აქვს – “პოლიტიკურ თავისუფლებას არ შეუძლია შეცვალოს პირადი თავისუფლება”.

საყურადღებოა, რომ XXს-ის ლიბერალურ-

კონსერვატიული მიდგომების წარმომადგენელი, ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი, ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, რაც საკუთრების ფლობასა და განკარგვის უფლებაში აისახება, პოლიტიკური თავისუფლების საფუძვლად თვლიდა. ილიას მოღვაწეობის დროს პოლიტიკური თავისუფლება მიუღწეველია, რაც გენიალურ მოღვაწეს კარგად ესმის: „ხელშეუხებლობა პირადი საკუთრებისა მერმისის ქვაკუთხედად აღიარებულია და ყოველს რაც ჰბღალავს და ჰხუთავს ამ ხელშეუხებლობას, რჯული ძნელად იშვნევს, ძნელად იწყნარებს" [9. გვ 241]. ბუნებრივია, რომ კერძო საკუთრებამ და მისგან გამომდინარე პრობლემატიკამ ილიას ნააზრევში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

ილიას სტატიების ციკლი – „ცხოვრება და კანონი", ერთი უმნიშვნელოვანესი დებულების ანალიზით იწყება, რომელსაც ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაც აქვს, მაგრამ საქართველოსთვის მაშინაც და ახლაც, განსაკუთრებით აქტუალური იყო და არის. ლაპარაკია იმაზე, რომ ქვეყანა როგორი ბუნებრივი სიმდიდრეებით და პირობებით განებივრებული არ უნდა იყოს, ხალხის კეთილდღეობისთვის ეს საკმარისი არ არის. მთავარი და გადამწყვეტი თვით ადამიანების ურთიერთდამოკიდებულების ხასიათია, ე.ი. სოციალ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაა. „კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე, ვერცა სიკეთე ჰაერისა, ვერცა სიმსუქნე მიწისა, ვერც შეიძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორის უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილებისთვის, ხალხთა კეთილდღეობისთვის, ეს უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყანაზედ" [5 გვ 123].

ილიას დროსაც და დღესაც იყო და არის ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყნები, მაგრამ იქ არსებული პოლიტიკური რეჟიმები მოსახლეობის უმრავლესობას გაჭირვებაში ამყოფებს. ამ პრობლემაზე მსჯელობისას, ილიას ლოგიკურად უნდა გამოეთქვა თავისი მოსაზრება უმნიშვნელოვანეს დილემაზე – რა არის ის საფუძველი, რომელიც ღარიბ ქვეყნებს საშუალებას აძლევს თავისი მოქალაქეები ღირსეულად აცხოვროს. ილიას მიაჩნია, რომ საკუთრების გამიჯვნა საზოგადოების აუცილებელი პირობაა და ამ საკითხს ილია განსაკუთრებული აქტიურობით აყენებდა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, რადგან ამ რეფორმამ ბევრი პრობლემა წარმოშვა: „განმეორება იქნება ასჯერ თქმულისა, რომ ქვეყნის ეკონომიკური ყოფა-ცხოვრების წარსამატებლად ერთი უდიდესი ძარღვი – მამულების გამიჯვნაა, ე.ი. მამულების იმ მდგომარეობაში მოყვანა, რომ ყველამ იცოდეს თავისი კუთვნილება და სხვისგან შეუცალებად ჰპატრონობდეს და უვლიდეს საკუთარ მიწა-წყალსა" [6. გვ.52].

საყურადღებოა, ილიასეული კანონისადმი პატივისცემისა და საზოგადოებისგან მხარდაჭერისადმი დამოკიდებულება. კანონის პატრონობას ილია იმაში ხედავს, რომ თუ კანონი ირღვევა, მართლმსაჯულებას უდიერად ექცევიან და ფეხქვეშ თელავენ, "მაშინ მე ვიჩაგრები ამისგან თუ სხვა, მაინც მოვალე ვარ, თავი გამოვიდო, კანონის სახელი ძირს არ დავცე და არ გავაქელვინო. იმიტომ რომ კანონი ყველას ფარ-ხმალია და მაშასადამე ჩემიცა" [6. გვ. 108]. კანონის დაცვას უნივერსალური ხასიათი უნდა ჰქონდეს და საქმის მასშტაბები, მისი სიდიდე, მნიშვნელობას არ უნდა იძენდეს. ილია აღნიშნავდა: „ადამიანისათვის სულ ერთია, ცალკე კაცი ჰლახავს ადამიანის უფლებას თუ რაზმად დაწყობილი კრებული, თანაც ისეთ უფლებებს, რომელიც ბუნებრივად მინიჭებული აქვს ყოველ ადამიანს, ასეთი საქციელი შეუწყნარებელია და დაუზოგველად განსაკითხავი ყოველგან და ყოვლისგან" [6, გვ 204]

თავისუფლება, როგორც ილია იტყოდა „ჭეშმარიტი ლიბერალისთვის" უზენაესი პოლიტიკური ღირებულებაა და ამ გაგებით ლიბერალური იდეოლოგიის ამოსავალი, შემკრები პრინციპია „ეხლანდელი დრო და მასთან ერთად ყოველივე ცოტად თუ ბევრად გონებაგახსნილი კაცი და ქალი რომ ხმამაღლა ჰღაღადებს ხელშეუხებლობას ადამიანისა, განა მარტო პოლიციის მიერ ხელშეუხებლობა აქვთ სახეში, არამედ ყოველგვარი ხელშეუხებლობა და სხვათა შორის იგიცა, როცა სამარცხვინო და სახელგასატეხ ბრალს რასმე სდებს ერთი მეორეს ტყუილსა და მართალს წინასწარ გამოუძიებლად და აუწონლად" [7, გვ 98].

XIX საუკუნის 80-იანი წლებისთვის ეროვნულობის გადარჩენისთვის ილიას და მისი თანამოაზრეების ბრძოლის ოცწლიანი ეტაპი გარკვეული წარმატებით დასრულდა, მაგრამ ამ პერიოდშიც ილიას არ აკმაყოფილებდა ქართული საზოგადოების ცნობიერებაში ზოგადი, საერთო ინტერესების შეცნობის დონე. არადა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, ძველი საბერძნეთის ისტორიული გამოცდილების საფუძველზე, დიდე ამტკიცებდა, რომ "ინტერესების მსგავსება ყველაზე მყარი კავშირია როგორც სახელმწიფოს, ისე ინდივიდებს შორის". ილია კატეგორიულად უარყოფდა, რომ საზოგადოებრივი ინტერესების არად ჩაგდება

ქართველი ერის ისტორიული ტრადიციაა და მისი დამახასიათებელი თვისებაა. ეს რომ ასე ყოფილიყო, ქართველი ერი დიდი ხნის აღგვილი იქნებოდა პირისაგან მიწისა. ჩვენს წინაპრებს „ჯერ ჩვენ" ჰქონდათ სახეში და მერე „მე". ილიას მით უფრო უკვირს, საიდან შემოგვეპარა ეს სენი, როგორ დაიჭირა „მემ" „ჩვენის" ადგილი და ორაზროვნად იმასაც მიუთითებს, ვინ შეუწყო ხელი ამ სენის გავრცელებას, ვის აინტერესებს ამ ავადმყოფობით ერის დაავადება.

როგორ ახერხებდა ილია მუდამ საკაცობრიო აზრთა ავანგარდში ყოფილიყო? იგი ძალიან ბევრს მუშაობდა იმდროინდელი ევროპის პრობლემატიკაზე. 1886 წელს ილიამ გამოაქვეყნა სტატიების ციკლი „ევროპა 1886 წელს", 12 სტატია, რომელშიც მოცემულია ზოგადევროპული პრობლემატიკის ბრწყინვალე ანალიზი.

ილია უდიდესი სერიოზულობით ეკიდებოდა საკუთარი მოსაზრებებისა და კონცეფციების არგუმენტაციას. ამაზე მეტყველებს მის მიერ დამუშავებული უმდიდრესი ლიტერატურის, ისტორიის და ფილოსოფიის მეცნიერებების მრავალრიცხოვანი დამოწმებული, გამოჩენილი ავტორიტეტები: ფ. ბეკონი, ჯ. ს. მილი, ჰ. სპენსერი, ა. სმიტი, ლებოკი, ტეილორი, ვებერი, ლერონმანი, სეიესი, ტალბოტი, ჰინქსი, კლაპორტი, შრადერი, უსლარი, ბროკი და ეს კიდევ არ არის სრული ჩამონათვალი.

დასასრულ, კიდევ ერთხელ გამოვყოთ ყველაზე უფრო გავრცელებული იდეური და სოციალურ-პოლიტიკური მიმდინარეობის, ლიბერალიზმის ფუძემდებლურ პრინციპებს, რომელსაც ილია სრულად იზიარებდა. ესენია: პიროვნების თავისუფლების დაცვა, ჰუმანიზმი და დემოკრატიზმი, მეწარმეობის თავისუფლება, კონკურენცია, რაციონალიზმი, შემწყნარებლობა, პარლამენტარიზმი, ინდივიდუალიზმი და სხვა. ილია განუხრელი სიზუსტით მიჰყვება და სახელმძღვანელო-სამოქმედო პროგრამადაც აღიარებს ლიბერალური იდეოლოგიის ამ უმნიშვნელოვანეს პრინციპებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭავჭავაძე ი., რა არის თავისუფლება, ივერია, 26 ივნისი, 1887.
2. ჯავახიშვილი ივ., ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, თბ., 1938.
3. ილია ჭავჭავაძე, ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ, პუბლიცისტური წერილები, ტ. 4, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, თბ., 1987
4. ილია ჭავჭავაძე, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი, წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე, ტ. VII (თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად), რედაქტორი პავლე ინგოროყვა, თბ., 1956.
5. ილია ჭავჭავაძე, ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა, წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე, ტ. VII (თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად), რედაქტორი პავლე ინგოროყვა, თბ., 1956.
6. ჭავჭავაძე ილია: თხზულებანი. თბ., საბჭოთა საქართველო 1984.
7. ილია ჭავჭავაძე, ოსმალოს საქართველო, პუბლიცისტური წერილები, ტ. 4 (რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად), ტომი შეადგინეს და შენიშვნები დაურთეს სარგის ცაიშვილმა და გურამ გვერდწითელმა, თბ., 1987.
8. ილია ჭავჭავაძე, ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ, პუბლიცისტური წერილები, ტ. 4 (რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად), ტომი შეადგინეს და შენიშვნები დაურთეს სარგის ცაიშვილმა და გურამ გვერდწითელმა, თბ., 1987.
9. ილია ჭავჭავაძე, წოდებათა თანასწორობა, პუბლიცისტური წერილები, ტ. 5 (რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად), ტომი შეადგინეს და შენიშვნები დაურთეს სარგის ცაიშვილმა და გურამ გვერდწითელმა, თბ., 1987.
10. ილია ჭავჭავაძე, პარლამენტი თუ სამინისტრო, პუბლიცისტური წერილები 1887 (თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად), რედაქტორი გიორგი ციციშვილი, თბ., 2007.
11. ილია ჭავჭავაძე, დაძაბული პოლიტიკური ვითარება ევროპაში, პუბლიცისტური წერილები 1887 (თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად), რედაქტორი გიორგი ციციშვილი, თბ., 2007.

ილია ჭავჭავაძე ლიბერალიზმისა და პროტექციონიზმის ეკონომიკური პრინციპების შესახებ

ჯემალ ხარიტონაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

XIX ს. მეორე ნახევრის და XX ს. დასაწყისის ქართველი მოაზროვნეების მსჯელობის საგნად იქცა ეკონომიკური პროტექციონიზმის და ლიბერალიზმის საკითხები.

1882 წ. გამოქვეყნებულ სტატიაში „სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა“ ი. ჭავჭავაძე შენიშნავდა, რომ იმ პერიოდში არც ერთ გაზეთს და არც ერთ ჟურნალს ვერ ნახავდით, სადაც ან ფრიტრედერობას ან პროექციონიზმზე არ იყოს მსჯელობა. არც ერთი პუბლიცისტი არ არის ერთს ან მეორე სისტემას არ ურჩევდეს თავის მთავრობასო.

დასახელებულ სტატიაში ი. ჭავჭავაძე სიმპათიას გამოხატავს ფრიტრედერობის-ეკონომიკური ლიბერალიზმის მიმართ.

Ilia chavchavadze's opinion about Economic principles of Liberalism and Protectism

Jemal Kharitonashvili

Summay

The issues of economic protectionism and liberalism became the subject of discussion for Georgian thinkers in thesecond half of the 19th century and the beginning of the 20th century.

In his article"Customs Policy, Free trade and Protectionism in Europe" published in 1882, Ilia Chavchavadze noted that in that period not a singlenewspaper or magazine could be found with no discussion on free trade or protectionism. There was not any publicist who would not suggest either of these systems to their government.

In the above-mentioned article I. Chavchavadze shows preference forfree trade and economicliberalism.

ყველა ეპოქაში აქტუალურია მსჯელობა ეკონომიკის გაძღოლის პრინციპების შესახებ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში ქართველი მოაზროვნეების მსჯელობის საგნად იქცა ეკონომიკური პროტექციონიზმისა და ლიბერალიზმის საკითხები.

საქართველოში ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეებს იცავდნენ: პ. უმიკაშვილი, ალ. წერეთელი, ივ. როსტომაშვილი და სხვ.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი პროტექციონიზმის პრინციპს იცავდნენ „დროება-კრებულის“ ხელმძღვანელები: ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, გ. წერეთელი და სხვ. წარმოების ანარქიისა და მონოპოლიის მოსპობის საქმეში ისინი განსაკუთრებულ როლს ანიჭებდნენ სახელმწიფო ხელისუფლებას, რომლის სათავეში უნდა იდგნენ ინტელექტუალური ადამიანები.

1882 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა“, ი. ჭავჭავაძე აღნიშნავდა: „ჩვენს დროში საქმეებმა ისეთი ძირი გაიკეთა, ისეთი მიმართულება და ხასიათი დაიჭირა, რომ დღეს ყოველს ცალკე სახელმწიფოს შეუძლიან თავისი მოპირდაპირე, სამტროდ მოცილე სახელმწიფო უომრად ომზედ არა ნაკლებ დააზიანოს, თუ გნებავთ ეს ახალი სამტრო სახსარი იგივ ომია და ზოგჯერ ომზედაც უარესი, მაგრამ სისხლდაუღვრელი ომი კია, იმისთანა ომი, საცა არც ზარბაზანის გრიალია, არც ხმლის ტრიალია“(1, გვ., 310). „ამისთანა ომის მოედნად საეკონომიო ყოფა ცხოვრებაა“, წერდა ის. მისი თქმით: „დღეს ძლიერი სახელმწიფო იგია, ვინც მდიდარია... დღევანდელი ტოკვა თვითეულის სახელმწიფოსი... სხვა არა არის რა, თუ არა ის, რომ საპოლიტიკო ეკონომიკის ბრძოლის მოედანზედ რაც შეიძლება მომეტებული ადგილი დაიჭიროს, ფართო გზა გაიკაფოს, დიდი არხები გასჭრას სიმდიდრის მოსადინებლად, სხვისი იაფად და

ცოტა იყიდოს და თავისი ძვირად და ბლომად გაასაღოს. ამიტომაც საშინაო და საგარეო პოლიტიკამ თვითეულის ცოტად თუ ბევრად შემძლებელის სახელმწიფოებისამ თავისი ზომა მიიღო, რომ სახელმწიფომ, რაც შესაძლოა, დიდი და ბევრს ადგილას ბაზარი იქონიოს თავის საქონლის გასასაღებლად ქვეყნის მოედანზე და სხვისას კი კარი შიგნიდან ურდულით მაგრა გამოუკეტოს"(1, 310). ი. ჭავჭავაძე შენიშნავდა, რომ საბაჟო გადასახადი ადრე არა მარტო გარედან შემოსატან საქონელზე იყო, არამედ შინაურ საქონელზეც. ეს უკანასკნელი ახლა უკვე მოხსნილია პირველადი მოხმარების საქონელზე და დარჩენილია მხოლოდ ისეთ საქონელზე, ურომლისო დაც კაცს გაუჭირვებლად ცხოვრება შეუძლია. მაგალითად, არაყზე, თამბაქოზე და სხვა ამისთანებზეო.

ი. ჭავჭავაძე ყურადღებას ამახვილებს იმ ბაჟზე, რომელიც უცხო ქვეყნის საქონელზეა დაწესებული, რომელიც ქვეყანაში შემოდის. ასეთ ბაჟს თავდაპირველად საფინანსო მიზეზი ჰქონდა, რომელიც კარგა დიდ ლუკმას იძლევა სახელმწიფო ხაზინისათვის. შემდგომ ასეთ ბაჟს პოლიტიკური მიზნებისათვისაც იყენებდნენ: „შესაძლოა ამით უმტრონ კიდევ სხვა სახელმწიფოსა, რომელსაც საქონელი შემოაქვს, და შემწეობაც აღმოუჩინონ შინაურის მრეწველობას გაძლიერებისათვის"(1, გვ., 314).

„ასეთი მოქმედების დროს მიზეზად იმას ამბობენ, რომ საქონლის შექმნა, რაც სხვიდან შემოგვაქვს, ჩვენ შეგვიძლიანო; ამ შეძლებას აბრკოლებს ის გარემოება, რომ სხვისი საქონელი ჩვენს შინაურს ბაზარში სჩაგრავს და გზას არ აძლევს ჩვენს საქონელსა; როცა სხვის საქონელს ჩვენის ბაზრიდან დავითხოვთ, მაშინ ბურთი და მოედანი ჩვენს ერსავე დარჩება, და რადგანაც საქონელი ერისათვის საჭიროა და რადგანაც როგორც გიჭირს, ისეც გიღირს, ამიტომაც ჩვენი ერი მოჰკიდებს ხელს მაგ საქონლის მრეწველობასა. მრეწველობა გაძლიერდება, ერი გამდიდრდება და თავისას თვითონვე გაჰყიდის და იყიდისო. ამ სახით ერის პირიდან გავარდნილი ლუკმა მის ჯამშივე ჩავარდებაო.

რა თქმა უნდა – აგრძელებს ი. ჭავჭავაძე – როცა კაცს თვითონვე შეუძლია თავის საქმეს გამორჩეს რასმე, მაშინ უჭკუობა იქნება, თვითონ გულხელი დაიკრიფოს და გამოსარჩომი სხვას დაანებოს"(1, 316).

ი. ჭავჭავაძე შენიშნავს, რომ „იმ პერიოდში, არც ერთ გაზეთს და არც ჟურნალს ვერ ნახავთ, სადაც ან ფრიტრედერობასა ან პროტექციონიზმზე არ იყოს მსჯელობა, არც ერთი პუბლიცისტი არ არი ერთს ან მეორე სისტემას რომ არ ურჩევდეს თავის მთავრობასო"(1, 320). დასახელებულ სტატიაში ი. ჭავჭავაძე სიმპათიას გამოხატავს ფრიტრედერობის მიმართ და აღნიშნავს, რომ ამ მოძღვრებამ ევროპაში ფეხი აიდგა სახელოვანი ინგლისელი ეკონომისტის ადამ სმითის მეცადინეობით": პირველ ხანებში ეს მოძღვრება თმას ყალყზე უყენებდა კაცობრიობის სვებედის გამგებლებს, რომელთაც ხშირად შეჩვეული ჭირი ერჩივნათ შეუჩვეველ ლხინსა, მაგრამ ამით ბევრი არაფერი დააკლდა ა. სმითის მოძღვრებას. ამ თავისუფალ აღებ-მიცემობის მოძღვრებამ იმდენად იმუშავა და იმოდენა თანაგრძნობა მოპოვა, რომ 1841 წელს, როცა ინგლისში მთავარი მინისტრი სერ რობერტ პილი გახდა, მაშინ ამ სამეცნიერო თეორიამ თვითონ ცხოვრებაშიც გზა გაიკაფა. 1846 წელს რობერტ პილმა გააუქმა პურზედ დადებული ბაჟი და პური სულ მთლად გაანთავისუფლა ბაჟისაგან ღარიბთა საკეთილდღეოდ. მისივე მეცადინეობით გაუქმდა ეგრეთწოდებული „ზღვათამსვლელობა კრომველისა", რომელიც ასე თუ ისე ჰხუთავდა აღებ-მიცემობის თავისუფალ მიდენ-მოდენას".

მაშინ ამ ამბავს მიესალმა მთელი ევროპა, როგორც ლიბერალიზმის გამარჯვებას. ამ მოძღვრებას მოსარჩლენი გამოუჩნდნენ არა მარტო ინგლისში, – საფრანგეთშიაც. ბევრი, ცოტად თუ დიდად სახელგანთქმული მეცნიერი მიემხრო ამ მოძღვრებას. მაგალითად ილია ასახელებს ბასტიას, შევალიეს და სხვ. ამ მოძღვრებამ ისეთი სახელი გაითქვა, რომ ერთაშორისმა კანონმდებლობამაც კი აღიარაო. ამ მოძღვრების საფუძველზედ 1861 წ. დაიდო აღებ-მიცემობის კონვენცია ინგლისსა და საფრანგეთს შორის და 1865 წელს–გერმანიასა და საფრანგეთს შორის(1, 320).

რაც შეეხება პროტექციონოზმს, ი. ჭავჭავაძე ევროპაში პროტექციონიზმის შემოღებას უკავშირებს გერმანია-საფრანგეთის ომს XIX ს. 70-იანი წლების დასაწყისში. გერმანიის იმდროინდელი კანცლერი ოტო ბისმარკი, რომელიც მანამდე ფრიტრედერობის მომხრე იყო, ამ სისტემას საფრანგეთის გამოჯავრებით გადაუდგაო. ო. ბისმარკმა გერმანიის კანონმდებლობა საბაჟო საქმეში პროტექციონიზმზე მიმართა და საფრანგეთის საქონელს ბაჟით მიმოქცევის გზა შეუკრა გერმანიაშიო. ი. ჭავჭავაძის თქმით, ო. ბისმარკის წყალობით ევროპამ დაივიწყა ფრიტრედერობის სიკეთე... ხელახლა თავი წამოყო და ფეხზედ წამოდგა წინათ უარყოფილი სისტემა პროტექციონიზმისა, ესე იგი სისტემა, რომლის დაძლევაც დიდის სიხარულით მიღებული იყო ამ ორმოცი წლის წინ.

აქ ვერ დავეთანხმებით ი. ჭავჭავაძეს, თითქოს ო. ბისმარკის პროტექციონისტული პოლიტიკა მხოლოდ საფრანგეთის წინააღმდეგობით იყო განპირობებული. ბისმარკის პროტექციონისტულ პრაქტიკას საფუძვლად ედო ფრიდრიხ ლისტის და ისტორიული სკოლის თეორეტიკოსთა მტკიცებანი გერმანიაში კაპიტალიზმის განვითარებისათვის „აღმზრდელობითი“ პროტექციონიზმის გამოყენების საჭიროების შესახებ.

კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების ეტაპზე ინგლისშიც გამოიყენებოდა პროტექციონისტული პოლიტიკა, რომელიც ყოველნაირად ზღუდავდა კონტინენტიდან ჩასული ვაჭრების საქმიანობას ამ ქვეყანაში. აქტიური პროტექციონისტული პოლიტიკა ხორციელდებოდა საფრანგეთშიც XVII საუკუნის მეორე ნახევარში ფინანსთა მინისტრ კოლბერის ხელმძღვანელობით. ასეთივე პოლიტიკას ატარებდა ნაპოლეონიც. .ამ ორივე ქვეყანაში, როდესაც პროტექციონისტულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო კაპიტალისტური საწარმოების დაარსებას და განვითარებას, იგი წარმოებისა და ვაჭრობის განვითარების შემბოჭავ არტახებად იქცა. ლოგიკურ შედეგად მოხდა კიდეც ასეთი არტახებიდან განთავისუფლება და გადასვლა თავისუფალ კონკურენციაზე. არ გამართლდა ი. ჭავჭავაძის შიში, რომ გერმანული პროტექციონიზმი იმ პერიოდში ევროპაში დაამარცხებდა ფრიტრედერობას. XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ევროპაში ჩამოყალიბდა მძლავრი ნეოკლასიკური სკოლა კ. მენგერის, ლ. ვალრასის და ა. მარშალის მეთაურობით, რომლებმაც ახალი სული ჩაბერეს ეკონომიკური ლიბერალიზმის მოძღვრებას. კლასიკურის ნაცვლად ნეოკლასიკური მიმართულება ჩამოყალიბდა.

უფრო მეტიც, როდესაც გერმანიაში პროტექციონისტულმა ზომებმა აღმზრდელობითი მისია შეასრულა და გერმანიის კაპიტალიზმი ფეხზე დააყენა, იქაც დღის წესრიგში დადგა პროტექციონიზმის შეცვლის აუცილებლობა ლიბერალიზმით. XX საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან ამოქმედდა მძლავრი ნეოლიბერალური მიმართულება, რომელმაც 80-იანი წლებიდან მსოფლიო მასშტაბს მიაღწია.

თავის სტატიაში ი. ჭავჭავაძე ყურადღებას ამახვილებს სავაჭრო შეზღუდვებზე, მაგრამ იქვე მსჯელობს სამრეწველო პროტექციონიზმის შესახებაც. იგი აღნიშნავს, რომ პროტექციონიზმი „იქიდან არის წარმომდინარი, რომ შინაურს მრეწველობას მოპირდაპირე მოაცილოს შინაურს ბაზარში და მით თვით ამ სხვის ცილობისაგან განთავისუფლებულს მრეწველობას ფეხი აადგმევინოს და თავის ერს ერთი წყარო სარჩო-საბადებელის შოვნისა მოუმატოს. პროტექციონობა მოსარჩელეობაა, რადგანაც შინაურის მრეწველობას სარჩელს უწევს და ხელს უწყობს არსებობისა და გაძლიერებისათვის“(1, 320). ი. ჭავჭავაძე უდიდესი ქართველი ეკონომისტი იყო, მაგრამ არც მისი აზრი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც აბსოლუტური. ი. ჭავჭავაძის რევერანსი ეკონომიკური ლიბერალიზმის მიმართ იმით იყო განპირობებული, რომ „ყოველს ქვეყანას ან იმისთანა საქონელი შეაქვს და გამოაქვს სხვისაგან, რომელიც გადაკეთებულია საფაბრიკო და საქარხნო მრეწველობით სახმარ ნივთად, ან იმისთანა, რომელიც უნდა გადაკეთდეს ფაბრიკებითა და ქარხნებითა. მაგალითებრ, მატყლი მაუდის გასაკეთებლად, ან კიდევ პირდაპირ სახმარი, მაგალითებრ, პური. როცა თავისუფლად მიდენ-მოდენაა საქონლისა, მაშინ რომელსამე სახელმწიფოს შინაურ ბაზარში დიდი ცილობაა, და ბურთი და მოედანი ბაზრისა იმ სახელმწიფოს ჰრჩება, რომელის საქონელიც უფრო უკეთესია და უფრო იაფი. ერს ამისაგან სიკეთისა და რგების მეტი არა მოსდის რა, იმიტომ რომ კარგ საქონელს იაფად ჰყიდულობს და მაშასადამე თავს ადვილად ირჩენს და იკვებავს“. პროტექციონიზმის მომხრე ილიას ოპონენტებს თავიანთი არგუმენტაცია ჰქონდათ. ისინი ამბობდნენ, რომ „ეგ ყველაფერი მართალია, მაგრამ ამ სხვის საქონელს ვთქვათ, კარგსა და იეფსა, რომ ჩვენი ერი სხვისაგან ჰყიდულობს, ხომ საფასურად აძლევს რასმეო; რაკი აძლევს, სჩანს ჩვენის ერის სიმდიდრე გარეთ გადის, სხვას გააქვს და ის არ სჯობია, ლუკმა გავარდეს და ჯამშივე ჩავარდესო. სხვის საქონლის სასყიდლად გაღებული ქონება ისევ ჩვენს ერს შინ დარჩეს და თვითონ მოიხმაროსო; თუ ჩვენს ბაზარს სხვებისათვის როგორმე დავკეტავთ, ჩვენი ქონება ვაჭრობის გამო გარეთ აღარ გაიზიდება და ჩვენშივე დატრიალდებაო. გარდა ამისა, იგი საქონელი, რომელიც სხვისაგან შემოგვაქვს და მის სამაგიეროდ ჩვენი სიმდიდრე გარეთ გაგვაქვს, განა ჩვენში კი არ გაკეთდება, ჩვენში კი არ შეიქმნებაო. რომ ჰკითხოთ: თუ ეგრეა რატომ ეხლა კი არა კეთდებაო? ამაზედ აი რა პასუხს იძლევიან: არა კეთდება იმიტომ, რომ სხვანი გვეცილებიან, სხვებს უფრო კარგი საქონელი მოაქვთ და უფრო იეფად, და რაკი ესეა, ცილობას ვერ გავუწევთ, რადგანაც კაცი იმას ეტანება, ვისაც კარგი და იეფი საქონელი აქვსო; ოღონდ საქონელი კარგი და იეფი იყოს და ვაჭრობაში იმას არ დაგიდევენ, ჩვენი კაცი ჰყიდის, თუ სხვა კაციო. თუ მისთანა მოიცილეს,

თავიდამ მოვიშორებთ, მაშინ კი საქმე სულ სხვა იქნება: თვითონ ჩვენი ერი, კარგად იქნება თუ ავად, ხელს მოჰკიდებს საცილობელის საქონლის კეთებასა და ამ გზით თვითონ გაგვემართება იგი მრეწველობა, რომლის უქონლობის გამო დღეს სხვანი ასე გვწოვენო. რა ვუყოთ, რომ პირველ ხანებში ჩვენი ახლად ფეხადგმული მრეწველობა იმისთანა კარგს და იეფს საქონელს ვერ მოგვაწვდის, როგორსაც ეხლა სხვა ქვეყანა გვაწვდისო. თავი გავიმაგროთ,მოვითმინოთ; ამ პირველ ხანების უკეთურებას და სიძვირეს ჩვენსავე სიკეთისთვის როგორმე გავუძლოთ და დრო მოვა შინაური ცილობა საქონელსაც გაგვიკარგებს და იეფობასაც ჩამოგვიგდებსო. განკარგებულს და გაძლიერებულს მრეწველობისაგან ჩვენი ერი სიმდიდის წყაროს გაიჩენს, და თვითონ ქონება ჩვენი, რომელიც ეხლა სხვის საქონლის სყიდვისა გამო გარეთ გადის და სხვას მიაქვს, ჩვენვე და ჩვენშივე დაგვრჩებაო“.

ჭავჭავაძე არ ეთანხმებოდა ამ პოზიციის მომხრეებს და წინააღმდეგი იყო იმპორტულ საქონელზე მაღალი ბაჟის დადების, რამეთუ ეს იწვევს საქონლის ფასის ზრდას. ი. ჭავჭავაძე აკრიტიკებდა ი. ბისმარკს პურზე ბაჟის დადების გამო, რადგან გერმანიას დიდ რაოდენობით თვითონ პური ვერ მოჰყავდა და მიუთითებდა, რომ პური შამპანური ღვინო არ არის, რომ უმისობა გერმანიის ერმა ითმინოს იმ დრომდე, ვიდრე თვით მოიყვანდეს. „პური იმისთანა საჭიროებაა, რომ უიმისობა და შიმშილით სიკვდილი ერთია, მანამ პავლე მოვა პეტრეს ხომ ტყავი გასძვრა“(1, 323).

ი. ჭავჭავაძე მაინც აღიარებდა იმ პერიოდში პროტექციონიზმის აღორძინების ფაქტს და ამბობდა: „აი დღეს თითქმის ყველგან პროტექციონობის გაძლიერებას ვხვდებითო“(1, 323).

ი. ჭავჭავაძის ვერსია იმის შესახებ, რომ უცხოური საქონლის შემოტანა ბაზარს გააიაფებდა, კეთილშობილურია, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პროტექციონისტული პოლიტიკის გატარების შედეგად განვითარებული წარმოება, ჯერ ერთი, ახალ სამუშაო ადგილებს გააჩენს და უმუშევრობა შემცირდება; მეორეც, მიღებული ხელფასით მსყიდველობითუნარიანი მუშა ბაზარზე გამოვა და ამით ბაზარი გაფართოვდება. თანამედროვე პირობებში უხელფასო ადამიანს იაფი საქონელიც კი ვერ უყიდია.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ თავისუფალი კონკურენციის კანონის როლს ი. ჭავჭავაძე რამდენადმე აზვიადებდა კიდეც–აღნიშნავს პროფესორი გ. თოდუა(2, 214).

უნდა ითქვას, რომ, თუ ზემოთ განხილულ სტატიაში ი. ჭავჭავაძე ლიბერალიზმისაკენ იხრება, პოლემიკაში „ბ-ნი მეისნერის პროექტის“ შესახებ კი იგი მხარს უჭერს სამამულო წარმოების დაცვას უცხოური კაპიტალის მოძალებისაგან.

გერმანელმა ბიზნესმენმა მეისნერმა იმ პერიოდში კავკასიის მთავარმართებელთან წარადგინა ორი პროექტი. მას მოუწადინებია დაეარსებინა ორი სააქციო საზოგადოება: ერთი – „ამიერკავკასიის ღვინის კეთებისა,ღვინით ვაჭრობის და არყის ხდისა“, და მეორე - „ბაღეულობისა და ბოსტნეულობის კეთებისა“. ეს პროექტები მთავარმართებელმა განსახილველად გადასცა სამეურნეო საზოგადოებას.

სამეურნეო საზოგადოებამ წარმოდგენილი პროექტების შესაფასებლად გამოყო კომისია შემდეგი შემადგენლობით: რ. დ. ერისთავი, ალ. ზ. ჩოლოყაშვილი, გ. ზ. ანდრონიკაშვილი, პ. ს. გამბაროვი, ს. ი. მონასტირიცევი და ი. ს. ხატისოვი.

მეისნერი აღნიშნული დარგების განვითარებისათვის ორ მილლიონ-ნახევარ ფულს ჰპირდებოდა.

კომისიის წევრებიდან რ. ერისთავს გამოუთქვამს აზრი, რომ „ეს საზოგადოება ხელთ იგდებს მთელს ჩვენს აღებ-მიცემობას ღვინისა და ამ რიგად ავნებს აქაურ ვაჭრობას და თვითონ ღვინის პატრონსაცო. იგი შეიძლება გახდეს მონოპოლისტი, რომელმაც ღვინის წვრილი ვაჭრები შეიძლება შემოგვიფრთხოს და მარტომ დაინარჩუნოს ბურთი და მოედანიო“. ასეთივე აზრი გამოუთქვამს ა. გამბაროვს. ამიტომ იგი მოითხოვდა უფრო ნაკლები ფულით დაეწყო საზოგადოებას ეს საქმე. ა. ჩოლოყაშვილი მხარს უჭერდა პროექტებს იმის გამო, რომ ამით ქვეყანას ფული მიეშველება და ღვინის კეთების მცოდნეობასაც შეისწავლიანო, რადგან ჩვენი ტექნოლოგიით დამზადებული ღვინო დიდხანს არ ინახებაო. ზ. ჯორჯაძე მხარს უჭერდა პროექტებს იმ მოტივით,რომ ეს საქმე ხელს შეუწყობდა ბაზრის გაფართოებას. მას მხედველობაში ჰქონდა საგარეო ბაზარზე კონდიციური ღვინით გასვლა. ასეთივე აზრზე იდგნენ ს. მონასტირცევი და ი. ხატისოვი. კომისიას დაუდგენია: „ამიერკავკასიის ღვინის კეთებისა და აღებმიცემობისათვის დაარსება აქციონერების საზოგადოებისა ცნობილი იქნას სასარგებლოდ, – იმ პირობით კი, რომ მაგ საზოგადოებამ დაიწყოს თავისი საქმე უფრო ნაკლების თავნითა და მერე თანდათან უმატოს“(3, 195).

გ. ანდრონიკაშვილს თავის აზრი კომისიაში ცალკე წერილით წარუდგენია. ამ წერილში გ. ანდრონიკაშვილი მიუთითებდა, რომ ორ მილიონ-

ნახევრიანი საზოგადოება „ხელთ იგდებს მთელს აქაურს ვაჭრობას ღვინისას და შეჰქმნის მონოპოლიას, მავნებელს როგორც ღვინის ვაჭართათვის, ისეც სოფლის მეურნეთათვის, რომელნიც მაგ კომპანიის სრულს ნებაზედ უნდა დარჩენო“(3,196). საზოგადოება – აგრძელებს გ. ანდრონიკაშვილი – ღვინოს ძალიან იაფად შეისყიდის და იქამდის დააფოლებს მას, რომ ღვინის პატრონს არავითარი მოგება აღარ ჰქონდესო.

ამ მიზეზებით „უნდა უარ იქმნას ბ-ნი მეისნერის პროექტი, დაუსკვნია ბოლოს გ. ანდრონიკაშვილს“(3, 197)– და თუ გვინდა ღვინის წარმოების საქმე ამიერკავკასიაში ფეხზედ დავაყენოთ, ვიშუამდგომლოთ, რომ თვითონ ღვინის მწარმოებელთაგან შესდგეს საზოგადოებაო.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ საზოგადო კრებაზე განიხილა ყოველივე ეს და გადაწყვიტა: „აქციონერების საზოგადოება ღვინის კეთებისა, ღვინის ვაჭრობისა და არყის ხდისა ამიერკავკასიაში, ცნობილი იქმნას სასარგებლოდ ამიერკავკასიისა და ნებაც მიეცეს დაიწყოს საქმე მთელის ორ მილიონ-ნახევრითაო“(3, 197).

ამ გადაწყვეტილების შემდეგ სამმა პირმა – ი. შალიკაშვილმა, იოსელიანმა და ელიოზოვმა წერილით თავიანთი აზრი შეიტანეს საზოგადოებაში. ამ სამთაგან ორნი სრულიად უარყოფდნენ მეისნერის პროექტს, შალიკაშვილი კი მოითხოვდა მეისნერის პროექტის ხელახლა განხილვას და წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლას. საზოგადოების კრებამ საჭიროდ ჩათვალა ხელახლა შეკრებილიყო ცალკე აზრების განსახილველად. ეს კრება შედგა 1882 წლის 30 ნოემბერს.

იოსელიანი კრებაზე ხუთი უმთავრესი საბუთით წარსდგა:

1. „ბლომა ფულის დატრიალება ღვინის კეთებისათვის ჩვენში იმ სიკეთეს ვერ მოიტანს, რასაც კომისია ფიქრობს. ბავშვობა იქნება ჩვენგან ვიფიქროთ, რომ, ფული თავის თავს სადმე დაივიწყებს და მოგებას არ აჰყვება. ფულის ნატვრა გამორჩენა და მოგებაა, უამისოდ ფული ადგილიდანაც არ დაიძვრის, რაკი ფული ფეხს აიდგამს,

არ უნდა დაივიწყოს კაცმა, რომ ფული აქედან გამორჩენას მოელოდინება. ფულის პატრონის წყურვილი და სურვილი ისაა, რომ სხვა ვაჭრები დააფრთხოს, ახალი მუშტარი და ბაზარი მოპოვოს, დიდი მოგება დაინარჩუნოს. ეს რომ ასე მოახდინოს ფულმა, ყველაზე უწინარეს ის არის საჭირო, რომ მოცლილი ხელი მოიპოვოს სამუშაოდ, ესე იგი იმისთანა მუშახალხი, რომელსაც თავისი არა აქვს რა და ცხოვრობს მარტო თავის ცარიელის მარჯვენითა და რომელიც ამის გამო იძულებულია თავისი შრომა ჰყიდოს ხოლმე. თუ ამისთანა ხალხს არ იშოვის ფული და ყურმოჭრილ ყმად არ გაიხდის, არც ერთი ეგრეთ წოდებული წარმოება კაპიტალისა თავს ვერ დაიჭერს. ამიერკავკასიაში ჯერ არ არის ამისთანა უბინაო მუშახალხი, მაშასადამე, კაპიტალისტურმა წარმოებამ თვითონ უნდა შექმნას მაგისთანანი. ნუთუ სასარგებლო იქნება ეს ქვეყნისთვის?

2. ღვინო რომ რიგიანი კეთდებოდეს, ანუ ღვინის აღებ-მიცემობა რიგიანს გზაზედ დადგეს თავნის მეოხებითა, ამისათვის მარტო ფული კი არა, ბოგანო, უბინაო კაციც არის საჭირო და ვენახების ქონაც. უამისოდ შეუძლებელია კონკურენცია. გარდა ამისა, საჭირონი არიან ღვინის საქმის ზედმიწევნით მცოდნენიცა. ამ სახით, მაგ კომპანიას უნდა დაეთმოს ვენახები, მუშა ხალხი და ღვინის მცოდნენიცა, რომ საიმედო კონკურენცია გაუმართოს უცხო ქვეყნების ღვინოებსა... აი საგანი, რომელსაც ღირს კაცი ღრმად დაუკვირდეს. იოსელიანი მიუთითებს, რომ: ყოველი განვითარების საფუძვლად, ყოველი რიგიანი წარმატების სათავედ, – წვრილი მემამულეების გათახსირება, და ბაგანო მუშების გამრავლება კი არ უნდა იქნეს აღიარებული, არამედ ის, რომ სოფლის მცხოვრებთ მიწა და მიწათმოქმედება მტკიცედ ეპყრათ ხელთო.

3. იოსელიანი არ ეთანხმებოდა, აგრეთვე, ვერსიას – მეისნერის პროექტი ღვინის წარმოებას გააძლიერებსო. ეს ტყუილი იმედია – წერდა იოსელიანი. მაგას კომპანია ვერ იზამსო. იმას კი იზამს, რომ ღვინოებს იყიდის რუსეთში გასატანად და პირველ ხანებშივე კარგ ღვინოს მოაკლებს აქაურ ბაზარს და მეორე მხრივ ისე გააძვირებს, რომ ღარიბი ხალხი, რომელიც აქ ღვინის სმას ჩვეულა, ხელს ვერ მიაწვდენს და უღვინოდ დარჩებაო.

4. სააქციო საზოგადოება, რომელსაც დიდი გამორჩენის მიღება სურს, არ მოინდომებს აქაურებში გაავრცელოს ღვინის კეთების ცოდნა და ხერხიო. ჯერ ერთი, ფულიანი აქციონერები ცოდნისაგან შორს დგანან და საქმეს ღვთის ანაბრად ჰკიდებენ ხელს, რის გამო, ხშირად, ერთი მოხერხებული კაცი ჩაიგდებს ხოლმე საქმეს ხელში და საითაც უნდა, თავს იქით უზავს აქციონერებს. მეორეც, საზოგდოება რატომ მოინდომებს ცოდნისა და ხერხის ხალხში გავრცელებას. თავის თავს თვითონვე ხომ არ გაუთხრის ორმოსა, თავისთავს თვითონვე მოპირდაპირეს ხომ არ გაუჩენს!...

5. იოსელიანი მიუთითებდა იმაზეც, რომ ტყუილად ჰგონიათ საზოგადოება მონოპოლიას არ შეჰქმნისო, ბურთსა და მოედანს ღვინის

აღებმიცემობისას თვითონ არ გაისაკუთრებსო. „ვისაც თვალყური უდევნებია ჩვენებური აღებ-მიცემობისთვის, ის დღესაც ხედავს, რომ მაგ მავნებელს მოვლენას ჩვენში ფეხი აუდგამს კიდეც. კონკურენცია აღებ-მიცემობაში მართლადა საკეთილოა წარმოებისთვის, მაგრამ მაგას საზღვარი აქვს. საზღვარი კიდევ ის არის, რომ ერთის მხრით სიკეთე ნაწარმოებისა სისრულემდე უნდა იყოს მიყვანილი და ფასი კიდევ რაც შეიძლება დაბლა დაწეული იქმნას. რაკი კონკურენცია მანამდე მივა, ამის წინააღმდეგ მოქმედობს ხოლმე. დაუბოლოვებელი განკარგება წარმოებისა და დაუბოლოვებელი ფასების ძირდაწევა ყოვლად შეუძლებელია და კონკურენცია კი ცდილობს ეგ არ საქმელი ჰქნას. ამიტომაც მოტყუება, ყალბობა, შერევ-არევა ნაწარმოებში მოსდევს ხოლმე კონკურენციას. ხშირად გვსმენია საჩივარი კეთილსინდისიან ვაჭართაგან, რომ კონკურენციის გამო იძულებული ვართ იმისთანა ღონე ვიხმაროთ, რომელიც ძალიან საფრთხილოაო. დიდის შეძლების სოვდაგარნი ხშირად იძულებულნი არიან დროებით ფასები იმოდენად დაწიონ, რომ უფრო უღონო სოვდაგრებმა ვეღარ შეძლონ ვაჭრობა. კანონი დიდის თავნისა ის არის, რომ პატარა თავნი აღარ გააწაწანოს, შეჰმუსროს ისე, რომ ბაზარში ცილობა, კონკურენცია ვეღარ გაუწიოს“(3, 200).

ანალოგიურ შიშს გამოთქვამდა თავის ნაშრომში ელიოზოვი. იგი აღნიშნავდა, რომ: „მაგისთანა ზორბა კომპანია გააღატაკებს მამულებს და ვენახების პატრონებსა. სიმდიდრე სახელმწიფოსი შესდგება ვაჭრების სიმდიდრისაგან კი არა, არამედ მომქმედთა და ნამოქმედარის მომხმარებელთა სიმდიდრისაგან“(3, 200). ელიოზოვი დაასკვნიდა, რომ: „რა მხრითაც უნდა გაისინჯოს პროექტი ბ-ნის მეისნერის, არავითარის მხრით მის სასარგებლოდ არც ერთს საბუთს ვერა ვხედავთო“(3, 200).

აღნიშნული წერილების შესახებ დიდი სჯაბაასი გაიმართა სამეურნეო საზოგადოების კრებაზე. ამ სჯაბაასს ფართო კომენტარი გაუკეთა ი. ჭავჭავაძემ 1882 წლის დეკემბერს შინაურ მიმოხილვაში სათაურით–„ბ-ნი მეისნერის პროექტი“.

ი. ჭავჭავაძემ გააანალიზა მეისნერის პროექტის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტები და საყურადღებო დასკვნები გააკეთა. მან მიუთითა, რომ, „თუ ბ-ნი მეისნერის მექომაგეთ ჩვენში ფულის გამრავლების იმედი აქვთ, ტყუილი იმედია, და თუ ფულის მეტ-ნაკლებობას დიდს მნიშვნელობას აძლევენ საერთო ეკონომიაში, ვუმტკიცებთ, რომ ბ-ნი მეისნერის ამხანაგობა ფულს კი არ გაგვიმრავლებს, არამედ, რაცა გვაქვს, იმასაც გაზიდავსო.

აი ამ მხრით ჩვენ საბუთი გვაქვს სრულებით გავამართლოთ ბ-ნი მეისნერის მოწინააღმდეგენი, რომელნიც ამბობდნენ, რომ ისევ აქაური ვაჭრები გვირჩევნიან ბ-ნი მეისნერის ამხანაგობასო“(3, 214).

ი. ჭავჭავაძე შიშს გამოთქვამდა, რომ ორ მილიონ-ნახევარი ფულის მასის შემოტანას შეიძლება ინფლაცია მოჰყოლოდა. იგი აღნიშნავდა, რომ, „თუ ორმილიონ ნახევარი ბ-ნი მეისნერის ამხანაგობისა მარტო იმისათვის ეხარბებათ მის მექომაგეთა, რომ ჩვენში ფული გამრავლდებაო, ცხადია, ამით ჩვენ არა მოგვემატება რა, თუ საქონელთა რიცხვი ჩვენში იგივე იქნება, რაც არის. დაკლებით კი დაგვაკლდება, რადგანაც ღვინოს გაიტანს, რომელიც ჩვენთვის თითქმის პურისმებრ დიდ საჭიროებას შეადგენს. ღვინის გატანით ეგ ჩვეული საჭიროება ისეთის სავსებით ადარ დაკმაყოფილდება, როგორიც დღეს. კმაყოფილების დაკლება ცხადი გაღარიბებაა“(3, 217).

ი. ჭავჭავაძე დაასკვნის, რომ: „მარტო ფულის გამრავლება არაფერია, როცა საქონელი არ მრავლდება“(3, 217). ტყუილად ჰგონიათ მეისნერის მომხრეებს, რომ ფულის შემოტანა ღვინის წარმოების გადიდებას გამოიწვევსო–აღნიშნავდა ი. ჭავჭავაძე. „თუ ჩვენის ქვეყნის ეკონომიკური გარემოებანი ისევ ისე დარჩებიან, როგორც დღეს არიან, ორმილიონ ნახევარის ფულის გარევა, ისიც ქაღალდის ფულისა, არაფერში გამოსაყენებლი არ იქნება, და არც არაფერში გამოსაყენებელია–ის არ აიძულებს არავის საზოგადოდ და ჩვენს ქვეყანას საკუთრით მეტი ღვინო მოიყვანოსო“(3, 217).

ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ „ბ-ნი მეისნერის დაპირება, რომ ღვინოს თქვენგან ვიყიდი, რომ ისევ გავყიდო, ესე იგი ამ სახის ღვინის ვაჭრობას გავმართაო, არასგზით და არასმხრით ჩვენდა სახეიროდ არ უნდა იყოს ცნობილი. საზოგადოდ, ვაჭრობა იმ მხრით კი არ არის სახეირო ქვეყნისათვის, რომ ქვეყნის მეტი სარჩო გაიტანოს, არამედ იმ მხრით, რომ იმ მეტის სარჩოთი ის აშოვნინოს, რაც აკლია ქვეყანას დანარჩენ სარჩოდო“(3, 222).

ილია ჭავჭავაძე არ ეთანხმებოდა მეისნერის მომხრეებს იმაში, რომ მეისნერის პროექტით ღვინოს ახალი ბაზარი გაუჩნდებაო.

„სხვა ახალის ბაზრის აჩენა მაშინ არის კარგი, როცა უკვე აჩენილი, ესე იგი დღევანდელი ბაზარი, არ იტევს საქონელსაო“(3, 223). ჩვენი მყიდველები–აგრძელებს ილია ჭავჭავაძე – ჩივიან: „ღვინო ძვირია, პური ძვირია, საკლავი ძვირია, ლამის გავტყავდეთო. ეს ჩივილი რომ ვთარგმნოთ, იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ბაზარი ყოველ ამით არამც თუ სავსეა, ნაკლულადაც არის, თუ ნაკლულად არ

იყოს, იეფობა იქნებოდაო“(3, 223). „თუნდ ეგეც არ იყოს და დავუჯეროთ ბ-ნ მეისნერს მექომაგეთა, რომ ...რუსეთი ჩვენის ღვინის ბაზრად შეიქმნებაო, თუ მართლა ეგრე იქნება, დიდძალი ღვინო ჩვენის ქვეყნისა რუსეთს გაედინება. ასე, რომ ამოდენა ხალხი, ღვინის სმას ჩვეული, ღვინოს თვალით ვედარა ნახავს, ჯერ იმის გამო რომ ცოტა იქნება, მეორე იმის გამო–რომ შეძლება არ ექნება დიდ ფასს შესწვდეს. მაშასადამე ეს შინაური ჩვენი ბაზარი ალაგდება... ცხვირწინ ბაზარს ვაუქმებთ, რომ ცხრა მთას იქით ახალი ავიჩინოთ. ჩვენდა სამწუხაროდ რომ ეს მოხდეს... მერე ვინ დაგვიდგება თავდებად, რომ ამხანაგობა არ გვეტყვის, გინდათ ამ ფასად მომყიდეთ თქვენი ღვინო, თუ არა თქვენ თვითონ წაიღეთ რუსეთშიო: რუსეთში ჩვენ ჩვენს ღვინოს ვერ წავიღებთ, შინ გასავალი იმოდენა აღარ იქნება და ჩვენ ან უნდა ბ-ნი მეისნერის ამხანაგობას დავემორჩილოთ, ან ვენახები გადავკაფოთ“(3, 227-228).

ილია ჭავჭავაძე აკრიტიკებდა მეისნერის მესამე დაპირებასაც:

„სახელდობრ ისა, რომ ღვინოს მე გავაკეთებ, თქვენ ოღონდ ვენახები აკეთეთ და ბევრი ყურძენი მოიყვანეთო... თქვენი ხეირი ეს იქნებაო, რომ უფრო უკეთესი ღვინო იქნება თქვენი ღვინოო, იმასაც თქვენ კი არ დაგალევინებთ, რუსეთში გავიტანო და ამ გზით სახელი თქვენი იქნება და სახრავი კი ჩემიო. თქვენ მარტო ვენახების კეთებაც გეყოფათო“(3, 229).

ილია ჭავჭავაძე საყურადღებოდ მიიჩნევდა ელიოზოვისა და იოსელიანის შიშს – მეისნერის ამხანაგობა მიწასაც ხელიდან გამოგვაცლისო.

მეისნერის მიერ დაპირებული ორ მილიონ-ნახევარი ფულის შემოტანის საპირისპირო საბუთად ილია ჭავჭავაძეს შემდეგი მაგალითი მოჰყავდა: „პრუსიამ ხუთიათასი მილიონი ბაჯადლო ოქრო წაართვა საფრანგეთს და ამ უზარმაზარმა ფულმა კი არ გაამდიდრა პრუსია, არამედ ისე გაუხდა საქმე იქაურთა მკვიდრთა, რომ მაგ ფულის შემოსავლისთანავე უმალ ხალხის გახიზვნამ პრუსიიდან იმატა, რადგანაც არაქათი ცხოვრებისა აღარ იყო“(3, 230).

ილია ჭავჭავაძე დაასკვნის: „ამ სახით, რა მხრითაც უნდა მივუდგეთ ბ-ნი მეისნერის პროექტს, რომელი აღქმა ან დაპირება არ გავსინჯოთ, ვნახავთ, რომ მასში ჩვენი სახეირო არა არის რა და სავნებელი კია. ასეც იცნო კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ ბოლოს და უარჰყო იგი პროექტი.

აქ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას მინდა მივაქციოთ ყურადღება: თუ სტატიაში – „სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა“ – ილია ჭავჭავაძე თავისუფალი ვაჭრობის და, საერთოდ, ფრიტრედერობის მომხრედ გამოდიოდა, ზემოთ აღნიშნულ მსჯელობაში იგი, პირიქით, ეწინააღმდეგება თავისუფალ ვაჭრობას და სამამულო წარმოების დაცვით გამოდის, ეს კი სხვა არაფერია, თუ არა პროტექციონიზმი.

სხვა სტატიებში ილია ჭავჭავაძე უფრო აძლიერებდა თავის პროტექციონისტულ მიდგომას. იგი მიუთითებდა, რომ ხმლით მოსულმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწაწყალი, ჩვენი ქვეყანა... „ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს, ფეხქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიანო“(4, 13).

თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკში ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა მთლად პროტექციონისტული ხასიათის იყო. მას საფუძვლად ედო მთელი ქართველი ერის ინტერესები. ეს ბანკი შეღავათიან კრედიტს აძლევდა ქართველ თავად-აზნაურობას, რომ თავიანთი მამულები არ გაეყიდათ ან არ დაეგირავებინათ.

დასკვნაში უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი სახელოვანი წინაპრების იდეებს აქტუალობა თანამედროვე პერიოდშიც არ დაუკარგავთ. წარმატებულად მოქმედებისათვის საჭიროა ელასტიური პოლიტიკა. როცა გარემოება მოითხოვს(საყის ეტაპზე და ექსტრემალურ სიტუაციებში) გამოყენებულ უნდა იქნეს პროტექციონიზმი, ხოლო უფრო მაღალ საფეხურზე ლიბერალიზმი ანდა ორივე ერთდროულად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. ჭავჭავაძე, (თბ., 1956), სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა, ტ., 8.
2. გ. თოდუა, (თბ., 1987), X1X ს. ქართული საზოგადოებრივ- ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, ნაწ., II.
3. ი. ჭავჭავაძე, (თბ., 1956), ბ-ნი მეისნერის პროექტის შესახებ, ტ. 5.
4. ი. ჭავჭავაძე, (თბ., 1956), რა გითხრათ? რით გაგახაროთ? , თხზ., ტ. 5.

ილია ჭავჭავაძის შეხედულებები უცხოური ინვესტიციების შესახებ და თანამედროვეობა

ლოიდ ქარჩავა
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

სტატიაში განხილულია ილია ჭავჭავაძის შეხედულებები უცხოური ინვესტიციების შესახებ, რომელსაც ილიამ რამდენიმე სპეციალური სტატია მიუძღვნა. ილიამ განიხილა უცხოური ინვესტიციის დადებითი და მისადმი არასწორი მიდგომით გამოწვეული უარყოფითი მხარეები კონკრეტულ პირობებში და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკისათვის. ილიას მიაჩნდა, რომ უცხოური ინვესტიცია მხოლოდ ინვესტორის ინტერესებზე მორგებული ბიზნესი კი არ უნდა იყოს, არამედ ადგილობრივ ეკონომიკურ და ეროვნულ ინტერესებსაც თანაბრად, პარტნიორულ საფუძველზე უნდა ითვალისწინებდეს.

Ilia Chavchavadze's views about foreign investments and modernity

Loid Karchava
Doctor of Business Administration

The views of Ilia Chavchavadze regarding foreign investments are discussed in this article. A specific example is also presented to which Ilia Chavchavadze dedicated a special work. The negative and positive sides of foreign investments are analyzed in the specific case. What role would have been played by this kind of investments for the country's economy. Foreign investments should not only be the business that meets investors' interests, it should also protect the economic and national interests of the local population.

ილია ჭავჭავაძე იყო მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. ყურადსაღებია ილიას შეხედულებები უცხოური ინვესტიციების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ილია ლიბერალური პოლიტიკის მომხრეა, თუმცა როცა ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგება ინვესტიციის შედეგები, დღევანდელი ტერმინით თუ ვიტყვით, პროტექციონისტულ პოლიტიკას ირჩევს, უფრო ზუსტად, პროტექციას უწევს ლიბერალიზმს. მისი აზრით, „ლიბერალობა" არ ნიშნავს უპირობო „ღია კარის პოლიტიკას" და „პროტექციონიზმი" არ ნიშნავს უპირობო კარჩაკეტილობას.

განვიხილოთ უფრო დეტალურად თუ რას გულისხმობს ილიას შეხედულება ამ მიმართულებით.

მკითხველს არ ეუცხოება, თუ ვიტყვთ, რომ ქართველებმა მოჭარბებულად ვიცით ხოლმე ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადასვლა. ილიამ იცოდა ლიბერალობასა და პროტექციონიზმს შორის ისეთი შუალედის მოძებნა, რომელიც ქვეყანას სარგებლობას მოუტანდა. ილიას მკაფიოდ გამოკვეთილი შეხედულება უცხოური ინვესტიციის მიმართ მოცემულია წერილში „ბ-ნ მეისნერის პროექტი", რომელიც 1882 წლის დეკემბერით არის დათარიღებული.

მოკლედ შეგახსენებთ, რა წინადადება ჰქონდა მეისნერს. ის ამბობდა, რომ მომყიდეთ ზვრები, მე უფრო კარგ ღვინოსაც დავაყენებ, ფართობებს გავზრდი, და სარეალიზაციოდ რუსეთის ბაზარზე გავიტანო. ამისათვის ის იხდიდა ორნახევარ მილიონს მაშინდელი ფულით.

თავის წერილში - „ბ-ნ მეისნერის პროექტი", ილია დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ მეისნერის პროექტს ჰყავს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „მექომაგენი" და „მეწინააღმდეგენი". ილიას მოჰყავს მათი აგუმენტები, თუ რატომ ემხრობიან „მექომაგენი" და რატომ ეწინააღმდეგებიან „მეწინააღმდეგენი" აღნიშნულ პროექტს.

როგორც ილია აღნიშნავს, მეისნერის პროექტის მომხრეებსაც და მოწინააღმდეგეებსაც მოჰყავთ

თავისი არგუმენტები, რომელსაც ილია ასე ახასიათებს:

მექომაგენი ამბობენ:

1. ჩვენი ქვეყანა ფულით ღარიბია და 2,5 მლნ რომ შემოვიდეს ჩვენს ქვეყანაში - სასარგებლოა;

2. ღვინო ხშირად გაუყიდავი გვრჩება. . .;

3. ჩვენს ღვინოს ახლა მარტო ერთი ბაზარი აქვს. . .;

4. დიდ მუშტარს დიდი გაძღოლა უნდა. . .;

5. ეხლანდელი ჩვენი ღვინო მოკლებულია სავაჭრო ღირსებასა, რადგან კარგად ნაკეთები, დაყენებული არ არისო. . . [1, გვ.46]

. . . .

მეწინააღმდეგეთა აზრი:

1. მაგოდენა ფულის შემოსევა ჩვენში წვრილვაჭარს აღარ გააჭაჭანებს ღვინის ვაჭრობის მოედანზეო. . .;

2. ახალი ბაზრის გაჩენით ღვინო ჩვენ დაგვაკლდება სახმარადო. . .;

3. ღვინის ფასების ძლიერ დაწევა მაგ ამხანაგობის ხელში იქნება და შესაძლოა იქამდის მიაღწიოს, რომ ვენახის გაშენება, მოვლა და შემუშავება საზარალოდ გაუხდეს დღევანდელს პატრონს. მაშინ ან უნდა გადახნას, ან ჩალის ფასად დაუთმოს ბ-ნ მეისნერის ამხანაგობას;

4. ღვინის გადაკეთებას იაფი მუშა-ხელი სჭირდება. . .[1, გვ.47]

ამის შემდეგ, ილია სათითაოდ, პუნქტობრივად განიხილავს ორი დაპირისპირებული მხარის მიერ მოტანილ თითოეულ არგუმენტებს.

საზოგადოებისათვის გასაგები რომ ყოფილიყო, ილია ერთგვარ განმარტებას აკეთებს, როგორც ტერმინებისა, ისე ისეთი საკითხებისა, რომელსაც ილია „საპოლიტიკო ეკონომიას“ უწოდებს. ილია განმარტავს მოთხოვნა-მიწოდების ბუნებას, ფულის როლს საქონლის გაცვლაში, ანუ ფულის გაცვლით ფუნქციას, ბევრი ფულის შემოსვლა როგორ იწვევს ინფლაციას, როგორ იწვევს საქონლის დეფიციტი მის გაძვირებას და ა. შ.

შემდეგ ილია აკეთება დასკვნას, თუ რას გვპირდება ბატონი მეისნერი და აღნიშნული პროექტის მიმართ სვამს კითხვებს:

„ამდენი ფული რომ მოაქვს, რასა გვპირდება? რა გზას და მოედანს უნიშნავს მაგ ფულს?

ამის პასუხად გვეუბნება ბ-ნი მეისნერი, -

- ვიყიდი ღვინოს, რომ ისევ გავყიდო, ესე იგი, ვაჭრობას გავმართამო;

- მეორე - თქვენს ღვინოს სხვას ახალს ბაზარს გავუჩენო, ესე იგი, თქვენს თღვინოს თქვენის ქვეყნიდან სახვაგან გავიტანო; და მესამე - ღვინის კეთების საქმეს შევუდგებიო.“[1, გვ.56-57]

ილია მეისნერის თითოეულ პროექტს ცალ-ცალკე განიხილავს და საბოლოოდ, დაპირისპირებულ მხარეთა არგუმენტების დეტალურად განხილვის შემდეგ, ილია ასკვნის, რომ ბატონ მეისნერის პროექტი სასარგებლო ვერ იქნება ქვეყნისათვის, მოსახლეობისათვის. შედეგად, ინვესტორის შემოსვლას ხელს აღარ უწყობს სახელმწიფო და მას უარს ეუბნებიან.

ილია სწორედ ამის მომხრეა, მოსწონს საზოგადოების ასეთივე დამოკიდებულება და თავის წერილს ასეთი დასკვნით ასრულებს:

„ამ სახით, რა მხრითაც უნდა მივუდგეთ ბ-ნ მეისნერის პროექტს, რომელი აღთქმა და დაპირებაც არ გავსინჯოთ, ვნახავთ, რომ მასში ჩვენი სახეირო არა არის რა და სავნებელი კია. ასეც იცნო კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ ბოლოს და უარჰყო იგი პროექტი.“[1, გვ.79]

რა თქმა უნდა, ასეთი მიდგომა უცხოური ინვესტიციების აკრძალვას და მასზე უარის თქმას არ ნიშნავს. აქ საუბარია იმაზე, რომ როგორც ილიამ მოგვცა მაგალითი, ასე დეტალურად უნდა განვიხილოთ თითოეული წინადადება უცხოელი ინვესტორების მხრიდან, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ინვესტორი ქვეყანაში უნდა შემოვიდეს, როგორც პარტნიორი და არა ისე, როგორც ჩვენთან ხდება უმეტეს შემთხვევაში - 90%-ზე მეტი მიაქვს ინვესტორს, ადგილზე კი რჩება იაფი მუშა-ხელის ანაზღაურება და ხშირად მრავალწლიანი შეღავათიანი დაბეგვრის წყალობით, სიმბოლური გადასახადები. ხშირია შემთხვევა, როცა იაფი მუშა-ხელიც თვითონ ჩამოჰყავს ინვესტორს.

ინვესტიციების შემოსვლა ქვეყანაში სასურველია, თუ ის ქვეყნის კეთილდღეობას ემსახურება, მაგრამ ნებისმიერი კაპიტალი ავტომატურად ვერ ჩაითვლება პოზიტიურ ინვესტიციად, თუ არ შეფასდა მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. აი, რას ამბობს ილია უცხოურ კაპიტალზე. ის ყურადღებას ამახვილებს ინვესიციის ხასიათზე, მის ბუნებაზე: „კაპიტალი, როცა ნამუსიანია, კარგია, მაგრამ უნამუსო კაპიტალი - ჩარჩული ფული ბუნებითაც მხდალია, იმიტომ, რომ ქურდბაცაცაა - იქა მკის, სადაც არ უთესია. . .“[2, გვ.24]

სწორედ უცხოური კაპიტალის როლზე საუბრისას ამბობს ილია ჭავჭავაძე -„უფულო ერი ფულიანთა საძოვარი, მისი საცხოვრისი ხდება“. და იქვე აგრძელებს, „ქურდბაცაცა ბურჟუაზია და კაპიტალიზმის გაუმაძღარი სტომაქი ქართველებს სახსენებელს გაგვიწყვეტს, თუ ჩვენი მხრიდანაც ჩვენი ცხოვრების უწერელი კანონები არ

მოვიმარჯვეთ. . .“ [2, გვ.24]

უცხოური ინვესტიციებისთვის უპირობოდ კარის გაღება, მითუმეტეს მასიურად, კარგს არაფერს მოგვიტანს. ბიზნესმენის მთავრი მიზანი მოგების მიღებაა და არა ქველმოქმედება, ამიტომ ჩვენ ის შუალედური ურთიერთობა უნდა ავაწყოთ ინვესტორებთან, რომელიც მისთვისაც იქნება სასარგებლო და საინტერესო, მაგრამ პირველ რიგში ჩვენთვის. თუ ეს არ გავითავისეთ, უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდებმა, ჩვენმა მომავალმა თაობებმა, დიდი სირთულეების პირისპირ აღმოვჩნდებით. ილია სწორედ ამის შესახებ გვაფრთხილებდა და აღნიშნავდა: ,,ხმლით მოსულმა ვერა დაგვაკლო რა – შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს. . .ქართველებს სახსენებელს გაგვიწყვეტს. . .“ [2, გვ.24]

ილია ჭავჭავაძე გვირჩევდა, რომ მოვძებნოთ ე. წ. „ოქროს შუალედი“ ინვესტორებთან ურთიერთობისას. საჭიროა ლიბერალიზმსა და პროტექციონიზმს შორის ისეთი თანაფარდობის დაცვა, რომ კონკურენტული გარემოს უპირობო დავიცვის საფუძველზე ბიზნეს სუბიექტებს შორის ჯანსაღი კავშირები ჩამოყალიბდეს. პროტექციონისტული პოლიტიკა ლიბერალიზმის გაძლიერებას უნდა ემსახურებოდეს.

ხელისუფლების წარმომადგენლები კი არ უნდა ეძებდნენ ინვესტორებს, არამედ მეცნიერულ დასკვნებზე დამყარებულ თამაშის წესებს უნდა ადგენდნენ და აკონტროლებდნენ მის შესრულებას. უშუალოდ სახელმწიფო, ბიზნესსაქმიანობას არ უნდა ეწეოდეს და მეწარმე სუბიექტების საქმიანობაში უშუალოდ არ უნდა ერეოდეს. კერძო ბიზნესი თავისუფალი უნდა იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ.VII, თბ., 2005 წ.
2. ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ.7, თბ.,1956 წ.
3. კვარაცხელია მ. ილია ჭავჭავაძე და ეროვნული ეკონომიკა, 2001 წ.

ილია ჭავჭავაძე საქართველოს ეკონომიკის საერთაშორისო სპეციალიზაციის შესახებ

ზურაბ მჭედლიშვილი
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი

ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებები თანხვედრაშია კლასიკურ ეკონომიკურ დოქტრინასთან, რომელიც გულისხმობს თავისუფალ, ღია საბაზრო ეკონომიკას, თავისუფალ ვაჭრობას, კონკურენციასა და კერძო საკუთრებას. კლასიკური დოქტრინის მიხედვით კაპიტალი თავდაპირველად სოფლის მეურნეობაში იქმნება, შემდგომ იგი გადადის მრეწველობაში მიწათმოქმედების დაბალრენტაბელობის გამო, ხოლო საბოლოოდ კაპიტალი გადის საზღვარგარეთ.

ილიას აზრით, ეკონომიკური სპეციალიზაციის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ეროვნული თავისებურებები, ისტორიული გამოცდილებაა. საქართველოსთვის კი, ისტორიული გამოცდილებიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე, ეკონომიკურ სპეციალიზაციას სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით კი მევენახეობა-მეღვინეობაში ხედავდა.

საქართველომ მოიპოვა სანუკვარი თავისუფლება, თუმცა აქვს მრავალი პრობლემა, რომელთა უმეტესობა ეკონომიკურია, ან ეკონომიკური საფუძველი გააჩნია. მიმდინარეობს რეფორმები სხვადასხვა სფეროში, სწორედ ამიტომ მიგვაჩნია ილიას შემოქმედების განხილვა ძალზე მნიშვნელოვნად, რადგანაც იგი ერის, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე აფასებდა მოვლენებს. მისთვის უმთავრესი ეროვნული ინტერესების დაცვა და საზოგადოებრივი კათილდღეობის მიღწევა იყო.

საკვანძო სიტყვები: სპეციალიზაცია, შეფარდებითი უპირატესობა, ფიზიოკრატიზმი, უცხოური ინვესტიციები

Ilia Chavchavadze about the international specialization of Georgian economy

Zurab Mtchedlishvili

Ilia Chavchavadze's economic views are consistent with the classical economic doctrine, which means free, open market economy; free trade; competition and private property. According to classical economic doctrine, at first, equity is created in agriculture, then it's moved in industry and at last goes abroad.

According to Ilia, one of the most important factors in determining economic specialization is the national peculiarities, historical experience.For Georgia, due to historical experience and peculiarities, economic specialization was seen in agriculture, especially viticulture and winemaking.

Georgia has gained freedom, but has many problems, most of which are economical, or have economical basis. Reforms are underway in different spheres, so we consider the discussion of Ilia's work is very important because protection the interests of the nation and society was his primary aim.

შესავლის მაგიერ

80 წელი სრულდება ერთ-ერთი უდიდესი ქართველის, პოეტის, მწერლის, პუბლიცისტის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, ქართული მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან, ხოლო 110 წელი მისი ტრაგიკული გარდაცვალებიდან.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ძალზე დიდია. ის ფართო დიაპაზონის მკვლევარი იყო. მისი ინტერესები მრავალ დარგს მოიცავდა: ფილოსოფიას, სოციოლოგიას, ისტორიას, ენათმეცნიერებას, ეთიკას, ხელოვნებათმცოდნეობას, იურისპრუდენციას, ეკონომიკას, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დარგებს და სხვა. პრაქტიკულად არ ყოფილა საკითხი, არა მხოლოდ საქართველოში ან რუსეთის

იმპერიაში, არამედ იმდროინდელ ევროპაშიც, რომელსაც ილია არ შეხებია და არ განუხილავს. იგი თავის შემოქმედებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ყურადღებას უთმობდა ეკონომიკასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. სწორედ ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებების მცირე ნაწილის, კერძოდ საქართველოს ეკონომიკის საერთაშორისო სპეციალიზაციის საკითხის წარმოდგენის, განხილვისა და გაანალიზების მცდელობას წარმოადგენს ეს ნაშრომი.

ილია ჭავჭავაძე საქართველოს ეკონომიკის
საერთაშორისო სპეციალიზაციის შესახებ

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება დაკავშირებულია ქვეყნების განსხვავებულობასთან. ქვეყნები მრავალი ნიშნით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამ განსხვავებების საფუძველზე მათ აქვთ შესაძლებლობა, რომ მიიღონ სარგებელი. ამისთვის საჭიროა თითოეულმა მათგანმა აწარმოოს ის პროდუქცია (საქონელი და მომსახურება), რომლის წარმოებაც ყველაზე უკეთ და უმცირესი დანახარჯებით შეუძლია სხვა ქვეყნებთან შედარებით, და რაც მთავარია აქტიურად ჩაერთონ საერთაშორისო ვაჭრობაში. ყველაზე ფართოდ გავრცელებულია კლასიკური დოქტრინა შეფარდებითი უპირატესობის (დეივიდ რიკარდო) კონცეფციის შესახებ.

ილია ჭავჭავაძე იცნობდა და კარგად ერკვეოდა სხვადასხვა ეკონომიკურ დოქტრინებსა და შეხედულებებს. ის ბევრ რამეში ეთანხმებოდა კლასიკოსებს, მათ შორის გარკვეულწილად სპეციალიზაციის საკითხშიც. „ჩვენს მიწათმოქმედებას ის ნაყოფი გამოვაღებინოთ, რაც რუსეთში არ მოდის ბუნებრივ გარემოებათა გამო და იქიდამ ის ვეზიდოთ, რაც იქ ბევრი მოდის და უფრო იეფიც არის. ის აუარებელი შრომა და ხარჯი, რაც, მაგალითად, მარტო პურის მოყვანაზე მოდის ჩვენში და ასე ძვირად გვიჯდება, სხვა უფრო ძვირფასს საგანს რომ მოვახმაროთ რუსეთში გასატანად და იქიდამ პური ვეზიდოთ, მითამ წაგებაში ვიქნებით და არა დიდ მოგებაში?“(7; ტ.7, 41). საერთაშორისო ვაჭრობა ორმაგად სასარგებლოა. ჯერ ერთი ადგილობრივ პროდუქციაზე, რომლის წარმოებაზეც გვაქვს შეფარდებითი უპირატესობა და გაგვაქვს ექსპორტზე, მსოფლიო ფასი აღემატება ადგილობრივს (მაგრამ ნაკლებია უცხოეთში აღნიშნული პროდუქციის დანახარჯებზე), ხოლო მეორე მხრივ უცხოურ პროდუქციაზე, რომლის იპორტირებაც ხდება, მსოფლიო ფასი უფრო ნაკლებია, ვიდრე მის დასამზადებლად საჭირო ხარჯები ადგილობრივ ქვეყანაში. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული ქვეყანა იგებს როგორც გამყიდველიც და როგორც მყიდველიც.

ილია გარკვეული სიფრთხილით ეკიდებოდა შრომის საერთაშორისო დანაწილების, ანუ ეკონომიკური სპეციალიზაციის საკითხს. მას მიაჩნდა, რომ ასეთ შემთხვევაში ქვეყანა უცხოელ (ხშირ შემთხვევაში მონოპოლისტ) მომწოდებლებზე ხდება დამოკიდებული „და როცა ის შორი ბაზარი რომელისამე გარემოებით ჩვენთვის დაიკეტება, მშივრები ამოვწყდებით“(8; ტ.5, 324).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძე იცნობდა კლასიკოსთა მოძღვრებას, ბევრ რამეში ეთანხმებოდა და იზიარებდა მათ შეხედულებებს, მათ შორის სპეციალიზაციისა და მის შედეგად მიღებული სარგებლიანობის საკითხშიც. თუმცა ილიამ ქვეყნის ეკონომიკური სპეციალიზაციის განმსაზღვრელ ფაქტორად, შეფარდებითი უპირატესობის კონცეფციასთან ერთად, ეროვნული შტრიხებიც დაასახელა. 1881 წლის ნოემბრის „შინაურ მიმოხილვა“-ში ილია ქვეყნის არსებობის ერთ-ერთ უმთავრეს გარანტად მიწათმოქმედებას ასახელებს. „ეს ერთი მუჭა ხალხი რამ შეგვინახა? ხმალმა და გუთანმა. ჩვენ რომ დღეს ბინა გვაქვს, ადგილზედ რომ ფეხ-მოკიდებულები ვართ, სხვებსავით არ დავიქსაქსენით, არ გადავცვივდით აქეთ-იქით, ჩვენ რომ ამდენს დაუძინებელს მტერს გავუძელით, გავუძეღით და გადავრჩით, ჩვენი ერი რომ დედამიწას შერჩა და დედამიწა ერსა, - ეგ იმიტომ - რომ ერთს ხელში ხმალი გვეჭირა და მეორეში გუთანი დასაბამიდგანვე დღემდე“(8; ტ.5, 221).

ილია ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისა და გამდიდრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ სოფლის მეურნეობას თვლიდა, განსაკუთრებით კი საქართველოსთვის. „სოფლის მეურნეობას, ადგილ-მამულის პატრონობის წარმოებას, დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სიმდიდრისათვის ყველგან და ჩვენში უფრო განსაკუთრებით, იმიტომ რომ ჩვენში სხვა თვალსაჩინო ეკონომიური წარმოება არა არის რა, თვინიერ სოფლის მეურნეობის წარმოებისა. თავი და ბოლო ხალხის ცხოვრებისა, საზრდოებისა, სიმდიდრისა, მაგაზედ არის დამყარებული. ჩვენ ვიმეორებთ, რომ ეს ყველგან ესეა და ნამეტნავად ჩვენში მეთქი“(7; ტ.7, 257-258).

ჩვენ ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ილია საქართველოს ეკონომიკური სპეციალიზაციისას ეროვნულ ნიშნებსაც ითვალისწინებდა. იგი ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეევნახეობას. ეს კი გამოწვეული იყო იმით, რომ ვაზი

ᲐᲮᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲘᲚᲘᲐ

ქართველებისთვის ეროვნულ სიმბოლოდ აღიქმება, როგორც ისტორიულად, ასევე რელიგიურადაც (წმინდა ნინოს, საქართველოში ქრისტიანობის გამავრცელებელს, სწორედ ვაზისგან დამზადებული ჯვარი ჰქონდა).

„მას (ილია ჭავჭავაძეს) ღრმად სწამდა, რომ ეს (მევენახეობა-მეღვინეობა) იყო ეროვნულობის, ქართველობის დაცვისა და შენარჩუნების მძლავრი სტიმული. ამიტომ უდგებოდა ილია ჭავჭავაძე მაღალი პოზიციებიდან მიწასა და გუთანს, როგორც ერის მატერიალური და სულიერი სიმდიდრის, ანუ მისივე ისტორიის მძლავრ შემოქმედ ფაქტორებს“(6; 35).

ილიას საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და გაძლიერების საფუძვლად სოფლის მეურნეობა მიაჩნდა, თუმცა იგი არ იყო ფიზიოკრატი. ის არ უარყოფდა სხვა სახის წარმოებას, პირიქით, მნიშვნელოვნად მიაჩნდა საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარება, რაც ცოდნას, გამოცდილებასა და რაც მთავარია კაპიტალს მოითხოვს. ილიას მრეწველობის განვითარების უმთავრეს წინაპირობად სატექნიკო და სახელოსნო სასწავლებლები მიაჩნია. 1898 წლის წერილში „სატექნიკო და სახელოსნო სასწავლებელთა შესახებ“, ილია განიხილავს იმდროინდელი გერმანიის ეკონომიკურ წინსვლას, საუბრობს მის მიზეზებსა და შედეგებზე. მანამდე ძალზე სუსტმა გერმანიამ 20-30 წელიწადში მრეწველობა ძალზე სწრაფად განავითარა, რამაც რა თქმა უნდა ქვეყნის კეთილდღეობაც გააუმჯობესა. იმდენად გაძლიერდა გერმანია, „მსოფლიო ბაზარში იმოდენა ადგილი დაიჭირა, რომ ინგლისსაც კი საფიქრებლად გაუხდა. ინგლისსაც, რომელსაც მსოფლიო ბაზარი თითქმის ხელთ ეპყრა უცილობლად. რამ მოახდინა ეს სასწაული? სასპეციალო და სატექნიკო სწავლა-ცოდნის მოფენამ და წარმატებამ“(7; ტ.4, 389). აღნიშნული აზრის დასადასტურებლად ილიას მოჰყავს სტატისტიკური მასალა. სხვადასხვა პროფესიების სასწავლებლების რაოდენობები მათი ადგილმდებარეობის მიხედვით, მათზე გაწეული დანახარჯები და სხვ.

ილიას მიაჩნდა, რომ საქართველოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სოფლის მეურნეობა ძალზე ჩამორჩენილი იყო, რაც თავისთავად უარყოფითად მოქმედებდა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საჭირო იყო მისი განვითარება-გაძლიერება. ილიამ გამოყო მიწათმოქმედების წარმატების შემდეგი ნიშნები:

1) დანახარჯების უცვლელობისას წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ზრდა;

2) წარმოებული პროდუქციის უცვლელობის პირობებში ხარჯების შემცირება;

3) საუკეთესო ვარიანტი, რომელიც ზემოთ მოყვანილი ვარიანტების გაერთიანებით მიიღება და რომელსაც ილია სრულ მიწათმოქმედებას უწოდებდა. ხარჯების შემცირების პარალელურად წარმოების ზრდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობაზე მითითებისა და მისი განვითარების აუცილებლობაზე საუბრისას, ილია მიუთითებდა ორ ნაკლზე: ცოდნისა და ქონების ნაკლებობაზე. ილიას სრულიად სამართლიანად მიაჩნდა, რომ სწავლასა და ცოდნას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია ქვეყნისთვის. „სწავლა, ცოდნა, მეცნიერება - ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვეღარაფერი ვერ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე. ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალია მოგერიებისათვის“(8; ტ.5, 115). სწორედ ამიტომ შექმნა თავის თანამოაზრეებთან ერთად „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ 1879 წელს. პირველი 6 წელი ის იყო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 1885 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე - საზოგადოების თავმჯდომარე.

ქვეყნის გაჭირვებასა და უსუსურობას ილია უცოდინრობასა და უსწავლელობას უკავშირებს. „ჩვენი უცოდინარობა სხვისა ცოდნად ქცეულა და ამაების წყალობით ჩვენი ქვეყანა დღეს წარმოადგენს თაფლს, რომელსაც ბუზი ბაღდადიდან მოჰყავს“(7; ტ.4, 390). სწორედ ამიტომ „სახელოსნო და სასპეციალო-სატექნიკო სკოლები აუცილებელი საჭიროებაა და ცხოველმყოფელი სახსარია ჩვენის წარსულის საქმის ხელ-ახლად გამობრუნებისათვის და ჩვენის ღონე-მილეულ ქვეყნის გაღონიერებისათვის“(7; ტ.4, 390).

ილიას სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესად მიაჩნდა სამეურნეო სკოლების არსებობა. ილიას აზრით ეს არის გამოსავალი, რათა „აქაურმა ერთად-ერთმა მრეწველობამ (მიწათმოქმედებამ), ერთად-ერთმა ერის სარჩო-საბადებლის წყარომ გზა გაიხსნას, ავალა იქონიოს და, რამოდენადაც შესაძლოა უფრო უხვად იდინოს ერის წარმატებისა და კეთილდღეობისათვის“(7; ტ.4, 342). ამ სკოლებში უნდა ესწავლებინათ მიწის უფრო ეფექტიანად დამუშავება.

ილიას ცხოვრებასა და შემოქმედებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მის საბანკო მოღვაწეობას. ილია იყო თბილისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოს სოფლის

მეურნეობის ჩამორჩენილობის მიზეზებად ილია ცოდნისა და ქონების ნაკლებობას ასახელებდა. უცოდინრობის აღმოფხვრის საშუალებად მას სამეურნეო სკოლები და სასპეციალო-ტექნიკური სასწავლებლები, ხოლო მიწის დასამუშავებლად საჭირო ფულადი რესურსების ნაკლებობის დასაძლევად ბანკები და კრედიტები მიაჩნდა. „კრედიტი, ეკონომიურის თვალით გასინჯული, ერთი იმისთანა გამოსადეგი ღონეთაგანია, რომლის შემწეობითაც გროვდება გაფანტული და უქმი კაპიტალი საზოგადოებისა და ერთის ხელიდამ მეორეში გადადის წარმოების გასაძლიერებლად“(8; ტ.5, 340), რაც სასარგებლოა, როგორც კრედიტის გამცემისა და მიმღებისათვის, ასევე მთლიანად საზოგადოებისათვის, რადგანაც მისი საშუალებით „ქვეყნის ნივთიერი კეთილდღეობა და სიმდიდრე მატულობს“(7; ტ.7, 328). კრედიტების სახეობებს შორის (იმის მიხედვით, თუ რა სახის წარმოების ხელშესაწყობად გამოიყენება), ილია განსაკუთრებულ ყურადღებას სამიწათმოქმედო კრედიტს უთმობდა (გამოდინარე იქიდან, რომ იგი სოფლის მეურნეობას პირველ ადგილზე აყენებდა). ილიამ ღრმააზროვანი მსჯელობით ჩამოაყალიბა სამოწათმოქმედო კრედიტის 3 უმთავრესი თვისება: „1) ხანგრძლივი იყოს, 2) ცოტ-ცოტაობით და თანდათან გადასახადი და 3) მიწით დაიმედებული“(7; ტ.7, 330).

ბანკების მთავარ მიზნად, ილიას მიაჩნდა უცხოურ კაპიტალთან დაპირისპირება. აი რას წერს ამის შესახებ ილია 1882 წლის ნოემბრის „შინაურ მიმოხილვა“-ში: „ჯერ ახლაც ფული აქაურ ვაჭრების ხელში გვმუსრავს და გვჩაგრავს, ჯერ ეხლაცა სჩანს შემმუსვრელი ძლიერება ფულისა ჩვენზედ. ჯერ ეხლაც ერი იმ ყოფაშია, რომ ვერცა ჰბედავს, ვერც მოუხერხებია და ვერც ღონე რამ მოუგონია წინააღუდგეს თავის მწოვნელს მედუქნესა. ჯერ ეხლაცა ვხედავთ, რომ მეტი ნაწილი სოფლის მამულებისა მედუქნეების ხელში გადადის, ან როგორც ნასყიდობა, ან როგორც გირავნობა სარგებელში. მამულებს თითონ მედუქნეები არ ამოქმედებენ, არ აკეთებენ, რადგანაც ამისათვის მოცლა არა აქვთ. იმ მამულებში მუშად ან უწინდელი პატრონივე ჰყავთ, ან ამავე გზით მისი გაღატაკებული, გაძარცული მეზობელი. ეხლა რომ ესეა, რა იქნება მაშინ, როცა ასი და ათასი თუმანი კი არა, მილიონები ფრთას გაშლიან? იგივე, რაც ეხლაა. ხოლო განსხვავება იმაში იქნება, რომ ბრიყვ და გაუთლელ მედუქნის მაგიერ, ჩვენ მოგვესევიან განათლებულნი, ესე იგი, აღჭურვილნი ცოდნითა და ხერხითა, და თავის დახელოვნებულ მოქმედებით აჩქარებულის ნაბიჯით მიგვიყვანენ იქამდის, სადამდინაც ეხლა ტაატით მივყევართ. განსხვავება ის იქნება, რომ ბოლო უფრო ჩქარა მოგვეღება“(8; ტ.5, 302-303). ბოლო დროს ძალზე აქტუალურია საკითხი სწორედ უცხოური ინვესტიციების შესახებ. მას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. რთულია გადაჭრით ითქვას კარგია, თუ ცუდი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკისათვის. აღნიშნულ საკითხს ღრმა და კომპლექსური კვლევა-ანალიზი სჭირდება.

ილია ვაჭრებს მათ მიერ დიდი საბაზრო ძალაუფლების გამოყენების გამო აკრიტიკებდა. გლეხები, რომელთაც პროდუქცია მოჰყავდათ, იძულებულნი იყვნენ ძალზე იაფად მიეყიდათ თავიანთი საქონელი ვაჭრებისათვის, იმდენად დაბალ ფასად, რომ ხშირად ეს ფასი მხოლოდ ხარჯებს თუ ფარავდა. თუმცა მწარმოებლების მიერ, ეს დაბალ ფასად გაყიდული პროდუქცია საბოლოო მომხმარებლებს ძალზე ძვირად მიეწოდებოდათ. უარესდებოდა მთლიანად საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობა. მწარმოებლები, გლეხები უკვე აღარ იყვნენ დაინტერესებულნი ეკონომიკური საქმიანობით, რადგანაც მათ შრომას ჩალის ფასი ედო. ამ პრობლემიდან გამოსავალს ილია სხვადასხვა სახის სამეურნეო კავშირების შექმნაში ხედავდა. ილიამ გამოყო ორი სახის: მომხმარებელთა და მწარმოებელთა კავშირები. ამათგან უკანასკნელს ანიჭებდა ილია განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მწარმოებელთა კავშირში უნდა გაერთიანებულიყვნენ პროდუქციის მწარმოებლები და მათვე უნდა მიეწოდებინათ მათ მიერვე შექმნილი საქონელი საბოლოო მომხმარებლებისათვის. ილიას აზრით, ეს ჯერ ერთი მწარმოებლებს დაუტოვებდა მოგებას და არა ჩარჩებს, რის გამოც გაიზრდებოდა მათი მოტივაცია და უფრო მეტ პროდუქციას შექმნიდნენ. ამასთან, მწარმოებელთა გაერთიანება და ერთობლივი ძალებით მუშაობა შეამცირებდა საწარმოო დანახარჯებს და საქონელი ბაზარს უფრო მეტი რაოდენობით და უფრო იაფად მიეწოდებოდა. ილიას ამ მოსაზრებების გასამყარებლად მოჰყავს სტატისტიკური მასალაც გერმანული მწარმოებელთა კავშირებიდანაც.

მწარმოებელთა კავშირებსა და მათ მნიშვნელობაზე ილია „მეისნერის პროექტ“-შიც საუბრობდა. მას მიაჩნდა, რომ მწარმოებელთა კავშირებს დიდი ძალა ექნებოდა, ისინი შეძლებდნენ ადგილობრივი პროდუქციის გატანას საზღვარგარეთის ბაზრებზე, რაც თავისთავად სიმდიდრის მოდინებას ნიშნავდა. სამეურნეო კავშირების უპირველესსა და უმთავრეს მიზანს, ილია ქვეყნისა და საზოგადოების მდგომარეობის

(ეკონომიკური, სოციალური, სულიერი) გაუმჯობესებაში ხედავდა.

ილიას მნიშვნელოვნად მიაჩნდა სატრანსპორტო ქსელის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის. დამზადებულ პროდუქციას გასაღების ბაზარზე მოსახვედრად ესაჭიროება ტრანსპორტირება. გარდა ამისა საქართველოს უძველესი დროიდან გააჩნდა მნიშვნელოვანი როლი საქონლის ტრანსპორტირებისა აზიიდან ევროპაში და პირიქით. საქართველო იყო ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი რგოლი ძვ.წ. II საუკუნიდან, აქ გადიოდა ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი, ტრანსკონტინენტური სატრანზიტო მაგისტრალი „აბრეშუმის გზა“, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ევროპულსა და აზიურ ქვეყნებს შორის ეკონომიკური, კულტურული, სოციალური კავშირების დამყარებაში. საქართველო კი იყო ამ „კავშირ-ურთიერთობების“ ცენტრი, ევრაზიის გზაგასაყარი.

XIX საუკუნეში სახმელეთო ტრანსპორტში უდიდესი მნიშვნელობა რკინიგზას ენიჭებოდა. ილიასაც ესმოდა მისი როლი და აქტიურად ცდილობდა მის დანერგვასა და განვითარებას საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიაში. რკინიგზას უნდა გაეტანა ღვინო და ხილი რუსეთში. საჭირო იყო კაპიტალდაბანდებები, რომელთა უმეტესობასაც უცხოელები ახორციელებდნენ, შესაბამისად მათ რჩებოდათ მოგება, რაც ილიას ადგილობრივი „ფულიანი ვაჭრების“ შეცდომად მიაჩნდა. ილია ასევე დიდ ყურადღებას უთმობდა ტრანსპორტირების ერთ-ერთი განსაკუთრებული სახის, მილსადენის მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკისათვის. ჯერ კიდევ ილიამ მიანიჭა უდიდესი მნიშვნელობა ბაქო-თბილისი მილსადენის მშენებლობას.

თანამედროვე მსოფლიოში სატრანსპორტო ქსელი ძალზე განვითარებული და დახვეწილია. საზღვაო და სახმელეთოსთან ერთად არსებობს საჰაერო ტრანსპორტი. მიუხედავად თანამედროვე განვითარებისა და ტექნოლოგიური პროგრესისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არაა სრულყოფილად განვითარებული საგზაო ინფრასტრუქტურა. ეს განსაკუთრებით რეგიონებში შეიმჩნევა, რაც ძალზე ცუდ გავლენას ახდენს საქართველოს სოფლის მეურნეობაზე და მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საჭიროა მისი განვითარება.

ილიას შემოქმედებას თუ დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ მთელი მისი მოღვაწეობა საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის განხილვის, არსებულის შეფასებისა და მომავლის გაუმჯობესების გზების ძიებასთანაა დაკავშირებული. ილიას შემოქმედება და შეხედულებები ეროვნული ინტერესების დაცვისკენ იყო მიმართული. დღესდღეისობით, როდესაც საქართველო, მართალია, დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მაგრამ აქვს ძალზე ბევრი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა, ვფიქრობთ მნიშვნელოვანია ილიას შემოქმედების განხილვა. ილიას მშვენივრად ესმოდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია ეკონომიკასთან, ამიტომაც „აქამომდე მივიწყებულს ეკონომიურს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის“(7; ტ.7, 9).

გამოყენებული ლიტერატურა:

1) ბაქრაძე ა. ილია ჭავჭავაძე, თბილისი: „ნაკადული“, 1984წ.

2) ვეშაპიძე შ. ilia WavWavaZis ekonomikuri Sexedulebebi Ria ekonomikis orientirebis Sesaxeb: “fritrederoba da proteqcionoba“, მეცნიერება და ცხოვრება #1 (13), 2016წ.

3) კლუმპი რ. ეკონომიკური პოლიტიკა: მიზნები, ინსტრუმენტები და ინსტიტუციები; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015წ.

4) კრუგმანი პ. საერთაშორისო ეკონომიკა: თეორია და პრაქტიკა; ფონდი “ღია საზოგადოება-საქართველო”, თბილისი, 2000წ.

5) სილაგაძე ა. ეკონომიკური დოქტრინები, თბილისი: „ინოვაცია“, 2010წ.

6) ღლონტი თ. ილია ჭავჭავაძე და სოფლის მეურნეობა, თბილისი: „საბჭ. საქართველო“, 1988წ.

7) ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული პ.ინგოროყვას რედაქტორობით(ტომი 1-10), თბილისი : „სახელგამი“, 1950-1961წწ.

8) ჭავჭავაძე ი. ექვსტომეული (ტ.5), თბილისი: „პალიტრა L“, 2012წ.

ილია და დღევანდელობა

მურმან კვარაცხელია
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

სტატიაში გადმოცემულია ილია ჭავჭავაძის შეხედულებები ისეთ მნიშვნელოვან პრობლემაზე როგორიცაა მიწის სტრატეგია, ამასთან სწორადაა მინიშნებული გლობალიზაციის ეპოქაში თუ როგორ უნდა შეინარჩუნონ მცირერიცხოვანმა ერებმა თვითმყოფადობა და ქვეყნის ეროვნული სულიერება. აქვე მინიშნებულია ის უარყოფითი შედეგები, რაც შეიძლება მოყვეს „უცხო ბაძის“ გაბატონებას ერის ცხოვრებაში. სტატიაში ხაზგასმულია ის, რომ წარსულის გააზრება და გაანალიზება, მისი „თვითრჯულობა“, თანამედროვე ცოდნის ჩარხზე ალესილი, მოგვცემს მომავლისაკენ გზის გაკვალვის უდიდეს პოტენციურ შესაძლებლობასა და ქვეყნის თითმყოფადობის შენარჩუნების უნარს.

Ilia and modernity

Murman Kvaratskhelia

The article discusses Ilia Chavchavadze's views of the most significant problem - land strategy. At the same time Ilia described the ways to maintain identity and national spirituality in the globalization epoch.

The article also discusses some negative results, which could be followed by "the failure of national traditions" and if we understand and analyze our past, "if we realize value of national traditions" and will be focused on education, that will give the greatest potential opportunity to create successful future and at the same time maintain the originality of our country.

ქართული აზროვნების ცის კაბადონზე ყველაზე ბრწყინავი ვარსკლავია ილია ჭავჭავაძე. ეს ერის მამა თავის დროზე გვმოძღვრავდა, რომ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის (რომელიც ხელისუფლების უპირველესი მოვალეობა და ვალდებულებაა!) განსაზღვრისას, პირველ რიგში, აუცილებელია გავითვალისწინოთ ეროვნული ცხოვრების ისტორიული თავისებურებები და მერე, მოცემული ეპოქის ხასიათი (სწორედ ამაშია ჩვენი დიდი რწმენისა და მომავლის განჭვრეტის ძალა!) და გამოცდილება.

დიდი ილია ეპოქებს უსწრებდა თავისი ნააზრევითა და წინასწარმეტყველებებით.

უნდა აღინიშნოს თუნდაც ის, თუ როგორ განსაზღვრავდა იგი საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას: „როგორც გინდა არ უნდა მოეძალოს ინდუსტრია საქართველოს, იგი მაინც მიწისა და გუთნის ქვეყნად უნდა დარჩეს“. ეს იმიტომ, რომ ქართველი ერის ხასიათი, ცხოვბრების წესი და ტრადიციები ოდითგანვე ორგანულად გადაენასკვა მიწას, მიწათმოქმედებას და სამიწათმოქმედო იარაღების განვითარებას. ეს ფენომენი დღეს ახლებურ გააზრებას მოითხოვს. სწორედ ამიტომ, როდესაც თანამედროვე ეპოქამ ასეთ მიჯნაზე დაგვაყენა, უაღრესად ღრმა დაფიქრება გვმართებს ისედაც „გამესამედებული მამულის“ (გ.ლეონიძე) მოვლა-პატრონობის საქმეში. ჭეშმარიტებაა, და მას ვერსად გავექცევით, მიწა როგორც წარმოების ფაქტორი, ყიდვა-გაყიდვის ობიექტი ხდება, მაგრამ, როგორ განვახორციელებთ ამ უნიკალური ეროვნული სიმდიდრის რეგულირების მექანიზმებს, ამაზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე, მისი მომავალი.

ილიასეული გაგებით, მიწას სჭირდება ინდუსტრიისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების გამოყენება მისი სრულყოფილად და ეფექტიანად გამოყენებისათვის. მაგრამ ბევრი რამ დასაფიქსირებელია დღეს მიწის ფენომენთან დამოკიდებულებაში. განა ნორმალურია, 21-ე

საუკუნის მაღალი ტექნოლოგიების ეპოქაში, ქვეყანაში, რომლის ტერიტორის თითქმის ორი მესამედი მთაგორიანია (მეტ-ნაკლებად), სამთო მექანიზაცია არსებობს, მაგრამ ნაკლებად ხელმისაწვდომია, სახნავ-სათესი, სამკალ-სათიბი თუ სამთო-სატრანსპორტო საშუალებათა წარმოება ფაქტობრივად არ არსებობს. თუმცა, ისიც ხომ უნდა ითქვას, რომ დღეს მიზანმიმართული გაუცხოება ხდება ქართველი გლეხისა(რომელსაც დროა ფერმერის სტატუსი დავუმკვიდროთ!) საკუთარი მიწის მიმართ და ეს კატასტროფული შედეგის მომტანია ქართული სოფლისთვის.

მე-20 საუკუნის ბოლომ და 21-ე საუკუნის დასაწყისმა დიდი ზეგავლენა მოახდინა ქართველი ერის ბუნებრივ-ისტორიულ განვითარებაზე, მის ,,გეორგიანულ" ხასიათსა და ტრადიციებზე. ურბანიზაციის შეუჩერებელმა პროცესმა ლამის მთელი ერი ერთ ქალაქში მოაქცია, მისი უდიდესი ნაწილი, თითქმის მილიონ - ნახევარი, აქტიური მოსახლეობა სხვა ქვეყნის ამორტიზირებული საზოგადოების სიცოცხლის გამახანგრძლივებელ დანამატად აქცია. ერთი სიტყვით, გლობალიზაციის შეუქცევადმა პროცესმა გააუკუღმართა მთელი ჩვენი საზოგადოებრივ - ეკონომიკური განვითარება და, რაც მთავარია, მათ შორის ეროვნული ცნობიერებაც, რომლის რეციდივებიც ყოველ ნაბიჯზე შეიგრძნობა. ყველაზე მიტოვებული დღეს მიწა და სოფელია. ეს უნიკალური და განუმეორებული საგანძური მხოლოდ და მხოლოდ სიტყვიერად ვაქციეთ საჯილდაო ქვად. ნათქვამია, წმინდა ადგილი ცარიელი არ რჩებაო, ჭეშმარიტების რანგში ავიყვანეთ. თუმცა, უკვე ყოველივე ამის გამო, სხვის მიერ მისი დაპატრონების სინდრომი აშკარად მძლავრობს. დღეს უკვე ატყდა განგაშის ზარები, მაგრამ საბოლოო ჭეშმარიტებამდე ჯერ კიდევ შორია. დღეს ჩვენი ე.წ. ოპონენტებს (რომლებიც აშკარად მიისწრაფვიან ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად!...) ცალსახად მხოლოდ ინვესტორების დაფრთხობის პრობლემა ესახებათ რაღაც მხსნელ პანაცეად. ორიენტაციის აღება იქითკენ, რომ მიწა თუ არ გავყიდეთ, წინსვლა და პროგრესი არ გვექნება, თითქოსდა ჩვენი ქვეყანა, მისი მიწა-წყალი თუ ჰავა-კლიმატი, მწარმოებელი თუ ინტელექტუალური ძალები საამისოდ უძლურნი და უნაყოფონი არიან. ეს თითიდან გამოწოვილი ,,შავი პიარი" აშკარად საფრთხეს უქმნის ქართულ სახელმწიფოებრიობას, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია!

ჩვენი სამომავლო კონცეფციის თავი და თავიც სწორედ ის უნდა გახდეს, რომ ფართო გზა მივცეთ ჩვენი ერისა და ქვეყნის დიდ შინაგან პოტენციალს, მისი მთისა და ბარის სხვადასხვა რეგიონის უაღრესად მდიდარ და მრავალფეროვან შესაძლებლობებს.

დღეს ქვეყანაში მიმდინარე პოლემიკა მიწის პრობლების ირგვლივ უამრავი მოსაზრებითაა გაჯერებული, მაგრამ საერთო მიზნამდე მისვლის კონტურები ჯერ გამოკვეთილი არ არის. მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია ქართულ ტოლერანტობაზე მორგებული დიდი ილიასეული ყოვლისმომცველი მეთოდოლოგიური პრინციპი -,,დაპირისპირებულთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად", ეს კი პრობლემის გადაწყვეტის თავისებური ორიენტირია. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გარემომცველი სინამდვილის სამივე განზომილებაში: სამყაროში, საზოგადოებასა და აზროვნებაში წარმოშობილი დაპირისპირებანი: მატერია და ანტიმატერია, სულიერი და ფიზიკური მიზიდულობა და განზიდულობა, ცენტრალიზმი და დეცენტრალიზმი, პოზიცია და ოპოზიცია, კაცობრიული (კოსმოპოლიტური) და ეროვნული (ნაციონალური), სიკვდილი და სიცხოცხლე, თეზისი და ანტითეზისი, პიროვნული და კოლექტიური და ა.შ. ანტიპოდურნი და ურთიერთგამომრიცხავნი კი არ არიან, როგორც ეს მიჩნეულია საერთოდ, არამედ ერთმანეთს ავსებენ და აპირობებენ. ეს არის დიდი ილიას ღრმა ანალიტიკური აზროვნების უზადო მიღწევა და წვდომა, მსოფლიოს ნებისმიერ დიდ მოაზროვნესა და შემოქმედს რომ დაამშვენებდა წარსულსა და მომავალშიც. ეს არის ის ფორმულა, რომელსაც გააზრება და სწორი აღქმა სჭირდება, რამეთუ სხვა უფრო ნათელი და ზუსტი ორიენტირი ჯერ-ჯერობით არ ჩანს.

დღევანდელ სინამდვილეში დიდი დაპირისპირებებია პოზიცია-ოპოზიციის ეგიდით. ნიშანდობლივი და დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ რატომღაც ყოველთვის ხელისუფლებაში მყოფნი პოზიციის მანტიას ირგებენ, ოპოზიციაში მყოფნი კი რადიკალურად განსხვავებული აზრის მატარებლებად გვევლინებიან. ამასთან, თუ შეიცვალა როლები, ისევ იმავე სიბრტყეზე აღმოჩნდება ორივე მხარე. ამ შემთხვევაში ხელისუფლებაში მყოფებს კოსმოპოლიტობასაც აბრალებენ. ასეთი სიტუაციები არახალია, ძველია და ეს მოდის სწორედ ისტორიის შორეული წიაღიდან. გასაკვირი ისაა, რომ არავინ ცდილობს გაიაზროს და გაანალიზოს ის, თუ რა შედეგი შეიძლება მოყვეს ყოველივე ამას. რატომღაც ქვეყანაში საასპარეზო მოედანი ყოველთვის უჭირავთ ისეთი კატეგორიის ადამიანებს, რომლებიც ხალხისა და საზოგადოების სახელით მანიპულირებენ და

სხვა უფრო კომპენტენტური და მეცნიერული მოსაზრებებით შეიარაღებულ პიროვნებებს ამ სივრცეში შეღწევის არანაირ შანსს არ უტოვებენ. სწორედ ამის გადაწყვეტის ფორმულა დაგვიტოვა დიდმა ილიამ, თუ „ ბედნიერი მორიგების“ ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიით მივუდგებით. ეს მეთოდი შემოქმედებითად დანერგა დიდმა ილიამ თავისსავე „საერთო ნიადაგის“ თეორიაში. სწორედ ილია ჭავჭავაძე იყო ის პირველი მოღვაწე და მოაზროვნე, რომელმაც პრაგმატულ პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სცადა „ჩატეხილი ხიდის“ საპირისპირო მხარეების „ბედნიერი მორიგება“.

ასეთი მწვავე პრობლემა ყოველდღიურობაში იჩენს თავს. არა აქვს მნიშვნელობა, ეს ეხება მიწისა თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებს. ცხადია, რომ „დაპირისპირებულთა ბედნიერი მორიგება“ ვერასოდეს ვერ შედგება, თუ თვითონ ორივე მხარეს ურთიერთდაახლოებისა და თანამშრომლობის სურვიული არ ექნება. საკუთარი პოზიციის ამოჩემება ქვეყნის სიყვარულსა და მომავალზე პასუხისმგებლობის იგნორირების აპრობირებული საშუალებაა. ამიტომ ქვეყანა და საზოგადოება დაუნდობელი უნდა იყოს იმათ მიმართ, ვინც ქვეყნის მომავალს, ეროვნულ მეობასა და ღირსებას უღალატებს, ვინც ავადმყოფურად აიკვიატებს ამ მეობისა და ღირსების საწინააღდეგო „უცხო რამ დოგმას“ (რაც, სამწუხაროდ, უფრო ბევრი გვაქვს, ვიდრე საკუთარი!) და მთელ თავის სიცოცხლეს ამ დოგმის „ჭეშმარიტად“ დამტკიცება-გასაღებას მიუძღვნის.

უკვე აშკარად იკვეთება „უცხო ბაძსა“ და უცხო დოგმებზე შეყვარებული გლობალიზაციის პირმშო ახალი თაობა. ქართველ ერს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ასეთი ალტერნატივა სოფლისა და აგრარული წარმოების სახით, საძებარი არა აქვს. დღეს ამ ორ ფენომენს შორის მთელი უფსკრული დევს. დღეს უკვე იავარქმნილია ჩვენი მთაცა და ბარიც, ქართული სოფელი და ქართული სული, ქალაქზე ბითუმად გადაცვლილი და ერთ დიდ დუქნად (მარკეტებად!) გარდაქმნილი, სხვის მოიმედედ მყოფი (ექსპორტ-იმპორტის სალდო!) ნელ-ნელა სულს რომ ღაფავს. აკი როდის გვაფრთხილებდა დიდი წინასწარმეტყველი ილია ჭავჭავაძე: „... ხმლით მოსეულმა მტერმა ვერა დაგვაკლო-რა,... გავუძელით, გადავრჩით, ვერ წაგვართვა ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი... შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული-კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, ხალხს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან“. აი, რატომ არის ილია ჭავჭავაძე დღეს ჩვენს გვერდით, ჩვენთან ერთად იზიარებს იმ ტკივილსა და გაუსაძლისობას, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვგრძნობთ.

ამ მკაცრი გაფრთხილებით და, ერთდროულად, კარს მომდგარი რეალური საფრთხისაგან თავდახსნის გზები და საშუალებანი, ილიამ ზუსტად 120 წლის წინ იწინასწარმეტყველა და მიგვანიშნა, რომ დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ ქვეყნის გადასარჩენად. რაოდენ პარადოქსულია დღესაც ისევ ის კითხვა-დილემა დგას ჩვენ წინაშე. აქედან იკვეთება, რომ საქართველოსა და ქართველ ერს კეთილი მომავალი მხოლოდ მაშინ ექნება, როცა იგი ამ მომავალს „თავისსავე წარსულიდან აღმოშობავს“. ეს არამც და არამც არ ნიშნავს, უკან დაბრუნებას. პირიქით, წარსულის გააზრება და გაანალიზება, მისი „თვითრჯულობა“, თანამედროვე ცოდნის ჩარხზე ალესილი, მოგვცემს მომავლისაკენ გზის გაკვალვის უდიდეს პოტენციურ შესაძლებლობასა და ქვეყნის თითმყოფადობის შენარჩუნების უნარს.

როგორც ჩანს, აქეთკენ მიდის ყველა გზა - გლობალისტების თუ ანტიგლობალისტებისა, კოსმოპოლიტებისა თუ ნაციონალისტებისა, ეს სანუკვარი „ბედნიერი მორიგება“ აუცილებლად უნდა შედგეს. უბრალოდ, სხვა გამოსავალი არ არსებობს. ესაა საზოგადოებისა და მისი რჩეული გონის მიერ ნააზრევი ქვეყნის მომავლის გზის გამკვალავი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ილია ჭავჭავაძე, თხზ. თბილისი, 1989წ.
2. მურმან კვარაცხელია, ილია ჭავჭავაძე საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებათა შესახებ. თბილისი, 1998წ.
3. მურმან კვარაცხელია, ილია ჭავჭავაძე და ეროვნული ეკონომიკა. თბილისი, 2001წ.
4. მურმან კვარაცხელია, ილია ჭავჭავაძე და კაპიტალიზმის პრობლემები საქართველოში. თბილისი, 2012წ.

გერმანული კვალი - ილია და არტურ ლაისტი
German footprint - Ilia and Arthur Leist

ნიკოლოზ დორეული,
ისტორიკოსი, ილია ჭავჭავაძის საგურამოს
სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელი

Nikoloz Doreuli

დიდმა საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძემ საგურამოს სახლი 1892-1895 წლებში ააშენა. ერის წინამძღოლმა კარგად იცოდა, რომ სამშობლოსათვის „ქართული სულის სამჭედლოს“ აშენებდა. საგურამოს სახლის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება სტუმრების მიღებაც გახლდათ. აქ თავს ქართველი და უცხოელი ინტელექტუალები იყრიდნენ. სასადილო ოთახში დღესაც წარმოდგენილია ილიასეული ჭურჭლის კარადა, რომელშიც ინახება ილიასა და ოლღას ჭურჭლის ის მცირე ნაწილი რომელიც გადარჩა და ჩვენამდე მოაღწია. აგრეთვე გასაშლელი მაგიდა, რომელიც 24 კაცზეა გათვლილი. სტუმრების მისაღებ ოთახს კი იოჰანსონის ფირმის როიალი და ფრანგი მხატვრების მიერ შესრულებული ნახატები ამშვენებს, სახლის აივნიდან კი თვალწარმტაცი პანორამა იშლება.

ამ სახლს გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი და მისივე თანამემამულე, ორიენტალისტი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი კარლ-ლემან-ჰაუბტიც სტუმრობდნენ. გერმანელი მწერალი 1884 წლის პირველ ივლისს თბილისში სტუმრად ჩამოვიდა, ის თანამოძმეთა ბედით იყო დაინტერესებული, რომლებიც საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისში გადმოსახლდნენ და გერმანული სოფლები მარიენფელდი, ალექსანდერსდორფი, პეტერსდორფი, კატარინენფელდი, ჰელენდორფი დააარსეს.

არტურ ლაისტმა 1906 წელს გერმანულენოვანი გაზეთი „კაუკაზიშე პოსტი“ დააარსა და 1909 წლის 21 ივლისამდე ხელმძღვანელობდა. „კაუკაზიშე პოსტის“ პირველი ნომრის ბოლო, მეთვრამეტე გვერდზე ასე წერია: პასუხისმგებელი რედაქტორი: არტურ ლაისტი (Arthur Leist). გამომცემელი: კურტ ფონ კუჩენბახი (Kut Von kutschenbach). ილია ჭავჭავაძემ გერმანელი სტუმარი თავის სახლში მიიწვია ქართველ საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, საგანგებო სადილი გაუმართა. ილიამ სიტყვით მიმართა სტუმრებს:“დღეს ჩვენს შორის ბრძანდება უცხო კაცი და სტუმარი: უცხო და სტუმარი მარტო იმითი, რომ სხვიდან მოსულა, ხოლო სულითა და გულით ჩვენი მახლობელია, ჩვენი თავისიანია, ამიტომაც ორნაირად სასიხარულოა მისი ჩვენს შორის ყოფნა. მაგრამ ჩვენ სხვა სიამოვნებაც უნდა მიგვიძღოდეს ამ შემთხვევაში: ბატონი არტურ ლაისტი ის კაცია, რომელმაც ჩვენდა სასიხარულოთ კისრად იდო შუა კაცობა გაგვიწიოს ჩვენსა და ევროპას შორის, რომელმაც იტვირთა ჩვენს გულსი ამონაწები სიტყვა, ჩვენის ჭკუისა და გონების საუნჯე, ჩვენი სულიერი ძალღონე აცნობოს იმ ხალხს, რომელიც ქვეყნის წარმატების გზაზედ მეთაურნი და მესვეურნი არიან. პირუთვნელი სიტყვა ბატონი ლაისტისა მოჰფენს ნათელს განათლებულს ქვეყანას იმ ამბავს, რომ შორს სადმე არის ერთი პატარა სამოთხე, რომელსაც საქართველო ჰქვიან და იმ პატარა სამოთხეში სცხოვრობს ერთი პატარა ერი, რომელსაც უცემს დიდი გული კაცობრიობის წარამატებისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის. ღმერთმა აცოცხლოს ბატონი ლაისტი.“[1]

ილიას მიზანი უცხოელი მეგობრის დახმარებით განხორციელდა. გერმანულენოვანი საზოგადოებისათვის ქართული მწერლობა ხელმისაწვდომი გახდა. არტურ ლაისტმა გერმანულად შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ ვეფხისტყაოსანი“ და ილიას ლექსები თარგმნა.

1. გაზეთი „დროება“, 1884 წელი, № 118, საგანგებო წერილი „ჩვენი სტუმარი არტურ ლაისტი თბილისში“.

მან, აგრეთვე გერმანულ ენაზე ქართული პოეზიის ანთოლოგია შეადგინა, რომელიც სათაურით „ქართველი პოეტები“ 1887 წელს ლაიპციგში დაიბეჭდა.

გერმანელმა მწერალმა ქართული ენა შეისწავლა. ის იხსენებს საგურამოს ძველი სახლის აივანზე, ილიას ლექსებს, მისივე დახმარებით როგორ თარგმნიდა. „ნეტარხსენებული არიან ეს დღენი!.. ილია სადეკლამაციო ტონით ლექსებს მიკითხავდა, დროდადრო თავისი სამშობლოს პოეზიის სილამაზეზე მიმითითებდა წყნარად, დარბაისლურად და ჭეშმარიტი გზით შევყავდი მას ახალ ქვეყანაში, აღმოსავლეთის იმ ჭიშკარში, რომელიც ყმაწვილობიდანვე მიზიდავდა“.[2]

არტურ ლაისტმა წერილები „ქართველი ხალხი“ დავიწყებული ლიტერატურა, მოგვიანებით კი, წიგნი „საქართველოს გული“ დაგვიწერა. ამ წიგნში გერმანელი მწერალი (თავის ერთგულ) მეგობარს, საქართველოს უგვირგვინო მეფეს იხსენებს.“ქართველთაგან პირველმა ილია ჭავჭავაძემ გამომიწოდა ხელი, პირველმა მან გამიღო ფართედ კარები თავისი სახლისა, იმანვე გამიღო თავისი გული და სული...მაშინდელ ქართველთაგან არავის შეეძლო ჩემთვის გაეცნო წარსული ლიტერატურა, გრძნობა, აზრი, მისწრაფება და ოცნება ქართველთა, როგორც ილია ჭავჭავაძესა. ილიას დახმარებით უფრო სწრაფად შევსძლებდი ჩამეხედა ქართველი ერის სულსა და გულში“.[3]

გერმანელი მწერალი საგურამოში ილიასთან სტუმრობას იხსენებს, მათ თავისებურებებზე საუბრობს. აღნიშნავს ილია და ოლღა თუ როგორი პურადობით გამოირჩეოდნენ. ლაისტი საქართველოს, კერძოდ კი საგურამოს სილამაზით, ფლორითა და ფაუნით მოიხიბლა. ის ილიას სახლ-კარს, ბაღს, ცაცხვისა და კაკლის ხეებსაც იხსენებს. ის მიიჩნევს, რომ ადამიანის დასახასიათებლად, მისი გემოვნებისა და ჩვეულების გამოსაკვლევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის საცხოვრებელ ბინას, უფრო მეტად თუ ეს სახლი თვით ამ პიროვნების აშენებულია. მაგალითად მოყავს ციცერონის აგარაკი ტუსკულუმში და გოეთეს სახლი ვაიმარში.

არტურ ლაისტი ილიას თანამედროვე ინტელექტუალებსაც არ ივიწყებს და აღნიშნავს როგორ უყვარდა ერის წინამძღოლს ნიკო ცხვედაძე. პედაგოგიკის ფუძემდებელ იაკობ გოგებაშვილს აგრეთვე დიდი პატივისცემით რომ ეპყრობოდა.

1886-1887 წლის ზამთრის სეზონზე თეატრში ქართველი ინტელექტუალები და მათი შორეული თავისიანი (ასე უწოდა ილია ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ უცხოეთში მოღვაწე გერმანელ მწერალს) ხშირად დადიოდნენ. ისინი აღტაცებაში მოჰყავდათ მსახიობებს - ვასო აბაშიძეს, მის მეუღლეს საფაროვას, გაბუნიას, კოტე მესხს და სხვებს. ლაისტი თეატრის (მაშინდელ) რეჟისორს ვასო თუმანიშვილსაც ახასიათებს. 1900 წელს ილია ჭავჭავაძე არტურ ლაისტთან ერთად გერმანიაში გაემგზავრა. ქართველი მწერალი ასთმით იყო დაავადებული და თავს შეუძლოდ გრძნობდა, ის ბერლინში, კერძოდ ლაიდენის კლინიკაში მკურნალობდა. ილია იხსენებს ლაიდენი პაციენტებს ნახევარი ჭიქა ლიმონის წვენს როგორ ასმევდა და შემდეგ კიბეებზე აჰყავდა.

არტურ ლაისტი მოგვითხრობს, რომ ილია გერმანიით ძალიან დაინტერესდა, თითქმის ყველა წვრილმანს ყურადრებას აქცევდა. ალბათ გერმანიაში არსებული პროგრესი, მიღწევები და ყოველგვარი სიკეთე უნდოდა რომ საქართველოშიც დანერგილიყო. „ჩვენ როდესღა დავეწევით მოწინავე ევროპას“ უთქვამს გულდაწყვეტით ილიას. ერის წინამძღოლი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში იყო ევროპით გატაცებული. ის სტუდენტობის დროს გოეთეს, ბაირონის, შექსპირის ნაწარმოებებს ხარბად დაეწაფა. 1900 წლის 19 აგვისტოს უცხოეთში მყოფმა ქართველმა მწერალმა ნიკო ცხვედაძეს წერილი მოსწერა სადაც მისი დამოკიდებულება გერმანიას და გერმანელებისადმი უაღრესად დადებითია. 1900 წელს „საქართველოს უგვირგვინო მეფეს“ საგურამოს სახლში ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი კარლ-ლემან-ჰაუბტიც ესტუმრა. პროგრესულად მოაზროვნე ილია ჭავჭავაძემ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შემდგომ დიდი ქართველი მწერალი ბერლინში მიიწვიეს. გერმანულმა პრესამ ილიას შესახებ სტატიაც კი დაბეჭდა. კარლ-ლემან-ჰაუბტი, 1910 წელს გერმანულ ჟურნალ Die Hilfe- ში

2. არტურ ლაისტი „საქართველოს გული“, 1923 წ.
3. იქვე, გვ.V-VI.

მოგონებას აქვეყნებს, რომელშიც მეცნიერი გულწრფელად აცხადებს „ილია ჭავჭავაძე ჭეშმარიტად მიიჩნეოდა თავისი ერის ბელადად და წინამძღოლად. ილია ჭავჭავაძე იყო ერთ პიროვნებაში განსახიერებული მწერალი, პოლიტიკოსი და ფინსანსისტი. ამასთან, იგი გახლდათ ბანკის თავმჯდომარე, სათავეში ედგა ეროვნული შეგნების გამაძლიერებელ გაზეთ „ივერიას“ - მისი ჯმუხი აღნაგობა, მისი ღია ინტელიგენტური სახის ნაკვთები და მიმზიდველი ბუნება ჩემთვის სამუდამოდ დაუვიწყარია“.

1907 წლის 27 აგვისტოს, ილიას მკვლელობამდე სამი დღით ადრე, არტურ ლაისტი კიდევ ერთხელ საგურამოსკენ გამოემართა. „რაც ამ გზაზე მივლია... (მოგვითხრობს გერმანელი მწერალი) მიყვარს ის თხელი ტყე გზას ორივე მხარეს რომ გასდევდა. რამდენჯერ ჩამოვსულვარ და ერთხანს ფეხით გავყოლილვარ ეტლს. ილიას უყვარდა ასე, მიდიოდა, გვერდით ეტლი მიჰყვებოდა. იმისგან გადავიღე და ილია იქაც რომ არ ყოფილიყო ფეხით გავლა მომინდებოდა ხოლმე. აქ - როგორც წესი თითქოს სხვა სამყაროში ამოჰყავი თავიო. ტყის დასაწყისი იმ სხვა სამყაროს კარიბჭესავით იყო. შეხედავ - მშვენიერია, თანაც სულ მალე მეგობარს უნდა შეხვდე...

გამობრუნებისას სევდა მომდევდა, ტყე დამთავრდებოდა და ტფილისშიც შევრგავდით თავს. ზღაპარი უეცრად მთავრდებოდა, თუმცა ზღაპარი იმისა, რომ ერთბაშად უნდა მოთავდეს და რეალობა შეგეხალოს სახეში თავისი ულმობელობითა და გაუტანლობით. რაღაცა კი წინათგრძნობა ამეკვიატა თუ არა, საგურამოს მივაშურე. ისე ბრუნავდა და გადი-გამოდიოდა ილიას სახელი, ისეთი გმობა და მუქარა გაისმოდა, კაცმა რომ თქვას, რაღა წინათგრძნობა უნდოდა - ისედაც ხელისგულზე გვედო მომავალი“.

გერმანელი მწერალი შეეცადა, რომ ილია დაეთანხმებინა და განსაცდელისთვის გაერიდებინა „სამკურნალოდ გერმანიასაც ესტუმრე, მაშინ, ხომ გახსოვს იქაურობა როგორ მოგიხდა“. ილიას გაეცინა და მეგობარს უპასუხა: „ბედისწერას არავინ წასვლია“.

წიწამურის ტრაგედიამ არტურ ლაისტი სრულიად შეძრა „განა ამისი ღირსი იყო?“ გაოგნებული იმეორებდა და როგორც ჭეშმარიტ მეგობარს შეშვენის გერმანელი მწერალი ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგაც მის ოჯახზე ზრუნვას აგრძელევდა. უმწეოდ დარჩენილ ოლღას შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა რომ მისთვის შეჭირვებული ცხოვრება მცირედით მაინც შეემსუბუქებინა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზეთი „დროება“ 1884 წ. №118.
2. არტურ ლაისტი „ საქართველოს გული“, 1923 წ.
3. ლევან ბრეგაძე, მოგზაურობა „კაუკაზიშე პოსტის“ ფურცლებზე.

ილიას გზით

ნოდარ ჩინჩალაძე
ახალი ეკონომიკური სკოლა -
საქართველოს მკვლევარი

იცნობს კი ჩვენი საზოგადოება ილიას? ეს არის კითხვა, რომელზე პასუხიც არის: სამწუხაროდ არა. მართლაც, დღეს არსებული ბევრი აზრის საპირისპირო პოზიცია ჰქონდა: მიწის ყიდვა-გაყიდვაზე, საკუთარი ქმედების შედეგზე პასუხისმგებლობის თაობაზე, გამრჯე და უნარიანი ადამიანების წინსვლა-გამდიდრებაზე, ვაჭრობის თავისუფლებაზე,

ყველა წარმატებულ ქვეყანასა და ზოგიერთ წარუმატებელსაც, ჰყავდა თავისი ილია. ქვეყნები, სადაც ილიამ გაიმარჯვა, დღეს არიან წარმატებული ქვეყნები, ხოლო სადაც ვერ გაიმარჯვა, არიან ისე, როგორც არიან.

ჩვენ არ დავუჯერეთ ილიას და ის მოვკალით. მოგვიანებით გავაკერპეთ, თუმცა მისი გაგება სათანადოდ არ გვიცდია. არადა, ბევრად წინ ვიქნებოდით, რომ გაგვეგო რას ამბობდა და გაგვეთვალისწინებინა.

ილია იყო უდიდესი პიროვნება, უდიდესი ღვაწლით ქვეყნის წინაშე და უფრო მეტი: მას ჰქონდა ხედვა, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო ქვეყანა. მისი ხედვა არ მოძველებულა დღესაც, საკითხი ისევ აქტუალურია და ძალიან კარგი იქნება თუ გავუგებთ და წავალთ მისი გზით, ილიას გზით.

By Ilia

Nodar Chinchaladze
Research Fellow of “New Economic School-Georgia“

Ilia Chavchavadze was one of the most prominent person in the second half of 19thcentury in Georgia. His insights about developing of our country and about future of the world is quitesignificant andastonishes us how deep he knew details of world’s economical and political situation. For modern Georgians he is known as writer and publisher mostly, very less people knows about his works in economics whereas its clear that he understands the subject much better that modern Georgians. He was a clear proponent of free market and free trade.

Most of countries had prominent persons like Ilia Chavchavdze, they played definitively important role trying to develop their country but only the countries choosing Ilia’s way were succeeded (their Ilia).

We didn’t choose that way at the beginning of 20th century, Ilia was killed in 1907 by social-democrats, but Georgian people killed him ten years later when this same social-democrat party was elected by the first Georgian parliament.

Ilia Chavchavadze was prominent person and had a great role in history of Georgia, in his works he showed the way to reach success . His views are still most important.

ილია ჭავჭავაძე რომ უთუოდ დიდ ავტორიტეტად არის მიჩნეული საქართველოში, ეს უტყუარი ფაქტია, იმდენად დიდია, რომ მისი გაკრიტიკება მკრეხელობად მიაჩნია ქართული საზოგადოების უდიდეს ნაწილს. ამას ემატება ისიც, რომ საქართველოს მართმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და ილია მართალი უწოდა.

მაგრამ საკითხავია, იცნობს კი ეს საზოგადოება ილიას, მის მრავალმხრივ მოღვაწეობას რეალურად? იცის რა უნდოდა, რისკენ ისწრაფოდა, რას ებრძოდა? - თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იცნობს ზედაპირულად, ისიც მხოლოდ გარკვეულ წილად და პრაქტიკულად არ იცნობს ზოგიერთი მიმართულებით. მაგალითად, პრაქტიკულად არ ვიცით რა ხედვები ჰქონდა ილიას ეკონომიკასა და პიროვნებაზე, როგორ ხედავდა პიროვნების თავისუფლებას ზოგადად და ეკონომიკურ თავისუფლებას კერძოდ, რა მიაჩნდა მას ქვეყნის განვითარების მამომძრავებელ ძალად და ა. შ. არადა, სწორედ ეს იყო უმნიშვნელოვანესი მის შემოქმედებაში და ჩვენც სწორედ მისი ამ ხედვების შესახებ გვექნება ქვემოთ საუბარი მოკლედ, რასაც დაიტევს ამ სტატიის ფორმატი.

თავისი მსოფლმხედველობის ამოსავალი პრინციპი ილიამ მოკლე ფორმულით გამოხატა:

კაცმა კაცი კაცად იცნო /გვ.375 (ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტომი VII, წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე.,

1956)

კონკრეტულად ეს ფრაზა ეხებოდა ბატონ-ყმობის გადავარდნის ამბავს, მაგრამ თავისუფლად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ გამოხატავს სწორედ მის მსოფლმხედველობას ზოგადად: ადამიანი ყველა თანასწორია, მიუხედავად მისი წარმოშობისა. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ის ვერ ამჩნევს საზოგადოებაში არსებულ ფენებს შორის განსხვავებას, მაგრამ მისი ყველა ნაწარმოებიდან გამოსჭვივის, თუ როგორ თანაბრად შესტკივა გული ყველაზე, თითოეული ფენის კარგი უხარია და თითოეული ფენის ცუდზე წუხს. ავიღოთ ფრაგმენტი, რომელშიც წერს, რომ თავად-აზნაურები ვერ პატრონობენ თავიანთ მიწებს:

მამულები ხელიდან მიგვდისო, - ვისგან ისმის ეს ჩივილი? აბა ამ ჩივილში გამოარკვიეთ თუნდ ერთადერთი ხმა იმისთანა წოდების კაცისა, რომელიც თავის შრომასა და გამრჯელობაზეა დამყარებული? გლეხი სჩივის ამას? არა. ვაჭარი, აღებ-მიცემის კაცი სჩივის ამას? არა. მღვდელი, დიაკვანი ჰყვირის: გვიშველეთო? არა. ხომ ვერ დავუფიცავთ , რომ ამათში ან ერთს, ან მეორეს, ან მესამეს მამული არა ჰქონდეს.რატომ ესენი არა სჩივიან, მამულები ხელიდამ მიგვდისო? იმიტომ რომ მამულის ყადრი ამათ კარგათ იციან, იმიტომ რომ ყველა ესენი თითონ ირჯებიან, თითონ მხნეობენ, იმიტომ რომ მამულს უყვარს გამრჯელი ხელი და გამრჯელის ხელში დარჩენა და ყოფნა მამულის ეკონომიური ბუნებაა, იმისი დანიშნულებაა. ჩვენ კიდე ცოტა ვსთქვით: ამათი მამულები არამცთუ მარტო დარჩენასა ჰკმარობენ ამათ ხელში, არამედ სხვის მამულებიც-კი ამათს ხელში ჩასაცვივნელად მიეზიდებიან ყოველის უქმის კაცის ხელიდამ. ეს აუცილებელი შედეგია გაუტეხელი ბუნებაა ყოველგვარის სიმდიდრისა, რომელიც ყოველთვის უქმს მიურბის, რომ საქმიანს კაცს მიეცეს. / გვ.424 (ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად, ტომი II, წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე., 1977)

ამ ფრაგმენტიდან ჩანს, ილია კმაყოფილია, რომ გლეხები, სამღვდელოება თუ ვაჭრები კარგად უვლიან თავის მამულს და თავად-აზნაურობას ურჩევს იმოქმედოს მათი მაგალითისამებრ. აქვე შენიშნავს, რომ ეკონომიკური კანონი განაპირობებს ქონების გადადინებას უუნარო კაცის ხელიდან უნარიანის ხელში და ხსნის კიდეც რატომ ხდება ასე:

მიზეზი ჩვენი საკუთარი უქმობაა, ჩვენი საკუთარი გაურჯელობაა და ამ მიზეზს იქ უნდა მოწყვეტა, საიდამაც მომდინარეობს. თუ ეს მიზეზი ისევ იბატონებს ჩვენში, მილიონებიც რომ ჩაგვაყარონ, დრო მოვა და მაინც იმავე დღეში ჩავცვივით, რაც მილიონებამდე ვიყავით. რომელს უქმს და გაურჯელს კაცს დაუდგა ხელში მილიონები, აბა ერთი მიიხედ-მოიხედეთ და ისე განიკითხეთ აქ გამოთქმული აზრი? ან განა არ არიან იმისთანა თავადნი თუ აზნაურნი, რომელნიც მხნეობენ, ირჯებიან, ყაირათობენ და რიგიანად ჰპატრონობენ და უვლიან მამულებსა. რატომ ამათ არ მიურბით ხელიდამ მამული? აბა ერთი ამისთანა თავადი, თუ აზნაური გვიჩვენეთ, რომ სჩიოდეს და ჰყვიროდეს მამული ხელიდამ მიდისო? ამისთანა კაცს რად წაუვა მამული ხელიდამ? პირიქით, სხვაც მოუვა, თორემ თავისი ხომ შერჩება და შერჩება. კიდე ვიტყვით: ხსნა მხნეობასა და გარჯაშია. ესე უნდა მოიქცეს ყველა. / გვ.425 (ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად, ტომი II, წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე., 1977)

მართალია ილია, რამდენი მილიონიც არ უნდა ჩააყარო ნებისმიერ საქმეს, თუ მიზეზს არ გამოასწორებ, მდგომარეობის გამოსწორება არ მოხდება. ეს მოსაზრება სწორი იყო მაშინაც და სწორია დღესაც. შესაბამისად, მილიონები გინდა სოფლის მეურნეობაში გაუშვი, გინდა - მრეწველობაში, ამით საშველი არ იქნება.

ზემოთ მოტანილი ციტატიდან ჩანს, ილია ეკონომიკურ გარდაუვალობად თვლიდა: ქონება ყოველთვის გადაედინება უზრუნველი მფლობელისაგან იმისკენ, ვინც იცის მისი ფასი და შეუძლია მოხმარება. ეს არის ეკონომიკური კანონი და არა რომელიმე კომერციული სტრუქტურის მიერ გამოწვეული მოვლენა. მის დროს ამაში (ქონების თავდაპირველი მფლობელის ხელიდან სხვის საკუთრებაში გადადინება) ბრალს სდებდნენ კომერციულ ბანკებს, რაზედაც ის პასუხობს:

სად იყო ჩვენი ბანკები, რომ მთელი ტფილისი გაიყიდა და დღეს ერთი მტკაველიც არ არის თითქმის, რომ თავის თავდაპირეველს პატრონს ეჭიროს. სეიდაბათიდამ მოყოლებული ვერამდე და მთაწმინდიდამ მახათამდე მთელი ტფილისი სუმბათიანთი, მუხრანიანთი, ციციანთი, ამილახვრიანთი, ორბელიანთი, გაბაანთი და სხვებისა იყო და ეხლა კი რას ვხედავთ? ჩვენა გვგონია, რომ მაშინ ფული ესე ადვილად საშოვარი ყოფილიყო, როგორც დღეს ბანკების მეოხებით არის, თუ სულ არა, კარგა მოზრდილი ნაწილი მაინც შერჩებოდათ თავიანთ თავდაპირველს პატრონებსა. ვერაფერი თოკები ვერ გაუძლებს ერთს რკინის კანონს საპოლიტიკო-ეკონომიისას: მამული და ერთობ ყოველი ქონება უხეირო ხელს ეცლება და მიიზიდება ხეირიან ხელისაკენ; მცონარეს ეთხოვება და გამრჯელისაკენ, მშრომელისაკენ იწევს და მიეხიდება დაუყოვნებლივ და გაბეჯითებით. ამას არაფერი ღობე წინ ვერ აღუდგება და ვერ დაიჭერს.

ამის წინააღმდეგ ყოველივე მეცადინეობა უქმია და ამაო. გაისარჯეთ და ეს აღარ იქნება. /გვ.377 (ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტომი VII, წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე., 1956)

ე. ი. პირიქითო, ბანკები რომ ყოფილიყვნენ მაშინ, იქნებ რომელიმე პირვანდელი მფლობელი გონს მოგებულიყო, სესხი აეღო, საქმე გამოესწორებინა და თავისი ქონების გასხვისების აუცილებლობის წინაშე აღარც დამდგარიყოო. თუ არადა, ეკონომიკური კანონი რკინის კანონია, შეუძლებელია რაიმე თოკით შეაკავო მისი მოქმედებაო. დღევანდელობაში რომ გადმოვიტანოთ, კანონით მიწის გაყიდვის აკრძალვა ვერ დაიცავს ჩვენს მიწებს, ეკონომიკის კანონი თავისას გააკეთებს და მიწები მაინც აღმოჩნდება იმ ხალხის ხელში, ვისაც მისი გამოყენების უნარი აქვს (და თუ ასე არ მოხდა, მით უარესი იქნება ამ მიწისთვის და შესაბამისად ქვეყნისათვის). ასეც რომ არ იყოს, აუკრძალო ადამიანს რაიმეს გაყიდვა იმ მყიდველზე, რომელთანაც უფრო მომგებიან გარიგებას დადებს, იქნება მისი პირადი უფლების შელახვაა:

ადამიანის ეკონომიურსა და პირადს თავისუფლებას ართმევს და ვაჭრობის თავისუფალ კონკურენციასა სპობს. / გვ. 337 (ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტომი VII, წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე., 1956)

დრო გადის, ტექნოლოგიები ვითარდება, მაგრამ ადამიანები არ იცვლებიან. მაშინაც, როგორც დღეს, იყო მსგავსი პრეტენზიები. გავიხსენოთ, ონლაინ სესხებზე ატეხილი აჟიოტაჟი, არიქა და ძალიან ადვილად ხდება გაცემა, ძალიან მაღალი პროცენტით, ხალხს უჭირს მისი გადახდა და ამიტომ უნდა ავკრძალოთო! ზუსტად იგივე პრეტენზია ჰქონდა ილიას ბანკისადმი მაშინდელი საზოგადოების საკმაოდ სერიოზულ ნაწილს, თუმცა ილია ემოციებით კი არა, საღად აფასებს მდგომარეობას:

ვის დაუშრია წყალი იმიტომ, რომ ზოგიერთს გაუფრხილებელ კაცს არჩობს!.. აქედამ მარტო გონიერი დარიგება გამოდის: წინ დაუხედავად, გაუფრთხილებლად, წყალში ნუ შესტოპავს. ამის მაგიერ რომ ეს უთხრან გაუფრთხილებელთ, მოჰყოლიან და ეუბნებიან, წყალი დააშრეთო. /გვ. 378 (ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტომი VII, წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე., 1956)

ისევ დღევანდელობა რომ გავიხსენოთ. რამდენი გაუჭირდებათ მსესხებლებს, იმდენი მიადგებიან სახელმწიფოს და გაზეთით თუ ტელევიზია-რადიოთი ტყდება ერთი ამბავი, არიქა, გვიშველეთ, ბანკი სახლს გვიყიდისო! ზუსტად იგივე ხდებოდა თურმე მაშინაც, რაზეც თავის გაოცებას და აღშფოთებას გამოხატავს ილია:

გაგონილა განა: მამულზედ მანდევი ფულიო და მამულს კი ნუ აზღვევინებო, თუ მე გაგიმტყუნდი და პირობა ვერ აგისრულეო. / გვ. 348 (ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტომი VII, წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე., 1956)

ლანძღვის სურვილი ეტყობა მოურჩენელი სენია. როგორც დღეს ლანძღავენ ბანკებს, მათ შორის ბევრი ცნობილი ადამიანი, რომელთაც თითქოს ჭკუა უნდა მოეკითხოთ, ასევე ყოფილა მაშინაც:

არამცთუ ჩვენი დაბალის ღობის პუბლიცისტები, არამედ მოლექსენიც კი, და მათ შორის სახელგანთქმულნიც, არ ერიდებიან ბანკების ავად ხსენებას და სახელის გატეხასა. / გვ. 345 (ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტომი VII, წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე., 1956)

ისე გამოდის, თითქოს ბანკების ბრალია ქვეყანაში არსებული გაჭირვება და სიდუხჭირე. არადა აღვნიშნეთ უკვე ზემოთ, რომ სიდუხჭირიდან თავის დასაღწევად შრომაა საჭირო, საკუთარი ქონების და საქმის სწორად განკარგვა, ილიას სიტყვით რომ ვთქვათ - თვითმოქმედება (ამაზე ცოტა ქვემოთ არის მოყვანილი ციტატა).

მიუხედავად აღნიშნული პრობლემებისა, დადებითი, იმედის მომცემი მოვლენებიც ხდება ხოლმე. მაგალითად, ილიას მოჰყავს მცირე სტატისტიკა წლების მიხედვით, საიდანაც ჩანს, რომ ყოველწლიურად მეტი და მეტი ადამიანი არის დაინტერესებული ბანკის საქმიანობით და აქედან გამომდინარე, კმაყოფილებით აღნიშნავს:

ეს სანუგეშო ამბავი, ჯერ თვით ბანკისათვის და მერე თვით საზოგადოებისათვისაც, ფრიად საყურადღებოა და ხელზედ დასახვევი მათ წინააღმდეგ, ვისაც გული გატეხილი ჰქონდა სასოწარკვეთილებისაგან, რომ ჩვენში არა გაკეთდება-რა, რადგანაც გულგრილნი, მცონარენი და დაუდევარნი ვართო. / გვ.341 (ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტომი VII, წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე., 1956)

ანუ, არა ვართ გულგრილნი, მცონარენი და დაუდევარნიო. აქ არ შემიძლია ერთი პატარა ნაწყვეტი არ მოვიყვანო შვედი მკვლევარის, იოჰან ნორბერკის სტატიიდან, რომელიც წარმოადგენს უღარიბესი შვედეთის მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქვეყნად გადაქცევის პროცესის აღწერას. იმ დროს, როცა ილია ასპარეზზე გამოვიდა, შვედეთი ჯერ კიდევ

ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნების რიგში იდგა და ის-ის იყო იწყებდა ამ მდგომარეობიდან გამოსვლას. იმ რეფორმებს, რომლის გატარებასაც საფუძველი შვედების ილიამ - ანდერს ჩიდენიუსმა ჩაუყარა 100 წლით ადრე. ჩიდენიუსის დროს შვედეთში იყო უკიდურესი სიღარიბე და გაჭირვება, რასაც მაშინდელი შვედური პრესა უძებნიდა ახსნას, გარკვეულ წილად მსგავსს, რასაც ჩვენთანაც გაიგონებთ არც თუ იშვიათად, კერძოდ:

მიღებული ინტერპრეტაცია იყო ის, რომ თითქოს ხალხი იყო ზარმაცი და ხარბი / (ნორბერგი, 2013)

თუმცა, ანდერს ჩიდენიუსი არ დაეთანხმა ამას; მან 1763 წელს გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნა, რომ შვედების პრობლემები მოდის არა მათი სიზარმაციდან, არამედ იქედან, რომ მათ მცდელობას, რამე შექმნან, შედეგი არა აქვს ქვეყანაში შექმნილი გარემოების გამო. ჩიდენიუსის იდეებს გამოუჩნდნენ მიმდევრები, რომლებმაც შეძლეს და მე-19 საუკუნის შუა წლებიდან დაიწყეს შესაბამისი რეფორმების გატარება, რამაც შვედეთი, ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა იმ დროისათვის, ანუ მე-19 საუკუნის შუა ხანებში, გადაიქცა ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ქვეყნად (1950 წლისათვის ის არის მსოფლიოში მე-4 ადგილზე ერთ სულზე შემოსავლის მიხედვით).

ილიაც ზუსტად იმავეს ამბობს საქართველოს შესახებ, რასაც ჩიდენიუსი ამბობდა შვედეთზე:

შეუკარით კაცს გზა მის ნაშრომ-ნაღვაწევის განაღდებისა, და იგი თუ ხელს გასძრავს, მარტო მისთვის, რომ თავისი საკმარისი მოიყვანოს, თავისი შინ სამყოფი. ამაზედ მოჭარბებულისათვის-კი იგი ყოვლად უქმი იქმნება, იმიტომ რომ ანგარიში არ არის მოიყვანოს ის, რასაც ვერას გამორჩება, რასაც ვერ გაანაღდებს, რომ განაღდებულით სხვა საჭიროებას რასმე გაუძღვეს. საცა ამისთან ყოფაა, იქ ეკონომიური წარმატება, ქვეყნის გამდიდრება, ყინულზედ დაწერილი თამასუქია და ცალკე კაცსაც სიღარიბისაგან თავი ვერ დაუღწევია. / გვ. 26 (ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტომი VII, წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე., 1956)

იქვე:

ვითომც ჩვენებური ხალხი არ იყოს მხნე, გამრჯელი, შრომა და ჯაფა ეზარებოდეს. ეს ტყუილია, ყოველ ეკონომიურ მოქმედების თავი და ბოლო გამორჩენაა. თუ ეს გამორჩენა არ არის, ან გაძნელებულია, იქ თუნდა მხნეობაში სახელგანთქმული ინგლისელი მოიყვანეთ, ისიც გულზედ ხელებს დაიკრებს და ხელს არ გაანძრევს, - რისთვის? რაო ჩემოო?. / გვ. 26 (ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტომი VII, წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე., 1956)

ცხადია, ვიღაც ყოველთვის არის ზარმაცი და უუნარო, მაგრამ თუ გარემო არ აბრკოლებს უნარიანი ადამიანების საქმიანობას, მაშინ ეს ადამიანები თავადაც წინ მიიწევენ და დანარჩენი საზოგადოებაც ვითარდება მათ კვალდაკვალ. ილიაც ამას აღნიშნავს. ვინც ზარმაცია იმაზე კი არ უნდა იყოს სწორება (რაც არ უნდა 'კარგი' გვარიშვილი იყოს), არამედ მათზე, ვინც საქმის კაცია. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, სწორედ საქმის კაცისთვის ხელების შეკვრა არის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი, ვინც არ უნდა იყოს ეს კაცი, ქართველი თუ არაქართველი.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ დიდი აჟიოტაჟი იყო ჩვენში, მიწების გაყიდვა ავკრძალოთ უცხოელებზე, თორემ გაიყიდა მთელი საქართველოო. ამ კამპანიის მოთავეებს გაგონებაც არ უნდოდათ საღი აზრის. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს საკითხი ახალი არ არის, მე-19 საუკუნეშიც იყო კამათი ზუსტად იმავეზე. 'გადამთიელებზე' არ გაყიდვის მომხრე იყო ნიკო ნიკოლაძე. ვნახოთ, რას პასუხობს ილია ბ-ნ ნიკოს.

შემდეგ უფ. ნიკოლაძე ამბობს, რომ ბანკის წესდების შემადგენელის მიზანი იმაზედ უნდა ყოფილიყო მიქცეულიო, რომ ჩვენი მამულები ხელიდან არ წაგვივიდესო და ჩვენვე დაგვრჩესო. როგორ? მამულს გირაოდ აძლევს ბანკსა და თუ პირობა არ შეუსრულე, გინდა, რომ მამული ისევ შენ დაგრჩეს. მაშ გირაო რის გირაოღაა? განა ეგ შესაძლებელია? თვით უფ. ნიკოლაძე ამბობს, რომ თუმც კარგი იქნებოდა, რომ საქმე ეგრე მოწყობილიყო, მაგრამ ამასთანავე ატანს, თუ ეგ შეუძლებელია, ისე მაინც უნდა მოხერხებულიყოო საქმე, რომ გარემთიელებს არ შეესყიდათ ჩვენი მამულებიო. ამისათვის ერთს სასაცილო ღონისძიებას გვირჩევს, იმისთანა ღონისძიებას, რომ ადამიანის ეკონომიურსა და პირადს თავისუფლებას ართმევს და ვაჭრობის თავისუფალ კონკურენციასა სპობს. / გვ. 337 (ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტომი VII, წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე., 1956)

რა ვქნათ ახლა, მოღალატედ გამოვაცხადოთ ილია ჭავჭავაძე? ან იქნებ ჯობს დავსვათ კითხვა, სწორია კი ადამიანის პირადი თავისუფლების შეზღუდვა იმ მოტივით, რომ 'დავიცვათ' ქართული მიწები უცხოელების ხელში გადასვლისაგან? იქნებ რაღაცას არასწორად ვთვლით ილიასაგან განსხვავებით?

ისევ ილიას მოვუსმინოთ:

ვერაფერი თოკები ვერ გაუძლებს ერთს რკინის კანონს საპოლიტიკო-ეკონომიისას: მამული და ერთობ ყოველი ქონება უხეირო ხელს ეცლება და მიიზიდება ხეირიან ხელისაკენ; მცონარეს ეთხოვება

და გამრჯელისაკენ, მშრომელისაკენ იწევს და მიეხიდება დაუყოვნებლივ და გაბეჯითებით. ამას არაფერი ღობე წინ ვერ აღუდგება და ვერ დაიჭერს. ამის წინააღმდეგ ყოველივე მეცადინეობა უქმია და ამაო. გაისარჯეთ და ეს აღარ იქნება. /გვ.377 (ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტომი VII, წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე., 1956)

ე. ი. აკრძალვებით და შეზღუდვებით კი ვერ ვიხსნით ჩვენს ქონებას გასხვისებისგან, შრომითო, შრომით! შრომა კიდევ მარტო ფიზიკური შრომა არ გეგონოთ, პირველ რიგში, მეწარმეობის უნარია საჭირო (რასაც ის თვითმოქმედებას უწოდებს, როგორც აღინიშნა უკვე ზემოთ):

თვითმოქმედება, თავით თვისის საქმის აჩენა, გაძღოლა და გატანა, ისეთი თვისებაა ადამიანისათვის, ურომლისოდაც იგი უფრო მონაა, ვიდრე ბატონი. არც ცალკე კაცს, არც საზოგადოებას ერთად, უამთვისებოდა არ ძალუძს სთქვას, მე ვარ და ვცხოვრობო. უამთვისებოდ ერთიც და მეორეც სათრეველაა და არა თვითონ მავალი. კაცი, თუ საზოგადოება, რომელიც თვით არ მოქმედებს, თვით საკუთარის თაოსნობით ჭირს არ ებრძვის, მეტ-ნაკლებობისაგან დახსნას თვით არ ეტანება, თავის სვე-ბედსა თვითონ არ იურვებს, - იგი ტვირთია, იგი მეტი ბარგია ამ ქვეყნიერობაზედ. კაცს თუ საზოგადოებას არა ეძლევა რა ამ წუთისსოფელში უშრომელად, გაურჯელად. მარტო იგი შრომაა, იგი გარჯაა ნაყოფიერი, რომლის საძირკველიც ანუ სათავე საკუთარი თაოსნობაა, და ძალ-ღონე კიდევ საკუთარი მარჯვენა. არამცთუ საზოგადო საქმეში, კერძო კაცის ცალკე ცხოვრებასაც რომ დავაკვირდეთ, ვნახავთ რომ არსებობისათვის ბრძოლასა და ჭიდილში მარტო იგია გამარჯვებული, ვინც თვით არის საქმის თაოსანი, საქმის ამჩენი და საქმის მომქმედიცა, ვინც თავისთავზეა მარტო დანდობილი და თავის საკუთარს მხნეობას და გარჯას ჰსახავს წყაროდ თავისის ცხოვრების განკარგებისა და წინ წაწევისად.

ეს თვითმოქმედება, ეს თვით თვისით საქმის აჩენა, გაძღოლა და გატანა, რაკი ერთხელ აღფრთოვანდება და დაიძვრის, რაკი ერთხელ შაებმის ხოლმე ცხოვრების უღელში, მისი გამარჯვება, ძლევამოსილობით სვლა უეჭველია. მართალია ეს თვითმოქმედება ხანდისხან ათასნაირ მოსალოდნელ და მოულოდნელ მიზეზთაგან შეფერხდება ხოლმე, მაგრამ ბოლოს კი მაინც თავისას გაიტანს და ამაშია მისი სიკეთე და ღირსებაცა. საითაც უნდა მიიხედოთ, რომელი ქვეყანაც გინდათ გასინჯოთ, ყველგან ერთს უცილობელს ჭეშმარიტებას დაინახავთ: იგი ქვეყნაა უფრო ბედნიერი, უფრო ღონიერი სულითა და ხორცით, რომელსაც თვითმოქმედება გაძლიერებული აქვს და ყოველის მოძრაობის სათავე შეჰქმნია. პირიქით, საცა ეგ თვიღმოქმედება გაღვიძებული არ არის, იქ კერძო კაციც ცალკე და საზოგადოებაც საერთოდ ფერმკრთალია, უღონო და ცოცხალ-მკვდარი. /გვ.343 (ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტომი VII, წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე., 1956)

კიდევ ერთხელ, ის რომ ილია სიღარიბეს კი არა თვლიდა ღირსებად, არამედ სიმდიდრეს და კეთილდღეობას, კარგად ჩანს მისი სიტყვიდან, რომელიც მან წარმოთქვა სოხუმში. ილია 1903 წელს სოხუმში მიიწვიეს იქაურმა ქართველებმა და გააცნეს თავიანთი ყოფა. ბოლოს, გამოსამშვიდობებელი ნადიმისას, მან სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, რომელიც სტენოგრაფიული სიზუსტით ჩაუწერია თედო სახოკიას:

“ბატონებო! დიდის პატივისცემით მოგესალმებით, ბედნიერი ვარ,რომ ვხედავ ჩვენს საერთო მშვენიერ სამშობლოს კალმით დახატულ კუთხეს და მის მოსახლე მშვენიერსავე ხალხს. მადლობელი ვარ თქვენი დახვედრისათვის, ჩემი პატივისცემისა და დღეგრძელობისათვის!

თქვენ რომ გიყურებთ,გულს იმედი და სასოება ჩამესახა. ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყანა წინ მიდის, მტერს ეგრე ადვილად არ დავეჩაგვრინებით. აქ რომაელთა ერთი თქმა მაგონდება: სინათლე აღმოსავლეთით გვევლინებაო. თქვენ რომ გიცქერით, ეს თქმა ასე უნდა შევცვალო: სინათლე დასავლეთიდან მოდის საქართველოსათვის მაინც-მეთქი! თქვენც მიხვედრილი ბრძანდებით, რომ დღევანდელს ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერი დაჯდება, ვინც ირჯება, ვინც მუდამ შრომობს, ვინც ცდილობს ეკონომიურად წელში გამაგრდეს. ვინც ამას არა ფიქრობს,ვინც სხვას შეჰყურებს, აცა, ეგებ რამე გაჰვარდეს ხელიდან და მე ავიღოო, ის ხალხი ტყუილა ნუ ელის შორი მანძილი გაიაროს ცხოვრებაში, ტყუილი იმედი ნუ აქვს ცხოვრების ჭიდილში ფონს გავიდეს; ასეთ ერს, ვიმეორებ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, საკაცობრიო ცხოვრების სუფრაზე ადგილი არ ექნება, გემრიელი ლუკმა ცხვირზეით ასცთება, ნასუფრალი თუ ხვდა, ღმერთს მადლი შესწიროს. ყველასაგან გათელილი,ყველასაგან დაბრიყვებული,ყველაფერში ჩამორჩენილი, ყველასაგან ყბადაღებული ისაა, ვისაც თავის მარჯვენის იმედი არა აქვს, ვინც თავისი ძალღონით არ ჰლამის ლელოს გატანას ცხოვრების მოედანზე. თქვენი მოძმენი, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველები, იმითი ვართ შესაბრალისნი, რომ მეტად ტაატით მივდივართ ეკონომიური

მოღონიერებისაკენ. იქ ყველანი ჩვენ გვჩაგრავს, თავზე გვასხდებიან. აქ,თქვენ რომ გიყურებთ, გული მინათდება, სასოებით მევსება: მთელი ქალაქი თქვენს ხელშია; აქაურობის ბატონ-პატრონი თქვენა ხართ; გეტყობათ, დღესა და ღამეს ასწორებთ, ცდილობთ, უკვე შეძენილს კიდევ მიუმატოთ, თქვენი ქონება ერთი-ორად აქციოთ, ფხიზლობთ, ყური მახვილად გიჭირავთ, საიდან როგორ უკეთესად და სარფიანად მოაგვაროთ თქვენი საქმე, ამისთვის თქვენთვის გამჩენს შნო მოუცია და ამ შნოთი შნოიანად სარგებლობთ

კიდეცა. მერწმუნეთ, თუ ქონებრივად ღონივრები იქნებით, ყოველივე სიკეთე ამქვეყნიური თავისით მოგადგებათ კარზე. თუ ეკონომიურად წელში გავიმართებით, ჩვენი სამშობლო, მამა-პაპათაგან ნაანდერძევი, შეგვრჩება, ვერავინ წაგვართმევს; თუ ვაჭრობას, თანამედროვე ცხოვრების ამ მთავარ ძარღვს ვუერთგულეთ, ბურთი და მოედანი ჩვენია, ლელოს გატანაში ვერავინ შეგვეცილება. რომ მოგახსენეთ: საქართველოს სინათლე დასავლეთიდან მოდის-მეთქი, იმიტომ მოგახსენეთ, რომ დასავლეთ საქართველოს ქართველობამ აღმოსავლეთ საქართველოს მოძმეებს მაგალითი უნდა უჩვენოს სიფხიზლის, ცხოვრებაში ბრძოლის უნარის გამოჩენისა, უნდა ასწავლოთ, რომ იმათაც ამავე გზით იარონ, იმათაც თქვენ მოგბაძოთ, ერთობლივი, მამა-პაპათაგან ნაანდერძევი ტურფა და მდიდარი ქვეყანა შევირჩინოთ, სხვას მისი დაპატრონების მადა არ გავუღვიძოთ, მოსეულს ათასგვარ მტერსა და დუშმანს კრიჭაში ჩავუდგეთ, ხმალამოღებული დავუხვდეთ, ჩვენზე არ გავაცინოთ. მაშ, გაგიმარჯოთ, ბატონებო! ჩვენი ქვეყნის აღორძინების პირველო მერცხლებო! გაუმარჯოს თქვენს გამჭრიახობას, სიმკვირცხლეს! ჩვენი ხალხის, ამერ-იმერეთის, მთლად ჩვენი ხალხის სანუგეშოდ და წარსამატებლად". // (სახოკია, 2013)

ხაზგასასმელია, კიდევ ერთხელ, რას ამბობს ილია: ვაჭრობა, საკუთარი საქმის სარფიანად მოგვარებაო, შნოს გამოჩენაო არისო ის თვისებები, რაც ჩვენი ქვეყნის წინსვლის საწინდარიაო. ანუ, ის ადამიანები, რომლებიც ამას ახერხებენ, არიან ყველაზე პატივსაცემები პირველ რიგში, რადგან ასეთი ადამიანები თავადაც შოულობენ და სხვა ყველაც, მათ ირგვლივ, მოგებულიაო მათი საქმიანობით.

ე. ი. თუ ქართული კომპანიები წარმატებულნი იქნებიან, ისეთები, როგორებიც არიან ბანკები, საფთიაქო ქსელები, სატელეკომუნიკაციო, ღვინის მწარმოებლები და სხვა, ეს, რა თქმა უნდა, სარგებლის მომტანია ამ კომპანიების პატრონებისთვის, მაგრამ ასევე სასარგებლოა ჩვენთვის, ამ ქვეყანაში მაცხოვრებელი ადამიანებისთვის.

ჩვენ რა გავაკეთეთ, მოვუსმინეთ ილიას თუ კერპი შევქმენით მისგან? ჯერ მოვკალით და მერე გავაკერპეთ! რა უნდოდა მას თავად, რომ მისი კერპი და მისადმი თაყვანისცემა დამკვიდრებულიყო საქართველოში თუ მოგვესმინა მისთვის და გვევლო იმ გზით, საითკენაც ილიას უნდოდა ქვეყნის წაყვანა?!

ყველა წარმატებულ ქვეყანასა და ზოგიერთ წარუმატებელსაც, ჰყავდა თავისი ილია. ქვეყნები, სადაც ილიამ გაიმარჯვა, დღეს არიან წარმატებული ქვეყნები, ხოლო სადაც ვერ გაიმარჯვა, არიან ისე, როგორც არიან.

ჩვენთან ვერ გაიმარჯვა ილიამ, პირიქით, ჩვენ ის მოვკალით. აქ არ იგულისხმება 1907 წელი, როცა ფიზიკურად გავარდა ტყვია მის მოსაკლავად, არამედ შემდეგი პერიოდი, როდესაც ამის გამკეთებელი ძალა უმრავლესობით მოვიყვანეთ საქართველოს პირველ პარლამენტში. შემდეგ კი, რაღაც პერიოდის მერე, გავაკერპეთ!

ილია იყო უდიდესი პიროვნება, უდიდესი ღვაწლით ქვეყნის წინაშე და უფრო მეტი: ხედვით თუ როგორ უნდა განვითარებულიყო ქვეყანა. მისი ხედვა არ მოძველებულა დღესაც, საკითხი ისევ აქტუალურია და ძალიან კარგი იქნება თუ გავუგებთ მას და წავალთ მისი გზით, ილიას გზით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნორბერგი, ი. (2013). როგორ გაამდიდრა შვედეთი ჩაურევლობამ.

2. სახოკია, თ. (2013). http://genia.ge. ილია ჭავჭავაძის წარმოთქმული სიტყვა სოხუმში: http://genia.ge/?p=75#more-75-დან.

3. ჭავჭავაძე, ი. (1956). თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტომი VII, წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიარებათა აკადემია, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა.

4. ჭავჭავაძე, ი. (1977). თხზულებანი ორ ტომად, ტომი II, წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე. თბილისი: გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო".

ილია ჭავჭავაძისეული ეკონომიკა და სახელმწიფო

გიორგი ჩხიკვაძე
ახალი ეკონომიკური სკოლა
საქართველოს მკვლევარი

აღნიშნულ სტატიაში საუბარია ილია ჭავჭავაძისეულ პოლიტ-ეკონომიურ შეხედულებებზე. ილიასეული მოდელი აშკარად ბრიტანულ და ბელგიურ მიდგომას ანიჭებს უპირატესობას, ის კერძომესაკუთრეობით პრინციპს უჭერს მხარს და აცხადებს, რომ კერძო ინტერესის ქონა და მოგებაზე ორიენტირებული მეურნეობაა ერთადერთი ეფექტიანი სტიმული ნებისმიერი დარგის განვითარებისთვის.

სწორედ მსგავს პოზიციას იცავს ილია ჭავჭავაძე ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში სახელმწიფოს ფუნქციებთან დაკავშირებით. სტატიაში მიმოხილულია ნაშრომები, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ ილია სახელმწიფოს უმთავრეს ფუნქციად საკუთრების დაცვას მიიჩნევს, ხოლო ქვეყნის კეთილდღეობა მისთვის ადამიანების კეთილდღეობას ნიშნავს. სწორედ ამიტომ, ის გმობს ნებისმიერ პოლიტიკას, რომელიც ადამიანების თავისუფალ არჩევანსა და თანამშრომლობას ზღუდავს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს მიღმაც.

Ilia Chavchavadze's economy and the state

George Chkhikvadze
Research Fellow of "New Economic School-Georgia"

In the above mentioned article are considered political-economical views of Ilia Chavchavadze . His kind of model is obviously giving advantage to the British and Belgian attitude, it boosts a private-property principle and asserts, that having a private interest and a gain oriented agriculture (economy) are the only efficient stimulus for branch development.

Exactly the very alike position is held by Ilia Chavchavadze about the government functions in the different spheres of economics. There are reviewed works, where it is clear, that for Ilia Chavchavadze property protection is the main function of government, while country welfare for him means people well-being. Therefore he condemns any politics, which limits people's free choice and cooperation, as inside the country, as outside of its borders.

შესავალი

ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებები მის რამდენიმე ნაშრომშია გადმოცემული. გარდა საკუთრივ ეკონომიკური წერილებისა, ილიას შეხედულებები გაბნეულია მის მხატვრულ შემოქმედებაშიც.

ამ სტატიაში ძალიან მოკლედ მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ შრომებს მიმოვიხილავთ — როგორიცაა: „ცხოვრება და კანონი" (1877წ), „ხიზნების საქმე" (1880წ), „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა" (1886წ), „შინაური მიმოხილვები" (1885წ), „სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა" (1887წ), „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი" (1895წ), „ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების საზრუნავი" (1893წ) და სხვა — სადაც ცხადად, მეცნიერულადაა ჩამოყალიბებული ავტორის დამოკიდებულება ქვეყნის ეკონომიკური მოდელისა და ადამიანთა შორის თანამშრომლობის ფორმების შესახებ.

მსგავსი რამ ერთის მხრივ იმითაა განპირობებული, რომ ილიას ხედვის სრულად გადმოცემა მოკლე სტატიაში შეუძლებელია. მეორეს მხრივ, კი მისი, როგორც მეცნიერის დამოკიდებულების გასაგებად უპრიანია

მოღვაწეობის ბოლო პერიოდის ნაშრომების განხილვა, სადაც ავტორი მკაფიოდ, წინააღმდეგობების გარეშე გადმოსცემს მეცნიერულ დასკვნებს საკუთარი პოზიციის შესახებ.

ილია ჭავჭავაძის ნაშრომებიდან ცხადად ჩანს, რომ ის კარგად იცნობდა ადამ სმითის, დევიდ რიკარდოს, ფრედერიკ ბასტიას, სტიურტ მილისა და სხვა ცნობილი ფილოსოფოსებისა და ეკონომისტების ნაშრომებს. ეკონომიკური კუთხით განსაკუთრებით საყურადღებოა ილიას დამოკიდებულება წარმოების, ფასწარმოქმნის, კონკურენციის, კერძო საკუთრებისა და რიკარდოსეული ეკონომიკური უპირატესობის თეორიის შესახებ.

ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური მოდელის წარმატებისთვის აუცილებელია კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, თავისუფალი მეწარმეობა, კონკურენცია, თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობა და რაციონალურად მოწყობილი, მოგებაზე ორიენტირებული შიდა მეურნეობა, რაც შრომისა და რესურსების გონივრული განაწილების წინაპირობაა.

კერძო საკუთრება და ეკონომიკური განვითარება

ილიას ეკონომიკური მოდელის ფუნდამენტს კერძო მესაკუთრეობა წარმოადგენს, რომლის გარეშეც შეუძლებელია ფინანსური და თუნდაც პოლიტიკური წარმატების მიღწევა. ილია, როგორც თავის ნაშრომებში, ისე აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებით ცდილობდა საკუთრებითი ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის შეეწყო ხელი, რადგანაც მიაჩნდა, რომ "ხელშეუხებლობა პირადი საკუთრებისა მერმისის ქვაკუთხედად აღიარებულია და ყოველს რაც ჰბღალავს და ჰხუთავს ამ ხელშეუხებლობას, რჯული ძნელად იშვნევს, ძნელად იწყნარებს". სწორედ კერძო საკუთრების დაუფასებლობას და ხალხის ხელში ქონების არარსებობას ასახელებს ილია ეკონომიკური ინერტულობის მთავარ მიზეზად. მას მიაჩნია, რომ ქვეყნის წარმატება სწორ ეკონომიკურ აქტივობაზე დგას და „მივიწყებულს ეკონომიკურს მხარეს ჩვენი ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის, რომ ეკონომიკური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა, ტანში გამართვისა".

ჭავჭავაძის შეხედულებები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ არ წარმოადგენს მის დამოუკიდებელ ნააზრევს და ცხადად ჩანს, რომ მსგავსი დასკვნების გაკეთებამდე მას კარგად ჰქონდა შესწავლილი მისი თანამედროვეობის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მიღწევები. მას ესმოდა, რომ წარმატების და განვითარების ერთადერთი რეცეპტი იმ პრინციპების დანერგვაა, რომლის გარეშეც წინსვლა შეუძლებელია და რომლითაც ხელმძღვანელობდნენ წარმატებული ქვეყნები. სწორედ ამიტომ ილია გვეუბნება, რომ „კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქვაკუთხედად უდევს მთელს ცხოვრებას დაწინაურებულ ქვეყნებისას მთელ დედამიწის ზურგზე. საკუთრება, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, ჯერ კიდევ დიდ ხანს იქნება დიდს პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც გინდა იყოს, იაფად არ დაუჯდება".

ჭავჭავაძის დამოკიდებულება კერძო საკუთრების საკითხებისადმი აქტუალური დღევანდელი, არა მარტო ქართული რეალობისთვისაც. მისთვის კერძო საკუთრება ხელშეუხებელია, და მისი ნებისმიერი ფორმით, ნებისმიერი მიზნით შებღალვა წარმოადგენს ძალადობას და ზიანს აყენებს თავისუფალ განვითარებას. საინტერესოა მისი მოსაზრება სახელმწიფოს მხრიდან კერძო საკუთრების ექსპროპრიაციის შესახებ — „თუმცა მიწის პატრონს ამ შემთხვევაში სასყიდელი ეძლევა, მაგრამ მაინც ეს ამბავი კერძო უფლების ზღუდეთა შერღვევად უნდა ჩაითვალოს, რადგან აქ საკუთრების დათმობა იძულებულია, ძალაუნებური და არა ნებაყოფილობითი მოსაკუთრის მხრით."

ილია ჭავჭავაძეს კარგად აქვს გააზრებული ისიც, თუ რა რისკებთანაა დაკავშირებული თავისუფალი, კერძოსაკუთრებითი ურთიერთობები, მაგრამ კარგად ესმის, რომ სხვა გზა წარმატების არ არსებობს. ილიასთვის ცხადია, რომ რისკის და ინიციატივის გარეშე განვითარება შეუძლებელია. სწორედ ამიტომ მას არ ეშინია რისკის და პასუხისმგებლობის აღების, რადგანაც იცის, რომ რესურსები იმ ადამიანის ხელთ უნდა იყოს, ვისაც მისი სწორად გამოყენება შეუძლია — „ეკონომიკური ბუნება ქონებისა ის არის - უძრავი ქონებაა თუ მოძრავი - რომ უხერხო და უმცდელ კაცისგან ხერხიან და მცდელ კაცის ხელში გადადის. ამ კანონს ეკონომიკურ ბუნებისას წინ ვერაფერი დაუდგება, როგორც საერთო ბუნებურ კანონსა".

მეურნეობის საკითხები

ილია ჭავჭავაძე თავისუფალი ურთიერთობების და კერძო ინიციატივის თაყვანისმცემელია. მას მიაჩნია, რომ თავისუფალი ადამიანების შრომას შეუძლია მხოლოდ სასარგებლო ნაყოფის გამოტანა და ნებისმიერი ძალმომრეობა, საზოგადოების თუ სახელმწიფოს მხრიდან დამღუპველია.

ამასთან, ილიას მიაჩნია, რომ საზოგადოების კეთილდღეობა რაციონალურად მოწყობილ მეურნეობას და თავისუფალი გლეხის შრომას უნდა დაეყრდნოს — „ქვეყანა იმისია, ვისაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანი“.

დღევანდელ დღესაც სახელმძღვანელოდ გამოდგება ილია ჭავჭავაძის მოსაზრებები სოფლის მეურნეობისა და სოფლად ცხოვრების შესახებ. ის მხარს უჭერს სოფლად ისეთი წარმოების არსებობას, რომელიც ფინანსურ შედეგზეა ორიენტირებული: „მიწის დამუშავება არა თავის გატანაზე უნდა იყოს ორიენტირებული, არამედ მშრომელს მაქსიმალური მოგება უნდა მისცეს და შრომის ხარჯები მაქსიმალურად უნდა შემცირდეს, ისე როგორც ეს ბელგიაში და ინგლისშია“.

დღეს ბევრი საუბრობს, თითქოს ილია ვაჭრობის და გაცვლის წინააღმდეგია. სინამდვილეში მას წარმატების საფუძვლად სწორედ ვაჭრობაზე ორიენტირებული საქმიანობა მიაჩნია, რამდენადაც ფინანსური წარმატება მოაქვს მოთხოვნადი პროდუქციის შექმნას — „საქონელი შრომით იქმნება და იგი შრომის ნაყოფის ის ნაწილია, რომელიც აღემატება პატრონის პირადი მოხმარებისთვის საჭირო რაოდენობას.“ ილიასვე სიტყვებით „ვერავინ იტყვის, რომ კაცს ბევრი პური და ღვინო აქვს და მდიდარიაო, და თუ იტყვის, ეს პური და ღვინო უსათუოდ განაღდებული აქვს, ფულზე აქვს გათვლილი“.

ილიას აზრით, ბაზრისა და გაცვლის არარსებობის შემთხვევაში შრომას აზრი დაეკარგებოდა, რადგანაც „გამნაღდებელი ნაშრომისა ბაზარია და იგი ეკონომიკური მოქმედება აღებ მიცემისა, რომელსაც ვაჭრობა ჰქვიან“.

საერთაშორისო ვაჭრობა და შეზღუდვები

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორის ვაჭრობის საკითხებს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მას ნათლად აქვს ჩამოყალიბებული საზღვრებს მიღმა გაცვლების თავისებურებაც.

ილიას ნათლად აქვს ჩამოყალიბებული თანამედროვე ეკონომიკური თეორიისთვის კარგად ცნობილი მიდგომა ეროვნული სპეციალიზაციის შესახებ. მას კარგად ესმის, რომ ისევე როგორც შიდა ბაზარზე, საერთაშორისო ვაჭრობაში წარმატების მისაღწევად აუცილებელია ქვეყანამ აწარმოოს ის პროდუქცია, რომელიც სხვაზე კარგად გამოსდის და ტანაც იაფი უჯდება. მას კარგად ესმის, რომ ეკონომიკურ სიბრიყვეს წარმოადგენს აწარმოო ისეთი პროდუქტი, რომლის ყიდვაც სხვაგან უფრო იაფი დაჯდება ვიდრე მისი წარმოება. სწორედ ამიტომ, ილია მთელი თავისი ცხოვრება რაციონალური გადაწყვეტილებებისკენ მოუწოდებდა ქართულ საზოგადოებას და ღიად აკრიტიკებდა ე.წ. ტრადიციული მეურნეობიდან გადახვევის მოწინააღმდეგეებს. ილია წერდა — „მტერთაგან და უგზოობისგან შინ ჩაკეტილი ქართველობა იძულებული იყო ის მოეყვანა, ის ემუშავნა თავის მიწაზე, რასაც დღეს იეფად სხვაგან ვიყიდით, სხვიდან მოვიტანთ. დღეს რა გვიშლის, მაგალითებრ, ჩვენს მიწათმოქმედებას ის ნაყოფი გამოვაღებინოთ, რაც რუსეთში არ მოდის ბუნებურ გარემოებათა გამო და იქიდამ ის ვეზიდოთ, რაც იქ ბევრი მოდის და უფრო იეფიც არის. ის აუარებელი შრომა და ხარჯი, რაც, მაგალითად, მარტო პურის მოყვანაზე მოდის ჩვენში და ასე ძვირად გვიჯდება, სხვა უფრო ძვირფას საგანს რომ მოვახმაროთ რუსეთში გასატანად და იქიდან პური ვეზიდოთ, მითამ წაგებაში ვიქნებით და არა დიდ მოგებაში?“

გარდა ამისა, ილიას კარგად ესმოდა, რომ რაციონალურად მოწყობილი მეურნეობა წარმატებას ვერ მიაღწევდა, თუკი კერძო ურთიერთობებში, ქვეყნის შიგნით ან საერთაშორისო თანამშრომლობისას ხელის შემშლელი ბიუროკრატიული ბერკეტები იარსებებდა.

ილიასთვის წარმატებული სახელმწიფო არა დიდ საბიუჯეტო შემოსავლებს მქონე ქვეყანა, არამედ კარგი პირადი შემოსავლების მქონე ხალხის ქვეყანაა. მას მიაჩნია, რომ მაღალი გადასახადები, რომელთაც შეიძლება სხვადასხვა მიზეზით კრეფდნენ, ხელს უშლის თანამშრომლობის განვითარებას და ადამიანების წარმატებას — „საქონლის გაცვლა ყოველი ბაჟისგან და გადასახადისგან თავისუფალი უნდა იყოს და არა რომელსამე კანონმდებლობისგან შეხუთული არ უნდა იქნას.“ სწორედ ადამიანებზე მოფიქრალი მილია გვასწავლის, რომ „ქვეყნისთვის, ყველასათვის, ერთნაირად ღია ბაზარი უმჯობესია, იმიტომ რომ ყოველის კაცისათვის ისა სჯობია, საშუალება ჰქონდეს, საჭირო საქონელი იქ და იმისგან იყიდოს, საცა და ვისაც უფრო კარგი საქონელი აქვს და უფრო იეფი ჩემ-შინაობის განურჩევლად“

ილია ჭავჭავაძის სოციალურ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ შეხედულებებზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, არ უნდა გადავუხვიოთ მთავარ ხაზს, რომელიც ილიას შემოქმედებას გასდევს — ესაა მისი თავისუფლების სიყვარული, ადამიანების შესაძლებლობების რწმენა, კერძო საკუთრების

ხელშეუხებლობა და კერძო ინიციატივის აუცილებლობა. მას მიაჩნია, რომ პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროტექციონიზმი — გამოხატული პოლიტიკურ პრივილეგიებსა თუ გაზრდილ გადასახადებში — ანადგურებს როგორც საყოველტაო მიზნის მიღწევის შესაძლებლობებს, ისე ადამიანების კეთილდღეობის შანსს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი; ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, თბ. 1956წ. გვ. 187;
2. სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პეოტექციონიზმი; ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, თბ. 1956წ. გვ. 310;
3. ხილის და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება; ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, თბ. 1956წ. გვ. 25;
4. ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ; ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, თბ. 1956წ. გვ. 17;
5. შინაური მიმოხილვა; ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. გვ. 26;
6. კახეთის სოფლის მეურნეობის კავშირი; ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, თბ. 1956წ. გვ. 36;
7. ჩვენის სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება; ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, თბ. 1956წ. გვ. 310;

ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა – 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.
2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელ-ეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;
3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.
4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებ-ისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი 10 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება – 10 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შეძენისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE33LB0113168905809000, სს „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდია LERTGE22.

ელექტრონული ფოსტა: loidk@yahoo.com; www.loi.ge
ტელ: 299-05-76; 555 277 554; 595 32 30 34.

PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.
2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.
3. The article must have reziume in Georgian, English and Russian languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.
4. The article may be published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian, Egnlish and Raussian languages too.

The price of article's publication is- one page of journal 10 GEL (Lari) or 5 USD. And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 10 GEL (Lari).

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code – 204439296, the account number- GE61HB0000000000713602, "Halyk Bank Georgia", central office, bank code HABGGE22.

Our coordinates:

e-mail: loidk@yahoo.com; www.economisti.ge; www.loi.ge
Tel: 299 05 76; 555 277 554; 595 32 30 34.

PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

Smarty
Print House

შპს "Smarty" გთავაზობთ სრულ სარეკლამო/პოლიგრაფიულ სერვისს უახლესი დანადგარებითა და ხელსაყრელი ფასებით!!!

ციფრული ბეჭდვა

ფართოფორმატიანი ბეჭდვა

ბანერი
სტიკერი
ბადე სტიკერი

ოფსეტური ბეჭდვა

- სავიზიტო
- ფლაერი
- ბუკლეტი
- ტრი პლეტი
- ბროშურა
- ჟურნალი
- წიგნი
- ბლანკი
- კოპირებადი
- თვითწებადი
- პოსტერი
- პლაკატი
- ბლოკნოტი
- ეტიკეტი
- კალენდარი: ჯიბის/სამაგიდო/კედლის
- მუყაოს სასაჩუქრე ჩანთა
- კატალოგი
- კოლოფი
- კონვერტი
- მოსაწვევი

ადგილზე მიტანის სერვისი უფასოდ!!!

მის.: ქ. თბილისი, აგლაძის ქ.83

551 30 33 20

smartyLTD@gmail.com

smarty.ltd

Smarty

www.smarty.ge